სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი

სოციალურ მეცნიერებათა სერია

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი მომზადდა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.

სოციალურ მეცნიერებათა სერიის რედაქტორი
მარინე ჩიტაშვილი

გამომცემელი
ლაშა ბერაია

სარედაქციო ჯგუფი

სოციოლოგიის ტერმინები
† ედუარდ კოდუა
მარინა ბურძენიძე
ვაჟა გორგოზია
ნათელა დონაძე
იაგო კაჭკაჭიშვილი
ლია მეზვრიშვილი
ლალი სურმანიძე
ზურაბ ტატიშვილი
ემზარ ჯგერენაია

სამეცნიერო რედაქტორი
ამირან ბერძენიშვილი

პოლიტიკური მეცნიერებების ტერმინები
მამუკა ბიჭაშვილი
თამარ კიკნაძე

სამეცნიერო რედაქტორი
ომარ გოგიაშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების ტერმინები
ზურაბ დავითაშვილი
გიორგი ხელაშვილი

სამეცნიერო რედაქტორი
ალექსანდრე რონდელი

გამომცემლობის რედაქტორები
ლაშა ბერაია
მარინე ხუციშვილი

ექსპერტ-რედაქტორები ენის საკითხებში
თამარ ომიაძე
ლია კაჭარავა

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი

გამომცემლობა
«ლოგოს პრესი»

წიგნი გამოცემულია „ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მთარგმნელობითი პროექტის“ (CEU Translation Project) მხარდაჭერით, ფონდის OSI-Zug, ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის საგამომცემლო საქმის განვითარების ცენტრისა (CPD), ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ (OSGF) სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამისა (SSSP) და საგამომცემლო-მთარგმნელობითი პროგრამის (TP) ფინანსური ხელშეწყობით.

The edition was published with the support of the Central European University Translation Project, sponsored by the OSI-Zug Foundation and with the contribution of the Center for Publishing Development of the Open Society Institute-Budapest, Social Sciences Support Program and Translation Program of the Open Society – Georgia Foundation.

© სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2004

ISBN 99928-926-9-2

გამომცემლობა „ლოგოს პრესი“
ილია ჭავჭავაძის გამზირი 13, თბილისი 0179
ტელ. 250258, ვებსაიტი www.logospress.com.ge

წინათქმა

ეს წიგნი იმ საქმიანობის ლოგიკური დასასრულია, რომელიც 2000-2003 წლებში ხორციელდებოდა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ სოციალური მეცნიერების მხარდაჭერის პროგრამის მიერ. ეს პროგრამა, რომელიც 1997 წლის დეკემბერში ბატონი ჯორჯ სოროსის ინიციატივით შემუშავდა, მიზნად ისახავდა იმას, რომ საქართველოში შესაძლებელი გამხდარიყო სოციალურ მეცნიერებებში თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი საუნივერსიტეტო (სამაგისტრო) სწავლება. ცხადია, რომ ქვეყანა, რომელიც მიეკუთვნება პოსტსაბჭოურ სივრცეს და მიზნად ისახავს თავისუფალი, დემოკრატიული და სამოქალაქო საზოგადოების აშენებას, სოციალური მეცნიერებების განვითარებას ერთ-ერთ უპირატეს ამოცანად უნდა მიიჩნევდეს.

ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამის მიზანი იყო უმაღლესი განათლებისა და მეცნიერული კვლევის სფეროში მსოფლიო გამოცდილებასა და ცოდნაზე დაფუძნებული იმგვარი სტრუქტურის შექმნა, რომელიც შეძლებდა სწავლების მაღალი დონის მიღწევისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას და გადაიქცეოდა პროგრამად, რომელიც სოციალურ მეცნიერებათა დამოუკიდებელ, ნოვატორულ, კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი ინიციატივების კრისტალიზაციის ცენტრის როლს შეასრულებდა. პროგრამის უმთავრესი მიმართულება იყო საქართველოში, და ამდენად, კავკასიაში, უმაღლესი განათლების პროცესის გაუმჯობესების ხელშეწყობა სოციალური მეცნიერებების დარგში. *

---

* აქვე უნდა ითქვას, რომ სოციალური მეცნიერებები საკმაოდ ფართო ჩამონათვალს მოიცავს (სულ 19 განსახვავებული დარგი, იუნესკო, 2002) და შესაბამისად, ფონდმა აირჩია სამი სფერო: სოციოლოგია, პოლიტიკური მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები, რომელთა განვითარების ხელშეწყობა, შეიძლება ითქვას, სტანდარტული და პრიორიტეტულია „ღია საზოგადოების ინსტიტუტისათვის“.

პროგრამის ამ მიზნის განხორციელება რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა. პირველი – ეს იყო იმ უმაღლესი სასწავლებლებისა თუ კვლევითი ცენტრების ელემენტარული ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა (კომპიუტერები, ინტერნეტი, ავეჯი, დაცვის საშუალებები, კოსმეტიკური რემონტი), სადაც ან არსებობდა სამაგისტრო სწავლება რომელიმე ამ დარგში, ან კვლევითი ცენტრი ეწეოდა საქმიანობას, რომლის მხარდაჭერაც ირიბად წაადგებოდა სამაგისტრო სწავლების ეფექტურობის ზრდას. ტექნიკური დახმარება მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის კათედრამ, ენისა და კულტურის უნივერსიტეტის ამჟამინდელმა ფილოსოფიისა და სოციოლოგიის კათედრამ, და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტმა.

პარალელურად პროგრამამ თავისი საქმიანობა მიმართა სასწავლო კურსების განახლებასა და სწავლებისათვის საჭირო შესაბამისი რესურსების მოპოვებისათვის: წიგნები, თარგმანები, სასწავლო მასალები, რესურსები და ა. შ. სოციალური მეცნიერებების მხარდაჭერის პროგრამამ თავის გარშემო შემოიკრიბა ის პროფესიონალები, რომლებიც დაკავებულნი არიან სოციალური მეცნიერებების სფეროში (სწავლება ან კვლევა) და კონკურსის საფუძველზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განავითარა და დანერგა ახალი სამაგისტრო კურსები, შექმნა სარესურსო ცენტრი, გასწია სოციალური მეცნიერებების კლასიკური და უახლესი ლიტერატურის თარგმანი, განახორციელა პროფესორ-მასწავლებელთა ტრენინგები ახალი სასწავლო მეთოდოლოგიების დანერგვის მიზნითა და სპეციალური ინგლისურის სწავლებისათვის, იწვევდა უცხოელ პროფესორებს სოციალურ მეცნიერებებში ინტენსიური კურსებისა და სემინარების ჩასატარებლად, განახორციელა უმაღლესი განათლების რეფორმის პოლიტიკის მხარდაჭერა.

თავისი არსებობის სამწლიან პერიოდში პროგრამამ ხელი შეუწყო სამეცნიერო საზოგადოების შიდა კავშირების განვითარებასა და სამეცნიერო კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობას. სოციალური მეცნიერებების მხარდაჭერის პროგრამის პარტნიორები იყვნენ: უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამა (OSI HESP), ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი (CEU, CEU-SEP), თავისი ყველა პროგრამით, კონსტიტუციისა და საკანონმდებლო პოლიტიკის ინსტიტუტი (COLPI), ქსელის სტიპენდიების პროგრამა და სხვა. პროგრამა უპირატესობას ანიჭებდა სოციალურ მეცნიერებათა გამოყენებით სფეროებს თეორიული ასპექტების დამუშავების პარალელურად.

შედეგად დღეისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დანერგილია ახალი ინტერდისციპლინარული სამაგისტრო

მოდული „საზოგადოება და პოლიტიკა", რომელიც უკვე მეორე წელია ფუნქციონირებს; 2003 წლის ბოლოსთვის გამოქვეყნებულია 15 დამხმარე სახელმძღვანელო: *კულტურის სოციოლოგია* (ე.-კოდუა); *სოციალური მოქმედების თეორია* (ი. კაჭკაჭიშვილი); *ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური საზოგადოებები* (ლ. სურმანიძე); *ეკონომიკა და სოციოლოგია* (ლ. მეზვრიშვილი); *ინსტიტუციური ცვლილებების სოციოლოგია* (გ. თევზაძე); *სოციოლინგვისტიკა* (ნ. ლადარია); *დასავლეთის ქვეყნების ურბანსოციოლოგია* (თ. სულუხია); *დემოკრატიზაცია: საზოგადოებები გარდამავალ ეპოქაში* (გ. ჟორჟოლიანი, მ. მუსხელიშვილი, თ. ბერეკაშვილი); *პოლიტიკური ძალის თეორია* (მ. ბიჭაშვილი); *პოლიტიკური ხელისუფლების თეორია* (მ. გოგატიშვილი); *არჩევნები და საზოგადოება* (მ. მაცაბერიძე); *პოლიტიკური მარკეტინგის საფუძვლები* (მ. მაცაბერიძე); *პოლიტიკური კონფლიქტი და გადაწყვეტილების მიღება* (რ. ჯორბენაძე); *გლობალიზაცია და ნაციონალიზმი* (ზ. დავითაშვილი); *გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაცია საქართველოში* (კ. კაციტაძე); *საერთაშორისო ურთიერთობები მეოცე საუკუნეში* (ნ. კილურაძე, გ. სანიკიძე). მომზადებულია დასაბეჭდად: *გენდერი: სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი* (თ. კიკნაძე, ნ. დონაძე); *თანამედროვე სოციალური თეორია (ქრისტომათია); თანამედროვე პოლიტიკური თეორია (ქრისტომათია); საარჩევნო კამპანია: თეორიები, მეთოდები, ტექნოლოგიები, პრაქტიკა; პოლიტიკური ტექნოლოგიები; პოლიტიკური რისკი და რისკის მართვის ტექნოლოგიები* (მ. მაცაბერიძე); *პოლიტიკური კონფლიქტების ანალიზი და მოგვარების ალტერნატიული გზები* (რ. ჯორბენაძე).

მომზადდა (სოციალური მეცნიერებების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა თარგმნა და სამეცნიერო რედაქტირება) და გამოიცა ფონდის მთარგმნელობით პროგრამასა და OSI Transaition Program (NEXT PAGE)-ის თანამშრომლობით სოციალური მეცნიერებების კლასიკური და უახლესი ლიტერატურა: *ბენედიქტ ანდერსონის წარმოსახვითი საზოგადოებები; ნორბერტ ბობიოს დემოკრატიის მომავალი; იურგენ ჰაბერმასის მოქმედების კომუნიკაციური თეორიის წინასწარი მონახაზები და დამატებები, და, შემეცნება და ინტერესი; ერნსტ-ოტო ჩემპილის მსოფლიო პოლიტიკა გარდატეხის პროცესში; ჰედლი ბულის ანარქიული საზოგადოება: წესრიგის საკითხი მსოფლიო პოლიტიკაში; კენეტ უოლცის ადამიანი, სახელმწიფო და ომი. იბეჭდება მაქს ვებერის რჩეული ნაწერები რელიგიის სოციოლოგიაში; რაიმონ არონის მშვიდობა და ომი ერებს შორის; მაიკლ ჰეჩტერის ნაციონალიზმის შეკავება; რობერტ გუდინისა და ჰანს კლინგემანის ახალი სახელმძღვანელო პოლიტიკურ მეცნიერებებში.*

ახალი სამაგისტრო კურსების განვითარებამ და თარგმანებმა

სრულიად ცხადად აჩვენეს სოციალურ მეცნიერებებში ქართულ ენაზე განმარტებითი ლექსიკონის შექმნის აუცილებლობა. ვერც ერთი მეცნიერება ვერ განვითარდება სამეცნიერო ენის სტანდარტიზაციის გარეშე. აქედან გამომდინარე, პროგრამაში ჩართულმა მეცნიერთა ნაწილმა საკუთარ თავზე აიღო უდიდესი პასუხისმგებლობა და განახორციელა პირველი მცდელობა სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ქართულ ენაზე განმარტებისა და სისტემატიზაციისა. ბუნებრივია, არავის, არც ავტორებს, არც სამეცნიერო რედაქტორებსა და არც ამ წინათქმის ავტორს არ ჰგონიათ, რომ მათ მიერ შესრულებული სამუშაო სრულყოფილია და კრიტიკას არ ექვემდებარება. პირიქით, რაც მეტი შენიშვნა იქნება, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ამ წიგნმა თავისი ფუნქცია შეასრულა და სოციალური სამეცნიერო აზრის განვითარებას შეუწყო ხელი. თუმცა, არა მარტო ეს მიზანი ამოძრავებდა პროგრამას. ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მაქსიმალურად დაგვეცვა ქართული ენის ნორმები და ჩვენი მოკრძალებული წვლილი შეგვეტანა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარების საქმეში.

ერთობლივი და შრომატევადი სამუშაოს შესრულების შემდეგ ამ წიგნს ლექსიკონი-ცნობარის კვალიფიკაცია მიენიჭა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის ხელმოწერით დადასტურებულ დასკვნაში წერია, რომ "აღნიშნულ ტერმინთაგან ბევრი ახალი შემოსულია და მათი ნორმატიული დამკვიდრებისათვის საკმარისი დრო არ არის გასული". შესაბამისად, ლექსიკონი-ცნობარი შეიძლება იმ პირველ მერცხლად ჩაითვალოს, რომელიც გაზაფხულს ვერ მოიყვანს, მაგრამ ცოტათი მაინც გააცოცხლებს მთვლემარე საზოგადოებას და დაიფიქრებს, რომ სახელმწიფოს მშენებლობის ფუნდამენტად ენობრივ-აზრობრივი სივრცეც იგულისხმება. ახალი დარგების სამეცნიერო განვითარებისა და სწავლებისათვის კი ქართულ ენაზე ცნებობრივი საფუძველი მაინც უნდა იყოს.

კიდევ ერთი რამ, ლექსიკონზე მუშაობისას ავტორთა კოლექტივმა და მთლიანად ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის გამგის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორის, ბატონი ედუარდ კოდუას უეცარმა გარდაცვალებამ სერიოზულად შეაფერხა ამ წიგნის დროული დასრულება და ახლა, როდესაც ლექსიკონი დღის სინათლესა და მკითხველის სამსჯავროზე გამოდის, ისევ დაგვრჩენია, ჩვენი უდიდესი პატივისცემა, მადლიერება და გულისტკენა ასე გამოვხატოთ –

ეს წიგნი ეძღვნება პროფესორ ედუარდ კოდუას ნათელ ხსოვნას.
დიდი მადლობითა და პატივისცემით, კოლეგები

მარინე ჩიტაშვილი
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
თსუ ზოგადი ფსიქოლოგიის კათედრის გამგე,
ფონდის „ლია საზოგადოება – საქართველო“ სოციალურ
მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამის დირექტორი,
2000-3 წწ.

აბოლიციონიზმი საზოგადოებრივი მოძრაობა, რომლის მიზანია რომელიმე კანონის გაუქმება. ტერმინი პოლიტიკურ მეცნიერებებში დამკვიდრდა XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში შეერთებულ შტატებში გავრცელებული მოძრაობის გავლენით, რომელიც მიზნად ისახავდა მონებით ვაჭრობისა და საერთოდ მონობის აკრძალვას. აბოლიციონისტურმა მოძრაობამ ფაქტობრივად სამოქალაქო ომი გამოიწვია განვითარებული მრეწველობის მქონე ჩრდილოეთ და მონურ შრომაზე დამოკიდებულ ფერმერულ სამხრეთ შტატებს შორის (1861-1865). სამხრეთის მარცხმა ხელი შეუწყო შეერთებული შტატების კონსტიტუციაში მონობის გაუქმების ასახვას.

აბსენტეიზმი მოსახლეობის გულგრილი დამოკიდებულება პოლიტიკური ცხოვრებისადმი, უარის თქმა სხვადასხვა დონის არჩევნებში მონაწილეობაზე.

აგილი (AGIL) ტალკოტ პარსონსის მიერ შემოტანილი თეორიული კონსტრუქცია. აღნიშნავს ნებისმიერი სოციალური ურთიერთქმედების (სოციალური სისტემების) მოთხოვნილებებს, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელია სისტემის თვითშენახვისა და ფუნქციონირებისათვის. პარსონსი მიუთითებს ოთხ ასეთ ფუნქციონალურ მოთხოვნილებაზე: 1. ადაპტაცია (A: adaptation) მოითხოვს, ნებისმიერი სისტემა ადაპტირდეს გარემოსთან; 2. მიზნის მიღწევა (G: goal-attainment) მოითხოვს, ყველა სისტემა ფლობდეს საკუთარი რესურსების მობილიზების საშუალებებს, რათა განახორციელოს მიზნები და უზრუნველყოს კმაყოფილება; 3. ინტეგრაცია (I: integration) მოითხოვს, ყველა სისტემამ შეინარჩუნოს (დაიცვას) საკუთარი ნაწილების შინაგანი კოორდინაცია და განავითაროს *დევიაციის* დაძლევის გზები; 4. ლატენტურობა (L: latency). ყველა სისტემამ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა შეინარჩუნოს წონასწორობა, ანუ უნდა გამოიმუშაოს საკმარისი მოტივაცია ამოცანების შესასრულებლად. ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ იარსებებს „ღირებულებითი ეტალონები", რომელთა შესრულება სასიცოცხლოდ აუცილებელია ნებისმიერი სისტემისათვის. პარსონსი ამ მოთხოვნას „ეტალონურ მხარდაჭერასაც" ('pattern maintenance') უწოდებს (იხ. *ეტალონური ცვლადები, ფუნქციონალიზმი, ფუნქციონალური მოთხოვნები*).

აგიტაცია პროპაგანდისტული მუშა-

ობა მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ან ფართო მასების პოლიტიკურად გააქტიურების მიზნით. წარმოადგენს პოლიტიკური ბრძოლის გავრცელებულ ინსტრუმენტს. განასხვავებენ *ა-ის* ზეპირ, ბეჭდვით და აუდიოვიზუალურ ფორმებს (იხ. აგრ. *პროპაგანდა*).

აგრარული საზოგადოება ფორმა საზოგადოებისა, განსაკუთრებით – ტრადიციულისა, რომელიც დაფუძნებულია უფრო სასოფლო-სამეურნეო და ხელოსნურ წარმოებაზე, ვიდრე სამრეწველოზე.

აგრესია მძიმე საერთაშორისო დანაშაული, ძალის გამოყენების უკიდურესი გამოვლინება. *ა-დ* მიიჩნევა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების გამოყენება სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ყოველი სახელმწიფო, რომელიც პირველი გამოიყენებს შეიარაღებულ ძალებს, ჩაითვლება აგრესორად, თუკი გაეროს უშიშროების საბჭო სხვაგვარად არ შეაფასებს ამ ქმედებას. *ა-ის* აქტებად ჩაითვლება: ა) ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შეჭრა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე; ნებისმიერი სამხედრო *ოკუპაცია,* რომელიც ამ თავდასხმის შედეგია; სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ან მისი ნაწილის *ანექსია* ძალის გამოყენებით; ბ) ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის ტერიტორიის დაბომბვა; გ) ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ მეორის ნავსადგურებისა და სანაპიროების *ბლოკადა;* დ) სხვა სახელმწიფოების სახმელეთო, საზღვაო თუ საჰაერო ძალებზე თავდასხმა; ე) ერთი სახელმწიფოს იმ შეიარაღებული ძალების გამოყენება მეორის უშიშროების წინააღმდეგ, რომლებიც მის ტერიტორიაზე იმყოფებიან ამ უკანასკნელთან შეთანხმებით, ან შეთანხმების ვადის შეწყვეტის შემდეგ ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მათი დატოვება; ვ) ერთი სახელმწიფოს ისეთი ქმედება, რომელიც მეორე სახელმწიფოს საშუალებას აძლევს, გამოიყენოს მისი ტერიტორია მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ *ა-ის* გამოსავლენად; ზ) ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიარაღებული ბანდების, ჯგუფების, რეგულარული ან დაქირავებული ძალების შეგზავნა, რასაც იმდენად სერიოზული სახე აქვს, რომ განიხილება როგორც არაპირდაპირი, ირიბი ა. გაეროს უშიშროების საბჭოს უფლება ეძლევა თვითონ განსაზღვროს, კიდევ რომელი ქმედება შეიძლება ჩაითვალოს ან არ ჩაითვალოს *ა-დ.* მაგ., *ა-დ* არ მიიჩნევა უცხო სახელმწიფოს მიერ დამორჩილებული ხალხებისა და ქვეყნების შეიარაღებული ბრძოლა თავისუფლებისათვის; აღიარებულია *ა-ის* მსხვერპლთა ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის უფლება; აგრეთვე, თუკი ეს საჭირო გახდა, აგრესორის საზღვრის გადალახვაც. კანონიერად არის მიჩნეული გაეროს მიერ აგრესორის წინააღმდეგ შეიარაღებული ძალების გამოყენება და ბრძოლის გაგრძელება აგრესორის ტერიტორიაზე.

ადათი ჩვეულება, ჩვეულებითი სამართალი ისლამის აღმსარებელ ხალხებში. მომდინარეობს გვაროვნული წეს-წყობილებიდან. აწესრიგებს საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ მხარეს (სათემო მართვა-გამგებლობა, საოჯახო ურთიერთობანი, სისხლიანი კონფლიქტები და ა. შ.). *ა.* დაუწერელი ნორმაა, რომელმაც სავალდებულო ძალა მოიპოვა. იგი იცვლებოდა საზოგადოების განვითარების შესაბამისად, ძირითადად თემისა და ადათური სასამართლოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე. ისლამის ხანაში *ა.* დაუპირისპირდა შარიათს. მან გავლენა მოახდინა ისლამის სამართლებრივი სის-

ტემის ჩამოყალიბებაზე, თუმცა იგი არ ითვლება მუსლიმანური სამართლის ოფიციალურ წყაროდ. ისლამმა დაუშვა და შეინწყნარა ზოგი ა., რომელიც არ ეწინააღმდეგებოდა შარიათს და ავსებდა მის ხარვეზებს. თავის მხრივ, *ა-მაკ* განიცადა შარიათის გავლენა.

ადამიანის უფლებები პიროვნების განუხრელი უფლებები და თავისუფლებები, რომელთაც ინდივიდი დაბადებისთანავე იძენს. *ა. უ.* განსაზღვრავს მინიმუმს იმ პირობებისა, რომლებიც საჭიროა ადამიანის ღირსებისა და სიცოცხლის შესანარჩუნებლად; მოიცავს სამოქალაქო უფლებებსა და პოლიტიკურ თავისუფლებებს, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს, აგრეთვე, მთელი რიგი ერთობების (ბავშვები, ქალები, ნაციონალური უმცირესობები, ხალხები და ა. შ.) უფლებებს. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები ზღუდავს სახელმწიფოს ქმედებებს და უზრუნველყოფს ადამიანის სიცოცხლესა და თავისუფლებას. სოციალური და ეკონომიკური უფლებები ითვალისწინებს მთავრობის განსაზღვრულ ვალდებულებებს. ზოგიერთი ანალიტიკოსი მათ ირეალურს უწოდებს, რადგანაც ბევრ ქვეყანას სათანადო რესურსების უქონლობის გამო არ ძალუძს ამ უფლებათა განხორციელება. განსაკუთრებული ვალდებულებები დაკავშირებულია ისეთ უფლებებთან, როგორიცაა მშვიდობა, განვითარება და ჰუმანიტარული დახმარება. უფლებათა დიდი ნაწილი თითოეულ ინდივიდს ეხება, ხოლო ზოგიერთი, მაგ., ეროვნული თვითგამორკვევის უფლება – გარკვეულ ერთობას. უფლებები დაკანონებულია გაეროს მიერ „ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში" (1948) გენერალური ასამბლეის რეზოლუციით, ორი საერთაშორისო კონვენციით, მრავალი ქვეყნის კონსტიტუციით, აგრეთვე ევროპული კონვენციით, რომელიც მოქმედებს ევროკავშირის ნევრ ქვეყნებში. *ა. უ-ის* თაობაზე მიღებული დეკლარაციები ნორმატიული ხასიათისაა და მათ უფრო მორალური და სარეკომენდაციო ხასიათი აქვს.

ოპონენტები უარყოფენ იდეას *ა. უ-ის* უნივერსალურობის შესახებ, ან ამტკიცებენ, რომ ეს უფლებები ითვალისწინებს მხოლოდ იდეოლოგიურ და კულტურულ-სპეციფიკურ ასპექტებს; მოცემული სახელმწიფოსთვის ან საზოგადოებისთვის ექსტრემალურ შემთხვევაში ისინი შეიძლება დარღვეულ იქნეს; *ა. უ-ის* დაცვის მოთხოვნები ეწინააღმდეგება ერთიანი სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და ხელისუფლებას.

ადამიანური ფაქტორი იხ. *ერგონომიკა.*

ადაპტაცია სოციალური **1.** სოციალური გარემოს მატერიალურ პირობებთან, ნორმებთან და ღირებულებებთან ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფის აქტიური შეგუების მუდმივი პროცესი; **2.** ამ პროცესის შედეგი. სოციალური გარემოს კომპონენტთა ურთიერთშეთანადება დამოკიდებულია ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფის მიზნებსა და ღირებულებით ორიენტაციებზე, სოციალურ გარემოში მათი მიღწევის შეესაძლებლობებზე. *ს. ა-ის* მნიშვნელოვანი ასპექტია ინდივიდის მიერ სოციალური როლის მიღება. ამის გამო *ს. ა.* შედის პიროვნების სოციალიზაციის ძირითად სოციალურ-ფსიქოლოგიურ მექანიზმთა ჯგუფში.

ადმინისტრაცია **1.** მართვის სუბიექტი; **2.** სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანოების, უმაღლესი თანამდებობის პირებისა და საშემსრულებლო ორგანოების ერთობლიობა (მაგ., აშშ-ის ადმინისტრაცია); **3.** საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელი აპარატი. თანამშრომელთა ფუნ-

ქციონალურ ქცევაზე ზემოქმედებისათვის *ა-ს* ენიჭება სათანადო ძალაუფლება, მას ეკისრება გარკვეული პასუხისმგებლობა (ქონების განკარგვაზე, ხელშეკრულებების დადებაზე, საორგანიზაციო-განმკარგულებელ საქმიანობაზე, სათანადო კონტროლსა და სხვ.). უფლებამოსილების სხვა ფორმები, რომლებიც აუცილებელია სოციალური ფუნქციის რეალიზებისათვის, ხორციელდება შრომით კოლექტივთან ან მის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად.

ავტარკია ერთი მნიშვნელობით თვითმმართველობას ნიშნავს. უფრო ხშირად კი ამ ტერმინით აღინიშნება სახელმწიფოს ან რეგიონის თვითდაკმაყოფილება საგარეო ვაჭრობის არარსებობის პირობებში. სრული ავტარკია შეუძლებელია. ჯერ კიდევ უძველესი დროდან ადამიანთა საზოგადოებაში მუდმივად ხდებოდა ნაწარმისა და მომსახურების გაცვლა, ინდუსტრიალიზაციის პირობებში კი საერთაშორისო ვაჭრობა და ეკონომიკური კავშირები აუცილებელი და გარდაუვალი გახდა. XIX ს-ის ბოლო მესამედი და XX ს-ის დასაწყისი მკვლევართა მიერ შეფასებულია როგორც სახელმწიფოთაშორისი ურთიერთდამოკიდებულების სისტემა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ბოლშევიზმისა და ფაშიზმის გამარჯვებამ შეცვალა აღნიშნული სისტემა და ხელი შეუწყო ნაწილობრივი *ა-ის* განვითარებას ზოგიერთ ქვეყანაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი *ბრეტონ-ვუდსის* ლიბერალური ეკონომიკის პირობებში ა. იშვიათ და არაეფექტურ მოვლენად იქცა. თანამედროვე *გლობალიზაციის* ეპოქაში ა. ანაქრონიზმად აღიქმება. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში ხდება *ა-კენ* სწრაფვა ან მისი ხელშეწყობა. კერძოდ, ევროკავშირი ატარებს სპეციალურ პოლიტიკას, რომლის მიზანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით თვითდაკმაყოფილებაა.

ავტოკრატია დასაწყისში ეს ტერმინი აღნიშნავდა ავტორიტარულ რეჟიმს, სადაც რომელიმე ერთი პერსონა მართავდა ქვეყანას. ა. იმთავითვე გამორიცხავს ხალხის თვალსაზრისის რაიმე ფორმით გათვალისწინებას. ამიტომ მმართველობის ასეთი ფორმა უფრო მეტად პრიმიტიულ საზოგადოებებში აღმოცენებული ძალადობრივი რეჟიმებისთვისაა დამახასიათებელი. ამისდა მიუხედავად, ავტორიტარული ქცევების მქონე პოლიტიკოსების მთელი ჯგუფი გაჩნდა XX საუკუნის ტოტალიტარულ რეჟიმებში და არა მხოლოდ აქ. დემოკრატიული ქვეყნების ზოგიერთ პოლიტიკურ ლიდერს (დე გოლს ან თეტჩერს) მმართველობის *ა-ულ* სტილს მიაწერენ, თუმცა, ნამდვილი ავტოკრატებისგან განსხვავებით, მათ არასდროს დაურღვევიათ თავიანთი ძალაუფლების შემზღუდველი კანონმდებლობა.

ავტონომია ტერმინი იხმარება როგორც ცალკეულ ადამიანთან, ასევე ადამიანთა ჯგუფსა და ორგანიზაციასთან მიმართებაში. ავტონომიურ პიროვნებას შესწევს უნარი მართოს საკუთარი ქმედებები, ორგანიზაციას კი – დამოუკიდებლად აწარმოოს საქმიანობა. ა. ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში ეროვნულ-პოლიტიკური წარმონაქმნის ფართო შინაგანი თვითმმართველობაა.

ავტორიტარიზმი მმართველობის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ხალხის აბსოლუტურ მორჩილებას. მოსახლეობის უსიტყვო მორჩილებისაკენ სწრაფვის გამო *ა-ს* ხშირად „დესპოტიის“ მნიშვნელობით ხმაროობენ. ა., როგორც სისტემა, ძირითადად პოლიტიკურ სფეროს მოიცავს – იდეოლოგიან ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები და ლიდერები. ამასთანავე, ტოტალიტარიზმისაგან განსხვავებით (იხ. *ტოტალიტარიზმი*), ა. მოსახლეო-

ბას თავისუფალი მოღვაწეობის გაცილებით უფრო ფართო არეალს უტოვებს. ეს განსაკუთრებით ითქმის ეკონომიკის სფეროზე, როდესაც მმართველობის *ა-ული* წესი ეგუება ეკონომიკურ ლიბერალიზმს და არ ზღუდავს კერძო სამეწარმეო თუ კომერციულ საქმიანობას. ფრანკოს მმართველობა ესპანეთში (1939-1975) ან პინოჩეტის რეჟიმი ცივი ომის პერიოდის ჩილეში (1973 წლიდან) სწორედ მმართველობის ამგვარი წესის ნიმუშია.

აკომოდაცია პროცესი, რომლის დროსაც *კონფლიქტში* მონაწილე *აქტორები* თანხმდებიან, აღიარონ მეორე მხარის ზოგიერთი მოთხოვნა ისე, რომ არ დათმონ საკუთარი საბაზისო ინტერესები. კონფლიქტის წყარო არ არის აღმოფხვრილი, მაგრამ *აგრესია*, რომელიც კონფლიქტის ესკალაციას უწყობს ხელს, შესუსტებულია. ა. თავისებური „შუალედური გზაა" კონფრონტაციასა და ჰარმონიას შორის.

აკულტურაცია ტერმინი გამოიყენება ეთნოგრაფიასა და კულტუროლოგიაში. გაჩნდა XX ს-ის 30-იან წლებში აშშ-ში. აღნიშნავს კულტურათა ურთიერთგავლენის პროცესებს, რის შედეგადაც ერთი ხალხის კულტურა მთლიანად ან ნაწილობრივ ითვისებს სხვა ხალხის (როგორც წესი, უფრო განვითარებულ) კულტურას. *ა-ს* აქვს მეორე მნიშვნელობაც – თაობიდან თაობაზე კულტურის გადაცემა, თუმცა ასეთ შემთხვევაში უფრო ენკულტურაციისა და სოციალიზაციის ცნებებს მიმართავენ. ა. განიხილება როგორც ასიმილაციისა და ეთნიკური პროცესების მრავალფეროვნების გამოვლინება.

ალიანსი ფორმალური შეთანხმება ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის, რომელიც უსაფრთხოების სფეროში საერთო ინტერესების შესრულებას ისახავს მიზნად. სახელმწიფოები ქმნიან *ა-ებს*, როცა მათი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, როცა მათ საერთო საფრთხე ემუქრება და როცა კავშირის შექმნით ისინი ერთად აწონასწორებენ მეტოქის რეალურად თუ სუბიექტურად აღქმულ ძლიერებას. კავშირის შექმნა ძალის „სესხება" და ძალის „დამატებაა". *ა-ების* შექმნის მიზეზებია: 1) პასუხი გარეშე საფრთხეზე; 2) იდეოლოგიური სოლიდარობა; 3) გარეშე სახელმწიფოს დახმარება; 4) უცხო სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოში „შეღწევა", ანუ მის საშინაო პოლიტიკურ სისტემაზე ზეგავლენის მოპოვება. *ა-ები* შეიძლება იყოს საიდუმლო ან ღია, ორმხრივი ან მრავალმხრივი. ა. ძალთა წონასწორობის სისტემის ძირითად ცნებად მიიჩნევა. *ა-ის* საშუალებით სახელმწიფოები აწონასწორებენ სხვა სახელმწიფოს ძლიერებას ან, პირიქით, საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მასთან კავშირში შედიან (იხ. *მიტმასნა*).

ალტრუიზმი 1. პიროვნების ღირებულებით ორიენტაციათა სისტემა, როცა საკუთართან შედარებით სხვა ადამიანების ან სოციალური ერთობის გადარჩენის, კეთილდღეობისა და ბედნიერების ინტერესები ცენტრალური მოტივი და ზნეობრივი შეფასების კრიტერიუმია. **2.** სხვათა უსაფრთხოების, ინტერესების დაკმაყოფილებასა და ცხოვრების გაუმჯობესებაზე მიმართული ქცევა საკუთარი თავის უსაფრთხოების დათმობის ვითარებაშიც კი. პირველი მნიშვნელობა აღნიშნავს პრინციპსაც და მოქმედებასაც, ამდენად, ფართოა და უფრო ხშირადაც გამოიყენება, ძირითადად თანამედროვე *ეთოლოგიაში*. *ა-ს* განასხვავებენ დახმარებისგან, რამდენადაც ამ უკანასკნელ შემთხვევაში რისკი არ ივარაუდება. კონტმა ეს ცნება ეგოიზმის საპირისპიროდ, „იცხოვრე სხვისთვის" პრინციპის განზოგადებად შემოიტანა და ალტრუისტული ცნობიერების დო-

ნეს ცივილიზებული საზოგადოების ინდიკატორად მიიჩნევდა. მისი აზრით, პოზიტივიზმის გავლენით საზოგადოება ჰუმანისტური ღირებულებებისკენ მიდის. ალტრუისტული ორიენტაციის ახსნას მეცნიერება ყოველთვის ცდილობდა. რაშტონისა და სორენტინოს თეალსაზრისით (1981), ა. აიხსნება: ა) გენეტიკური მემკვიდრეობით, რაც მტკიცდება მაგალითებით ცხოველთა სამყაროდან, აგრეთვე, ბიოლოგიური „ეგოისტური გენური" თეორიით; ბ) კოგნიტური განვითარებით – სხვასთან „თანაზიარობის" ზნეობრივი საფუძველი და უნარი ასაკთან ერთად იზრდება; გ) სოციალური გამოცდილებით – ადამიანი სოციალიზაციის პროცესში დაკვირვებისა და მიბაძვის გზით ითვისებს სხვების გამოცდილებას, რაც უადვილებს სხვათა გაგებას; დ) კეთილგონივრული ქცევით, ანუ ალტრუისტული ქცევა გაცვლის თეორიის პრინციპების საფუძველზე ხორციელდება. ეს უკანასკნელი საკმაოდ საეჭვოდ მიიჩნევა, რამდენადაც პირადი ან ორმხრივი სარგებლის წინასწარ გათვლას გულისხმობს, ასეთი მიდგომით კი მთელი ადამიანური მოღვაწეობა შეიძლება ეგოისტურად იქნეს მიჩნეული. ასეთ შემთხვევაში აღარ იქნებოდა განსხვავება *ა-ულ* და ეგოისტურ ქცევას შორის. ფსიქოლოგები *ა-ის* გასაგებად გვთავაზობენ პიროვნულ მიდგომას, რამდენადაც თანაზიარული ქცევა სხვადასხვა ადამიანში განსხვავებულად ვლინდება. უცხოთა მიმართ ა. განსაკუთრებული ინტერესის საგანია საყოველთაო კეთილდღეობის ფილოსოფიაში. თანამედროვე სოციოლოგიაში მიმართება „ალტრუიზმი – ეგოიზმი" განიხილება ადამიანის ბუნებისეულ, გადაუჭრელ ანტინომიად. ა. შეიძლება გამოვლინდეს ყოველდღიურ ურთიერთობებში და პიროვნების ჰუმანურობის სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებელია; შესაძლებელია ამ უნარის ტესტირება. გარდა ამისა, ა. მიიჩნევა ქცევის ზნეობრიობის კრიტერიუმად (რაიტი) და პიროვნების ზნეობრივი განვითარების უმაღლეს ეტაპად. დახმარებაზე ორიენტირებული ქცევა ზოგჯერ *ა-თან* ერთად განიხილება ეგოისტური მორალის ალტერნატივად და საზოგადოების გარდაქმნის ფორმად.

ᲐᲛᲑᲝᲮᲘ მერტონის მიხედვით, *დევიაციის* ერთ-ერთი ფორმა, როდესაც ხდება როგორც *საზოგადოებაში (კულტურაში)* აქცენტირებული (გაზიარებული) მიზნების, ისე მიზნის მიღწევის ლეგიტიმური (ინსტიტუციური, კანონიერი) საშუალებების უარყოფა, თუმცა ამას მოსდევს არა საზოგადოებისაგან განდგომა (როგორც ეს *რეტრიტიზმის* შემთხვევაშია), არამედ მისწრაფება ახალი სოციალური გარემოს შექმნისაკენ – არსებული მიზნების და საშუალებების გადაფასებისა და მათ ნაცვლად ახლის შემოტანის (დაფუძნების) გზით. მერტონი ხაზს უსვამს, რომ ა. უნდა განვასხვაოთ იმისაგან, რასაც ჰქვია „რესენტიმენტა" (ressentimenta). ამ უკანასკნელს არ მოსდევს ღირებულებათა სრული გადაფასება, ანუ, ხდება *მოცემულ სიტუაციაში* მიზანზე უარის თქმა, თუმცა, რჩება მძაფრი სურვილი ამ მიზნის მიღწევისა. *ა-ის* შემთხვევაში საპირისპირო ვითარებაა – ის, რაც სასურველია, მაგრამ მიუღწეველი, არსებითად, წყვეტს არსებობას როგორც სასურველი და ღირებული. ამრიგად, ა. ხასიათდება ღირებულებათა სრული გადაფასებით. ეს არის რადიკალური, რევოლუციური რეაქცია სოციალური გარემოს მიუღებლობაზე. ა. *დევიაციის* კოლექტიური ფორმაა, რომელიც მიმართულია ალტერნატიული სტრუქტურების ჩამოყალიბებაზე. განსხვავებულია *ა-ის* მასშტაბი, ფორმა და შინაარსი. იგი შესაძლებელია განხორციელდეს ლოკალურ და ფართო (ქვეყნის) დონეზე, ცივილიზებული ან არაცივილიზებული გზით, სამართლიან ან

უსამართლო საფუძველზე (იხ. *ინოვაცია, რიტუალიზმი, რეტრიტიზმი*).

ანალიზის დონეები მეთოდოლოგიურ პრობლემასთან დაკავშირებული ცნება საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში. პრობლემის არსი ისაა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების კვლევისას საჭიროა დადგენა იმისა, თუ რომელ დონეზე უნდა მოხდეს საკვლევი ფენომენის შესწავლა. დევიდ ზინგერი განასხვავებს მიკრო და მაკრო (ანუ სახელმწიფო და საერთაშორისო სისტემურ) დონეებს, კენეტ ვოლცი – ინდივიდუალურ, სახელმწიფო და სისტემურ დონეებს, ბარი ბუზანი – სისტემურ, ქვესისტემურ, სახელმწიფო, ბიუროკრატიულ და ინდივიდუალურ დონეებს. ანალიზის დონეებად დაყოფა გვეხმარება შესასწავლი ერთეულების ქცევის აღწერაში, პროგნოზირებასა და ახსნაში, აგრეთვე იმის გარკვევაში, თუ რომელი დონიდან უფრო უკეთესად შეგვიძლია მივიღოთ პასუხი დასმულ შეკითხვაზე.

ანარქია ცალკეული პირების, ადამიანთა ჯგუფების მიერ ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობით გამოწვეული უწესრიგობა და მასობრივი არეულობა. *ა-ის* წყარო ქვეყანაში, როგორც წესი, არსებული ხელისუფლების არალეგიტიმურად გადაქცევა ხდება, რაც, თავის მხრივ, შეიძლება გამოწვეული იყოს რევოლუციით ან სახელმწიფო *გადატრიალებით.* ასეთ პირობებში ანარქიულია პერიოდი, როდესაც ძველ პოლიტიკურ ინსტიტუტებს აღარავინ ცნობს, მათ ალტერნატიულ ინსტიტუტებს კი ჯერ არ მოუპოვებიათ საყოველთაო აღიარება.

ა. საერთაშორისო ურთიერთობებში უნივერსალური მთავრობის, ცენტრალური ხელისუფლების არარსებობაა. ა. საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა, რომელიც საერთაშორისო სისტემის სოციალურ-პოლიტიკურ ხასიათზე, მის ზოგად მდგომარეობაზე მიგვანიშნებს. *ა-ის* ლოგიკის მიხედვით, სახელმწიფოები რაციონალური მოქმედი პირები არიან, რომლებიც ეროვნული ინტერესების მიხედვით მოქმედებენ და მათი ურთიერთქმედების მთავარი გამოვლინებები თანამშრომლობა და კონფლიქტია. ზოგიერთი ავტორი *ა-ს* განმარტავს როგორც ავტორიტეტული ინსტიტუტების, წესებისა და ნორმების არარსებობას საერთაშორისო ურთიერთობებში, რითაც საერთაშორისო სისტემა ჰობსისეულ „ბუნებრივ მდგომარეობას“ ემსგავსება, რომელშიც მიმდინარეობს „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ“. ა. საერთაშორისო ურთიერთობების კვლევაში ერთ-ერთი ყველაზე წინააღმდეგობრივი ცნებაა. რეალისტები მიიჩნევენ, რომ ა. ხელს არ უშლის წესრიგის დამყარებას ან საერთაშორისო საზოგადოების ჩამოყალიბებას. ხოლო იდეალისტების აზრით, წესრიგის მიღწევა საერთაშორისო ურთიერთობებში მხოლოდ რაიმე სახის საერთაშორისო მმართველობის შედეგად გახდება შესაძლებელი. *ა-ის* პრობლემა საერთაშორისო ურთიერთობებში მჭიდროდ უკავშირდება წესრიგის, თანამშრომლობის, უსაფრთხოების დილემას, კოლექტიური უსაფრთხოების საკითხებს. კონსტრუქტივიზმის მიხედვით, ა. „სახელმწიფოების ქმნილებაა“ და არ წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების თანდაყოლილ თვისებას, ამიტომაც მისი გადალახვა შესაძლებელია.

ანარქიზმი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, რომლის მთავარ მიზანსაც წარმოადგენს სახელმწიფოს მოსპობა და იძულებითი ძალაუფლების შეცვლა მოქალაქეთა ნებისმიერი ფორმის თავისუფალი და ნებაყოფლობითი ასოციაციით. ა. როგორც პოლიტიკური მოძრაობა ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპაში XIX ს-ის 40-

70-იან წლებში. ყოფით სიტუაციაში ა. აღნიშნავს მორალური და პოლიტიკური წესრიგის არარსებობას. XIX-XX სს-ის მიჯნაზე ანარქისტებმა რამდენიმე მეტად ხმაურიანი მკვლელობა განახორციელეს, მათ შორის: რუსეთის მეფის ალექსანდრე II-ის (1881), საფრანგეთის პრეზიდენტ კარნოსი (1894) და ამერიკის პრეზიდენტ მაკკინლისა (1901). *ა-ის* ერთიანი პოზიტიური დოქტრინა არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით სახელმწიფოს უარყოფის იდეას. მისი თეორეტიკოსები ვერ თანხმდებიან ყველაზე უფრო ფუნდამენტურ საკითხებშიც კი. თუ სახელმწიფოს მომხრეები მას განიხილავენ როგორც აუცილებელ ინსტრუმენტს წესრიგისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად, ანარქისტები, პირიქით, სწორედ სახელმწიფოში ხედავენ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების წყაროს. *ა-ის* იდეამ, რომელსაც ანტიკური და შუა საუკუნეების მრავალი მოაზროვნის შრომებში ჩანასახის ფორმით ვხვდებით, ახალ დროში განვითარება ჰპოვა ინგლისელი მწერლის უ. გოდვინის ნაშრომში, „კვლევანი პოლიტიკური სამართლიანობის შესახებ" (1793), სადაც მან ჩამოაყალიბა ცნება „საზოგადოება სახელმწიფოს გარეშე." თუმცა აღნიშნული ტერმინი მაშინ ამ სახით არ გვხვდებოდა. შტირნერი ტერმინ „ანარქიზმს" ლიბერალიზმთან მიმართებაში ხმარობდა, თუმცა თვითონ ყველაზე უფრო დიდი ინდივიდუალისტი იყო და არ ცნობდა ვალდებულებისა და სინამდვილის იდეას. პიერ ჟოზეფ პრუდონმა (1809-65), რომელსაც მარქსი მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლად თვლიდა, თავისი წიგნის „რა არის კერძო საკუთრება?" (1840) გამოსვლის შემდეგ სახელი გაითქვა როგორც ევროპული რევოლუციური იდეალების გამომხატველმა. მარქსისგან განსხვავებით, თავის ექსპლუატაციის თეორიაში დამატებით ღირებულებას, რომელსაც კაპიტალისტები ითვისებენ, პრუდონი განიხილავდა არა როგორც პროდუქტს, რომელიც სასიცოცხლო მინიმუმის ზღვარს ზემოთ იქმნება, არამედ როგორც მუშების შრომის კოოპერირების შედეგს. „სახელმწიფოს ლიკვიდაციის" პროექტების სანაცვლოდ მან წამოაყენა პროექტი მისი ფედერალური გარდაქმნის შესახებ. ამ მიზნის განსახორციელებლად იგი მოუწოდებდა თანამედროვე ცივილიზებულ სახელმწიფოებს წვრილ ავტონომიურ ოლქებად დაშლისკენ. მიხეილ ბაკუნინი (1814-76) პრუდონის მიმდევარი იყო. დაქირავებულ მუშას იგი მონად თვლიდა და ამის გამო კოლექტიური საკუთრების შემოღების იდეას აყენებდა. ბაკუნინის აზრით, სახელმწიფო რყვნის თავის მოქალაქეებს, როგორც ქვეშევრდომებს, ისე მმართველებს. მათი ადამიანური სტატუსი კარგავს თავის მნიშვნელობას. I ინტერნაციონალში ბაკუნინი აკრიტიკებდა მარქსს, რომელსაც სახელმწიფოს სრული ლიკვიდაციის მაგივრად მიზანშეწონილად მიაჩნდა მისი ტრანსფორმაცია. ამ წინააღმდეგობებმა ორგანიზაცია 1876 წელს დაშლამდე მიიყვანა. პეტრე კროპოტკინი ცდილობდა *ა-ის* საკუთარი კონცეფცია დარვინის შრომებზე დაყრდნობით მეცნიერულად დაესაბუთებინა. ნაშრომში „ურთიერთდახმარება როგორც ევოლუციის ფაქტორი" (1897) იგი ამტკიცებდა, რომ ევოლუციის წარმატება დამოკიდებულია კონკრეტული სახეობის მდედრობითი სქესის ინდივიდებს შორის ურთიერთდახმარების ხარისხზე, ამასთან, აუცილებელი არ არის, რომ ეს დახმარება თითოეული მათგანისათვის მომგებიანი იყოს. *ა-ის* იმდენი კონცეფციაა, რამდენი თეორეტიკოსიცაა. მთავარი კრიტერიუმი, რომელიც მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს, არის სხვადასხვა ქმედებების – ტერორიზმიდან ტოლსტოის (1828-1910) პაციფიზმამდე და სოციალურ

გარდაქმნამდე – კანონიერად აღიარება. ლიბერალიზმისაგან განსხვავებით, ა-მს მნიშვნელოვანი როლი ვერ ითამაშა სტალინისა და ჰიტლერის ე. წ. ტოტალიტარულ სახელმწიფოებში, თუმცა ორივე მიმდინარეობა ლიბერალიზმს შეერწყა.

ანექსია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ან მისი ნაწილის მითვისება *ძალით* ან მისი გამოყენების მუქარით. XX ს-ის დასაწყისამდე ა. განიხილებოდა გამარჯვებული სახელმწიფოს კანონიერ უფლებად. გაეროს წესდებით, ძალის გამოყენებისა და დამუქრების აკრძალვასთან ერთად უკანონოდ გამოცხადდა ა-ც. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ნორმებით, ა., როგორც ტერიტორიის შეძენის ფორმა, უკანონო ქმედებად არის მიჩნეული.

ანთროპოლოგია 1. მეცნიერება ადამიანის წარმოშობისა და ევოლუციის, ადამიანთა რასებისა და ადამიანის ფიზიკური აღნაგობის ნორმალური ვარიაციების შესახებ (ფიზიკური ა.). **2.** მეცნიერება, რომელიც შეისწავლის პირველყოფილი, ტრადიციული და თანამედროვე საზოგადოებების კულტურას; **3.** მეცნიერება ადამიანის მოღვაწეობის მრავალგვარი ფორმების შესახებ; მოიცავს თავის თავში მაგ., ისტორიამდელ ა-ს, კულტურულ ა-ს, ფიზიკურ ა-ს.

სოციალური ა. სოციოლოგიის ერთ-ერთი დარგია, რომლის შესწავლის ობიექტია პრიმიტიული და ტრადიციული საზოგადოებრივი სისტემები. (იხ. *სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია*).

ანთროპოცენტრიზმი 1. მიდგომა ადამიანის გვარისადმი, როგორც ყველაზე მნიშვნელოვნისადმი სამყაროში. **2.** ფილოსოფიური შეხედულება, რომლის მიხედვითაც ადამიანი წარმოადგენს სამყაროს ცენტრს, მისი ყოველი მოვლენის აზრსა და საბოლოო მიზანს. ანთროპოცენტრული შეხედულებები ჰქონდათ პროტაგორას, სოკრატეს, შუა საუკუნეების სქოლასტიკური ფილოსოფიის წარმომადგენლებს.

ანიმიზმი 1. პირველყოფილი საზოგადოებების სულიერი ცხოვრებისთვის დამახასიათებელი რწმენა, როცა გარესამყაროს ყველა მოვლენას საკუთარი სული აქვს; ტეილორის თანახმად, რელიგიურობის საწყისი ფორმაა და გულისხმობს გარკვეული ძალაუფლების მქონე სულების რთული სისტემის არსებობას. **2.** პიაჟეს თანახმად, ადრეული ასაკის ბავშვის ფსიქიკისთვის დამახასიათებელი თავისებურება, უსულო საგნები მიიჩნიოს ცოცხალ არსებებად. **3.** ზოგადად, რწმენა, რომლის თანახმად ყოველგვარ საგანს, ცოცხალს თუ არაცოცხალს, სულიერს თუ უსულოს, აქვს სული ან ფიზიკური ფორმის გარეშე სულიერი არსებობის სხვა ფორმა.

ანკეტა პირველადი ინფორმაციის შეგროვების ინსტრუმენტი, გარკვეული წესებით ფორმულირებული კითხვებისა და პასუხების (გამონათქვამების) ერთობლიობა, მოცემული გამოკითხვის ფურცლის ფორმით.

სოციოლოგიური ა. *კითხვარის* ნაირსახეობაა. იგი გამოიყენება წერითი გამოკითხვისას (*ანკეტირების* დროს) პირველადი სოციალური მონაცემების შესაგროვებლად. ა. ტირაჟირებული დოკუმენტია, რომელსაც თავად გამოსაკითხი პირი (*რესპონდენტი*) ავსებს მასში მოცემული მითითებების მიხედვით (დაუსწრებელი *ანკეტირება*) ან ანკეტიორის (პირის, რომელიც ატარებს ანკეტირებას) მიერ ჩატარებული ინსტრუქტაჟის შემდეგ (დასწრებული *ანკეტირება*, ინდივიდუალური ან ჯგუფური). სოციოლოგიური ა. არის სტრუქტურულად, აზრობრივად და ლოგიკურად დაკავ-

შირებული კითხვების ნაკრები. თითოეული კითხვა, მისი ტიპი ან სახე, განპირობებულია გამოკითხვის პროგრამული და პროცედურული ამოცანებით. *ანკეტის* სტრუქტურული ერთეულია კითხვა ან კითხვათა ბლოკი. კითხვებისა და პასუხების შინაარსი ასახავს შესასწავლ პრობლემას ემპირიული ინდიკატორების დონეზე. *ა-ის* შედგენა გამოკვლევის ჰიპოთეზათა კითხვების ენაზე გადაყვანის პროცესს მოიცავს. *ანკეტაში* დასმულმა კითხვებმა და შესაბამისმა პასუხებმა უნდა უზრუნველყოს საკვლევი საკითხის შესახებ რელევანტური და მეტ-ნაკლებად ამომწურავი ინფორმაციის მოპოვება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება *ა-ის* კომპოზიციას, კითხვების სწორად შერჩევას, ფორმულირებასა და დასმას, მათ განლაგებასა და თანამიმდევრობას, ენასა და სტილს, *ა-ის* შევსების მეთოდოლოგიურ მითითებებს, აგრეთვე მის გრაფიკულ გაფორმებას.

გამოკითხვის ხარისხი და მისი შედეგები დამოკიდებულია *ა-ზე*, იმაზე, თუ რამდენადაა დაცული მისი შედგენის მოთხოვნები.

ა-ის საშუალებით ხდება ინფორმაციის მიღება როგორც სოციალური ფაქტების, მოვლენების, პროცესების, ისე ინდივიდების, სოციალურ ჯგუფთა შეხედულებების, აზრების, განწყობების, შეფასებების, ქცევის მოტივების, ღირებულებითი ორიენტაციებისა და სხვ. შესახებ.

ზოგჯერ *ა-ის* ნაცვლად ხმარობენ ტერმინებს *კითხვარი* ან „გამოსაკითხი ფურცელი".

ანკეტირება სოციოლოგიური გამოკითხვის მეთოდის ნაირსახეობა, რომლის დროსაც ურთიერთობა სოციოლოგსა და რესპონდენტს შორის გაშუალებულია *ანკეტით*, პირველადი სოციოლოგიური მონაცემების მოპოვების ინსტრუმენტით.

ანკეტა კითხვებისა და პასუხების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ერთობლიობაა, თითოეული კითხვა გამოკვლევის პროგრამულ და პროცედურულ ამოცანებთანაა დაკავშირებული. ა. აგრეთვე ითვალისწინებს *რესპონდენტების* პასუხების დაფიქსირება-რეგისტრაციას, მათ დამუშავებასა და თეორიულ ინტერპრეტაციას.

ა-ის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება გენერალური ერთობლიობიდან იმ ნაწილის შერჩევას, რომლის შესწავლაც არის გათვალისწინებული. *რესპონდენტების* სწორი შერჩევის შედეგად მიღებული მონაცემები მთელი გენერალური ერთობლიობისთვის არის დამახასიათებელი და ზოგადი დასკვნების გამოტანის საშუალებას წარმოადგენს.

ა. არის წერილობითი, უმთავრესად დაუსწრებელი გამოკითხვის ფორმა. არსებობს რამდენიმე სახის ა: I. გამოსაკითხი პირების რაოდენობის მიხედვით (პროცედურის მიხედვით): 1. ინდივიდუალური და 2. ჯგუფური; II. რესპონდენტებისთვის ანკეტის მიწოდების ხერხის, ფორმის მიხედვით: 1. დასარიგებელი (კურიერული), 2. საფოსტო და 3. პრესის საშუალებით; III. რესპონდენტთან კომუნიკაციის ფორმის მიხედვით (ე. ი. გამოკითხვაში ანკეტიორის მონაწილეობის მიხედვით): 1. დასწრებული და 2. დაუსწრებელი (საფოსტო, პრესის საშუალებით); IV. ჩატარების ადგილის მიხედვით განასხვავებენ *ა-ს* საცხოვრებელი ადგილის, სამუშაო ან სასწავლო ადგილის მიხედვით და *ა-ს* მიზნობრივ აუდიტორიებში (თეატრისა და კინოს მაყურებლების, გამოფენის დამთვალიერებლების, საავადმყოფოს პაციენტების გამოკითხვა და სხვ.).

ა. სოციალური ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული მეთოდია. *ა-ის* საშუალებით ხდება პირველადი მონაცემების მიღება როგორც სოციალური ფაქტების, მოვლენების, პროცესების, ისე ინ-

დივიდების, სოციალურ ჯგუფთა შეხედულებების, აზრების, განწყობების, შეფასებების, ქცევის მოტივების, ღირებულებითი ორიენტაციებისა და სხვ. შესახებ.

ა-ის მეთოდი განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება *რესპონდენტთა* დიდი რაოდენობის გამოკითხვისას, ე. წ. მასობრივი გამოკითხვის დროს.

ა-ის პროცესს განსაზღვრავს შემდეგი ძირითადი ცვლადები: 1. პირი, რომელიც ატარებს გამოკითხვას (ანკეტიორი), 2. პირი (ან ჯგუფი), რომელიც ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს (*რესპონდენტი*), 3. ინფორმაცია, რომელიც კითხვებისა და პასუხების ფორმით გამოიხატება – გამოკითხვის კომუნიკე, 4. პირობები (გარემო, სადაც ტარდება ანკეტირება) – *ა-ის* ველი. (იხ. აგრ. *გამოკითხვა*).

ანომია საზოგადოების ისეთი მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება სოციალური ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების შესუსტებით, ან მათ მიმართ გულგრილი დამოკიდებულებით. ეს ცნება პირველად გამოიყენა დიურკემმა შრომაში „თვითმკვლელობა“ (1897), რათა აღეწერა ისეთი საზოგადოება, რომელშიც ინდივიდებს არა აქვთ, ან არ ცნობენ არანაირ მყარ სახელმძღვანელო პრინციპებს იმ გზების შესახებ, თუ როგორ მოექცნენ ერთმანეთს. ასეთი უნორმობა, დიურკემის აზრით, დამახასიათებელია მისი თანამედროვე (არატრადიციული) საზოგადოებებისათვის, რომლებშიც დომინანტურია ინდივიდუალიზმის პრინციპი და იკარგება კოლექტიური ცნობიერების, სოციალური სოლიდარობის პრიმატი. ამ პირობებში აქცენტი კეთდება კერძო, ეგოისტური სურვილების დაკმაყოფილებაზე სავალდებულო (საყოველთაო) ნორმების გათვალისწინების გარეშე. როდესაც შეუზღუდავი სურვილების დაკმაყოფილებისათვის რესურსები მწირია, ეს ინდივიდს უბედურს ხდის და თვითმკვლელობისაკენ უბიძგებს. მაშასადამე, დიურკემის აზრით, აუცილებელია საზოგადოებაში არსებობდეს მყარი ნორმატიული ჩარჩოები, რომლებიც შეზღუდავს კერძო სურვილების პრიმატს. ა. სწორედ ის ვითარებაა, როდესაც ამგვარი ნორმატიული ჩარჩოები დარღვეულია. სტერილური საზოგადოება არ არსებობს. ამიტომ დიურკემი მართებულად მიუთითებს, რომ დანაშაულის არსებობა თავისთავად ნორმალურია, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ის არ აჭარბებს თითოეული სოციალური ტიპისთვის განსაზღვრულ დონეს. თუ ნორმალურსა და პათოლოგიურ ფაქტებს შორის მიმართებაში პათოლოგიური დომინანტობს, *ა-სა* და *ა-ურ* საზოგადოებასთან გვაქვს საქმე. ამის დასადგენად პათოლოგიური ფაქტები უნდა შევუფარდოთ საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ა-ის ცნებას აანალიზებს ამერიკელი მეცნიერი რობერტ მერტონი. იგი აკრიტიკებს ადამიანის ქცევის ბიოლოგიური ფაქტორებით ახსნის თეორიას და ქცევის განმსაზღვრელად სოციალურ-კულტურულ პირობებს მიიჩნევს. იგი *ა-ს* უკავშირებს სოციალურ სტრუქტურას, რომელშიც მოიაზრებს გარკვეული მიზნებით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფებს და იმ საშუალებებს, რომელთაც ადამიანები ამ მიზნების მისაღწევად იყენებენ; ამ საშუალებებს იგი ყოფს ორ ჯგუფად: კანონიერად და უკანონოდ. ეს უკანასკნელი მიზნების მიღწევაში უფრო ეფექტურია. ა. კულტურაში მიზნებსა და მათი მიღწევის კანონიერ საშუალებებს შორის წონასწორობის დარღვევაა. მერტონი მიზნებსა და საშუალებებს შორის მიმართებათა ხუთ ძირითად ტიპს განასხვავებს: *კონფორმიზმი, ინოვაცია, რიტუალიზმი, რეტრიტიზმი, ამბოხი.* (იხ. აგრ. *პოსტმოდერნისტული სოციოლოგია*).

ანტაგონიზმი პოლიტიკური დაპირისპირების უკიდურესი ფორმა, რომელიც ხასიათდება პოლიტიკური ჯგუფების ინტერესების შეურიგებლობით. კონფლიქტოლოგიური ან კლასობრივი თეორიების ფარგლებში მიჩნეულია, რომ მოცემული პოლიტიკური სისტემისათვის დამახასიათებელი ანტაგონისტური წინააღმდეგობები (ვთქვათ, წინააღმდეგობა მემამულეებსა და გლეხებს შორის ფეოდალურ საზოგადოებაში) შეუძლებელია გადაიჭრას ამ სისტემაში, ამიტომ მიიჩნევენ, რომ ანტაგონისტური წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ მთელი სისტემის რადიკალური შეცვლით.

აპართეიდი მკაცრი რასობრივი *დისკრიმინაციისა* და *სეგრეგაციის* პოლიტიკა ფერადკანიანი მოსახლეობის მიმართ, რომელსაც ახორციელებდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა 1980 წლამდე. ამჟამად ამ ქვეყნის ხელმძღვანელობამ უარი თქვა *აპართეიდის* პოლიტიკაზე. (იხ. აგრ. *რასიზმი*).

აპოლიტიკურობა პოლიტიკური მოვლენების, აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ უარყოფითი ან უგულებელყოფითი დამოკიდებულება. *აპართეიდის* ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა მოსახლეობის მასობრივი უარი არჩევნებში მონაწილეობაზე, თუმცა, თუკი ამგვარ უარს ორგანიზებული სახე მიეცა, ის შეიძლება გადაიზარდოს აქტიურ პოლიტიკურ პოზიციაში, *ბოიკოტში*.

არაცნობიერი ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი გამოცდილებების, მოთხოვნილებების, მოტივებისა და სხვა შინაარსების ერთობლიობა. ფსიქოანალიზში ა. ნიშნავს განდევნილ, ლტოლვაზე დამოკიდებულ აზრებს, სურვილებს, მოგონებებსა და ა. შ., რომელთაც „მე“ უკეტავს გზას ცნობიერებისაკენ. ა. ვლინდება ქცევაში, განსაკუთრებით კი ნევროზულ სიმპტომებში. თუკი „მეს“ კონტროლი შესუსტებულია, ა. ტრანსფორმირებული სიმბოლოს სახით აღწევს ცნობიერებამდე (ა. სურვილების ტრანსფორმაცია სიმბოლოდ ხდება, მაგ., სიზმარში). *ა-ის* პრობლემა განიხილა ზიგმუნდ ფროიდმა (1856-1939). განსხვავებით ფროიდისაგან, რომელიც „პიროვნულ *ა-ზე*“ ამახვილებდა ყურადღებას, კარლ გუსტავ იუნგი (1875-1961) აღიარებდა კოლექტიური *ა-ის* არსებობას, რომლის შინაარსს, იუნგის თანახმად, არქეტიპები – ისტორიამდელი ყოფიდან გამოყოლილი „პირვანდელი სურათხატები“ (Urbild) წარმოადგენს (მაგ., გველი, კეთილი ფერია და ა. შ.), რომლებიც სიზმარში ან კიდევ ზეზეურ სიზმარში (Tagtraum) შეიძლება გაცნობიერდეს.

არაცნობიერი მოტივაცია ე. გიდენსის სტრუქტურაციის თეორიაში – სუბიექტურობის არაცნობიერი დონე, რომელიც ხსნის, თუ რატომ მიმართავენ *აქტორები* პრაქტიკების რეპროდუქციას ან შეცვლას. აღნიშნულ დონეზე არ ხორციელდება კონტროლი რუტინათა კვლავწარმოებაზე – ა. *მ.* უზრუნველყოფს ზოგად განწყობას, რომელიც გულისხმობს *აქტორთა* ადრეული ბავშვობიდან წამოსულ არაცნობიერ მოთხოვნილებას, განიცადონ სიახლოვე და პრაქტიკულად დაეუფლონ სოციალური სამყაროს სტაბილურ მახასიათებლებს (იხ. *დისკურსული ცნობიერება, პრაქტიკული ცნობიერება*).

არბიტრაჟი (საერთაშორისო) სამედიატორო სასამართლო ისეთ დავათა გადასაწყვეტად, რომლებშიც მხარეებად გვევლინებიან როგორც *სახელმწიფოები*, ისე *საერთაშორისო ორგანიზაციები*. ა. შესაძლოა იყოს მუდმივმოქმედიც და ერთჯერადიც. თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში იგი კონკრე-

ტული სადავო საკითხის გადასაწყვეტად იქმნება. *ა-ის* შემადგენლობაში შედიან მოდავე მხარეების წარმომადგენლები და განსაკუთრებული შეთანხმების საფუძველზე დანიშნული კიდევ ერთი არბიტრი, ე. წ. სუპერარბიტრი. ამასთან, საერთაშორისო პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც სუპერარბიტრს ნიშნავს საერთაშორისო ორგანიზაციის თანამდებობის პირი, მაგ., გაეროს გენერალური მდივანი. მუდმივმოქმედი *ა-ის* შემთხვევაში ვხვდებით არბიტრთა დანიშვნის განსხვავებულ მექანიზმსაც.

არბიტრირება კონფლიქტში ჩაბმული მხარეების ურთიერთმორიგების მეთოდი, რომლის დროსაც არ მისდევენ ფორმალურ პროცედურებს ან წესებს. ამგვარი წესების არარსებობის პირობებში პოზიციების ურთიერთდაახლოება ძირითადად მოლაპარაკებების მთელ სერიასა და უკვე არსებული პრეცედენტების გათვალისწინებას ემყარება. ამგვარი შეხვედრების პროცესში მხარეები თანხმდებიან, მოლაპარაკებებს გაუძღვეს ერთი რომელიმე არბიტრი ან მომრიგებლების მცირე ჯგუფი, რომელთა ვერდიქტი ყოველთვის კომპრომისულია. ამის გამო ითვლება, რომ *ა.* უფრო მოდავე მხარეებს შორის მშვიდობის მიღწევას ემსახურება, ვიდრე სამართლიანობის დაცვას. *ა-ს* ძირითადად სავაჭრო-სამეურნეო და საერთაშორისო ურთიერთობებში წარმოშობილი სადავო საკითხების მოსაგვარებლად მიმართავენ.

არისტოკრატია პრივილეგირებული ხელისუფლება. თანამედროვე *პოლიტიკურ ელიტასთან* მიმართებაში გამოიყენება უარყოფითი მნიშვნელობით. ანტიკურ პოლიტიკურ თეორიაში არისტოკრატთა ხელისუფლება საუკეთესოდ, ყველაზე უფრო მიუკერძოებლად და უანგაროდ ითვლებოდა (თიმოკრატიისაგან განსხვავებით, რომელსაც ანგარებიანი ადამიანების მმართველობად თვლიდნენ). აღნიშნული კონცეფცია შენარჩუნებულია კლასიკურ და თანამედროვე *კონსერვატიზმში.*

არტეფაქტი ნებისმიერი ხელოვნურად შექმნილი ობიექტი. ზოგიერთი მეცნიერის გაგებით, *ა.* არის არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ იდეაციური ობიექტიც, კულტურის სპეციალიზებულ სფეროებში ფუნქციონირებადი და კულტურული სემანტიკის აბსტრაქტულად მომცველი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს როგორც ფიზიკური მახასიათებლები, ისე ნიშნური ან სიმბოლური შინაარსი. კულტურის მეცნიერებები *ა-ს* განიხილავს რაიმე კულტურული ფორმის ინტერპრეტაციულ განხორციელებად კონკრეტულ მატერიალურ პროდუქტში, ქცევით აქტში, სოციალურ სტრუქტურაში, ინფორმაციულ შეტყობინებასა და შეფასებით მსჯელობაში. კულტურული *ა-ის* ყველაზე სპეციფიკურ მახასიათებლად მიიჩნევა მისი გაგება საწყისი კულტურული ფორმის ინდივიდუალური აღქმის პროდუქტად, აქედან გამომდინარე კი – მისი სუბიექტური ინტერპრეტაციის კერძო შემთხვევად.

არქეტიპი კ. გ. იუნგის ანალიტიკური ფსიქოლოგიის ცენტრალური ცნება. *ა-ები* მთელი კაცობრიობისთვის საერთო კოლექტიური არაცნობიერის შემქმნელი სტრუქტურული ელემენტებია. გარემომცველი სამყაროს უსასრულო მრავალფეროვნების აღქმაში მონაწილე უამრავ უცნობ ფაქტორთაგან დიდი წილი *ა-ული* არაცნობიერის სფეროდანაა. *ა-ები* განწყობებისა და ტიპური რეაქციების სისტემაა, რომელთა ზეგავლენის ქვეშაა არა მხოლოდ უპირობო რეფლექსების მსგავსი რეაქციები, არამედ აღქმაც, აზროვნებაც და წარმოსახვაც. კოლექტიური არაცნობიერის *ა-ული* ხატები თავისებური კოგნიტური ნიმუშებია, ე. წ. აპ-

რიორული ფორმებია (პრაფორმებია), რომლებზეც ორიენტირებულია ინსტინქტური თუ ინტუიტური ქცევა. ისინი მემკვიდრეობით გადადის ბიოლოგიურად და არა კულტურული ტრადიციებით, ამიტომ გადაეცემა არა შინაარსი, არამედ წმინდა ფორმები, რომლებიც გამოცდილებაში მატერიალიზდება და კონკრეტული შინაარსით ივსება. არქეტიპები ნეიტრალურია კეთილისა და ბოროტის მიმართ, ახასიათებს ამბივალენტობა და სხვ., თავს ავლენს მითებში, ზღაპრებში, სიზმრებში; შემოქმედების საფუძველია და ხელს უწყობს ადამიანური კულტურის ერთიანობას, სხვადასხვა განვითარების მქონე ეპოქათა კავშირს, სამყაროს შემეცნებას, საკუთარი თავისა და ადამიანთა ურთიერთგაგებას. ეს ტერმინი ლრმად შეიჭრა მრავალ სამეცნიერო სფეროში, მათ შორის – სოციალურ და კულტურის მეცნიერებებში, სადაც იგი გაგებულია საზოგადოებრივი ცხოვრების ფუნდამენტური სტრუქტურების (სიყვარულის, ძალადობის, შრომის, ბედნიერების) აღქმის არაცნობიერ ფორმად, აგრეთვე ხელოვნებაში შემოქმედებითი პროცესის ინდივიდუალურ საწყისად.

არშემდგარი სახელმწიფო ფორმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც წესრიგის, კანონიერებისა და მოსახლეობის ძირითადი საჭიროებების უზრუნველყოფის არარსებობით ხასიათდება. *ა. ს-ების* უმრავლესობა მეორე მსოფლიო და ცივი ომის შემდეგ წარმოიქმნა, ძირითადად აფრიკის კონტინენტზე, აღმოსავლეთში და ა. შ. *ა. ს-ებს* აგრეთვე ახასიათებს კომუნალური კონფლიქტი, ძალმომრეობა *ეთნიკური ნაციონალიზმის* ნიადაგზე, მილიტარიზმი და რეგიონული დაპირისპირება. ტერმინი ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა რობერტ კაპლანმა. *ა. ს-ებს* სხვაგვარად *კვაზისახელმწიფოებსაც* უწოდებენ.

არჩევნები გარკვეული პოლიტიკური ჯგუფის ან ორგანიზაციის წარმომადგენლად რომელიმე პირის დასახელება. *ა-ის* ინსტიტუტი წარმომადგენლობითი ხელისუფლების აუცილებელი შემადგენელი ელემენტია და ფუნქციონირებს ყველა თანამედროვე არაპირდაპირ დემოკრატიაში. *ა-ით* ხორციელდება მოქალაქეთა მმართველობითი უფლებების *დელეგირება* კონკრეტული პირების, დელეგატებისადმი. ავტორიტარულ რეჟიმებშიც შეიძლება გაიმართოს ა., მაგრამ ამ დროს ან მხოლოდ ერთი კანდიდატია ასარჩევი (როგორც მაგ., ყოფილ საბჭოთა პრაქტიკაში), ან საარჩევნო სისტემაში გამეფებული კორუფცია ყოველგვარ აზრს უკარგავს არჩევნებს.

ასიმილაცია 1. კულტურული: ნაკლებად ცივილიზებული ან უფრო „სუსტი" ხალხის კულტურის სრული ან ნაწილობრივი შთანთქმა უცხო კულტურის მიერ დაპყრობის, შერეული ქორწინებების და დამპყრობელ ეთნოსში დაპყრობილის მიზანმიმართული „გათქვეფის" (შერევის) გზით; ამ გზაზე უკანასკნელი ბასტიონია ენა, რომლის დაკარგვასთან ერთად ასიმილირებული კულტურაც იღუპება. **2.** სოციალური: სოციოლოგიასა და კულტუროლოგიაში აღნიშნავს ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის წარმომადგენლების ან თვით ამ სოციალური ჯგუფის მიერ სხვა ჯგუფის (ან საზოგადოების) თვისებების თანდათანობითი შეთვისების პროცესს, რასაც შედეგად მოსდევს ახალ ჯგუფთან შერევა და ძველებური სოციალურ-კულტურული იერსახის დაკარგვა. ამ პროცესის ობიექტური საფუძველია საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის ინტეგრაცია და ინტერნაციონალიზაცია სხვადასხვა მასშტაბით. ა. განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს უმრავლესობის კულტურის დომინირების პირობებში სოციალურ, ეთნიკურ, კონფესიურ ან

სხვა უმცირესობებში. ამ პროცესს შეიძლება მოჰყვეს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური შედეგები.

ასოციაცია ადამიანთა იმგვარი გაერთიანება, რომელსაც საფუძვლად უდევს საერთო მიზნები ან სხვა სახის საერთო იდენტობები. ა., „ჯგუფისაგან" განსხვავებით, რომელიც თავად შეიძლება შეიცავდეს ა-ს, სპეციფიკური გაერთიანებაა, რადგან *ა-ებს*, ჩვეულებრივ, აქვს გარკვეული წესები და სტრუქტურა. ადამიანების უფლება, თავისუფლად შექმნან და შეეიდნენ *ა-ებში*, დემოკრატიულ თავისუფლებათა ერთ-ერთი სახეა.

აფლუენცია ტერმინს იყენებენ მდიდარი (სიუხვის) საზოგადოების (affluent society) აღსანიშნავად. იგი დამკვიდრდა XX ს-ის 50-60-იან წლებში ამ პერიოდის ბრიტანული და ამერიკული საზოგადოებების აღსაწერად. ამ ტერმინით აღწერდნენ 50-იანი წლების ინგლისს, სადაც ცხოვრების დონის ამაღლებას მოჰყვა ღრმა ცვლილებები სოციალურ ურთიერთობებში და მუშათა კლასის მიერ ლეიბორისტთა ტრადიციული მხარდაჭერის შესუსტება; აგრეთვე XX ს-ის 50-ანი წლების ბოლო პერიოდის ამერიკულ საზოგადოებას, როცა საბაზისო ეკონომიკური დეფიციტი კი დამარცხდა, მაგრამ „ადამიანის სიმდიდრესთან" თანაარსებობდა საყოველთაო მიშვებულობაც (მაგალითად, აწარმოებდნენ ავტომობილებს, მაგრამ არ ცდილობდნენ გზების გაუმჯობესებასა და გარემოს მოვლას, არ ზრუნავდნენ დაზარალებულ ან არასაკმარისად უზრუნველყოფილ პირებზე და სხვ.).

აქტორი ნებისმიერი ერთეული, რომელიც ინდივიდუალურ როლს თამაშობს *საერთაშორისო ურთიერთობებში* და წარმოდგენილია დამოუკიდებელ მონაწილედ (სუბიექტად). *ა-ებს* წარმოადგენენ *სახელმწიფოები, საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები, ტრანსნაციონალური კორპორაციები, საერთაშორისო ტერორიზმი,* ნარკობიზნესთან დაკავშირებული და სხვა კრიმინალური დაჯგუფებები, რელიგიური ორგანიზაციები და სხვ. ცალკეულ შემთხვევაში საერთაშორისო ურთიერთობების ა. შეიძლება იყოს კონკრეტული პირიც (მაგ., რომის პაპი).

აქცია–რეაქცია *საერთაშორისო ურთიერთობების* ორ *აქტორს* შორის ისეთი დამოკიდებულება, როცა ერთი მათგანის მოქმედებას დაუყოვნებლივ მოსდევს მეორის პასუხი. ტერმინი უფრო ხშირად გამოიყენება კონფლიქტური სიტუაციების თამაშთა თეორიის ან ქცევის ფსიქოლოგიის კუთხით ანალიზისას. *ა–რ-ის* მაგალითია *გამალებული შეიარაღება*. კერძოდ, ა სახელმწიფო რეაგირებს ბ-ს შეიარაღების ზრდაზე იმით, რომ ზრდის სამხედრო ხარჯებს. ბ აცნობიერებს, რომ ა-ს მოქმედება იყო პასუხი მის მოქმედებაზე, მაგრამ იმავდროულად თვლის, რომ ა-ს რეაქცია საფრთხეს უქმნის მის უშიშროებას და თვითონაც ზრდის საკუთარ სამხედრო ბიუჯეტს. ტერმინი ა–რ გვხვდება გადაწყვეტილების მილების სისტემაშიც, სადაც იგი ზოგჯერ ტერმინ შესავალ-გამოსავლით იცვლება.

ალმასრულებელი ხელისუფლება ხელისუფლების ერთ-ერთი შტო, რომელიც არსებული კონსტიტუციისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე ახორციელებს ქვეყნის მართვას. *ა. ხ.* ქვეყნის, სახელმწიფო ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი დანაყოფია. მიუხედავად იმისა, რომ *ა. ხ.* ყველა სახელმწიფოში არსებობს, იგი სხვადასხვა სახისაა იმის მიხედვით, თუ

როგორია პოლიტიკური რეჟიმი ქვეყანაში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ავტორიტარულ რეჟიმებს, სადაც ხელისუფლების დანაწილება დამოუკიდებელ ერთეულებად არასაკმარისად ხორციელდება ან საერთოდ არ ხორციელდება, დემოკრატიულ ქვეყნებში *ა. ბ.* ორი ძირითადი სახით არის წარმოდგენილი: ერთი მათგანის ტიპური ნიმუშია შეერთებული შტატების *ა. ბ.*, რომელსაც პრეზიდენტი მეთაურობს. საპრეზიდენტო *ა. ბ.* შედგება მინისტრებისა და სხვა უმაღლესი სახელმწიფო მოხელეებისაგან, რომელთაც პრეზიდენტი ნიშნავს და ხელმძღვანელობს. პრეზიდენტი ასევე განსაზღვრავს ძირითად პოლიტიკურ კურსს, რომელსაც ახორციელებს ადმინისტრაცია. ამასთან, საპრეზიდენტო ხელისუფლება შეერთებულ შტატებში შეზღუდულია კონგრესით და დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოებით, რომელთა ერთ-ერთი ფუნქცია იმის ზედამხედველობაა, რომ *ა. ბ-ის* მოქმედება არ გასცდეს კონსტიტუციის ფარგლებს.

ა. ბ-ის მეორე ტიპის ნიმუშად შეგვიძლია დავასახელოთ დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო ხელისუფლება. აქ *ა. ბ.* წარმოდგენილია მინისტრთა კაბინეტით, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს და რომლის წევრებიც აირჩევიან პარლამენტართა რიგებიდან. კაბინეტური *ა. ბ-ის* უმნიშვნელოვანეს სპეციფიკას შეადგენს კაბინეტის წევრთა მიერ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა კოლეგიური მიღება და კოლექტიური პასუხისმგებლობა მათზე.

აღმოსავლეთი–დასავლეთი ცივი ომის პერიოდში არსებული დიქოტომია, ერთი მხრივ, ევროპისა და ამერიკის განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებსა და, მეორე მხრივ, სოციალისტური ბანაკის – აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირს, აგრეთვე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის. „დასავლეთის“ ბანაკს მიეკუთვნებოდნენ ნატოს სამხედრო ბლოკის ქვეყნები, იაპონია და მათი მომხრეები. „აღმოსავლეთის“ ბანაკში კი შედიოდნენ „ვარშავის ხელშეკრულების“ სახელმწიფოები. *ა–დ-ის* დაპირისპირების თემა ცივი ომის დასრულების შემდეგ ნაკლებად აქტუალურია.

აღქმა ფუნდამენტური ფსიქოლოგიური პროცესი, რომელიც გადაწყვეტილების მიმღების გარემოსადმი მიმართებას ახასიათებს. ა. სხვა მოქმედი პირის ან პირების შესახებ ვარაუდს წარმოადგენს. ეს ვარაუდი მათ გარკვეულ განზრახვებს მიაწერს, რომელთა მიხედვითაც გადაწყვეტილების მიმღები თავის მოქმედებას განსაზღვრავს. რობერტ ჯერვისი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში გადაწყვეტილების მიღებისას ესა თუ ის მოქმედი პირი იძულებულია წინასწარ გაზიარებული რწმენისა და დაშვებული ვარაუდების საფუძველზე იმოქმედოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მეტისმეტად დიდი ინფორმაციული ნაკადის ტყვეობაში აღმოჩნდება. კონკრეტული გადაწყვეტილების მიზეზების ძიებისას საჭირო ხდება იმ „ხედვის“ სამეცნიერო რეკონსტრუქცია, რომლითაც გადაწყვეტილების მიმღები ვითარებას აღიქვამდა. *ა-ის* ფაქტორის გამოყენება საერთაშორისო პოლიტიკის ანალიზისას საერთაშორისო ურთიერთობებში სოციალური მეცნიერებების მეთოდების შემოტანას უკავშირდება.

აღწერა იგივეა, რაც დაწვრილებითი აღწერა. ძირითადად გამოიყენება ანთროპოლოგიაში და „მჭიდროდ სტრუქტურირებული ფაქტების“ სოციალური კონტექსტის მოძიება-აღწერას აღნიშნავს. *ა-ის* საფუძველზე შესაძლებელია კულტურის როლის შესახებ ზოგადი დებულებების ჩამოყალი-

ბება. ეთნომეთოდოლოგიის მსგავსად, ინტერპრეტაციული ანთროპოლოგია დიდ ყურადღებას უთმობს ყოველდღიური ცხოვრების უმცირეს დეტალებს, როგორც უფრო ფართო განზოგადების ერთადერთ დამაჯერებელ საფუძველს. ინტერპრეტაციული ანთროპოლოგია, ამასთან, მიიჩნევს, რომ დაწვრილებითი აღწერა არასოდეს არ არის სრული.

აშკარა და ლატენტური ფუნქციები ამგვარი დაყოფა ეკუთვნის რობერტ მერტონს. იგი, ერთი მხრივ, საუბრობს „იმ ობიექტურ შედეგებზე, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ სისტემის რეგულირებასა და შეგუებადობაში და რომლებიც, ამავე დროს, შედიოდნენ სისტემის მონაწილე სუბიექტების განზრახვაში და მათ მიერ ცნობიერდებოდნენ“ (აშკარა ფუნქციები), ხოლო, მეორე მხრივ, გამოყოფს იმ ობიექტურ შედეგებს, რომლებიც არ შედიოდნენ სისტემის მონაწილე სუბიექტების განზრახვაში და ხდებოდა მათი გაცნობიერება (ლატენტური ანუ ფარული ფუნქციები). მაგალითად მოაქვს ინდიელ ტომებში გავრცელებული ნვიმის ცეკვის რიტუალი, რომლის დანიშნულებაა წვიმის გამონვევა (აშკარა ფუნქცია), თუმცა ამ რიტუალს მოაქვს აგრეთვე სოციალური ინტეგრაციის ზრდა, რომელიც სულაც არ განუზრახავთ მონაწილეებს (ლატენტური ფუნქცია).

ახალი მედიევალიზმი მსოფლიო წესრიგის ერთ-ერთი ჰიპოთეზური ალტერნატიული ფორმა, რომელიც ჰედლი ბულმა დაამუშავა. მან არ გამორიცხა „ვესტფალიის სახელმწიფოთა სისტემის“ იმგვარი ცვლილება, რომელიც შუა საუკუნეების დასავლური ქრისტიანული სამყაროს მრავლობითი იურისდიქციების, დანაწევრებული ხელისუფლებისა და ურთიერთგადამფარავი იდენტურობების თანამედროვე პოლიტიკურ სისტემაში საერო ფორმით დანერგვას გამოიწვევდა. ამგვარ სისტემაში ძალაუფლება უფრო ჰორიზონტალური იქნებოდა, ვიდრე ვერტიკალური, მოქალაქე კი ერთდროულად რამდენიმე საფეხურის ხელისუფლებას დაექვემდებარებოდა და რამდენიმე იდენტურობას ალიარებდა, მაგ., ქვეყნის შიდა რეგიონის დონეზე, სახელმწიფო დონეზე, სახელმწიფოთა გაერთიანების დონეზე და საკაცობრიო დონეზე. ამგვარ სცენარს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის ხუთი დამახასიათებელი თვისება უქმნის საფუძველს: რეგიონული ინტეგრაცია, სახელმწიფოთა დაშლა, საერთაშორისო ძალადობის აღდგენა, *ტრანსნაციონალური კორპორაციების* გავლენის ზრდა და *გლობალიზაციის* პროცესის დაჩქარება.

ახალი მსოფლიო წესრიგი პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უფროსის) მიერ ჩამოყალიბებული საერთაშორისო ურთიერთობათა ხედვის სისტემა, რომელიც ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის ხელახლა აღმოცენებას ითვალისწინებდა. ახალი მსოფლიო წესრიგი ტერორის საფრთხისგან თავისუფალ სამყაროს, სამართლიანობისა და მშვიდობისაკენ სწრაფვას, აგრეთვე, აღმოსავლეთ–დასავლეთისა და ჩრდილოეთ–სამხრეთის ჰარმონიულ თანაარსებობას ნიშნავდა. ეს ბუნდოვანი ფრაზები სინამდვილეში დიდ სახელმწიფოთა მეტ თანამშრომლობას, გაეროს გაზრდილ როლსა და საერთაშორისო სამართლის მეტ მნიშვნელობას გულისხმობდა. ბუშის ეს ინიციატივა მოქმედების კონკრეტულ გეგმას არ ისახავდა და მხოლოდ რიტორიკის დონეზე დარჩა. *საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში* ბუშის მიერ დეკლარირებულმა *ა. მ. წ-მა* რეალისტ-ნეორეალისტებსა და ნეოლიბერალებს

შორის საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობაზე ახალი კამათი გამოიწვია.

ახსნა შემთხვევის ან მოვლენის განხილვა, რომლის დროსაც ცხადი ხდება შემთხვევის ან მოვლენის მიზეზები, ხასიათი და მათი კავშირი სხვა მოვლენებთან. უფრო ფორმალური თვალსაზრისით, ა. მეცნიერული კანონის დადგენას ან კიდევ ამხსნელი თეორიის შექმნას გულისხმობს. სოციოლოგიაში ა. აქტორის მოქმედების მიზეზების, მოტივებისა და ა. შ. დადგენაა. არსებობს *ა-ის* რამდენიმე სახე: 1) მიზეზობრივი ა. ძირითადად კერძო შემთხვევაზე უშუალოდ მოქმედი მიზეზის გამოვლენაა; 2) დედუქციური ა. ლოგიკურად გამომდინარეობს ზოგადი კანონებით დადგენილი განზოგადებებიდან; 3) ალბათური (სავარაუდო) ა. – შემთხვევის ან მოვლენის მიზეზების დადგენა ალბათობის გარკვეული ხარისხით. ასეთი ა. გულისხმობს არა ერთჯერად შემთხვევას, არამედ შემთხვევათა გამოვლენას უსასრულო რიგში და, ჩვეულებრივ, არასაკმარისად მიიჩნევა მანამ, სანამ არ დადგინდება სხვა დამატებითი ფაქტორები, რომლებიც ამ ალბათობას განსაზღვრავს; 4) მიზნობრივი ა. ადგენს აქტორების მნიშვნელობას, სურვილებს, ძალისხმევას, მიზეზებს ან სოციალურ სიტუაციას; 5) ფუნქციონალური ა. შედეგებს ხსნის სისტემის ფუნქციონალური მოთხოვნებიდან გამომდინარე; ფუნქციონალური ა. საზოგადოების ამა თუ იმ თვისების (წესები, ნორმები და ა. შ.) გამოვლენას გულისხმობს, რომელსაც გარკვეული წვლილი შეაქვს სისტემის ან მთელი საზოგადოების შენარჩუნებაში; 6) ეკოლუციური, ანუ ეკოლოგიური ა. გულისხმობს სახეობის ან სოციალური სისტემის და ა. შ. მდგრადობის დადგენას მათი გარემოსთან ადაპტაციის თვალსაზრისით; 7) ტელეოლოგიური *ა-ის* თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა იმდენად წინამორბედ (უშუალო) მიზეზებს, რამდენადაც შემთხვევის ან მოვლენის (სოციალური სისტემის) საბოლოო მიზანს. ყველა შემთხვევა (მოვლენა), ტელეოლოგიური *ა-ის* თვალსაზრისით, ამ მიზნებით აიხსნება. მაგ., მარქსის თანახმად, კომუნიზმი არის ისტორიის საბოლოო მიზანი, შესაბამისად, ყველა ისტორიული ხდომილება ამ მიზნიდან აიხსნება. ზოგიერთ სოციოლოგიურ თეორიაში ა. და გაგება ერთმანეთთან არის დაპირისპირებული (იხ. *ახსნა*, ასევე *გაგების სოციოლოგია*).

აჯანყება იხ. *კოლექტიური მოქმედება.*

ბ

ბაზისი და ზედნაშენი ისტორიული მატერიალიზმის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიები, რომელიც შეიმუშავა კ. მარქსმა. *ბ.* წარმოადგენს საზოგადოების ეკონომიკურ წყობას მისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე, საზოგადოებრივ საწარმოო ურთიერთობათა ერთობლიობას. ყოველ *ბ-ს* აქვს თავისი შესაფერისი ზედნაშენი – პოლიტიკური, რელიგიური, ფილოსოფიური, სამართლებრივი და სხვ. შეხედულებებისა და მათი შესაბამისი დაწესებულებების ერთობლიობა. *ბ.* პირველადი და განმსაზღვრელია *ზ-ის* მიმართ. ეს უკანასკნელი ემსახურება გაბატონებული *ბ-ის* განმტკიცებას.

ბაზისური პიროვნება იხ. *პიროვნების სოციოლოგიური თეორიები.*

ბალკანიზაცია წინასწარი განზრახვით გატარებული პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს რეგიონის დანაწევრებას დამოუკიდებელ, ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილ ძალათა ცენტრებად. თანამედროვე სა-

ერთაშორისო პოლიტიკაში ეს ცნება 1992-96 წლებში ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მიმდინარე ომებსა და ეთნიკურ წმენდას უკავშირდება.

ბატონობა და მორჩილება ძალაუფლების განხორციელება ინსტიტუციონალური ფორმებით, რაც გულისხმობს სპეციალური მართვის აპარატის არსებობას და, შესაბამისად, საზოგადოების დანაწილებას გაბატონებულ და დაქვემდებარებულ ჯგუფებად. *ბ-ის* სოციოლოგიური თეორია მაქს ვებერს ეკუთვნის. ის განასხვავებდა ერთმანეთისაგან ძალაუფლებასა და *ბ-ს*. მისი აზრით, პირველი წინ უსწრებს მეორეს, მაგრამ ყოველთვის არ იძენს *ბ-ის* ნიშნებს. თუ ძალაუფლების განსაზღვრებისას ვებერი ხაზს უსვამს იძულების მომენტს, *ბ-ის* განსაზღვრებისას აქცენტს აკეთებს ნებაყოფლობით *მ-ზე ბ-ს* ვებერი განმარტავს როგორც შანსს, შეხვდე მორჩილებას კონკრეტული ბრძანების პასუხად. ვებერის აზრით, *ბ.* არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ძალაუფლების რეალიზაციის ფაქტით, ის საჭიროებს ლეგიტიმურობას ანუ მისი კანონიერების აღიარებას დაქვემდებარებულის მხრიდან. დაქვემდებარების მოტივის მიხედვით ვებერი განასხვავებს ლეგიტიმური *ბ-ის* სამ ტიპს: 1. რაციონალურ *ბ-ს*, რომელიც ეფუძნება დაქვემდებარებულთა მხრიდან გაცნობიერებულ რწმენას იმისას, რომ საზოგადოებაში არსებული წესები და მათი განმახორციელებელი ინსტიტუტები გამოხატავს მათ ინტერესებს. ესაა მიზანრაციონალური მოქმედება. ასეთი ტიპის *ბ.*, ვებერის თვალსაზრისით, გვხდება დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში, სადაც ექვემდებარებიან არა პიროვნებას, არამედ საყოველთაოდ მოქმედ კანონებს. მართვის შტაბი ამ შემთხვევაში შედგება სპეციალური განათლების მქონე მოხელეებისაგან. 2. ტრადიციული *ბ.* ეფუძნება ადათ-წესებით განპირობებულ ჩვეულებას განსაზღვრული ქცევისადმი. *ბ-ის* ეს ტიპი ეფუძნება რწმენას, რომ ოდითგანვე არსებული წესები და ხელისუფლება უსიტყვო, უკრიტიკო ავტორიტეტის მქონეა. ესაა ტრადიციული ქცევა. ვებერის აზრით, გერონტოკრატია (უხუცესთა *ბ.*), პატრიარქატი (ტომის ბელადის *ბ.*), პატრიმონიალიზმი და სულთანიზმი (მონარქის, სულთნის *ბ.*) ამ ტიპის *ბ-ის* გამოხატულებებია. მართვის შტაბი აქ შედგება ბატონზე პირადად დამოკიდებული და პირადად მისი ერთგული მოხელეებისაგან. სწორედ პირადი ერთგულებაა საფუძველი თანამდებობებზე დანიშვნისა და იერარქიულ კიბეზე წინსვლისა. აქ არ მოქმედებს ფორმალური სამართალი, ურთიერთობათა ხასიათი ნებისმიერ სფეროში პირადულია. ამ ასპექტებში *ბ-ის* ეს ტიპი ქარიზმატული *ბ-ის* ანალოგიურია. 3. თავის მხრივ, ქარიზმატული *ბ.* ეფუძნება დაქვემდებარებულთა რწმენას ბელადის ღვთაებრივი ნიჭის, უნარისა და მის მიერ დადგენილი წესრიგის ღვთაებრიობის შესახებ, რაც განაპირობებს დაქვემდებარებულთა პირად ერთგულებას მათდამი. ესაა აფექტური ქცევა.

ბინარული ოპოზიციები მატერიალური და სულიერი კულტურის განხილვა ორი, მჭიდრო კავშირში მყოფი, მაგრამ ურთიერთდაპირისპირებული ძირითადი ელემენტის მეშვეობით. *ბ. ო-ის* სისტემა სამყაროს დუალური კლასიფიკაციის ამსახველი პრინციპია, რომელიც თავს იჩენს სოციალური ცხოვრების დუალისტურ ორგანიზაციაში. იგი ვლინდება ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის სოციალურ ნიშანთა სემანტიკაშიც და ფიქსირებულია ენაში. *ბ. ო.*, როგორც სიმბოლური კლასიფიკაციის უმარტივესი პრინციპი, უნივერსალურია და გავრცელებულია მსოფლიოს ყველა კულტურაში. *ბ. ო-ში* გარე სამყაროს

მოვლენები და ობიექტები შეიგრძნობა მათი კონტრასტული დაპირისპირებით. ასეთი ბინარული კონტრასტირება აღქმის უწყვეტ შთაბეჭდილებებს დისკრეტულად ანაწევრებს. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მათი უმარტივესი ანალიზი და კლასიფიკაცია. ელემენტარული სემანტიკური ოპოზიციები ადამიანის უმარტივეს სივრცით და გრძნობით ორიენტაციას ასახავს გრძნობის ორგანოთა, სხეულის ნაწილების, საზოგადოებისა და ბუნების ენით, აგრეთვე აქსიოლოგიზაციაში ანუ ღირებულებათა სკალაში მათი ჩართვით. მაგალითად, დაპირისპირება „ზე – ქვე" კონკრეტულ სახეს იძენს სხეულის ზედა და ქვედა ნაწილებს შორის კონტრასტით, რომელიც შემდეგ განივრცობა კოსმიურ და სოციალურ მოვლენებზე, მაგალითად, „ცა – მიწა", ოჯახურ თუ სოციალურ იერარქიაში – „მაღალი – დაბალი" და ა. შ. უმარტივეს სემანტიკურ ოპოზიციებზე დაყრდნობით ხდება რეალობაში კონტრასტულ დაპირისპირებათა კოსმოლოგიური გააზრება და პარალელების დადგენა სხვადასხვაგვარ მოვლენასთან; კონტრასტები თანდათან იძენს მნიშვნელობას და ფუნდამენტური ანტინომიების გამომხატველად იქცევა: კოსმიურ-სივრცით დროით კონტინუუმში (ცა – მიწა), სოციუმში (ჩემი – სხვისი, უფროსი – უმცროსი), ბუნებისა და კულტურის ზღვარზე (წყალი – ცეცხლი, უმი – მოხარშული), აბსტრაქტულ რიცხვთა სამყაროში (კენტი – ლუწი). სამყაროს იერარქიული დანაწევრების კვალდაკვალ ფართოვდება ბინარული ლოგიკის საკლასიფიკაციო შესაძლებლობები; საგნები განმასხვავებელი ნიშნების თავისებურ „გროვად" იქცევა – ნიშანთა ერთი ჯგუფით გაიგივდებიან, მეორეთი უპირისპირდებიან ერთმანეთს, რაც მოვლენათა მარკირების (ანუ რომელიმე ნიშნით აღნიშვნის) საფუძველი ხდება. სოციოლოგები (დიურკეიმი, მოსი) და ეთნოლოგები ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებდნენ ტოტემური კლასიფიკაციისა და ტომის სოციალური ცხოვრების დუალისტურ ფორმებზე, რაც ვლინდება ტერიტორიის ორგანიზების დუალურ ხასიათში – დასახლების, ტომის, საცხოვრისის და სხვ. გაყოფა ორ ნაწილად და დაპირისპირებულ მხარედ შესაბამისი სახელდებით („მარჯვენა – მარცხენა"; „ზევით – ქვევით", „ნაპირი – ხმელეთი" და ა. შ.). მეტ-ნაკლებად ხშირად ოპოზიციათა შეზღუდული ჩამონთვალი გამოიყენება (მიწა – ზეცა, დღე – ღამე, მზე – მთვარე, სიცოცხლე – სიკვდილი, ზაფხული – ზამთარი, წვიმების დრო – გვალვის დრო, ომი – მშვიდობა, ქალური – მამაკაცური, თეთრი – შავი და სხვ.); მეცნიერთა თვალსაზრისით, *ბ. ო.* სოციალურ-კულტურული ცხოვრების მოწესრიგებისა და ადამიანური აგრესიულობის რეგლამენტაციის უნივერსალურ ტენდენციას ასახავს.

ბიოგრაფიული მეთოდი თვისებრივი სოციოლოგიური გამოკვლევების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტაქტიკა; პირადი დოკუმენტები (როგორიცაა, მაგ., წერილები, ავტობიოგრაფიები, დღიურები, ქრონიკები, მემუარები და სხვ.) გამოიყენება სოციალური ინფორმაციის მოპოვებისა და შესასწავლი მასალის განზოგადების მიზნით. პირად დოკუმენტებში აღწერილია ინდივიდის, დოკუმენტების ავტორის, მიერ განცდილი საზოგადოებრივი პროცესები, მოვლენები და სიტუაციები, გადმოცემულია ავტორის დამოკიდებულება მათ მიმართ, მისი შეხედულებები, აზრები და შეფასებები. პირად დოკუმენტებში ასახული ინდივიდების ცხოვრებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების გააზრების საფუძველზე ხდება სხვადასხვა სოციალური ჯგუფის, მათი საქმიანობის, ღირებულებებისა და ქცევის ნორმე-

ბის აღწერა, ჯგუფებში მიმდინარე სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესების გაანალიზება, გარკვეული ჰიპოთეზების შემუშავება.

ბ. მ-ის გამოყენების პირველი კლასიკური ნიმუშებია უ. ჰილის შრომები: „დამნაშავე" (1915) და „სულიერი კონფლიქტები და არასწორი ქცევა" (1917).

ბ. მ. თეორიულად დაამუშავეს „ჩიკაგოს სკოლის" წარმომადგენლებმა უ. ტომასმა (1863-1947) და ფ. ზნანეცკიმ (1882-1958). ცნობილ ხუთტომიან შრომაში „პოლონელი გლეხი ევროპასა და ამერიკაში" (1918-1920) მათ გააანალიზეს ამერიკაში გამგზავრებულ და სამშობლოში დარჩენილ ოჯახებს შორის მიმოწერა, ემიგრანტების ავტობიოგრაფიები და სხვ., რათა აეხსნათ პიროვნების კულტურული ღირებულებებისა და განწყობების ურთიერთქმედება, ახალი სოციალური პირობებისადმი პიროვნების შეგუების მექანიზმები და პროცესები.

ამ მეთოდს ფართოდ იყენებდნენ XX ს-ის 20-30-იან წლებში და პიროვნების, მისი ქცევისა და ფსიქიკური ცხოვრების შესწავლის საუკეთესო მეთოდად თვლიდნენ.

ამჟამად *ბ. მ.* როგორც პირადი დოკუმენტების ანალიზის ერთ-ერთი სპეციფიკური მეთოდი და საზოგადოებრივი ცხოვრების სუბიექტური მხარის შესწავლის ერთ-ერთი ტაქტიკა გამოიყენება მრავალ სოციალურ-ჰუმანიტარულ მეცნიერებაში (მათ შორის, სოციოლოგიაში, ფსიქოლოგიაში, ფსიქიატრიაში, კულტურის ისტორიასა და სხვ.).

ბ. მ-ის სინონიმებად ზოგჯერ გამოიყენება ტერმინები „პირადი დოკუმენტების მეთოდი" (method of personal documents), რომელიც ძირითადად პირად დოკუმენტებს ემყარება და „ცხოვრების ისტორიის მეთოდი" (life history method), – უმთავრესად დოკუმენტებში ავტორის მიერ გადმოცემულ საკუთარ ბიოგრაფიულ ფაქტებს იყენებს, აანალიზებს მის მიერ განვლილ ცხოვრებისეულ გზას.

ბიოლოგიზმი იხ. *ნატურალისტური სოციოლოგია.*

ბიპოლარულობა ტერმინი დაკავშირებულია *ცივი ომის* პერიოდთან, როცა *საერთაშორისო სისტემის* სტრუქტურაში ორი აშკარა პოლუსი – ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი იყო გამოკვეთილი. თითოეულ მათგანს ჰყავდა მთელი ჯგუფი სატელიტი სახელმწიფოებისა, რომლებიც პოლიტიკურად, ეკონომიკურად და იდეოლოგიურად ამ ორ ზეახელმწიფოზე იყვნენ დამოკიდებულნი. აღნიშნული ორი *ბლოკის* ურთიერთდაპირისპირება განსაზღვრავდა კიდეც სისტემის ხასიათს. ბიპოლარული სისტემა გულისხმობს *ძალთა* გარკვეულ განაწილებას პოლუსებს შორის, მაგრამ იგი არ წარმოადგენს *ძალთა წონასწორობის* სისტემას. *ბ.* შეიძლება იყოს ხისტი და რბილი. ხისტი ბიპოლარული სისტემის დროს პრაქტიკულად ყოველი ქვეყანა ორიდან ერთ-ერთი *ბლოკის* წევრია (მაგალითად, *ცივი ომის* საწყის ეტაპზე, 50-იანი წლების შუა ხანებამდე), რბილი ბიპოლარული სისტემის დროს კი სახელმწიფოთა მნიშვნელოვანი რიცხვი არ შედის არც ერთ და არც მეორე *ბლოკში* და საერთაშორისო სისტემაში ცალკეა წარმოდგენილი (საერთაშორისო სისტემა 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან *ცივი ომის* დამთავრებამდე) (შდრ. *უნიპოლარიზმი*).

ბირთვული ზამთარი მდგომარეობა, რომელიც მოსალოდნელია დედამიწაზე ბირთვული ომის შემთხვევაში. ატომური აფეთქებების შედეგად ჰაერში გამოტყორცნილი კვამლი და მტვერი არ აძლევს საშუალებას მზის სხივებს მიაღწიონ დედამიწის ზედაპირამდე, რაც ტემპერატურის მკვეთრ

დაცემას იწვევს. ამის გამო მოსალოდნელია სიცოცხლის სრული მოსპობა. *ბ. შ-ის* იდეა ჰიპოთეზური მსჯელობაა და არა რეალური და მეცნიერულად დასაბუთებული ფაქტი.

ბირთვული იარაღი იხ. *მასობრივი განადგურების იარაღი.*

ბირთვული ქოლგა შემთხვევა, როცა ბირთვული იარაღის მფლობელი ქვეყანა იღებს ვალდებულებას, დაიცვას სხვა ქვეყანა ან ქვეყნების ჯგუფი ამ იარაღისაგან. ჩვეულებრივ, ამგვარი ურთიერთობა იღებს *ალიანსის* ფორმას. *ბ. ქ-ის* ერთ-ერთი მაგალითია ნატოს ვალდებულებები, რაც თავის თავზე აიღო აშშ-მა.

ბირთვული შეკავება კონცეფცია, რომელიც გამოხატავს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, *ცივი ომის* წლებში. ამ კონცეფციის ავტორია ცნობილი ამერიკელი მეცნიერი და დიპლომატი ჯორჯ კენანი (მისტერ X), რომელიც 1947 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ამტკიცებდა, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკის არსი უნდა იყოს რუსეთის (საბჭოთა კავშირის) ექსპანსიონიზმის შეჩერება. კენანის აზრით, საბჭოთა საგარეო პოლიტიკა ეყრდნობა მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად იდეას მთელს მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვებისა და კომუნიზმის გავრცელების შესახებ და მიზნად ისახავს კომუნისტური რეჟიმების ძალით დამყარებას სხვადასხვა სახელმწიფოებში. შესაბამისად, აშშ-ს დაეკისრა მისია, იხსნას მსოფლიო რუსული კომუნიზმის საფრთხისაგან და როგორც ბირთვულმა სახელმწიფომ უნდა შეძლოს საბჭოთა ექსპანსიის შეკავება. პრაქტიკულად შეკავების პოლიტიკა გამოიხატებოდა საბჭოთა კავშირის გარშემო ანტისაბჭოური სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების (ნატო, სენტო, სეატო) შექმნაში. აღნიშნულ გარემოცვაში, თუ სადმე „ბზარი" გაჩნდებოდა, იქმნებოდა დიდი და მცირე კონფლიქტები (ბერლინის, კორეის, ახლო აღმოსავლეთის, ვიეტნამის), რაც რეალურად აშშ-ისა და სსრკ-ის დაპირისპირების გამოვლინება იყო. ერთ ქვეყანაშიც კი კომუნისტური რეჟიმის დამყარება გამოიწვევდა დომინოს ეფექტს (იხ. *დომინოს თეორია*) და საფრთხეს შეუქმნიდა სხვა ქვეყნებს. ამდენად, არსად არ უნდა წარმოქმნილიყო ახალი სოციალისტური სახელმწიფოები. შეკავების პოლიტიკა აშშ-ის ძირითად საგარეო პოლიტიკურ დოქტრინას წარმოადგენდა 50-იან წლებში. შემდგომში სტრატეგიული შეიარაღების განვითარებისა და საზღვაო ფლოტის გაძლიერებამ შეკავების პოლიტიკა ნაკლებად ეფექტური გახადა, რადგან სსრკ-ის გარემოცვა დაემსგავსა „იმ საჯინიბოს კარის დაკეტვას, საიდანაც ცხენი უკვე გაქცეულია". *ბ. შ-ის* პოლიტიკის ალტერნატივად გაჩნდა „ბირთვული დაშინების" პოლიტიკა, რომელიც ბირთვულ შეიარაღებაში აშშ-ის უპირატესობის მიღწევას გულისხმობდა.

ბიუროკრატია სახელმწიფო აპარატის საშუალო რგოლის ჩინოვნიკური სისტემა. ტერმინი თავდაპირველად გაჩნდა XVIII ს-ის საფრანგეთში, ხოლო 1918 წელს – ინგლისში. დასაწყისში ამ ტერმინს უარყოფითი, დამამცირებელი ელფერი ჰქონდა, რომელიც მას დღესაც ახლავს ყოველდღიურ ცხოვრებაში ხმარებისას. პირველი, ვინც ამ ტერმინში დადებითი შინაარსი მოიაზრა, იყო მაქს ვებერი. მისი მტკიცებით, *ბ.* მოდერნული *საზოგადოებისათვის* დამახასიათებელი *ორგანიზაციის* კერძო ფორმაა, მისი საქმიანობა გულისხმობს იერარქიულად მოწესრიგებული როლების განაწილებას, რომლებიც ჩამოყალიბებულია მკაფიოდ განსაზღვრული უპიროვნო წესებისა (ინ-

სტრუქციების) და პროცედურების საფუძველზე. ვებერმა განსაზღვრა *ბ-ის* „იდეალური ტიპი". ეს უკანასკნელი მოიცავს მახასიათებლებს, რომლებიც გამოიყენება იმის გასაზომად, თუ რამდენად ბიუროკრატიულია ესა თუ ის რეალური ორგანიზაცია. ეს მახასიათებლებია:

– ოფიციალური როლების სისტემა, რომელიც იერარქიულადაა ორგანიზებული. ესაა ვერტიკალური დაქვემდებარების სისტემა – დაწყებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ფუნქციებიდან, რიგითი თანამშრომლების მოვალეობებამდე;

– როლები დაკავშირებულია წესებთან, რომლებიც განსაზღვრავს, რა შეიძლება ან არ შეიძლება ლეგიტიმურად შესრულდეს ოფიციალური პირის მიერ. წესები არეგულირებს სამუშაო რეჟიმს;

– პროცედურები, რომლებიც თეორიულად ფარავს ყველა იმ სიტუაციას, რომელშიც შეიძლება აღმოჩნდეს ორგანიზაცია;

– ოფიციალური პირები იმყოფებიან მკაცრი დისციპლინის პირობებში;

– კანცელარია, სადაც წერილობითი დოკუმენტები ზედმიწევნით მოწესრიგებულად ინახება;

– არსებობს მკაფიო გამიჯვნა ოფიციალურისა და პირადულისა.

ბ-ისადმი მიძღვნილ ბევრ შრომაში სწორედ ვებერის იდეები განავითარეს. მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადადგა მიშელ კროზიემ შრომაში „ბიუროკრატიის მოვლენა" (1964). მან წარმოაჩინა მაღალჩინოსანი და რიგითი ბიუროკრატების მოქმედების სხვადასხვა მოტივები. რიგითი *ბ-ები* ისწრაფვიან მშვიდი ცხოვრებისაკენ, რომლის მიღწევაც წესების (როგორიც უნდა იყოს ისინი) მონური შესრულებით შეიძლება. მაღალჩინოსნებს უფრო დიდი მიზნები აქვთ, მაგრამ ხშირად ისინი მიულწევადია იმის გამო, რომ შეუძლებელია აიძულო რიგითი მოსამსახურე, გადაუხვიოს დადგენილ წესებს. ასეთივე სირთულეებთან არის დაკავშირებული ფირმების მუშაობა. ვებერისეული ანალიზი ესადაგება როგორც სახელმწიფო დაწესებულებებს, ასევე ფირმებს.

ვებერი ამტკიცებდა, რომ *ბ.* ორგანიზაციის ყველაზე ეფექტური ფორმაა. ამ თვალსაზრისის კრიტიკოსების თანახმად, *ბ.* ყველაზე შესაფერისია მხოლოდ იმ სიტუაციებისათვის, სადაც არსებობს წინასწარმეტყველების (გათვლის) შესაძლებლობა, მაგალითად, მაშინ, როდესაც იწარმოება სტანდარტული საქონელი მასობრივი მოხმარებისათვის და როდესაც მოცემულ საქონელზე მოთხოვნილება ბაზარზე სტაბილურია. *ბ.* ნაკლებად ეფექტურია ისეთი (პოსტმოდერნული) სიტუაციებისათვის, როდესაც მოთხოვნა არსებობს სპეციალიზებულ (არასტანდარტულ) საქონელზე.

ბიუროკრატიული პოლიტიკა *საგარეო პოლიტიკაში* გადაწყვეტილების მიღების მოდელი, რომელიც უარყოფს ვარაუდს, რომ სახელმწიფო საერთაშორისო პოლიტიკაში უნიტარული მოქმედი პირია. *ბ. პ-ის* თეორიის მიხედვით, რომელიც გრემ ალისონმა ჩამოაყალიბა, მთავრობის ცალკეული წევრები საკუთარ უწყებრივ მიზნებს ესწრაფვიან და გადაწყვეტილებებს ამის საფუძველზე იღებენ. ამდენად, *ბ. პ-ის* მოდელი უარყოფს რაციონალობის ელემენტს *საგარეო პოლიტიკის* ჩამოყალიბებაში. ალისონმა თავისი თეორიის დასაბუთებისათვის კუბის სარაკეტო კრიზისი გამოიყენა.

ბიჰევიორიზმი **1.** დასწავლის პრინციპების ექსპერიმენტული კვლევა ცხოველებზე და მათი გადატანა ადამიანებზე; **2.** კონცეფცია, რომლის თანახმად, ცნებათა ანალიზი შესაძლებელია გამჭვირვალე მოქმედებებითა და აშკარა გამონათქვამებით; **3.** მიმართუ-

ლება XX საუკუნის ამერიკულ ფსიქოლოგიაში, რომელიც ცნობიერებას არ მიიჩნევს მეცნიერული კვლევის ობიექტად და ფსიქიკა დაჰყავს ქცევის მრავალგვარ ფორმაზე. ქცევა გაგებულია გარე გამღიზიანებელზე – სტიმულზე ორგანიზმის რეაქციათა ერთიანობად. ამ მიმართულების ჩამოყალიბებაში ფუნდამენტური როლი შეასრულეს ი. პავლოვმა, ჯ. უოტსონმა და ე. თორნდაიკმა. პავლოვმა აღმოაჩინა პირობითი რეფლექსები – დასწავლის ტიპი (კლასიკური განპირობებულობა), რომელიც ამერიკელი ფსიქოლოგებისთვის იქცა ობიექტური ფსიქოლოგიის საყრდენად; ამ ფსიქოლოგიის ძირითადი პრინციპის თანახმად, მეცნიერების საგანი მხოლოდ დაკვირვებადი მოვლენებია. *ბ-ის* თვალსაზრისით, ქცევის შესწავლა უნდა მოხდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებისთვის დამახასიათებელი ობიექტური საკვლევი ტექნიკის გამოყენებით. დასწავლის პრინციპების საკვლევად ქცევა უნდა იყოს მარტივი, ხოლო პროცედურა – ეთიკურად მისაღები. ექსპერიმენტები ძირითადად ტარდებოდა ცხოველებზე (ვირთხები, მტრვედები). ლაბირინთში ცხოველთა რეაქციების კვლევით თორნდაიკმა გამოავლინა დასჯა-წახალისების (განმტკიცების) მნიშვნელობა დასწავლის პროცესში და აღმოაჩინა ცდისა და შეცდომის მეთოდის სახელით ცნობილი დასწავლის მექანიზმი, რომელიც შემდგომ გაავრცელეს ადამიანის სწავლების პროცესებზე. *ბ-ის* თვალსაზრისით, ქცევის სახეები შეითვისება (დაისწავლება) ორი ძირითადი საშუალებით: კლასიკურად ფორმირებული და ინსტრუმენტული (ოპერანტული) პირობითი რეფლექსების გამომუშავებით. რეალურად არსებობს არა ერთიანი, არამედ რამდენიმე მონათესავე, თუმცა ურთიერთგანსხვავებული სტიმულ-რეაქციის თეორია. გამოყოფენ რამდენიმე მიმართულებას: რადიკალურს (უოტსონი, თორნდაიკი) და ნეობიჰევიორიზმის ნაირგვარ ვარიანტს (სკინერის, ტოლმენის, კლარკ ჰალლის და სხვ.). აკადემიურ ფსიქოლოგიაში ეს იდეები 30-40-იან წლებში ბატონობდა, შემდგომ კი შეიჭრა საზოგადოდ კულტურასა და მეცნიერების სხვადასხვა სფეროში (ლინგვისტიკაში, აღზრდისა და სასკოლო სწავლების პრაქტიკაში, ფსიქოთერაპიაში). დღეს იგი მიიჩნევა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად სოციოლოგიაში და გულისხმობს ობიექტური მეთოდებით გარემოს ზემოქმედებასა და ადამიანის რეაქციებს შორის მიმართების კვლევას. მაგალითად, ამ მიდგომას ეყრდნობა *ბ-ული* ინტერაქციონიზმი, რომელიც ურთიერთქმედების პროცესებს სტიმულ-რეაქციის სქემის საფუძველზე განიხილავს. *ბ-მა* უდიდესი გავლენა მოახდინა კულტურის შემსწავლელ მეცნიერებებზე და კოგნიტივისტურ მიმართულებაზე მეცნიერებაში (იხ. *კოგნიტური სოციოლოგია*). სოციალურ მეცნიერებებში დამკვიდრდა ტერმინი „ბიჰევიორული" იმ მიდგომის აღსანიშნავად, რომელიც ეყრდნობა აშკარა ქცევას და ფსიქიკის სხვაგვარად კვლევას უარყოფს. ტერმინ „ბიჰევიორისტისგან" განსხვავებით, რომელიც *ბ-ის* მიმდევარს გულისხმობს, ტერმინი „ბიჰევიორული", ჩვეულებრივ, იმათ მიმართ გამოიყენება, ვინც ქცევის კვლევის პოზიციაზე დგას, მაგრამ *ბ-ის* მეთოდოლოგიურ საფუძვლებს არ იზიარებს.

ბლიცკრიგი ელვისებური ომი. გერმანული სტრატეგიული ტერმინი, გულისხმობს სწრაფი, მოულოდნელი ღონისძიებების გატარებას იზოლირებული სამიზნის წინააღმდეგ. ელვისებური ომის დროს ერთდროულად მოქმედებს ჰაერიდან მოიერიშე ბომბდამშენი ავიაცია და სატანკო ნაწილები. *ბ-ის* სტრატეგია მოიწონეს ჰიტლერმა და მისმა გენერლებმა საბჭოთა კავშირთან და ინგლისთან ხანგრძლი-

ვი ომის სანაცვლოდ. შემდგომში *ბ.* სწრაფი, ელვისებური ომის სინონიმად იქცა. (მაგ., ისრაელის ომი არაბულ ქვეყნებთან 1967 წელს). *ბ-ს* აქვს თავისი დიპლომატიური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური განზომილებანი. დიპლომატიური თვალსაზრისით იგულისხმება პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუშლის მოწინააღმდეგე ძალების *ალიანსს* (ამის მაგალითი იყო 1939 წლის გერმანია–საბჭოთა კავშირის თავდაუსხმელობის პაქტი, რამაც გამორიცხა კავშირი სსრკ-სა და ინგლის-საფრანგეთს შორის). ეკონომიკური მხარე გულისხმობს ნედლეულის ახალი წყაროების გამოძებნას. ფსიქოლოგიური მხარე კი ითვალისწინებს მოწინააღმდეგე მხარის წინასწარ დემორალიზებას ისე, რომ მან რეალური წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ შეძლოს.

ბლოკადა აქცია, რომელიც გამორიცხავს მოწინააღმდეგე მხარის ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის ტვირთის შეტანასა და ცოცხალი ძალის შეყვანას, ასევე – იქიდან რაიმეს გამოტანასა და ხალხის გამოყვანას. განარჩევენ სახმელეთო და საზღვაო *ბ-ს*, თუმცა *ბ-ის* განხორციელებაში შეიძლება მონაწილეობა მიიღოს საჰაერო ძალებმაც. *ბ.* მიეკუთვნება საგარეო პოლიტიკის უკიდურეს ეკონომიკურ საშუალებას, რომლის განხორციელებაში მონაწილეობს სამხედრო ძალები. როგორც წესი, *ბ.* ხორციელდება ომის პერიოდში და მიზნად ისახავს მოწინააღმდეგის ძალებისა და მოსახლეობის რესურსებისა და სურსათის გარეშე დატოვებას. თუმცა, არცთუ იშვიათად, *ბ.* შეიძლება მშვიდობიან დროსაც განხორციელდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში საერთაშორისო სამართლით მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით. მშვიდობიან დროს ცალკე სახელმწიფოს ინდივიდუალური *ბ-ის* განხორციელების უფლება არა აქვს.

ბლოკი 1. სახელმწიფოთა, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების კავშირი ან შეთანხმება დასახული მიზნების მისაღწევად მათი ერთობლივი მოქმედებით. განსაკუთრებით გავრცელებულია პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო *ბ-დ* გაერთიანება ხმების მაქსიმალური რაოდენობის დასაგროვებლად, აგრეთვე საპარლამენტო პარტიებისა და ფრაქციების *ბ-დ* გაერთიანება რომელიმე კანონის მიღების ან ჩაგდების მიზნით; **2.** სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომელიც მიზნად ისახავს ერთობლივ საბრძოლო მოქმედებას. იგი შეიძლება იყოს როგორც თავდაცვითი, ისე *აგრესიული*, მიმართული სხვა ქვეყნის წინააღმდეგ. სამხედრო-პოლიტიკური *ბ-ის* როლი განსაკუთრებით გაიზარდა *ცივი ომის* პერიოდში, კერძოდ XX ს-ის 50-80-იან წლებში, როდესაც ერთმანეთს დაუპირისპირდა ნატო და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია.

ბოიკოტი ზეწოლის ან წინააღმდეგობის ორგანიზებული ფორმა, რომლის მიზანია პოლიტიკის, პოზიციის ან მოქმედების ცვლილება. ტერმინი დამკვიდრდა ირლანდიელი მინათმფლობელის, ბოიკოტის გვარის მიხედვით, რომლის მიმართაც პირველად განხორციელდა ამგვარი ქმედება (შდრ. *აბსენტეიზმი*).

ბ. საერთაშორისო ურთიერთობებში ერთ-ერთი მკაცრი ღონისძიებაა. იგი გულისხმობს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამხედრო და სხვა სახის ურთიერთობების შეწყვეტას ამა თუ იმ სახელმწიფოსთან (ან სახელმწიფოთა ჯგუფთან) დასჯის მიზნით. უფრო ხშირად გამოიყენება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, როცა *ბ.* ცხადდება ამა თუ იმ სახელ-

მწიფოს ნაწარმის ან მომსახურების წინააღმდეგ. თუმცა დასჯის ამ ფორმას, როგორც წესი, საფუძვლად პოლიტიკური მიზეზები უდევს (მაგ., სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა *აპართეიდის* წლებში ან ერაყი სპარსეთის ყურის ომის შემდეგ). მიუხედავად იმისა, რომ *ბ.* სულ უფრო ხშირად გამოიყენება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში, მისი საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების წესი არ არსებობს.

ბრეტონ-ვუდსი საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა საკითხებზე მრავალმხრივ შეთანხმებათა სერია, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1944 წელს სამთო კურორტ ბრეტონ-ვუდსში (ნიუ-ჰემპშირის შტატი, აშშ) იმ დროს ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი გაეროს ეგიდით. საბოლოო დოკუმენტს ხელი მოაწერა 44-მა სახელმწიფომ, რის საფუძველზეც შეიქმნა ორი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაცია – საერთაშორისო სავალუტო ფონდი და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (მსოფლიო ბანკი). ორივე ორგანიზაციას აქვს გაეროს სპეციალიზებული დაწესებულების სტატუსი.

ბ.-ვ-ის სისტემის ჩამოყალიბებას წინ უძღოდა აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ორწლიანი მოლაპარაკება, რომლის დროსაც მსოფლიოს მომავალი სავალუტო რეჟიმის საკითხში მხარეები რამდენადმე განსხვავებულ პოზიციებზე იდგნენ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საჭირო შეიქნა ახალი სავალუტო რეჟიმის ჩამოყალიბება, რომელიც შესაძლებელს გახდიდა შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემის უპირატესობათა გამოყენებას. ამ პოზიციაზე იდგა, უპირველეს ყოვლისა, აშშ, რომელიც თავისი გავლენის კიდევ უფრო გაფართოებას ესწრაფოდა.

აშშ-მა პოლიტიკური და ეკონომიკური მოქმედების შედეგად მოახერხა თავისთვის ხელსაყრელი სისტემის პრინციპების დანერგვა, მათ შორის: 1) ოქროს დევიზური სტანდარტის შემოღება დოლართან, როგორც წამყვან ვალუტასთან მიმართებით; 2) ფიქსირებული სავალუტო კურსების შემოღება და ვალუტების კონვერტირებადობის რეგულირება; 3) საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო სისტემის შემოღება. *ბ.-ვ-ის* ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1945 წელს.

ბ.-ვ-ის სისტემა 1947 წელს დაშლის პირას დადგა, რადგან სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რესურსები არაადეკვატური აღმოჩნდა იმ ამოცანებისათვის, რომლებსაც ეს ორგანიზაციები ისახავდა მიზნად. *ცივი ომის* პერიოდმა მნიშვნელოვნად შეცვალა აშშ-ის, როგორც ერთადერთი უმდიდრესი კრედიტორი ქვეყნის საგარეო კურსი. აშშ-მა ფაქტობრივად თავის თავზე აიღო დასავლეთ ევროპისა და განვითარებადი ქვეყნებისათვის ეკონომიკური დახმარება და მან როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდში, ისე მსოფლიო ბანკში გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა. დოლარი *ბ.-ვ-ის* სისტემის ძირითადი სარეზერვო ვალუტა გახდა.

ყოველივე ამან, ერთი მხრივ, უზომოდ გაზარდა აშშ-ის როლი საერთაშორისო ეკონომიკაში, მეორე მხრივ კი, საფრთხე შეუქმნა დოლარის სიმყარეს, რადგან იგი ფაქტობრივად საერთაშორისო ვალუტად იქცა. საერთაშორისო სავალუტო ბაზარი დიდ გავლენას ახდენდა დოლარის კურსზე. აშშ-ის მთავრობის მიერ აღებული ვალდებულების დაცვა დოლარის ოქროზე ფიქსირებული კურსით (35 დოლარი უნცია ოქროზე) კონვერტაციის შესახებ შეუძლებელი აღმოჩნდა. ამიტომ 1971 წელს აშშ-მა ცალმხრივად თქვა უარი *ბ.-ვ-ის* სისტემაზე. ეს ფაქტობრივად ამ სისტემის რეფორმისაკენ

იყო მიმართული – ახალი ვითარება ახალ წესებს მოითხოვდა. 1976 წელს მიღებულმა მსოფლიო სავალუტო ფონდის ე. წ. „იამაიკის შესწორებამ“ დააწესა არასისტემური „მცურავი“ გაცვლითი კურსი, რითაც *ბ.-ვ-ის* სისტემა ისტორიის კუთვნილება გახდა.

ბუდიზმი ერთ-ერთი მსოფლიო რელიგია. მის შემქმნელად ითვლება სიდჰარტა გაუტამა, რომელმაც შემდეგში მიიღო ბუდას სახელი. *ბ.* წარმოიშვა ძვ. წ. VI ს-ში ნეპალში, ხოლო შემდეგ ფართოდ გავრცელდა და მიიღო რამდენიმე ფორმა. *ბ-ის* მოძღვრებით, სიცოცხლე ყველა თავისი გამოვლინებით, ბოროტებაა, რასაც მხოლოდ ტანჯვა მოაქვს. ტანჯვის მიზეზია ადამიანის ყველა გრძნობა, სურვილი, ვნება, მარადიული გარდასახვა. ხსნის გზა, ბუდას თანახმად, არის განდგომა, თვითდისციპლინა და მედიტაცია, რომელთა საშუალებითაც მიიღწევა ნირვანა ანუ სრული სულიერი სრულყოფა, სულიერი სიმშვიდე. ასეთი თავისებურებებით *ბ-ის* ორიენტაცია ხშირად იყო „მიღმა სამყაროსეული“ (ვებერი). იგი გულისხმობდა უარის თქმას ვნებებზე, ქონებაზე, ცოლ-შვილზე, ქადაგებდა განდეგილობასა და თავის თავში ჩაკეტვას. იმავე დროს *ბ.* იყო პოლიტიკური რელიგიაც, როგორც *„მესამე სამყაროს“* ქვეყნების საპროტესტო მოძრაობა და სხვ.

ბულა შუა საუკუნეებში მრგვალი ლითონის ბეჭედი, რომელიც პაპის, იმპერატორის, ხელმწიფის აქტებს ახლდა, ან თვითონ აქტის სახელწოდება.

ბუნებრივი და სოციალური ნორმები ორი რიგის რეგულაციები, როდესაც ერთი ბუნებრივი წესრიგის (კანონზომიერების) წყაროა, ხოლო მეორე – საზოგადოებრივისა. ისინი ერთმანეთისაგან არსებობის წესით განსხვავდება. *ბ. ნ.* (კანონები) აღნერს ფიზიკურ სამყაროში (ბუნებაში) არსებულ კანონზომიერებას, რომელიც ადამიანისაგან (მისი ცნობიერებისაგან) დამოუკიდებლად, ობიექტურად არსებობს. ამ კანონზომიერების შეცვლა ადამიანს არ შეუძლია, მას შეუძლია მხოლოდ მისი აღმოჩენა და გათვალისწინება პრაქტიკულ საქმიანობაში. ასე ყალიბდება საბუნებისმეტყველო კანონები (მაგ., ფიზიკაში ნიუტონის კანონები), რომლებიც სუბიექტური მნიშვნელობის (საზრისის) მიღმა დგას, ანუ გამოთქვამს იმას, რაც არის თავისთავად. რაც შეეხება *ს. ნ-ს,* ისინი კონსტრუირებულია ადამიანების მიერ, მათი ერთობლივი საქმიანობისა (ინტერაქციის) და მათ შორის შეთანხმების, ანუ *კონვენციის* შედეგად. თუმცა ეს როდი ნიშნავს, რომ *ს. ნ.* მხოლოდ სუბიექტურია – ისინი გამოთქვამენ გარკვეულ ვალდებულებას, ამდენად, ყოველთვის ინარჩუნებენ გარკვეულ „დისტანციას“ სუბიექტის ნების მიმართ. უფრო ზუსტად, *ს. ნ.* უნდა შესრულდეს იმის მიუხედავად, თუ რამდენად შეესაბამება მას ნებელობა. ვებერის თანახმად, ნორმები მკაფიოდ განსაზღვრული მაქსიმებია, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს ინდივიდებისათვის მაშინაც, როდესაც მათ შეგნებულად არღვევენ. თუმცა, ნებისაგან ამგვარი დისტანცირება არ უნდა გავიგოთ აბსოლუტური აზრით. შეთანხმების შედეგი შეიძლება შეიცვალოს კიდეც. *ს. ნ-ის* შეცვლის აუცილებლობა დგება მაშინ, როდესაც ისინი კარგავს მნიშვნელობას, ე. ი. როდესაც მათ მიერ უზრუნველყოფილი სოციალური წესრიგი სისტემატურად ირღვევა ან ვეღარ პასუხობს ახლებური გარემოს მოთხოვნებს. ამრიგად, *ს. ნ.* თავისი ბუნებით აბსოლუტის „სიმულაციაა“ – ისინი ინარჩუნებს ობიექტურობას ცვალებადობის პრინციპული შესაძლებლობის ფონზე.

ბუნტი იხ. *კოლექტიური მოქმედება.*

ბურჟუაზია თავდაპირველად ტერმინი გამოიყენებოდა ქალაქის მცხოვრებთა აღსანიშნავად. XVII-XVIII სს-დან მან თანდათანობით შეიცვალა მნიშვნელობა და უკვე გამოიყენებოდა მოქალაქეთა იმ ფენის აღსანიშნავად, რომელიც ეწეოდა ვაჭრობას ან მეწარმეობას და იყენებდა დაქირავებულ შრომას. მემარცხენე იდეოლოგიებში ამ ტერმინს ნეგატიური მნიშვნელობა აქვს და აღნიშნავს კაპიტალისტური საზოგადოების გაბატონებულ კლასს, რომელიც ფლობს წარმოების საშუალებებს და ეწევა დაქირავებული შრომის ექსპლუატაციას.

ბუფერული სახელმწიფო პატარა ან სუსტი სახელმწიფო, რომელიც დიდი და ძლიერი სახელმწიფოების მოსაზღვრედ მდებარეობს და ამ უკანასკნელთა შორის ურთიერთობებში ერთგვარი შემაკავებელი ზონის, ანუ „ბალიშის" ფუნქციას ასრულებს. *ბ. ს-ს* ცნება ასოცირდება *ძალთა წონასწორობის* პოლიტიკასთან, ვინაიდან ამგვარი ქვეყნების არსებობა დამოკიდებულია დიდ სახელმწიფოთა შორის ძალთა განაწილებაზე და ძლიერი მეზობლების *უსაფრთხოების* მოთხოვნილებებზე.

გ

გაგება ტერმინი სოციოლოგიაში კულტურის ისტორიკოსისა და სოციოლოგის, „სიცოცხლის ფილოსოფიის" წარმომადგენლის ვ. დილთაის (1833-1911) გავლენით შემოვიდა. მის მიერ შექმნილმა „გაგების ფსიქოლოგიამ" ბიძგი მისცა „გაგების სოციოლოგიის" ჩამოყალიბებას. მანვე დაამუშავა „გაგების" მეთოდი. დილთაის თანახმად, *გ.* ნიშნავს ინდივიდის (სუბიექტის), ასევე ისტორიული ხდომილებებისა და მოვლენების „თანაგანცდას", სუბიექტის შინაგან სამყაროში შეღწევას. გვიანდელ შრომებში დილთაი ხაზს უსვამს „გაგებაში" „ინტროსპექციის" (თვითდაკვირვების) მნიშვნელობას. დილთაი ერთმანეთს უპირისპირებდა გაგებისა და ახსნის ცნებებს, რასაც საფუძვლად ედო მის მიერვე გატარებული განსხვავება „გონის შესახებ მეცნიერებებსა" (სოციალური მეცნიერებები) და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს შორის. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები იკვლევს გარე სამყაროს მოვლენებს, მაშინ როცა „გონის შესახებ მეცნიერებების" კვლევის ობიექტს ადამიანის გონითი და სულიერი მოძრაობა (შინაგანი ცხოვრება) წარმოადგენს. შესაბამისად, დილთაის აზრით, მათ განსხვავებული მეთოდი უნდა ჰქონდეთ (დაპირისპირება პოზიტივიზმთან). გონის შესახებ მეცნიერებისათვის ასეთი მეთოდია „გაგება". სუბიექტის განცდასა და შინაგან ცხოვრებაზე ორიენტაციის გამო დილთაის „გაგების" კონცეფცია ფსიქოლოგიზმად არის შეფასებული. „გაგება" მ. ვებერის სოციოლოგიური თეორიის მნიშვნელოვანი კატეგორიაა და არსებითად განსხვავდება დილთაის „გაგების" კონცეფციისაგან. „გაგების" მნიშვნელობა კარგად ჩანს ვებერის მიერ სოციოლოგიის მეცნიერების განსაზღვრებაში, სადაც სოციოლოგია მიჩნეულია მეცნიერებად, რომლის მიზანია სოციალური მოქმედების მიზეზობრივი ახსნა და გაგება (deutend verstehen). დილთაისაგან განსხვავებით, ვებერი ახსნისა და *გ-ის* კატეგორიას ერთმანეთს არ უპირისპირებს. ვებერისათვის მიუღებელია ასევე „გაგების" რიკერტისეული ინტერპრეტაცია, რომელიც ხაზს უსვამდა ზეემპირიული, ირეალური საზრისის გაგებას. *გ-ის* ვებერისეული კონცეფცია მისსავე სოციალური მოქმედების თეორიას ეფუძნება. ვებერის თანახმად, არსებობს სოციალური მოქმედების ოთხი ტიპი: მიზანრაციონალური, ღირებულებით-რაციონალური, ტრადიციული და აფექტური. სო-

ციოლოგია იკვლევს მიზანრაციონალურ და ღირებულებით რაციონალურ მოქმედებას, რადგან სოციალური მოქმედების ეს ორი ტიპი გაცნობიერებული მოქმედებაა, ანუ მასში წარმოდგენილია სუბიექტურად ნაგულისხმევი მოქმედების მიზანი, სუბიექტის ღირებულებითი ორიენტაცია, მოტივაციები და ის საშუალებები, რომლითაც მოცემული მიზანი უნდა იქნეს მიღწეული. თანაც ეს მიზნები, ღირებულებები და მოტივაციები ზეემპირიული და ირეალური კი არ არის, არამედ ინდივიდის მიერ გაცნობიერებული სუბიექტური მოცემულობაა. სოციოლოგიის ამოცანაა სუბიექტურად ნაგულისხმევი საზრისების, ღირებულებებისა და მოტივების გაგება, რაც, საბოლოო ჯამში, „იდეალური ტიპის" კონსტრუირების ამოცანას ემსახურება.

გადატრიალება იხ. *სახელმწიფო გადატრიალება.*

გადმოლვრის ეფექტი *ინტეგრაციის* თეორიის ნაწილი, რომლის მიხედვითაც ინტეგრაციის პროცესი გარკვეული პერიოდის შემდეგ თვითგანვითარების მუხტს იძენს. *გ. ე. ნეოფუნქციონალისტური* სკოლის ერთ-ერთი მთავარი ცნებაა. *გ. ე-ის* წარმოშობის მთავარი მიზეზი დარგობრივი ინტეგრაციის პროცესში მონაწილე სახელმწიფოების მიერ საერთო ინტერესების მაქსიმალიზაციაა, რაც შეთანხმებულ მოქმედებას მოითხოვს და, ამრიგად, ინტეგრაციას აღრმავებს. *გ. ე-ის* მნიშვნელობას არ იზიარებენ ის მკვლევრები, რომლებიც სახელმწიფოების *ეროვნულ ინტერესებზე* ამახვილებენ ყურადღებას.

გავლენის სფეროები რეგიონები, რომელზეც სხვა სახელმწიფოს კონტროლის პრეტენზია აქვს. გაბატონებული სახელმწიფო თავისი გავლენის რეგიონში სხვა დიდი სახელმწიფოების სამხედრო და პოლიტიკურ საქმიანობასა და *გ. ს-ში* მოქცეული ქვეყნების დამოუკიდებლობას ზღუდავს. *გ. ს-ის* სტატუსს ხშირად არანაირი სამართლებრივი დოკუმენტი არ განსაზღვრავს. XIX ს-ის მიწურულისა და XX ს-ის განმავლობაში *გ. ს-ად* დაყოფა საერთაშორისო პოლიტიკის ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო. *გ. ს-ს* ხანდახან კონტროლის სფეროებადაც ნათლავენ, რადგან ამ ორ ცნებას შორის საზღვრის გავლება ძნელია. ხანდახან *გ. ს-ს* პასუხისმგებლობის სფეროს უწოდებენ. *გ. ს-ის* საპირისპირო პოლიტიკა „ღია კარის" სახელწოდებითაა ცნობილი.

გაზომვის მეთოდი ყოველი სოციოლოგიური გამოკვლევისათვის აუცილებელი მეთოდი, რამდენადაც მხოლოდ მისი გამოყენებითაა შესაძლებელი სხვადასხვა სახის მონაცემების შედარების უზრუნველყოფა, ამის საფუძველზე კი – სხვადასხვა სახის ტენდენციათა გამოვლენა. გაზომვა არის პროცედურა, რომლის მეშვეობითაც გასაზომი ობიექტი შედარდება რაღაც ეტალონთან და ღებულობს რიცხვით გამოხატულებას.

გაზომვას უწოდებენ ასევე ემპირიული სისტემის ერთმნიშვნელოვან ასახვას მისი ელემენტების (შემადგენლების, მდგომარეობების, თვისებების და ა. შ.) მეშვეობით. შედეგად ყალიბდება გასაზომი ობიექტის რიცხვითი (უფრო ზუსტად – თვისებრივი ანალიზისას გამოყოფილი მისი ზოგიერთი მხარის) მოდელი. რამდენადაც ზუსტი ანალოგის (იზომორფული მოდელის) მიღება პრაქტიკულად არ ხერხდება, შემუშავდება მიახლოებითი ანალოგი (ჰომომორფული მოდელი), რომელიც რიცხვითი გამოსახულებით პირობითად შეესაბამება ორიგინალს. სოციალურ გაზომვებს ხშირად კვალიმეტრულს, ანუ თვისებრივი მიმართულე-

ბების პირობით რაოდენობრივ ანალოგებს უწოდებენ.

გაზომვის ცნების გამოყენების შესახებ ავტორები სხვადასხვა თვალსაზრისისა არიან, თუმცა საბოლოოდ სტივენსის მიერ შემოთავაზებულ განსაზღვრებას იზიარებენ, რომლის თანახმად, გაზომვა არის ობიექტებისა ან მოვლენებისათვის რიცხვების გარკვეული წესით მინერა. გაზომვის ასეთი გაგება საკმაოდ ფართოა და მიესადაგება როგორც დაბალი ტიპის (ნომინალურ, რიგის), ასევე მაღალი ტიპის (ინტერვალურ, პროპორციულ) სკალებსაც.

გაზომვის სკალები სოციალური გაზომვის ძირითადი ინსტრუმენტი, ეტალონის სახით წარმოადგენს მნიშვნელობათა ამა თუ იმ ერთობლიობის ფიქსაციის საშუალებას. *სკალა* დაადგენს ინდიკატორების გარკვეულ თანმიმდევრობას. იგი სტატისტიკური მასალის ანალიზის საშუალებაა. გასაზომი ნიშნების ხასიათისა და მათი ანალიზის ამოცანებიდან გამომდინარე, სხვადასხვაგვარი სკალები გამოიყენება: ნომინალური (ობიექტების, მათი ნიშნების კლასიფიკაციისათვის), რიგის (ნიშნის გამოვლენის ინტენსივობის შესადარებლად მატების ან კლების მიხედვით), რანგული (რანგების, რიგობრივი დამოკიდებულებების დასადგენად), ინტერვალური (ნიშნის ამა თუ იმ თვისების ინტენსივობის ანალიზისათვის), დამოკიდებულებების (პროპორციების დამოკიდებულებათა ასახვისათვის). (იხ. აგრ. *სკალირება*).

გამალებული შეიარაღება სულ ცოტა, ორი დაპირისპირებული აქტორის შეჯიბრი საკუთარი შეიარაღების გაზრდის მიზნით. *გ. შ-ის* საბაზისო პროცესს წარმოადგენს *აქცია-რეაქციის* მოდელი. იგი უმეტეს შემთხვევაში ომის წინმსწრები პროცესია. მაგ., პირველი მსოფლიო ომის წინ აღინიშნებოდა გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის კონკურენცია სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობაში. ხანგრძლივი კრიზისის დროს (კერძოდ, ისრაელისა და არაბული ქვეყნების კონფლიქტი) *გ. შ.* ცოტად თუ ბევრად დროში განეული პროცესია. სსრკ-სა და აშშ-ს შორის ცივი ომის პერიოდში მიმდინარე *გ. შ-ს* თან სდევდა ტექნიკური პროგრესი და ტექნოლოგიური მიღწევები სამხედრო მრეწველობაში, ასევე ახალ-ახალი სახეობის მასობრივი განადგურების იარაღის შექმნა. მიუხედავად ამისა, *გ. შ.* არ არის არც აუცილებელი და არც საკმარისი პირობა ომის დაწყებისთვის. ზოგის აზრით, პირიქით, სწორედ შეიარაღებებს შორის ბალანსი იყო ბირთვული ომის მთავარი შემკავებელი ფაქტორი.

გამოკითხვა გამოიყენება სოციალური პრაქტიკის მრავალ სფეროსა და სხვადასხვა მეცნიერებაში. იგი აღნიშნავს იმ საჭირო ინფორმაციის მიღების განსხვავებულ ხერხებს, რომლის წყაროს ინდივიდი წარმოადგენს. ემპირიულ სოციოლოგიაში *გ.* პირველადი სოციალური მონაცემების მოპოვების ყველაზე გავრცელებული მეთოდია. მისი საშუალებით ხდება ინფორმაციის მიღება როგორც სოციალური ფაქტების, მოვლენების, პროცესების, ისე ინდივიდების, სოციალური ჯგუფების შეხედულებების, აზრების, განწყობების, შეფასებების, ქცევის მოტივების, ღირებულებითი ორიენტაციებისა და სხვ. შესახებ. *გ-ის* პროცესს განსაზღვრავს შემდეგი ძირითადი ცვლადები: 1. პირი, რომელიც გამოკითხვას ატარებს (ინტერვიუერი ან ანკეტიორი), 2. პირი (ან ჯგუფი), რომელიც ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს (*რესპონდენტი*, ინფორმანტი), 3. ინფორმაცია, რომელიც კითხვებისა და პასუხების ფორმით გამოიხატება – გამოკითხვის კომუნიკე, 4. პირობები (გარე-

მო), სადაც ტარდება გამოკითხვა – გამოკითხვის ველი. *გ-ის* მიზანია კვლევის ჰიპოთეზების შემოწმება და ცვლადებს შორის ურთიერთობების გამოვლენა-დადგენა.

გ-ის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება შერჩევას, ანუ გენერალური ერთობლიობის იმ ნაწილის არჩევას, რომლის შესწავლაც არის გათვალისწინებული. *რესპონდენტების* სწორი შერჩევის შედეგად მიღებული მონაცემები მთელი გენერალური ერთობლიობისათვის (მოსახლეობის ან სოციალური ჯგუფებისათვის) არის დამახასიათებელი და ზოგადი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.

გ-ის ინსტრუმენტია *კითხვარი* (*ანკეტა* ან ინტერვიუს ბარათი, ბლანკი), – კითხვების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული (ორგანიზებული) ნაკრები, ერთობლიობა. თითოეული კითხვა გამოკვლევის პროგრამულ და პროცედურულ ამოცანებს უკავშირდება. მისი შინაარსი ასახავს შესასწავლ პრობლემას ემპირიული ინდიკატორების დონეზე. *გ.* აგრეთვე გულისხმობს *რესპონდენტების* პასუხების დაფიქსირება-რეგისტრაციას, მათ დამუშავებასა და თეორიულ ინტერპრეტაციას.

გ-ის სახეების კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით: I. ინფორმაციის მიღების საშუალებებისა და ხასიათის მიხედვით: 1. *ანკეტირება* (*გ. ანკეტის* საშუალებით) და 2. ინტერვიუირება (*გ. ინტერვიუს* საშუალებით).

II. გენერალური ერთობლიობის ჩაბმის ხარისხის მიხედვით: 1. მთლიანი (გენერალური) და 2. შერჩევითი.

III. პროცედურის მიხედვით: 1. ინდივიდუალური და 2. ჯგუფური.

IV. ჩატარების ფორმის მიხედვით: 1. ზეპირი (*რესპონდენტის* პასუხების, გამონათქვამების რეგისტრირება ინტერვიუერის მიერ ხდება) და 2. წერილობითი (*ანკეტის* კითხვებზე პასუხებს თავად *რესპონდენტი* აფიქსირებს).

V. *რესპონდენტთან* ურთიერთობის, კომუნიკაციის ფორმის მიხედვით: 1. დასწრებული (პირდაპირი *ინტერვიუ* ან დასწრებული *ანკეტირება* – უშუალო კონტაქტი) და 2. დაუსწრებელი (*ანკეტირება* ფოსტით, პრესის საშუალებით, სატელევიზიო *ინტერვიუ* – გაშუალებული კონტაქტი).

VI. *გ-ის* ჩატარების სიხშირის მიხედვით: 1. ერთჯერადი და 2. მრავალჯერადი.

VII. *გ-ის* ფორმალიზაციის მიხედვით: 1. სტანდარტული (ანუ სტრუქტურული, ჩამოყალიბებული, ფორმალიზებული) და 2. არასტანდარტული (ანუ არასტრუქტურული, არაფორმალიზებული, თავისუფალი). თითოეული ეს ხერხი, *გ-ის*, როგორც ზოგადი მეთოდის, შემადგენელი ნაწილია.

მიზნების მიხედვით *გ-ის* სახეებია: დაზვერვითი, აღწერითი და ახსნითი. *გ-ის* ტიპებისა და სახეების გამოყენება განისაზღვრება კონკრეტული გამოკვლევის ამოცანებითა და მიზნებით.

ყველაზე მეტად ეფექტურია *გ-ის* მეთოდის გამოყენება სხვა მეთოდებთან ერთად. სხვადასხვა სახის *გ-ები* შეიძლება გამოყენებულ იქნეს ემპირიული სოციოლოგიური გამოკვლევის ყველა ეტაპზე.

გამოყენებითი სოციოლოგია სოციოლოგიური თეორიების, ცნებების, მეთოდების გამოყენება საზოგადოებასთან მიმართებაში. სოციოლოგიური იდეები გამოიყენება საზოგადოებრივი მუშაობის, განათლების, ინდუსტრიული ურთიერთობებისა და დაგეგმვის პრაქტიკაში. *გ. ს.* გამოსაკვლევი მოვლენებისა და პროცესების მიმართ ორ მიდგომას იყენებს: ინჟინრულსა და კლინიკურს. პირველი მიდგომის რეალიზაცია ხდება სოციალურ ინჟინერიაში, რომელიც ზოგად სოციოლოგიურ თეორიებსა და ცალკეულ გამოკვლევებში დაგროვილ ცოდნას იყენებს ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკული

ამოცანების გადასაჭრელად, ამასთან, ძირითად მიზანს წარმოადგენს მართვის გაუმჯობესება. მეორე მიდგომა კლინიკურ სოციოლოგიაში გამოიყენება, რომელიც შესასწავლი სოციალური პროცესების თვისებრივ ანალიზს ახდენს, ადგენს დიაგნოზს, გვთავაზობს ალტერნატივას და ატარებს თერაპიულ ზომებს სოციალური ორგანიზაციის ეფექტურობის ამაღლების მიზნით. *გ. ს-ს* განეკუთვნება ეკონომიკის სოციოლოგია, შრომის სოციოლოგია, პოლიტიკის სოციოლოგია, ეთნოსოციოლოგია, რელიგიის სოციოლოგია, მეცნიერების სოციოლოგია, კულტურის სოციოლოგია, ოჯახის სოციოლოგია, დანაშაულის სოციოლოგია, ახალგაზრდობის სოციოლოგია, სამართლის სოციოლოგია, განათლების სოციოლოგია, პიროვნების სოციოლოგია და ა. შ.

გამოწვევა „პირდაპირი დემოკრატიის" განხორციელების საშუალება და სიმბოლო. *გ-ის* პროცედურა ითვალისწინებს არჩევითი სახელმწიფო თანამდებობიდან პიროვნების გადაყენებასა და დამატებითი არჩევნების ჩატარებას იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველების დაწესებული რაოდენობა (ან პროცენტი) ხელს მოაწერს პეტიციას ასეთი არჩევნების ჩატარების შესახებ.

განვითარებადი ქვეყნები იხ. *მესამე სამყარო.*

განიარაღება ღონისძიებათა კომპლექსი, რომელსაც იყენებენ გამალებული შეიარაღების შესაჩერებლად, საბრძოლო იარაღის საშუალებათა შეზღუდვისა და ლიკვიდაციისათვის. მისი საბოლოო მიზანია საყოველთაო და სრული *გ.*, რაც ნიშნავს მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების დაშლას, სამხედრო წარმოებათა გაუქმებას, ყველა სახეობის იარაღის წარმოების შეწყვეტასა და არსებულის განადგურებას. სახელმწიფოს ხელში უნდა დარჩეს მხოლოდ შეზღუდული ძალები შინაგანი წესრიგის დასაცავად.

გ. შეიძლება განვიხილოთ როგორც პროცესიც და მდგომარეობაც. თავისი მასშტაბით იგი შეიძლება იყოს რეგიონული და გლობალური, სუბიექტთა მიხედვით – ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი. *გ.* შეიძლება იყოს ნაწილობრივი ან სრული, ეხებოდეს იარაღის ცალკეულ სახეობებს ან მთელ შეიარაღებას და ა. შ. (მაგ., ცალკეული რეგიონების გამოცხადება არაბირთვულ, ანუ ატომური იარაღისაგან თავისუფალ ზონად). საყოველთაო და სრული *გ.* თანამედროვე პირობებში ფაქტობრივად მიუღწეველი, არარეალური სურვილი იქნებოდა. საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის ყველაზე ეფექტური საშუალება დღესდღეობით შეიარაღების შეზღუდვა და მასზე კონტროლის განხორციელებაა.

განმანათლებლობა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომლის წარმომადგენელთა აზრით, დრომოჭმული საზოგადოებრივი წყობილება, ზნეობა, პოლიტიკა და ყოფა შესაძლებელია შეიცვალოს სიკეთისა და სამართლიანობის იდეებისა და მეცნიერული ცოდნის გავრცელებით, ამასთან, ეს ცვლილებები უნდა მოხდეს მშვიდობიანი რეფორმების მეშვეობით. საზოგადოებრივი წყობილების მანკიერებებს *გ.* ხსნის ადამიანების უვიცობით, საკუთარი ბუნების უცოდინარობით. ფართო გაგებით, *გ.* არის კაპიტალიზმის ჩამოყალიბების პერიოდში ანტიფეოდალური იდეოლოგიის სინონიმი. *გ-ის* იდეები ფართოდ გავრცელდა მრავალი ქვეყნის მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში და საფუძვლად დაედო ე.წ. განმანათლებლურ ეტაპს მათი განვითარების ისტორიაში. ცნო-

ბილი განმანათლებლები იყვნენ: ვოლტერი, რუსო, მონტესკიე, დალამბერი, დიდრო, ჰოლბახი, ჰერდერი, ლესინგი, შილერი, გოეთე, ფრანკლინი, ჰაინე, დესნიცკი, კობელსკი და სხვ. ისინი უდიდესი შემართებით ებრძოდნენ ეკლესიასა და ფეოდალიზმს, რელიგიურ დოგმატიზმს, სქოლასტიკურ აზროვნებას. XVIII ს-ში *გ-ძ* დიდი გავლენა მოახდინა სოციალურ შეხედულებათა ჩამოყალიბებაზე (უტოპისტები, ნაროდნიკები).

გ-ის არსებითი ნიშნებია: 1. ყველა ადამიანური და საზოგადოებრივი პრობლემის გადაჭრაში გონების ავტორიტეტი; 2. თავისუფალი მოაზროვნეობა და ანტიდოგმატიზმი; 3. ანტიკლერიკალიზმი; 4. პოლიტიკური რადიკალიზმი. ეს ნიშნები საერთოა *გ-ის* სხვადასხვა ნაირსახეობისთვის და ამიტომაც ყველა მათგანს ახასიათებს: 1. დემოკრატიზმი 2. რაციონალიზმი, 3. ისტორიული ოპტიმიზმი. პირველი დაკავშირებულია ფართო მასების მიერ კულტურისა და ცოდნის ზიარებადაუფლების აუცილებლობასთან. მეორე გულისხმობს გონების შეუზღუდავი შესაძლებლობის რწმენას, ხოლო მესამე – მეცნიერებისა და საზოგადოების პროგრესის, ისტორიული განვითარების ერთიანი მიზნების არსებობის რწმენას.

განუზრახველი შედეგები მოქმედებათა ის შედეგები, რომლებიც არ ყოფილა ნაგულისხმევი და წინასწარ გათვლილი. მაქს ვებერიდან მოყოლებული, სოციოლოგთა უმრავლესობა *სოციალურ მოქმედებებს* განიხილავდა როგორც რაციონალურს, როდესაც ხდება მოქმედების მსვლელობის გათვლა, რათა მიღწეულ იქნეს კონკრეტული (კერძო) შედეგი. თუმცა, სოციალურ მოქმედებებს შეიძლება ჰქონდეს სხვა შედეგებიც, რომლებიც მოქმედებაში ჩართულ *აქტორებს* არ განუზრახავთ. მეტიც, ზოგიერთი შედეგი ზოგჯერ იმის საპირისპიროც კი აღმოჩნდება, რისი მოხდენაც სოციალურ აქტორებს განზრახული ჰქონდათ. აღნიშნული ცნება აქტიურად გამოიყენება, ვთქვათ, გიდენსის სტრუქტურაციის თეორიაში: მოქმედებას შეიძლება ჰქონდეს განუზრახველი შედეგები, რომლებიც ამავდროულად აუღიარებელი (ანონიმური) პირობებია მომავალი მოქმედებებისათვის. მაგალითად, როდესაც კორექტულად ვწერთ ან ვლაპარაკობთ, ეს განსაზღვრული ენის გამოყენების განზრახული შედეგია. თუმცა ამ პროცესს ახლავს ერთი რეგულარული განუზრახველი შედეგი – ხორციელდება ამ ენის რეპროდუქცია (კვლავწარმოება). ეს კი, თავის მხრივ, არის იმპლიციტური პირობა ყოველი ახალი საუბრისათვის. *გ. შ-ის* ცნება ეხმიანება მერტონის მიერ *ლატენტური ფუნქციების* აღწერას (იხ. *ანომია* და *ლატენტური ფუნქციები*).

გემაინშაფტი/გეზელშაფტი აღნიშნული ცნებები შემოიტანა გერმანელმა სოციოლოგმა ფერდინანდ ტიონისმა (1855-1936), რათა ერთმანეთისაგან გაენესხვავებინა ერთობა (გემაინშაფტი) და საზოგადოება (გეზელშაფტი). ერთობა მოიცავს ტრადიციულ-რურალურ, ხოლო საზოგადოება – თანამედროვე ინდუსტრიულ-ურბანულ ურთიერთობებს. ერთობისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: მისწრაფება კოლექტივიზმისაკენ და საერთო ინტერესების პრიმატი, ტრადიციით მიღებული ჩვეულებისა და რწმენის მიმართ ერთგულება, ორიენტაცია სასულიერო ღირებულებებზე, გვაროვნული და ნათესაური კავშირების პრიორიტეტულობა და სხვ. ამის საპირისპიროდ, გეზელშაფტურ ურთიერთობებს ახასიათებს: მისწრაფება ინდივიდუალიზმისაკენ და კერძო (ეგოისტური) ინტერესების პრიმატი, ლეგალური და ფორმალურ-რაციონალური წესებით

მოქმედება, ორიენტაცია საერო ღირებულებებზე, არანათესაურ და არაგავროვნულ კავშირებზე დამყარებული ასოციაციები და გაერთიანებები და სხვ. ტიონისის მიხედვით, ერთობას საფუძვლად უდევს ნება არსებობისათვის („არსობრივი ნება"), ხოლო საზოგადოებას – ნება არჩევნისათვის („არჩევითი ნება").

გენდერი სქესის სოციალური კატეგორია. ქალსა და კაცს შორის სოციალური ურთიერთობების ორგანიზებული მოდელი, რომელიც ახასიათებს არა მარტო მათ პიროვნებათშორის ურთიერთობებს, არამედ განსაზღვრავს მათ სოციალურ ურთიერთობებს ძირითად საზოგადოებრივ ინსტიტუტებში, მაგ., სოციალურ კლასებში, მსხვილი ორგანიზაციების იერარქიაში, დასაქმების სტრუქტურის ფორმირებისას და სხვ. *გ.* როგორც პროცესი და მოვლენა გულისხმობს სქესობრივი განსხვავების ნიადაგზე მამაკაცის მხრიდან ქალის ყოველგვარი ჩაგვრის ლიკვიდაციას. ფაქტობრივად ტერმინი ასახავს სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე ქალთა და კაცთა ურთიერთობის ფენომენს და შესაბამისად მსოფლიოში დამკვიდრდა როგორც გარკვეული დირექტიული მიმართულება ქალთა უფლებების დაცვის სფეროში. მისი მიზანია ადამიანის *სექსიზმისაგან* დაცვა, რაც სქესობრივ დისკრიმინაციას – ერთი სქესის მეორეზე ბატონობას ნიშნავს.

გენდერული კვლევები კვლევები, რომელთაც საფუძვლად უდევს მოცემული კულტურის ფარგლებში განსხვავებული სქესის ადამიანების ქცევათა თავისებურებანი. ასეთი სახის გამოკვლევები სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თეორიებში.

გენერალური ერთობლიობა კატეგორია, რომელსაც იყენებენ რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის კონტექსტში; აღნიშნავს შესასწავლი სოციალური ობიექტის სრულ (აბსოლუტურ) მოცულობას, ანუ მის ყველა წევრს. *გ.-ს* შეიძლება შეადგენდეს მოსახლეობის რაიმე ნიშნით დიფერენცირებული ნაწილი, მაგალითად, *ქალაქებში* ან *სოფლებში* მცხოვრები მოსახლეობა, ამა თუ იმ საწარმოს (*ორგანიზაციის*) პერსონალი, ესა თუ ის ასაკობრივი ან განათლების ცენზის მქონე ჯგუფები და ა. შ.

გენოციდი საერთაშორისო დანაშაული, კაცობრიობის (ადამიანობის) წინააღმდეგ მიმართული ქმედება, რომლის მიზანია მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპოს რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფი. *გ.* არის ასეთი ჯგუფის წევრთა გაჟლეტა, მათი სხეულისა თუ გონებისათვის სერიოზული ზიანის მიყენება, განზრახ შექმნა ისეთი საარსებო პირობებისა, რომელთა მიზანია ჯგუფის სრული ან ნაწილობრივი ფიზიკური მოსპობა, ჯგუფის ნეერთა შორის შობადობის ძალით შემცირება, მათი ბავშვების იძულებით სხვა ჯგუფის ადამიანთათვის გადაცემა. ასეთი ქმედებანი დანაშაულია საერთაშორისო სამართლის წინაშე და მის აღსაკვეთად ყველა სახელმწიფოს ერთობლივი თუ ინდივიდუალური ბრძოლაა საჭირო.

გ-ის გამოცხადება უმძიმეს საერთაშორისო დანაშაულად განაპირობა ჰიტლერული რეჟიმის მიერ მილიონობით ებრაელის, პოლონელის, საბჭოთა კავშირის ხალხთა მასობრივი განადგურების ფაქტების გამოვლენამ. XX ს-ის 90-იან წლებში *გ.* იქცა აგრესიული სეპარატიზმის ერთ-ერთ ძირითად იარაღად ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე აღმოცენებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში (მაგ., ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში), ასევე მან თავი იჩინა აფრიკის ქვეყნებში (რუანდა).

ბოლო წლებში *გ-ის* ახალი ფორმა წარმოიშვა – *ეთნიკური წმენდა* (მაგ., აფხაზეთში), რომელიც საერთაშორისო სამართლით კაცობრიობის (ადამიანობის) წინააღმდეგ დანაშაულის სახეობად არის აღიარებული.

გეოგრაფიული დეტერმინიზმი მოძღვრება, რომლის მიხედვითაც საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად მიიჩნევა გეოგრაფიული გარემო (კლიმატი, რელიეფი, ნიადაგი, წყალი, ზღვისპირა მდებარეობა და ა. შ.). საზოგადოების სრულყოფილი განვითარება მხოლოდ ხელსაყრელ გეოგრაფიულ პირობებში ხდება. ამიტომ ის ხალხები და ქვეყნები დაწინაურდნენ, სადაც კარგი ბუნებრივი პირობები იყო (კერძოდ, ზომიერი და სუბტროპიკული სარტყლები). ცივ და ცხელ კლიმატურ სარტყლებში კი მოსახლეობა პრიმიტიულ დონეზე დარჩა. *გ. დ-ის* წარმომადგენლები იყვნენ ანტიკურ ეპოქაში ჰიპოკრატე, პლატონი და არისტოტელე, შუა საუკუნეებში – არაბი მოაზროვნე იბნ-ხალდუნი, ხოლო ახალ პერიოდში – ბოდენი და მონტესკიე (საფრანგეთი), ბოკლი (ინგლისი), ლ. მეჩნიკოვი (რუსეთი). *გ. დ-ის* წარმომადგენლად ითვლება ასევე გერმანელი გეოგრაფი ფრიდრიხ რატცელი. მან სახელმწიფო ცოცხალ ორგანიზმად მიიჩნია (სოციალ-დარვინიზმი), რომელსაც სჭირდება კვება და ბრძოლა არსებობისათვის, ეს კი გულისხმობს ტერიტორიების დაპყრობასა და ექსპანსიას. აქედან დაედო სათავე *გეოპოლიტიკას*.

გეოგრაფიული მიმდინარეობა სოციოლოგიაში ეს მიმართულება აერთიანებს ყველა იმ თეორიას, რომელიც საზოგადოების განვითარების ზოგად სურათს, მის სტრუქტურასა და მასში მიმდინარე პროცესებს გეოგრაფიული გარემოს პირობებზე დამოკიდებულად მიიჩნევს. იდეას საზოგადოების ცხოვრებაში ბუნებრივი პირობების განმსაზღვრელი როლის შესახებ აყენებდნენ ჯერ კიდევ ანტიკური ხანის მოაზროვნეები (პლატონი, არისტოტელე და სხვები), თუმცა დასრულებული სახით ეს მიმდინარეობა XVIII ს-ში ჩამოყალიბდა. მის ფუძემდებლად ითვლება ფრანგი ფილოსოფოს-განმანათლებელი შარლ ლუი მონტესკიე (1689-1755). მისი აზრით, ქვეყნის კლიმატი, ნიადაგი, ლანდშაფტი და ფართობი განსაზღვრავს იქ მცხოვრები ხალხის ხასიათის თვისებებს და, მთლიანობაში, საზოგადოებრივი განვითარების ხასიათს. ასე მაგალითად, ის ამტკიცებდა, რომ რესპუბლიკური წყობილება თავისი ბუნებით მოითხოვს პატარა ტერიტორიას, ხოლო თბილ ქვეყნებში კლიმატი ხელს უწყობს მმართველობის დესპოტური ფორმის დამყარებას. ამ მიმდინარეობის გვიანდელ წარმომადგენელთაგან აღსანიშნავია ჟ. თ. სბოკლი, კ. რიტტერი, ფ. ლე პლე, ფ. რატცელი, ე. სემპლი და ე. ჰათინგტონი. ისინი გარემოს ისეთ პირობებზე ამახვილებდნენ ყურადღებას, როგორიცაა: კლიმატი, ნიადაგისა თუ მდინარეთა წყალუხვობის თავისებურებები, ლანდშაფტი, ქვეყნის ზომები, ბუნებრივი საკომუნიკაციო გზების თავისებურებები, მზის აქტივობა და სხვ., აგრეთვე ცდილობდნენ გამოეყენებინათ ზუსტი მეცნიერებების მეთოდები ჰიპოთეზათა შესამოწმებლად.

გეოეკონომიკა ერთი მნიშვნელობით, არის ქვეყნის გეოგრაფიული და ეკონომიკური პირობების ურთიერთკავშირი და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს „ქცევა“, რაც განსაზღვრავს მისი წარმოებისა და ვაჭრობის დონეს და საქონლისა და მომსახურების მოხმარების მოცულობას. მეორე მნიშვნელობით, *გ.* განისაზღვრება როგორც *გეოპოლიტიკის* განსაკუთრებული ვერსია, რომელიც პრიორიტეტულად მიიჩნევს არა გეოგრაფიულ,

კულტურულ, ეთნიკურ და ა. შ. ფაქტორებს, არამედ სივრცესთან დაკავშირებულ წმინდა ეკონომიკურ რეალობებს. *გ.* მსოფლიო განვითარების საფუძველს ხედავს იმაში, თუ სად იქნება განლაგებული მსოფლიო ბირჟების ცენტრები, სასარგებლო წიაღისეული, საინფორმაციო ცენტრები, მსხვილი საწარმოები და სხვ. *გ-ის* კონცეფციის ავტორი ჟ. ატალი თვლის, რომ ცივი ომის შემდეგ *გეოპოლიტიკა გ-ით* შეიცვალა და იგი თანამედროვე საერთაშორისო სისტემის მთავარი მოდელია.

გეოპოლიტიკა ეს ტერმინი თანამედროვე ლიტერატურაში იხმარება სამი სხვადასხვა გაგებით: **1.** რეაქციული პოლიტიკური დოქტრინა, რომელიც არახელსაყრელი გეოგრაფიული პირობების გაუმჯობესების მიზნით ამართლებს და ასაბუთებს ექსპანსიურ პოლიტიკასა და ტერიტორიულ დაპყრობებს, ხელსაყრელი, ე. წ. „სასიცოცხლო სივრცის" შექმნის აუცილებლობას სხვა სუსტი და „არასრულფასოვანი" ქვეყნების ტერიტორიების ხარჯზე. ასეთი *გ.* გაიგივებულია იმ ოფიციალურ პოლიტიკურ იდეოლოგიასა და პრაქტიკასთან, რასაც ახორციელებდა ნაცისტური გერმანია და რაც ამჯერად საყოველთაოდაა უარყოფილი. **2.** მოძღვრება, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებსა და სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკურ ქცევას საფუძვლად უდებს გეოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: გეოგრაფიული მდებარეობა, ტერიტორიისა და მოსახლეობის სიდიდე, კლიმატი, რელიეფი, ბუნებრივი რესურსები და, ყოველივე აქედან გამომდინარე, ეკონომიკური და ტექნოლოგიური პოტენციალი. *გ-ის* ასეთი გაგება ყალიბდება როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება. **3.** სახელმწიფოთა კონკრეტული საგარეო-პოლიტიკური ქმედებანი თავიანთი როლისა და გავლენის გაძლიერებისათვის სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონებში.

ტერმინი „გეოპოლიტიკა" პირველად იხმარა შვედმა მეცნიერმა რუდოლფ ჩელენმა XX ს-ის დასაწყისში. იგი აცხადებდა, რომ გერმანიისათვის აუცილებელია მისი შესაფერისი სასიცოცხლო სივრცის შექმნა, რაც მეზობელი პატარა-პატარა და სუსტი ერების ხარჯზე უნდა მოხდეს. ეს თეზისი დაედო საფუძვლად გერმანულ *გ-ს*, რომლის მამამთავარი კარლ ჰაუსჰოფერი იყო და რაც ჰიტლერული გერმანიის ოფიციალურ სახელმწიფო დოქტრინად იქცა.

პარალელურად *გ.* განვითარდა დასავლეთის სხვა ქვეყნებშიც, ძირითადად ინგლისსა და აშშ-ში. ამერიკელი ადმირალის ა. მეჰენის აზრით, იმის გამო, რომ მსოფლიო ოკეანე ერთიანი და უწყვეტი სივრცეა, ხოლო ზღვის ტრანსპორტი – ყველაზე უფრო იაფი და ეფექტური, ზღვაზე გაბატონებული მდგომარეობა მსოფლიოზე ბატონობას მოასნავებდა, ოლონდ საამისოდ უნდა შექმნილიყო უძლიერესი სამხედრო-საზღვაო ფლოტი და სამხედრო-საზღვაო ბაზების ხშირი ქსელი. ამ თეზისმა დიდი გავლენა იქონია აშშ-ის პოლიტიკაზე, კერძოდ, მისი სამხედრო-საზღვაო ძალების განვითარებაზე.

ინგლისელი გეოგრაფი ჰ. მაკინდერი ავტორია ე. წ. ჰარტლენდის თეორიისა, რომლის მიხედვით, ზღვაზე ბატონობა მართლაც ნიშნავდა მსოფლიოზე ბატონობას XV-XIX სს-ებში, მაგრამ XIX ს-ის ბოლოს ისტორიის საყრდენი წერტილი, ანუ ჰარტლენდი, კვლავ ხდება ცენტრალური აზია (სივრცე ურალიდან თითქმის წყნარ ოკეანემდე). ამიტომ ის სახელმწიფო, რომელიც გააკონტროლებს ტერიტორიას გერმანიიდან ციმბირამდე, იქნება კიდეც მსოფლიოს ჰეგემონი. ეს იდეა მხედველობაში მიიღეს ვერსალის კონფერენციაზე (1919), სადაც გათვალისწინებული იყო *ბუფერული სახელმწი-*

ფოების შექმნა გერმანიასა და რუსეთს შორის, რათა არ მომხდარიყო გერმანიისა და რუსეთის დაახლოება და მათ მიერ ჰარტლენდის კონტროლი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კომუნისტური რეჟიმების გამარჯვება და საბჭოთა კავშირის გაძლიერება ფაქტობრივად ნიშნავდა ჰარტლენდზე საბჭოთა კავშირის კონტროლის დამყარებას. ამერიკული *გ-ური* სკოლის მეორე წარმომადგენლის ნ. სპიკმენის თეორიით, ჰარტლენდის ნეიტრალიზაციის ერთადერთი საშუალება იყო მის გარშემო არსებული რკალის – ე. წ. შიდა ნახევარმთვარის, ანუ რიმლანდის (დასავლეთი ევროპა, ახლო აღმოსავლეთი, სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია) კონტროლი აშშ-ისა და დასავლეთის სხვა ქვეყნების მიერ, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფდა საბჭოთა, ანუ კომუნისტური საფრთხის ექსპანსიის შეჩერებას (*შეკავების პოლიტიკა*). ჰარტლენდ-რიმლანდის თეორია იყო ომის შემდგომი აშშ-ის საგარეო პოლიტიკის კონცეპტუალური ბაზა, ხოლო მისი პრაქტიკული განხორციელების იარაღს წარმოადგენდა ნატოს, სენტოს და სეატოს სამხედრო-პოლიტიკური *ბლოკების* შექმნა. სწორედ რიმლანდთან დაკავშირებით იჩინა თავი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის უმთავრესმა დაპირისპირებებმა (ბერლინი–კორეა–ახლო აღმოსავლეთი–ვიეტნამი).

სხვა ამერიკული *გ-ური* თეორიებიდან აღსანიშნავია ს. კოენის გეოსტრატეგიული არეალებისა და *გ-ური* რეგიონების თეორია, ი. გალტუნგის პანრეგიონებისა და ზესახელმწიფოების თეორია, ს. ჰანტინგტონის ცივილიზაციათა შეჯახების თეორია და სხვ. ალტერნატიულ *გ-ურ* თეორიებს მიეკუთვნება საფრანგეთის პრეზიდენტის შარლ დე გოლის გაერთიანებული ევროპის თეზისი და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს *მიუმხრობლობის* მოძრაობის თეზისი. რუსულ *გ-ურ* აზროვნებაში უკანასკნელ დროს განსაკუთრებით პოპულარულია ევრაზიანიზმის თეორია.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა ლიბერალიზაციას მოჰყვა მსოფლიო პოლიტიკაზე სამხედრო ფაქტორის განმსაზღვრელი როლის შედარებით შესუსტება და წინა პლანზე წამოიწია ეკონომიკური კეთილდღეობისა და სახელმწიფოთა კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების ფაქტორებმა. ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი დაასკვნის, რომ *გ.* იცვლება *გეოეკონომიკითა* და გეოინფორმაციით. თუმცა კომპოზიტის დასაწყისი ნაწილი „გეო“ მიგვანიშნებს, რომ გეოგრაფიულ ფაქტორს კვლავ დიდი როლი აკისრია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში.

გერბი (სახელმწიფო) განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც ამა თუ იმ სახელმწიფოს ოფიციალური ემბლემაა. გერბი გამოისახება შენობებზე, დროშებზე, ფულად ერთეულებზე, დოკუმენტებზე და ა. შ. გერბის შინაარსის დადგენა ხდება კონსტიტუციის ან სხვა სპეციალური კანონის საფუძველზე.

გერონტოკრატია მმართველობის სავარაუდო ფორმა პირველყოფილ საზოგადოებებში, როდესაც საზოგადოებას განაგებდა უხუცესთა საბჭო. მმართველობის ამგვარ ფორმას, მიუხედავად იმისა, რომ ის მართლაც გვხვდებოდა ზოგიერთ ხალხთან, არ ჰქონია უნივერსალური ხასიათი.

გერონტოსოციოლოგია სოციოლოგიური მეცნიერებების შედარებით ახალი და სწრაფად განვითარებადი დარგი. *გ-ის* თავისებურებაა მისი კავშირი სოციალურ გერონტოლოგიასთან – მეცნიერების კომპლექსურ განყოფილებასთან, რომელშიც დაბერებისა და სიბერის სოციალური ასპექ-

ტები შეისწავლება ეკონომიკის, დემოგრაფიის, ფსიქოლოგიის, ეთნოგრაფიის, სამართლის, სოციალური ჰიგიენის და სხვ. დისციპლინათა მონაცემებზე დაყრდნობით.

გამოკვლევები გერონტოლოგიაში წარმოებს სამი ძირითადი მიმართულებით. პირველ მიმართულებაში შეისწავლება ინდივიდის ბიოლოგიური და ფსიქიკური დაბერების სოციალური დეტერმინანტები. საერთოდ ამ მიმართულებისთვის დამახასიათებელია ყურადღების კონცენტრაცია დაბერებისა და სიბერის არაპიროვნულ მხარეზე.

მეორე მიმართულების გამოკვლევებში განიხილება ხანდაზმულ და ღრმად მოხუც ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფები და ერთობები (ფორმალური და არაფორმალური). ასეთი ჯგუფების შესწავლისას სოციოლოგები ცდილობენ განსაზღვრონ ხანდაზმულთა ადგილი, ფუნქციები და როლი ამ ჯგუფებში, მათი ურთიერთობა ჯგუფებთან მთლიანად და მათ ცალკეულ წევრებთან.

გერონტოლოგიის პრობლემათა მესამე მიმართულების შესწავლის საგანია მდგომარეობა ხანდაზმულებისა, განსაკუთრებული სოციალური და ასაკობრივი ჯგუფისა, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების სოციალური და დემოგრაფიული სტრუქტურის მნიშვნელოვან ელემენტს და გავლენას ახდენს სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტებსა და პროცესებზე, ხოლო თავის მხრივ, განიცდის საზოგადოების მრავალგვარ ზეგავლენას.

თეორიის სფეროში გერონტოლოგიის აქტუალური ამოცანაა სიბერისა და დაბერების ზოგადი სოციოლოგიური თეორიის შემუშავება.

ᲒᲔᲢᲝ სოციოლოგიაში ეს ცნება გამოიყენება ქალაქების იმ უბნების (რაიონების) აღსანიშნავად, რომლებიც გამოირჩევა ძალზე ღარიბი დასახლებებით, მომსახურების ობიექტების ძალზე მცირე რიცხვითა და აფრიკულ-ამერიკული წარმოშობის ადამიანების ჭარბი კონცენტრაციით. თავდაპირველად ეს ტერმინი გამოიყენებოდა ევროპის ქალაქების იმ უბნების მიმართ, რომლებიც დასახლებული იყო ებრაელებით, რომლებიც გამოცალკევებული იყვნენ ქალაქის დანარჩენი მოსახლეობისაგან.

ᲒᲔᲨᲢᲐᲚᲢᲘ მთელი, ტოტალობა *გ-ის* სინონიმებია. ტერმინი პირველად ფსიქოლოგიაში 1890 წ. შემოიტანა ქ. ფ. ერენფელსმა (აქედან: გეშტალტფსიქოლოგია, გეშტალტთერაპია). სოციოლოგიაში *გ-ის* ცნება გულისხმობს სოციალურ წარმონაქმნს, სტრუქტურას, რომელიც ცალკეული ნაწილებისგან შედგება. ამ ნაწილების ურთიერთდამოკიდებულება ქმნის *გ-ს*. *გ-ს* აქვს ის თვისება, რომელიც მის ცალკე აღებულ არც ერთ ნაწილს არ გააჩნია. სოციალური სტრუქტურა, როგორც მთელი, თავისი საკუთარი იდენტობით ხასიათდება. თვისება, რომელიც ინტეგრირებულ მთელს აქვს, მაგრამ მის ცალკეულ ნაწილებს არ გააჩნია, *გ-ის* ხარისხად იწოდება.

ᲒᲕᲐᲠᲘ, ᲢᲝᲛᲘ, ᲤᲠᲐᲢᲠᲘᲐ *გ.* სისხლით ნათესავთა ჯგუფია, რომლის წევრები თავიანთ წარმომავლობას დედის ან მამის მხრიდან საერთო წინაპარს (რეალურს ან მითიურს) უკავშირებდნენ და საერთო სახელწოდება ჰქონდათ. *გ.* წარმოიშვა პირველყოფილ ადამიანთა ჯოგიდან ქვედა და ზედა პალეოლითის მიჯნაზე. ეგზოგამიის წესის თანახმად, *გ-ს* არ შეეძლო დამოუკიდებელი არსებობა და *ტ-ში* იყო გაერთიანებული. *ტ.* წინაკლასობრივი საზოგადოების ეთნიკური და სოციალური ერთიანობის ტიპია, რომელსაც ახასიათებს წევრთა სისხლით ნათესაობითი კავშირი. იყოფა *გ-ად* და *ფ-ად*. აქვს საერთო სატომო ტერიტორია, ენა (დიალექტი),

ტომობრივი თვითშეგნება და ენდოგამია, განვითარებულ გვაროვნულ წყობილებაში – საკუთარი მმართველობა, რომელსაც სათავეში უდგას სატომო სამხედრო და სამოქალაქო საბჭო. *ტ-ს* აქვს თავისი კულტი და სატომო დღესასწაულები (იხ. აგრ. *ფრატრია*).

გვაროვნული საზოგადოება გვაროვნული თემისა და გვარის ურთიერთქმედებით აღმოცენებული საზოგადოება. ამ პერიოდში თავის უმაღლეს სტრუქტურულ დასრულებულობას აღწევს პირველყოფილი თემური ურთიერთობანი. საწარმოო ურთიერთობათა საფუძველს წარმოადგენდა საერთო საკუთრება წარმოების საშუალებებზე, რომლის ფარგლებშიც არსებობდა პირადი საკუთრება იარაღზე, საოჯახო ნივთებზე, ტანსაცმელსა და ა. შ. ის პირველყოფილი ურთიერთობები, რომლებიც არსებობდა კაცობრიობის ტექნიკური განვითარების საწყის საფეხურებზე, საკუთრების კოლექტიური ფორმების, რელიგიურ-მაგიური წარმოდგენების პირობებში, თანდათან გამოიდევნა ახალი სოციალური ურთიერთობებით (ან მოხდა მათთან ნაწილობრივი ადაპტირება) შრომის იარაღების, მეურნეობის ფორმების სრულყოფის, ოჯახურ-საქორწინო და სხვ. ურთიერთობების ევოლუციის შედეგად.

გლობალიზაცია ადამიანთა ერთობებს შორის სოციალურ ურთიერთობებში სახელმწიფო საზღვრების მნიშვნელობის შემცირების პროცესი, რომელიც მსოფლიო მასშტაბით მიმდინარეობს და საზოგადოებებისა და ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების ზრდას გამოხატავს. *გ-ის* თეორიის მომხრეები მიიჩნევენ, რომ *ცივი ომის* შემდეგ სახელმწიფოების მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობებში განუხრელად კლებულობს *საერთაშორისო ორგანიზაციების, ტრანსნაციონალური კორპორაციებისა* და საერთაშორისო პოლიტიკის სხვა არასახელმწიფოებრივი მოქმედი პირების სასარგებლოდ.

გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ სად მოხდეს ინდუსტრიის ლოკალიზება, უფრო მეტად მიიღება მთელი მსოფლიოს შესაძლებლობებთან მიმართებაში, ვიდრე ეროვნული სახელმწიფოების (*ერი-სახელმწიფოების*) კონტექსტში. თუ მანამდე საწარმოო ოპერაციები უპირატესად ხორციელდებოდა ნაციონალურ საფუძველზე, წარმოების *გ-მ* გამოიწვია ქარხნების ინტეგრაცია ერთიან სისტემაში, როდესაც პროდუქცია საბოლოო სახით აიწყობა მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში დამზადებული დეტალებისაგან. მსოფლიოს ფინანსური ბაზრები ერთმანეთთან დაკავშირებულია სწრაფი ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს კაპიტალისა და რესურსების უწყვეტ მიმოქცევას მსოფლიო მასშტაბით, და ეს არ არის ლიმიტირებული დროითი და სივრცული პარამეტრებით. ეკონომიკის *გ-ში* ბევრი რამ უხილავია ინდივიდებისათვის, მაგრამ მისი შედეგები აშკარა და რეალურია: ინდივიდებმა შეიძლება დაკარგონ ან მიიღონ სამუშაო იმ გადაწყვეტილებების შედეგად, რომლებიც მიიღება სხვათა მიერ ათასობით კილომეტრის დაშორებით, როდესაც მანიპულაცია ხდება გლობალური პერსპექტივის საფუძველზე. წარმოების *გ.* ხელს უწყობს პროდუქციის *გ-ს*, როდესაც მომხმარებელს ურჩევნია შეიძინოს მსოფლიოში აღიარებული პროდუქცია და არა ის, რაც შექმნილია ნაციონალური ბაზრისათვის. ამრიგად, ეკონომიკის *გ-ის* არსი ისაა, რომ ეროვნული სახელმწიფო (*ერი-სახელმწიფო*) უკვე აღარ არის ყველაზე მნიშვნელოვანი ერთეული მსოფლიო ეკონომიკაში.

გ. ოთხი პარალელური პროცესისაგან შედგება: *ინტერნაციონალიზაცია*

(სახელმწიფოებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდა), *ლიბერალიზაცია* (სახელმწიფოს როლის შემცირება), ვესტერნიზაცია (მთელ მსოფლიოში დასავლური ფასეულობებისა და კულტურის გავრცელება და აღიარება) და დეტერიტორიალიზაცია (სახელმწიფო საზღვრების მნიშვნელობის კლება). *გ.* ერთობლივად მიმდინარეობს პოლიტიკის, ეკონომიკის, სოციალურ და კულტურის სფეროებში. პოლიტიკაში *გ.* გამოიხატება საერთაშორისო ორგანიზაციების როლის ზრდით, საერთაშორისო პოლიტიკის ახალი, გლობალური პრობლემების გაჩენითა და მათი ერთობლივი გადაწყვეტით (გარემოს დაცვა, ადამიანის უფლებები, საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება). ეკონომიკური კუთხით *გ-ის* ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი საერთაშორისო ფინანსების განვითარება და თითოეული ქვეყნის მოქალაქეებზე საერთაშორისო კერძო კაპიტალის გავლენის ზრდაა. სოციალური კუთხით, *გ.* დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებების (განსაკუთრებით, ტრადიციული საზოგადოებების) ტრანსფორმაციაზე. კულტურის თვალსაზრისით, *გ-ის* თეორეტიკოსები აღნიშნავენ მსოფლიოში კულტურული ერთგვაროვნების ზრდას, საერთო პოპულარული მასობრივი კულტურის ჩასახვასა და განვითარებას.

სკეპტიკოსების აზრით, *გ-ის* პროცესი მოჩვენებითია, *გ-ისა* და ფრაგმენტაციის ტენდენციები მსოფლიო პოლიტიკას განვითარების ყველა ეტაპზე ახასიათებდა და, ამგვარად, მას საერთაშორისო ურთიერთობებში თვისებრივი სიახლე არ შეუტანია. დღეს ხდება არა ეროვნული სახელმწიფოების (*ერი-სახელმწიფოების*) გაქრობა, არამედ ეკონომიკისა და კულტურის *ინტერნაციონალიზაცია*, რომელიც დაფუძნებულია ეროვნულ სახელმწიფოებს შორის ინტენსიურ და მზარდ კავშირებზე, რაც მსოფლიოს იდენტურობის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა.

გლობალიზმი მსოფლიო პოლიტიკის სამეცნიერო კვლევის ერთ-ერთი პარადიგმული მიდგომა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას საერთაშორისო ურთიერთობების *გ-ურ* ხასიათს ანიჭებს. გლობალისტები მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო პოლიტიკის უკეთ გაგებისათვის აუცილებელია მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე პროცესების ერთიანი სურათის წარმოდგენა. საერთაშორისო სისტემის განმსაზღვრელ თვისებად გლობალისტები კაპიტალისტურ ურთიერთობებს ასახელებენ. მათი აზრით, მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა სახელმწიფოთა ქმედებების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია, ანუ სახელმწიფოები საერთაშორისო პოლიტიკაში არა დამოუკიდებელ, არამედ დამოკიდებულ ცვლადებს წარმოადგენენ. *გ.* ყურადღებას აქცევს დომინირების მექანიზმების შესწავლას და განვითარებულ „ჩრდილოეთსა“ და განვითარებად „სამხრეთს“ შორის დაქვემდებარება-დომინირების ურთიერთობების კვლევითაა დაკავებული. *გ.* საერთაშორისო ურთიერთობებში წამყვან ადგილს ეკონომიკურ ფაქტორებს ანიჭებს. გლობალისტები სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობების მარქსისტულ ხედვას ანიჭებენ უპირატესობას. *გ.* რეალისტური და *პლურარისტური* (რაციონალისტური) მიდგომებისაგან განსხვავდება. მარტინ უაიტი *გ-ს* რევოლუციონიზმად მოიხსენიებს.

გლობალური პრობლემები თანამედროვეობის ზოგადსაკაცობრიო პრობლემები, რომლებიც საერთოა მთელი მსოფლიოსათვის, ყველა რეგიონისა და ქვეყნისათვის და მათი გადაჭრა მხოლოდ მთელი კაცობრიობის ძალისხმევით არის შესაძლებელი.

ცალ-ცალკე სახელმწიფოები უძლურნი არიან, ინდივიდუალურად ებრძოლონ ამ პრობლემებს, ამასთანავე, ნებისმიერი *გ. პ.* პირდაპირ ან ირიბად ეხება ყოველ სახელმწიფოს. *გ. პ-ს* მიეკუთვნება ბირთვული ომის თავიდან აცილებისა და საყოველთაო მშვიდობის დამყარების პრობლემა, საერთაშორისო ურთიერთობების მშვიდობიანად განვითარება, სოციალური განვითარება და ეკონომიკური ზრდა, სიღარიბის, შიმშილის, უმუშევრობის ლიკვიდაციისთვის ბრძოლა, ნედლეულისა და სურსათის პრობლემები; ეკოლოგიური პრობლემები: ატმოსფეროს, წყლის, ნიადაგის დაბინძურება, ტყის საფარის შემცირება, გაუდაბნოება, მიწების ეროზია; დემოგრაფიული პრობლემები, მათ შორის მოსახლეობის უკონტროლო ზრდა, საერთაშორისო ტერორიზმი, ნარკობიზნესი და ა. შ. გლობალიზაციის ეპოქაში *გ. პ.* და მათი გადაჭრისათვის ბრძოლა კაცობრიობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა გახდა, რაზეც მეტყველებს ამ საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციების, კონვენციებისა და ხელშეკრულებების რიცხვის სწრაფი ზრდა უკანასკნელ წლებში.

დ

დაბალი პოლიტიკა ქვეყნის *საგარეო პოლიტიკის* საკითხები, რომლებიც *ეროვნული ინტერესების* უმნიშვნელოვანეს პრობლემას არ წარმოადგენს. *დ. პ-ის* საკითხებს არა სახელმწიფოს უმაღლესი პირები, არამედ ბიუროკრატია უძღვება. ამა თუ იმ საკითხის *დ. პ-ის* სფეროსთვის მიკუთვნება კონკრეტული საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე ხდება.

დაზვერვა სახელმწიფოს მოღვაწეობის ერთ-ერთი სფერო, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკის სხვა მოქმედი პირების შესაძლებლობებისა და განზრახვების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას ითვალისწინებს. დ. შეიძლება იყოს ღია (მასმედიისა და დიპლომატიური წყაროების გამოყენებით) ან ფარული, სტრატეგიული ან არასტრატეგიული. *დ-ის* მთავარი მიზანია მონაცემების შეგროვება, გაანალიზება და შეფასება სახელმწიფო ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მიღების გასაადვილებლად. *დ-ს* უკავშირდება კონტრდაზვერვა (სხვათა მიერ ინფორმაციის შეგროვებისთვის ხელის შეშლა), გაცურება (დეზინფორმაციის გავრცელება) და ფარული ქმედებები (ძირგამომთხრელი საქმიანობა). *დ-ის* შემადგენელი ნაწილებია ტექნიკური დ. და ადამიანური დ. (ჯაშუშობა). *დ-ის* ტექნიკური საშუალებების განვითარებას ჯაშუშობის როლი არ დაუკარგავს, რადგან ბოლო ათწლეულებში პრობლემა ხდება არა იმდენად ინფორმაციის მოპოვება, რამდენადაც მისი სწორი ანალიზი. ადამიანური ფაქტორის როლი ინფორმაციის მნიშვნელობის შეფასებისას ჯერაც შეუცვლელია.

დაკვირვება ფართო მნიშვნელობით, სამყაროს შემეცნების ხერხი. ყოველდღიური, ჩვეულებრივი დ. ადამიანებს გარე სამყაროს შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალებას აძლევს.

მეცნიერული დ. მიმართულია გარკვეული მიზნის მისაღწევად – გამოკვლევის ამოცანების გადაწყვეტისათვის აუცილებელი სპეციფიკური ინფორმაციის მისაღებად. მას ახასიათებს სისტემატურობა, გეგმაზომიერება და კონტროლი. დ., როგორც ინფორმაციის შეგროვების მეთოდი, მრავალ მეცნიერებაში გამოიყენება (როგორც საბუნებისმეტყველო, ისე სოციალურ მეცნიერებებში). სოციალურ მეცნიერებებში დ-დ ითვლება ნებისმიერი საველე პროცედურა (გამოკითხვა, დოკუმენტური მონაცემების

შეგროვება, ვიზუალური დ.), რომელიც ინფორმაციის მიღების პირდაპირი, უშუალო გზაა.

სოციოლოგიაში დ. პირველადი სოციალური მონაცემების მოპოვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია. მისი საშუალებით ხდება შესასწავლი ობიექტის უშუალო აღქმა და გამოკვლევის მიზნებისთვის მნიშვნელობის მქონე სოციალური ფაქტების (*დ-ის* ერთეულების) პირდაპირი რეგისტრაცია. პირველადი საველე (ან ლაბორატორიული) დოკუმენტია *დ-ის* დღიური, სადაც ხდება როგორც ჩვეულებრივი, ისე ექსტრემალური სიტუაციების დაფიქსირება (რეგისტრაცია).

დ-ის მეთოდის გამოყენების სფერო ძალიან ფართოა. დ. შესაძლებელია ადამიანთა პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ მოვლენებსა და ცვლილებების ხილულ, გარეგან ნიშნებზე. იგი სხვადასხვა სიტუაციაში ცალკეული პირებისა და ჯგუფების ქცევის, კომუნიკაციის პროცესში საუბრის შინაარსის, მეტყველების ხასიათის, მიმიკისა და ჟესტების შესწავლისა და ანალიზის საშუალებას იძლევა. *დ-ის* მეთოდის ერთ-ერთი უპირატესობა ისაა, რომ გარკვეული ინდივიდების, ჯგუფების მოქმედებების რეგისტრირება ხდება მათი განხორციელების დროს, ასევე შესაძლებელია იმ მოვლენების დაფიქსირება, რომლებიც გამოკვლევის ჩატარების დროს ხდება. *დ-ის* ობიექტი შეიძლება იყოს საზოგადოება, სოციალური ერთობა, ჯგუფი, ინდივიდი, სოციალური პროცესები, მოვლენები, მოქმედებები.

სოციოლოგიურ გამოკვლევებში დ. გამოიყენება როგორც დამოუკიდებელ, ისე დამხმარე მეთოდად. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამუშაო ჰიპოთეზების შემუშავებისა და მათი შემოწმების, აგრეთვე სხვა მეთოდებით მიღებული ინფორმაციის დაზუსტებისა და დამატებითი მონაცემების მოპოვების მიზნით. როგორც დაზვერვით, ისე ანალიტიკურ და ექსპერიმენტულ გამოკვლევებში დ. ინფორმაციის შეგროვების მნიშვნელოვანი მეთოდია.

არსებობს *დ-ის* მეთოდის სხვადასხვა სახე. *დ-ის* კლასიფიკაცია რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით შეიძლება: I. ფორმალიზაციის ხარისხის მიხედვით: 1. ფორმალიზებული (კონტროლირებული, სტანდარტიზებული, სტრუქტურიზებული – ყველა ეს ტერმინი ფორმალიზებულის სინონიმია), 2. არაფორმალიზებული (არაკონტროლირებული, არასტანდარტიზებული, არასტრუქტურიზებული), 3. ნახევრად ფორმალიზებული; II. ჩატარების ადგილის მიხედვით: 1. საველე, 2. ლაბორატორიული, 3. ლაბორატორიულ-საველე; III. დაკვირვების დროის რეგლამენტაციის მიხედვით: 1. სისტემატური და 2. არასისტემატური (ხანმოკლე). (თავის მხრივ, არასისტემატური დ. იყოფა ეპიზოდურ და შემთხვევით *დ-ად*); IV. მკვლევრის მონაწილეობის ფორმის (პოზიციის) მიხედვით: 1. ჩართული (მონაწილე, დ. შიგნიდან) და 2. ჩაურთველი (დ. გარედან). ჩართული (მონაწილე) *დ-ის* სახეებია: გამჟღავნებული (ღია) და გაუმჟღავნებელი (ინკოგნიტო, ანონიმური). გარედან *დ-ც* შეიძლება იყოს გამჟღავნებული ან ინკოგნიტო. ზოგი სოციოლოგი *დ-ის* ცალკე სახედ მიიჩნევს თვითდაკვირვებას.

თვისებრივ სოციოლოგიაში *დ-ს* ხშირად საველე გამოკვლევას უწოდებენ. ტრადიციულ სოციოლოგიასა და თვისებრივ სოციოლოგიაში *დ-ის* მეთოდით მონაცემების შეგროვების პროცედურა და გამოკვლევის ჩატარების პრინციპები დიდად არ განსხვავდება. ერთადერთი განსხვავება ორ მიდგომას (რაოდენობრივსა და თვისებრივს) შორის ისაა, რომ თვისებრივი მიდგომის დროს ხდება ნომინალური (აღწერითი, არარაოდენობრივი) მახასიათებლების ფიქსირება და ობიექტის უფრო ბუნებრივი, არასტრუქტურული განხილვა.

დანაშაულის სოციოლოგია მეცნიერული დისციპლინა, რომელიც აღწერს და ხსნის დანაშაულს სოციოლოგიური თეორიისა და მეთოდების დახმარებით. მისი კვლევის საგანია ადამიანის ქცევის გარკვეული ფორმები საზოგადოებაში არსებულ ნორმებთან მიმართებაში, რომელთა დარღვევაზე რეაგირებს საზოგადოება. *დ. ს.* ხშირად ესმით როგორც გადახრითი ქცევის სოციოლოგიის ერთ-ერთი ნაწილი.

დ. ს. საწყისს იღებს რუსი სტატისტიკოსის კ. გერმანის, ბელგიელი კ. დიუკპეტის, ფრანგი ა. გერის გამოკვლევებიდან. მის ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის კეტლეს (1796-1874). სოციოლოგიაში არსებობს დანაშაულის ახსნის ორი ძირითადი პარადიგმა – ეტიოლოგიური და დეფინიციური. პირველში დანაშაული განიხილება როგორც „მზა" აქტი, მკვლევრის ყურადღება კონცენტრირდება იმ პროცესების შესწავლაზე, რომლებსაც მივყავართ ამა თუ იმ მოქმედების, აქტის, როგორც დანაშაულის ახსნა-გაგებასა და პიროვნებისაკენ, როგორც დამნაშავისაკენ. პირველ პარადიგმაში ყველაზე დიდი ყურადღებით სარგებლობს რ. მერტონის მიერ XX ს-ის 30-იან წლებში შემუშავებული *ანომიის* თეორია. ანომია („უნორმობის" მდგომარეობა) გამოცხადებულია, როგორც საზოგადოების ღირებულებით სტრუქტურასა და სოციალურ ორგანიზაციას შორის კონფლიქტის შედეგი. ეს კონფლიქტი აღმოცენდება კულტურულად აღიარებულ მიზნებსა და მათი მიღწევის ინსტიტუციონალურად დადგენილ საშუალებებს შორის. *ინოვაცია* და *ამბოხი*, როგორც უკიდურესი რეაქცია ამ კონფლიქტზე, დანაშაულის საფუძველი ხდება.

მერტონის ანომიის თეორიის ნაკლოვანებების გამოსწორება სცადა ე. სათერლენდმა ე. წ. დიფერენციალური კავშირის თეორიით. მის მიხედვით, დანაშაულის მიზეზები უნდა ვეძებოთ საზოგადოების არა სოციალურ-კულტურული ორგანიზაციის დონეზე, არამედ იმ უახლოეს სოციალურ გარემოში, სადაც ყალიბდებოდა დამნაშავე.

ეტიოლოგიური ანუ მიზეზობრივი პარადიგმა ჩამოყალიბდა სოციალურ-კულტურული მიდგომის ჩარჩოებში, სიმბოლური ინტერაქციონიზმის საფუძველზე. ამ თეორიის მიხედვით, დანაშაული განიხილება არა როგორც იმთავითვე ადამიანში ან მის ქცევაში ჩადებული თვისება, არამედ როგორც მისი შეფასება და კატეგორიზაცია საზოგადოების მხრიდან. როცა შეფასება და კატეგორიზაცია დამთავრებულია, პიროვნება ან ქმედება აღინიშნება როგორც დანაშაულებრივი, იღებს ერთგვარ იარლიყს, ეტიკეტს (ინგლ. label), ამიტომ დეფინიციურმა პარადიგმამ მიიღო აგრეთვე label approach სახელწოდება.

დასახელებული ორივე პარადიგმის ცალმხრივობის გაცნობიერებამ XX ს-ის 70-80-იან წლებში წარმოშვა ე. წ. „კრიტიკული" („რადიკალური") კრიმინოლოგია, რომელიც ორიენტირებულია დანაშაულის სოციალურ მიზეზებზე.

XX ს-ის 50-იან წლებში ა. კოენმა დელიკვენტური სუბკულტურების თეორიის შემუშავებით მოახდინა დასახელებული თეორიების სინთეზი, მის საფუძველზე კი რ. კლაუორდმა და ლ. ოულინმა შექმნეს დიფერენციალური შესაძლებლობების თეორია, რომელიც აღწერდა დელიკვენტური სუბკულტურების სტრუქტურულ-ინტეგრაციულ ასპექტებს. (იხ. *სამართლის სოციოლოგია, ვიქტიმოლოგია*).

დაქვემდებარება *საერთაშორისო ურთიერთობების* თეორიაში *გლობალიზმის* პარადიგმის ერთ-ერთი თეორია, რომელიც განვითარებადი ქვეყნების ჩამორჩენის მიზეზებს განვითარებული ქვეყნების მხრიდან დომინი-

რებაში ეძიებს. ტერმინი *დ. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის* კვლევის სფეროს განეკუთვნება. ამ თეორიის კვლევის მთავარ საგანს მდიდარ ჩრდილოეთსა და შედარებით ჩამორჩენილ სამხრეთს შორის ძალაუფლების ასიმეტრია წარმოადგენს. *დ-ის* პარადიგმამ განსაკუთრებული გავლენა ლათინური ამერიკის მკვლევრებს შორის XX ს-ის 60-იანი წლებიდან მოიპოვა, როდესაც ისინი ამერიკის ორივე კონტინენტის სახელმწიფოებს შორის ძალაუფლებისა და *დ-ის* საკითხებით დაინტერესდნენ. *დ-ის* თეორია უარყოფდა *ლიბერალიზმის* ძირითად პრინციპებს და ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის (NIEO – New International Economic Order) თეორიულ საფუძველს ქმნიდა XX ს-ის 70-იანი წლების განმავლობაში.

დაშინება *საერთაშორისო ურთიერთობებში* სამხედრო ძალის ერთ-ერთი ფუნქცია, რომელიც არასასურველი ქცევის შემთხვევაში მოწინააღმდეგისთვის სამაგიეროს გადახდისა და მისი დასჯის მუქარას გულისხმობს. დ. ძალისმიერი ურთიერთობების ცალკეული მაგალითია, რომელიც მხოლოდ ნეგატიურ სანქციებს მოიცავს. დ., როგორც სტრატეგია, რეალიზმის კვლევის ერთ-ერთი მთავარი საგანია. მის კვლევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ბირთვული იარაღის გამოგონებამ შეიტანა, რადგან ბირთვული დ., მისი ორმხრივი გამანადგურებელი ხასიათის გამო, არცთუ მთლად სანდო *საგარეო პოლიტიკური* ინსტრუმენტი გამოდგა. *დ-ის* სტრატეგიის გამოყენებისას მთავარი ხდება მუქარის სანდოობა, ანუ პროცესი, რომლითაც მუქარას მნიშვნელობა ენიჭება.

დაშოშმინება ტერმინი თავდაპირველად გამოიყენეს მიუნხენის შეთანხმების აღსანიშნავად (1938), რაც ჩეხოსლოვაკიის დანაწილებასა და გერმანიისათვის აღმოსავლეთ ევროპაზე მბრძანებლობის უფლების მიცემას გულისხმობდა. ამ ტერმინმა უარყოფითი ელერადობა შეიძინა, რადგან იგი დიდი ქვეყნების მიერ დიქტატორული რეჟიმის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით პატარა ქვეყნის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მსხვერპლად შეწირვის სინონიმად იქცა. ომის შემდგომ წლებში აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში *დ-ს* იყენებდნენ სირცხვილის, სისუსტისა და სილაჩრის აღსანიშნავად. საერთაშორისო ურთიერთობების ტრადიციულ თეორიებში დ. ასეთი მნიშვნელობით არ აისახება. იგი რეალისტური მიდგომით ძალთა წონასწორობის პროცესის ინტეგრალური ნაწილია, რომლის მიზანიც დიდი სახელმწიფოების კონფლიქტის თავიდან აცილებაა, სადაც შეიძლება საერთოდ იქნეს უგულებელყოფილი პატარა ქვეყნების ინტერესები.

დევიაცია იმ ქცევის აღნიშვნა, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში აღიარებულ ნორმებს. რობერტ მერტონის აზრით, დევიანტური მოქმედება წარმოიქმნება მაშინ, როდესაც *საზოგადოებაში (კულტურაში)* აქცენტირებული მიზნების მიღწევა ხდება სოციალურად დაუშვებელი (არანორმალური, არაინსტიტუციური), თუმცა, შესაძლოა, ტექნიკურად ეფექტური საშუალებების გამოყენებით. დ. სოციალურად კონსტრუირებული მოქმედებაა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ არ არსებობს ქმედება, რომელიც თავისთავად, სოციალური კონტექსტისაგან განყენებულად, არანორმალურია (ნორმიდან გადახრილია), ანუ დასაგმობია ნებისმიერი საზოგადოების მიერ ნებისმიერ დროს. პირიქით, დ. სიტუაციური და კონტექსტუალურია. მაგალითად, ადამიანის მოკვლა დევიანტურია ჩვეულებრივ (მშვიდობიან) სიტუაციაში, მაგრამ ნორმალურია, მეტიც – მოითხოვება *ომის* კონტექსტში.

ამდენად, ყველა სოციალური ქმედება იმართება და რეგულირდება წესების საფუძველზე, მაგრამ, ჯერ ერთი, თავად წესებია სხვადასხვა განსხვავებული კონტექსტისათვის და, მეორეც, ისინი ცვალებადია და მუდმივად ვარირებს სოციალურ დროსა და სივრცეში. აქ ჩნდება კიდევ ერთი პრობლემა: შესაძლოა, ინდივიდის ესა თუ ის ქმედება ფორმალურად განიხილებოდეს როგორც დევიანტური, მაგრამ მას მაინც არ „მიეკერის" დევიანტის იარლიყი, რამდენადაც, გარემოების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი აზრი არ აღიარებს ნორმის დარღვევად (იხ. *სტიგმატიზაცია, დელინკვენტობა, სოციალური კონსტრუქტივიზმი*).

დეიდეოლოგიზაცია ცნება, რომელმაც გააერთიანა XX ს-ის 50-იან წლებში დასავლეთში ფართოდ გავრცელებული სოციალურ-ფილოსოფიური კონცეფციები „იდეოლოგიების დასასრულის" და მისგან თავისუფალი, წმინდა მეცნიერების შექმნის შესახებ. მას მხარს უჭერდნენ და ავითარებდნენ დასავლეთის ცნობილი მეცნიერები: ტ. პარსონსი, ე. შილზი, დ. ბელი, ს. ლიპსეტი, ლ. არონი და სხვ. *დ-ის* თეორიის წინამორბედ თეორეტიკოსებად შეიძლება ჩაითვალონ ო. კონტი, გ. რიკერტი, ე. დიურკემი და სხვ. კონცეფციის შინაარსი საკმაოდ ეკლექტიკურ ხასიათს ატარებს. მისი თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა მ. ვებერის, კ. მანჰეიმის, ტ. პარსონსის იდეებმა, ხოლო ეკონომიკური საფუძვლები აგებული იყო ინდუსტრიული საზოგადოებისა და კონვერგენციის თეორიის დებულებებზე. დემოკრატიის პირობებში სხვადასხვა სოციალური ჯგუფები თავიანთ უფლებებს კანონიერი გზით იცავენ სხვადასხვა დონის სახელისუფლებო ორგანოებში (უმაღლესი ორგანოების ჩათვლით) წარმომადგენლობის საშუალებით. ამით საზოგადოებაში კონსენსუსის მიღწევა ხდება და იდეოლოგიების ბრძოლის საჭიროება აღარ არის. მით უმეტეს, რომ დასავლეთის საზოგადოებაში კრახი განიცადა მემარცხენე იდეებმა, რადგან მათ სრულად ამოწურეს თავიანთი თავი. XX ს-ის 60-იან წლებში „ახალი მემარცხენეების" ფართოდ გაშლილმა მოძრაობამ და სოციალურ-პოლიტიკურმა კონფლიქტებმა *დ-ის* კონცეფციის მთელი რიგი მომხრეები აიძულა გადაეხედათ თავიანთი შეხედულებებისათვის და ისინი მცდარად ელიარებინათ, განსაკუთრებით ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტებში. თუმცა გნოსეოლოგიურ ჭრილში სოციალური ცოდნის ობიექტურობის პრობლემების გადაჭრის მცდელობები გრძელდება. 70-იან წლებში კვლავ წარმოიქმნა მეცნიერებისა და იდეოლოგიის შეთავსებადობის საკითხი, ახლა უკვე რეიდეოლოგიზაციის კონცეფციის ბაზაზე. მისი მომხრეები თვლიან, რომ იდეოლოგიისათვის მიუღებელია ჭეშმარიტებისა და ობიექტურობის კრიტერიუმები; საზოგადოებისათვის მისი მნიშვნელობა საზოგადოების წევრებზე იდეოლოგიის ზემოქმედების ხარისხიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს კულტურის ფარგლებში.

დეკლარაცია რაიმეს გამოცხადება.

დეკოლონიზაცია პროცესი, რომლითაც ბოლო ელება ევროპის სახელმწიფოების მიერ ზღვის გაღმა ტერიტორიებისა და ხალხების კონტროლს. შესაბამისად, წარმოიქმნება ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ამ მრავალრიცხოვანი, ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფოების საერთო სახელწოდებაა *მესამე სამყარო* და ეს ტერმინი ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო ურთიერთობების ამ ახალი აქტორების აღსანიშნავად.

ძირითადი ქვეყნები, რომლებმაც

გაათავისუფლეს კოლონიები, ევროპაში მდებარეობს. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი. დიდი ბრიტანეთის ყოფილმა კოლონიებმა, პროტექტორატებმა და დომინიონებმა ჩამოაყალიბეს ერთა თანამეგობრობა დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელობით, რომლის წევრთა შორის შელავათიანი სატარიფო სისტემაა. საფრანგეთის სამფლობელოების დ. უფრო მტკივნეულად წარიმართა და ზოგან (ალჟირი, ვიეტნამი) ხანგრძლივი და სისხლიანი ომები გამოიწვია.

დ-ის პროცესით ყოფილი *მეტროპოლიების* ჩარევა ყოფილი კოლონიების საქმეებში არ მთავრდება. თუმცა პირდაპირი პოლიტიკური კონტროლი აღარ ხორციელდება, მაგრამ არაფორმალური საშუალებებით ხდება გავლენის შენარჩუნება და ზოგჯერ გავლენის გაძლიერებაც კი *მესამე საფეხურის* ქვეყნების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე.

დეკრეტი საკანონმდებლო აქტის ნაირსახეობა, რომელიც გამოცემულია სახელმწიფოს მეთაურის, მინისტრის ან სხვა მაღალი რანგის მოხელის მიერ და რომელსაც არ გაუვლია განხილვა პარლამენტში. *დ-ის* პრაქტიკა გავრცელდა კონტინენტურ დემოკრატიულ ქვეყნებში საფრანგეთის ზეგავლენით. მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუციის 47-ე მუხლის მიხედვით, თუ პარლამენტმა არ მიიღო გადაწყვეტილება ბიუჯეტის თაობაზე 70 დღის განმავლობაში, ბიუჯეტი ავტომატურად ექცევა *დ-ის* მოქმედების ზონაში და მასზე გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს პრეზიდენტმა. ამ გადაწყვეტილების შემდეგ პარლამენტს აღარ შეუძლია *დ-ის* განხილვა, მაგრამ თუკი პრეზიდენტი ბიუჯეტში ცვლილებებს შეიტანს, ეს პარლამენტთან უნდა იყოს შეთანხმებული.

დელეგირება გულისხმობს პოლიტიკური ჯგუფის, ორგანიზაციის ან სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ პირის ან პირთა ჯგუფის ნდობით, უფლებებითა და ვალდებულებებით აღჭურვას გარკვეული სამუშაოს განსახორციელებლად. პირი, რომელსაც მეორე პირი, პირთა ჯგუფი ან ორგანიზაცია ანიჭებს უფლებას, იმოქმედოს მისი სახელით, იწოდება დელეგატად ან უბრალოდ წარმომადგენლად. დელეგატსა და ნდობით აღმჭურველთა შორის ურთიერთობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: დელეგატი წარიგზავნოს შეხვედრაზე მხოლოდ როგორც დამკვირვებელი, გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლების გარეშე, ან პირიქით, დელეგატს შეიძლება მინიჭებული ჰქონდეს ასეთი უფლება. ყველა შემთხვევაში დელეგირება ყოველთვის გულისხმობს ამა თუ იმ პირის აღჭურვას უფლებამოსილებით, მის ანგარიშვალდებულებასა და პასუხისმგებლობას ამომრჩეველთა წინაშე.

დელინკვენტობა ამ ცნებით აღინიშნება არალეგალური ან ანტისოციალური ქმედებები, რომლებიც მოიცავს უამრავ, სხვადასხვა ხასიათის სამართლებრივ და სოციალურ ნორმათა დარღვევას. *დ-ის* სოციოლოგიური ანალიზი ფოკუსირდება კრიმინალური *დ-ის* ხარისხზე, რომელიც უკავშირდება მამრობითი სქესის მოზარდებს 12-დან 20 წლამდე და მოიცავს მაღალი რანგის სისხლის სამართლის დანაშაულებს. *დ-ის* პრობლემის პირველი სისტემატური კვლევა უკავშირდება ჩიკაგოს სკოლას (პარკი, ბურგესი) XX ს-ის 20-იან წლებში, როდესაც მოხდა „საძმოების", ბანდებისა და სხვა დაჯგუფებების ემპირიული შესწავლა ქალაქური უბნების გარემოში („სოციალური ლაბორატორია"). ფაქტობრივად ეს იყო დელინკვენტური სუბკულტურების კვლევა, როდესაც ჯგუფში ურთიერთობის მეტ-ნაკლებად მყარი

მოდელები (სტრუქტურა) და ღირებულებები განსაზღვრავს დამნაშავედ ქცევის სოციალიზაციის პროცესს. დელინკვენტური ქცევის სხვაგვარი ინტერპრეტაცია მოახდინა დ. მაცამ, რომელმაც შემოიტანა „დელინკვენტური დრეიფის" ('delinquent drift') ცნება. მაცას თანახმად, ინდივიდები ჩართულები არიან არა დევიანტური სუბკულტურის საქმიანობაში, არამედ თანდათანობით ახდენენ საზოგადოების მიერ გაზიარებული მორალური მიზნებისა და ნორმების „ნეიტრალიზებას", სუბიექტურად განსაზღვრავენ რა მათ როგორც მიუღებელსა და არაარსებითს. ამ დროს ინდივიდი თავს უფლებას აძლევს ჩაიდინოს არაკანონიერი ქმედებები ისე, რომ არ განიცადოს დანაშაულის ან სირცხვილის გრძნობა.

დემარში ერთი სახელმწიფოს ხელისუფლების ან დიპლომატიური წარმომადგენლობის დემონსტრაციული დიპლომატიური ქმედება მეორე სახელმწიფოს ხელისუფლების მიმართ. *დ-ის* კონკრეტული შინაარსი სხვადასხვა ხასიათისა შეიძლება იყოს, მაგ.: თხოვნის, პროტესტის, წინადადების, შეთავაზებისა და სხვ. დ. ხორციელდება *ნოტის, მემორანდუმის* ან განცხადების ფორმით. თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ პრაქტიკაში ტერმინმა შეიძინა მწვავე პოლიტიკური განცხადების ან აქციის მნიშვნელობა.

დემილიტარიზაცია საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე ამა თუ იმ ტერიტორიაზე სამხედრო გამაგრებათა და შენობა-ნაგებობათა ლიკვიდაცია, მასზე სამხედრო ბაზებისა და შეიარაღებული ძალების განლაგების აკრძალვა, რაც ხშირად მიზნად ისახავს ტერიტორიული დავის შეჩერებას. გამონაკლისი შეიძლება დაიშვას იმ სამხედრო ძალებისათვის, რომლებიც მშვიდობის დაცვას ემსახურებიან (მაგ., გაეროს სამშვიდობო ძალები). მთლიანად დემილიტარიზებულია ანტარქტიკა, ალანდის კუნძულები, შპიცბერგენი, მთვარე და სხვა კოსმოსური სხეულები, ხოლო ნაწილობრივ – აფრიკა, ლათინური ამერიკა და სხვ. დემილიტარიზებული ტერიტორია ზოგჯერ ნეიტრალურ ზონად ცხადდება, ე. ი. იკრძალება მისი გამოყენება საომარი მოქმედების ასპარეზად. ამასთანავე, ის ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს დემილიტარიზებული ზონა, როგორც წესი, ნეიტრალურ, ანდა მიუმხრობელ საგარეო პოლიტიკას უნდა ატარებდეს.

დემოკრატია საზოგადოების პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, სახელმწიფოსა და ხელისუფლების, პოლიტიკური რეჟიმის პროგრესული ფორმა. რადგანაც ხალხი იშვიათად გამოხატავს ერთნაირ იდეას, ამიტომ „დემოკრატია" როგორც აღწერითი ტერმინი, შეიძლება ჩავთვალოთ „უმრავლესობის მმართველობის" სინონიმად. შემდგომში, XVIII ს-ში, როდესაც ტერმინი კვლავ შემოვიდა ხმარებაში, უმრავლესობა, ვინც ამ ტერმინს ხმარობდა, წინააღმდეგი იყო ეწოდებინათ დემოკრატია იმისათვის, რასაც აქამდე უწოდებდნენ. დღეს ხშირად რეჟიმები, რომლებიც არანაირად არ შეიძლება ჩავთვალოთ დემოკრატიულად, სწორედ ასე უწოდებენ თავიანთ თავს (მაგ., ყოფილი კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკა). ყველაზე უფრო საკამათოა შემდეგი საკითხები: ვინ ითვლება „ხალხად" და რა არის უმრავლესობა? ძველი ათენის მმართველობა დემოკრატიულად ითვლებოდა (დაახლოებით ძვ. წ. 500-დან 330 წ-მდე), რადგანაც ყველა მოქალაქეს შეეძლო მიეღო მონაწილეობა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში. მაგრამ „ყველა მოქალაქე" არ გულისხმობდა „ყველა სრულწლოვანს". ქალები, მონები და ქალაქში მცხოვრები უცხოელები (მათ შორის წარმოშო-

ბით სხვა ბერძნული ქალაქებიდან „გადმოსახლებულები“, ე. წ. მეტეკები) ასეთ უფლებას მოკლებულნი იყვნენ. ასე რომ, საბოლოოდ კენჭისყრაში სრულწლოვანი მოსახლეობის მეოთხედი იღებდა მონაწილეობას. მიუხედავად ამისა, თანამედროვე მკვლევრები ათენს „დემოკრატიულ“ სახელმწიფოდ მიიჩნევენ. ასეთივე მიდგომაა თანამედროვე სახელმწიფოების მიმართაც – ის სახელმწიფოები, სადაც მამაკაცების საკმაო რაოდენობას აქვს ხმის უფლება – დემოკრატიულად ითვლება. მაგ., დიდ ბრიტანეთში 1918 წ-მდე (ამ წელს ხმის უფლება მიიღეს ქალებმა) ხმის უფლება ჰქონდა მოსახლეობის ნახევარს, მაგრამ ეს წელი არ არის მიჩნეული ქვეყნის დემოკრატიულ სახელმწიფოდ გადაქცევის თარიღად. მოსახლეობის რა მინიმალურმა ნაწილმა უნდა მიიღოს კენჭისყრაში მონაწილეობა, რომ რეჟიმი დემოკრატიულად ჩაითვალოს? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი არ არსებობს. სიტყვა „უმრავლესობას“ უფრო ზუსტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე განუსაზღვრელ სიტყვას „ხალხი“ და ნიშნავს „ნახევარზე მეტს“. ორი კანდიდატურის კენჭისყრის დროს სირთულეები არ წარმოიქმნება. თუ კანდიდატურების რაოდენობა სამი ან მეტია, პრობლემა რთულდება. მის გადასაჭრელად სხვადასხვა დროს ბევრი მოაზროვნე იმტვრევდა თავს. პირველი სისტემატური ანალიზი ეკუთვნის ბორდას და კონდორსეს (XVIII ს-ის დასასრული). ხმათა (უბრალო) უმრავლესობის პრინციპმა (არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელმაც დააგროვა მეტი ხმა, ვიდრე დანარჩენებმა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხმების რაოდენობა ამომრჩეველთა მთლიანი რაოდენობის ნახევარზე ნაკლებია) შეიძლება იქამდე მიგვიყვანოს, რომ არჩეულ იქნეს ის, ვისაც ამომრჩეველთა უმრავლესობა უღირსად თვლის. მაგრამ ქვეყნებში, სადაც საყოველთაო არჩევნები ამ პრინციპით ტარდება (აშშ, დიდი ბრიტანეთი, ინდოეთი და სხვ.), მას დემოკრატიულად თვლიან. ბორდას აზრით, უპირატესობა უნდა მინიჭებოდა იმ კანდიდატს, რომელიც უმაღლეს საშუალო შეფასებით კატეგორიას მიიღებდა. კონდორსეს თანახმად, გამარჯვების ღირსია ის კანდიდატი, რომელიც დანარჩენ კანდიდატებს მოუგებს. უნდა აღინიშნოს, რომ „უმრავლესობის პრინციპის“ ამ ვარიანტის გამოყენებას არჩევნებში ორზე მეტი კანდიდატურის არსებობის შემთხვევაში ყოველთვის ერთი და იმავე კანდიდატის არჩევამდე როდი მივყავართ, ხოლო კონდორსეს ვარიანტი, რომელიც ყველა წყვილურ დაპირისპირებაში კანდიდატის გამარჯვებას გულისხმობს, ზოგჯერ საერთოდ ვერ ავლენს გამარჯვებულს. ამ შემთხვევაში, რომელმა კანდიდატმაც უნდა გაიმარჯვოს, ყოველთვის არსებობს უმრავლესობა, რომელიც სხვა კანდიდატურას ისურვებდა. ასე რომ, „უმრავლესობის პრინციპის“ მნიშვნელობა გაუგებარია. XVII ს-ში გაჩნდა გამონათქვამები დემოკრატიის დასაცავად, რომლის საფუძველსაც ყველა მოქალაქის თანაბარი უფლებები წარმოადგენდა. შესაძლოა აღნიშნული რამდენადმე პროტესტანტული რეფორმაციის შედეგი იყო. თომას ჰობსი და ჯონ ლოკი აღიარებდნენ მოქალაქეთა პოლიტიკურ თანასწორობას, მაგრამ არც ერთ მათგანს არ გაუკეთებია წმინდა დემოკრატიულ დასკვნები. დასავლეთში საარჩევნო უფლებების მნიშვნელოვანი ზრდა დაიწყო XVIII ს-ის ბოლოს. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს ეს უფლებები თავდაპირველად მიიღეს მხოლოდ მსხვილი საკუთრების მფლობელებმა, მაგრამ მოგვიანებით, 1791 წლის კონსტიტუციისა და 1793 წლის კონსტიტუციის პროექტის შესაბამისად აღნიშნული უფლებები პრაქტიკულად მოსახლეობის ყველა სრულწლოვან მამაკაცზე გავრცელდა. ბევრ ამერიკულ კოლონიაში ჯერ კიდევ

1776 წლამდე საარჩევნო უფლებას მოსახლეობის ფართო მასები ფლობდნენ, ხოლო დემოკრატიას საფუძველი 1787 წლის კონსტიტუციამ ჩაუყარა, რომელმაც თითოეულ შტატს პალატისა და პრეზიდენტის არჩევნებისას მოსახლეობის რაოდენობის (ინდიელებისა და მონების გარდა) შესაბამისი წარმომადგენლობა დაუკანონა. XVIII ს-ში, როდესაც *დ.* კვლავ „აღმოაჩინეს", არც ერთი არსებული სისტემა არ წარმოადგენდა უშუალო *დ-ს.* ხმის უფლების მქონე პირები ირჩევდნენ წარმომადგენლებს, რომლებიც გადაწყვეტილებებს იღებდნენ და ამ გადაწყვეტილებებზე მხოლოდ შემდგომ არჩევნებამდე იყვნენ პასუხისმგებელნი.

შესაბამისად, არსებობს *დ-ის* ორი ძირითადი სახე – პირდაპირი და წარმომადგენლობითი (რეპრეზენტატიული). პირდაპირია *დ,* რომელშიაც გადაწყვეტილების მიღება ხდება მოქალაქეთა მასის მიერ. ამ მხრივ, დემოკრატიის ეს ფორმა მკვეთრად განსხვავდება წარმომადგენლობითი *დ-ებისგან,* სადაც ხალხის ინტერესები სპეციალური წარმომადგენლების, დეპუტატების მიერ გამოიხატება. საერთოდ, პირდაპირი *დ.* დამახასიათებელი იყო მცირე ზომის სახელმწიფოებისათვის, რომლებშიც ხმის მქონე მოქალაქეების რაოდენობა არ იყო დიდი. ამგვარი *დ-ის* ყველაზე ნათელი მაგალითია ანტიკური ქალაქ-სახელმწიფოები, თუმცა იგი არსებობდა უფრო გვიანაც – შვეიცარიაში (ჟენევაში) ან ამერიკის დასავლეთის შტატების რიგ ქალაქებში.

დემოკრატია პირდაპირი იხ. *დემოკრატია.*

დემოკრატია წარმომადგენლობითი იხ. *დემოკრატია.*

დემოკრატიული მშვიდობა *საერთაშორისო ურთიერთობებში* დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის მშვიდობის დამყარებისა და შენარჩუნების თეორია. *დ. მ-ის* თეორიის მიხედვით, რეჟიმის ტიპი ქვეყნის *საგარეო პოლიტიკის* განმსაზღვრელია, ამიტომაც დემოკრატიები ერთმანეთს არ ეომებიან. ეს თეორია კანტის ნაშრომის, „მარადიული მშვიდობის" (1795) მოსაზრებებს ეფუძნება. *დ. მ-ის* თეორია თანამედროვე ლიბერალური და ნეოლიბერალური თეორიების ერთ-ერთი საფუძველია. ამ თეორიის მიხედვით, *დ. მ-ს* ინსტიტუციური და ნორმატიული შეზღუდვები განაპირობებს. ერთი მხრივ, დემოკრატიულ ქვეყნებში ელექტორატი, რომელიც მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენს, ცდილობს თავიდან აირიდოს შეიარაღებული კონფლიქტი, რომელსაც მოსახლეობისათვის უბედურება მოაქვს. მეორე მხრივ, დემოკრატიული ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ნორმატიული შეზღუდვა სხვა დემოკრატიული ქვეყნების მხრიდან მსგავსი მშვიდობიანი *საგარეო პოლიტიკის* არჩევის მოლოდინში ვლინდება. შესაბამისად, ომის თავიდან არიდების სტრატეგია და მსგავსი სტრატეგიის მოლოდინი სხვა დემოკრატიული ქვეყნებისგან დემოკრატიული მშვიდობის საფუძველს ქმნის. თავის მხრივ, დემოკრატიულ მშვიდობას უსაფრთხოების თანამეგობრობების შექმნამდე მივყავართ. დემოკრატიული მშვიდობის თეორიის ემპირიულ საფუძველს ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში დემოკრატიულ ქვეყნებს შორის შეიარაღებული კონფლიქტის არარსებობა წარმოადგენს. *ნეორეალისტები* *დ. მ-ის* თეორიას აკრიტიკებენ. ერთი მხრივ, ისინი ეჭვქვეშ აყენებენ დემოკრატიის განსაზღვრებას. მეორე მხრივ, ნეორეალისტებს დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის მშვიდობის მიზეზთა საკუთარი ახსნა აქვთ. ეს მოსაზრებები ეჭვქვეშ აყენებს დემოკრატიის, როგორც მშვიდობის განმსაზღვრელის ფუნქციას და, სამაგიეროდ, გვთავაზობს მშვი-

დობის გაგების (ახსნის) სხვა ვერსიებს, როგორიცაა დასავლურ სახელმწიფოებს შორის კულტურული ერთგვაროობა, ალიანსი დანარჩენი სამყაროს წინააღმდეგ და, ბოლოს, შემთხვევითობა. ამ კრიტიკის მიუხედავად, დემოკრატიული მშვიდობის თეორია დღეს დასავლეთში საგარეო პოლიტიკური აზროვნების ერთ-ერთი საფუძველია.

დეპორტაცია პირის იძულებითი გასახლება, გაძევება სხვა სახელმწიფოში. იგი ძირითადად გამოიყენება უცხოელ და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ, რომლებმაც უკანონოდ გადმოლახეს სახელმწიფო საზღვარი. თუმცა ბოლო წლებში *დ-ს* არცთუ იშვიათად ფართო მასშტაბით და აშკარად დანაშაულებრივად იყენებდნენ და იყენებენ ზოგიერთ სახელმწიფოთა ტოტალიტარული რეჟიმები, მეტადრე კი აგრესიული სეპარატისტები, რომლებმაც არაერთი რეგიონიდან დიდძალი მოსახლეობა გამოაძევეს ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნით (იხ. *გენოციდი, ეთნიკური წმენდა*).

დესპოტიზმი ერთი პირის შეუზღუდავი ხელისუფლების ფორმა. შესაბამისი მნიშვნელობით დესპოტის ტიტულს ატარებდნენ ბიზანტიის იმპერატორები. ძველი ბერძნები „დესპოტს“ არათავისუფალი ქვეყნის მმართველს უწოდებდნენ. თეორიული აზრის განვითარების კვალად, თანდათანობით შეიცვალა ტერმინის მნიშვნელობაც. პირველად არისტოტელემ გამიჯნა ერთმანეთისაგან სპარსული დესპოტია და ბერძნული ტირანია. ტირანია ხანმოკლეა და მთლიანად ძალადობას ემყარება, მაშინ როდესაც აღმოსავლური დესპოტია სტაბილური რეჟიმია იმ ხალხისა, ვინც არც იცის სხვაგვარი მმართველობის წესი. შესაბამისად, აღმოსავლური დესპოტია ემყარება არა იმდენად ძალადობას, რამდენადაც ხალხის თანხმობას და, ტირანიისაგან განსხვავებით, ლეგიტიმურია. დ., როგორც სპეციფიკურად აღმოსავლური მმართველობის სახე, მონტესკიეს მიერ გვიან კიდევ უფრო გაიმიჯნა დასავლური აბსოლუტისტური რეჟიმებისაგან, რომელთა მონარქები, როგორი რეპრესიული ხასიათიც უნდა ჰქონოდა მათ მმართველობას, ყოველთვის მართავდნენ (თუნდაც საკუთარ ნებას დაქვემდებარებული, მაგრამ მაინც არსებული) კანონის შესაბამისად.

ბევრ თანამედროვე თეორიაში ტერმინი დ. ნეგატიური მნიშვნელობით – გადაჭარბებული ძალაუფლების აღმნიშვნელად გამოიყენება.

დესტაბილიზაცია საგარეო პოლიტიკური ქმედება, რომელიც სხვა ქვეყნის წინააღმდეგ სამხედრო ძალით ღია ჩარევის გარეშე ამ ქვეყნის პოლიტიკური სისტემის საფუძვლიან ცვლილებას ითვალისწინებს. *დ-ის* მიღწევა სამხედრო, დიპლომატიური, ეკონომიკური და სოციალური მეთოდებით შეიძლება. არ არის აუცილებელი, *დ-ის* მიზანი იყოს სამიზნე ქვეყანაში სოციალური ძვრების გამოწვევა და მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების დაშლა. უმრავლეს შემთხვევაში, *დ-ის – საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტის* – მთავარი მიზანი სამიზნე ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ცვლილებაა, რაც ხელმძღვანელობის შეცვლით მიიღწევა ხოლმე. წარმატებულმა *დ-მ* შეიძლება სახელმწიფო *გადატრიალება* ან სამოქალაქო ომიც კი გამოიწვიოს. *დ. ცივი ომის* პერიოდში ზესახელმწიფოების *საგარეო პოლიტიკის* ჩვეულებრივ მეთოდად განიხილებოდა.

დე ფაქტო–დე იურე განსხვავება რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის არსებობაში ან პოლიტიკური ნორმის ფაქტობრივი და სამართლებრივი სახით რეალიზაციაში. პოლიტიკური პროცესების დინამიკური ხასიათი

ხშირად წარმოშობს შეუთავსებლობას პოლიტიკური სუბიექტის რეალურ არსებობასა და მის ლეგიტიმაციას შორის. ასე მაგალითად, ყოველი *რევოლუციის* ან *სახელმწიფო გადატრიალების* შემდეგ ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მოსული ხელისუფლება ყოველთვის დე ფაქტო ხელისუფლებაა. ის ფაქტობრივად არსებობს იმისდა მიუხედავად, კანონიერია თუ არა. კიდევ ერთ (თუმცა სხვა ტიპის) მაგალითად შეიძლება დასახელდეს XX ს-ის მიწურულს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკა, რომელიც ფაქტობრივად დამოუკიდებლად არსებობს, მაგრამ მის დამოუკიდებლობას არ ცნობს მსოფლიოს არც ერთი სახელმწიფო.

დიალოგი (პოლიტიკური) ინტერსუბიექტური (სუბიექტთაშორისი) კომუნიკაციური ურთიერთობის ფორმა (განსხვავებით მრავალმხრივი პოლიდიალოგისაგან), რომელიც ხორციელდება პოლიტიკური დატვირთვის მქონე ენობრივი საშუალებებით და მიმართულია მხარეთა საერთო ინტერესების გამოვლენის, საერთო პოლიტიკური პოზიციის გამომუშავებისა და პრობლემის თანამედროვე გზებით მოგვარების, ასევე მიზნების, განზრახვების, იდეების შეთანხმებისაკენ და ა. შ. რადგან ენობრივი ურთიერთკომუნიკაციის პროცესი აგებულია პრინციპით „კითხვა-პასუხი", „თანხმობა-წინააღმდეგობა", ამიტომაც მას ხშირად თანხმობის ძიების ან შეთანხმების პროცესსაც უწოდებენ; სიტყვის dialogos ნაწილს – logos აქვს ფონეტიკური და ეტიმოლოგიური მსგავსება ტერმინთან logoy – თანხმობა (logos-ის ნათესაობითი ბრუნვა) და homologein-თან (განუსაზღვრელი ფორმა ზმნისა homologeo – ვეთანხმები). ძველი ბერძნები დიპლომატიური ურთიერთობების დროს ხმარობდნენ სიტყვას dialogen ანუ შერიგება, რომელიც უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე უბრალო სურვილი საომარი მოქმედებების შეწყვეტისა. აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკა და დიპლომატია განიხილებოდეს როგორც ჰუმანიტარული შემეცნებისა და კულტურის შემსწავლელი მეცნიერებების სფერო და მის საკვლევად გამოყენებულ იქნეს ფენომენოლოგიური, ჰერმენევტიკული, ფსიქოანალიტიკური, ლინგვისტური მეთოდები. მათ საფუძველზე *დ-ის* მეთოდს შეუძლია ეფექტურად მოახდინოს პოლიტიკური მოქმედებების პროგნოზირება, შეიმუშაოს და განახორციელოს პოლიტიკური პროგრამები. აღნიშნული მეთოდების გამოყენება, თავის მხრივ, ხელს უწყობს ისეთი პოლიტიკური დისციპლინების წარმოქმნას, როგორებიცაა: პოლიტიკური ლინგვისტიკა, პოლიტიკური ფსიქოლოგია, პოლიტიკური ჰერმენევტიკა და სხვ.

დიასპორა პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს ებრაელების გადასახლებას ბაბილონში ნაბუქოდონოსორის მიერ ძვ. წ. 586 წელს, აგრეთვე, ახ. წ. 70 წელს რომაელების მიერ იერუსალიმის დანგრევისა და 135 წელს აჯანყების ჩახშობის შემდეგ ებრაელთა მთელს მსოფლიოში გაფანტვას. დიდი ხნის მანძილზე მხოლოდ ებრაელთა *დ-ს* მოიხსენიებდნენ. შემდეგ დ. დაერქვა ბერძნულ, სომხურ, ირლანდიურ და ჩინურ *ემიგრაციასაც*. სხვა ეროვნების ემიგრანტებს *დ-დ* არ მიიჩნევდნენ. ამჟამად ამ ტერმინის მნიშვნელობა გაფართოვდა და *დ-დ* იწოდება ყველა დისპერსიული ემიგრანტული თემი (მიუხედავად ეროვნული კუთვნილებისა), რომელიც საკუთარი ქვეყნის გარეთ მდებარეობს, მაგრამ ინარჩუნებს თვითიდენტიფიკაციას ისტორიულ სამშობლოსთან.

დიდი სახელმწიფოები სახელმწიფოები, რომელთა პოლიტიკური, ეკო-

ნომიკური და სამხედრო პოტენციალი სხვა სახელმწიფოებზე გაცილებით დიდია და მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ მსოფლიო პოლიტიკაზე (აშშ, რუსეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი), მიუხედავად იმისა, *რომ საერთაშორისო სამართალი* ყველა სუვერენულ სახელმწიფოს თანასწორუფლებიან ერთეულად თვლის. ისტორიულად *დ. ს-ის* ცნება ჩამოყალიბდა XIX ს-ის დამლევს. ამ დროისათვის ასეთებად ითვლებოდა დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი, იტალია, გერმანია, აშშ, იაპონია, ავსტრია-უნგრეთი. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გამოიკვეთა ჯერ სამი დიდი სახელმწიფო – აშშ, დიდი ბრიტანეთი და სსრკ, შემდგომ კი მათ დაემატა საფრანგეთი და ჩინეთი. სწორედ ამ სახელმწიფოებს, როგორც ფაშიზმთან და მილიტარიზმთან ბრძოლის მთავარ ძალებს მიენიჭა გაეროს უშიშროების მუდმივი წევრების სტატუსი. დღეს *დ. ს-ის* რიცხვს ისევ შეემატება გერმანია და იაპონია, აგრეთვე იტალია და კანადა. ამათგან პირველი ორისთვის (გერმანია და იაპონია) დადგა საკითხი უშიშროების საბჭოში მუდმივი წევრის სტატუსის მინიჭების შესახებ.

დიდი სტრატეგია იხ. *დოქტრინა (პოლიტიკური).*

დიდი შვიდეული პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოების ჯგუფის სახელწოდება. *დ. შ-ის* წევრები არიან აშშ, იაპონია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და კანადა. ჯგუფის წევრი სახელმწიფოებისა და მთავრობათა მეთაურები ყოველწლიურად ხვდებიან ერთმანეთს სამიტზე, სადაც განიხილება მსოფლიოს ძირითადი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები და იგეგმება მათი გადაჭრის ერთობლივი ღონისძიებები.

წამყვან სახელმწიფოთა პირველი სამიტი გაიმართა 1975 წელს რამბუიეში (საფრანგეთი). მაშინ დამკვიდრდა ტერმინი „დიდი ექვსეული", რადგან ამ პირველ შეხვედრაზე კანადა არ იყო მიწვეული. მეორე სამიტზე, ექვსეულისათვის კანადის შემატების შემდეგ, იგი *დ. შ-ად* იქცა. 1977 წლიდან *დ. შ-ის* სამიტებზე იმ საკითხების განხილვისას, რომლებიც მსოფლიო ვაჭრობასა და საფინანსო ურთიერთობებს ეხება, მონაწილეობს ევროკავშირი (ყოფილი „საერთო ბაზარი") როგორც ცალკე წევრი. საბჭოთა კავშირის დაშლამ და აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური რეჟიმების დამხობამ ცვლილებები შეიტანა *დ. შ-ის* სტრატეგიაში. რუსეთისათვის ეკონომიკური დახმარების გაწევა, მისი გადაქცევა *საბაზრო ეკონომიკის* ქვეყნად, მისი აქტიური დაკავშირება მსოფლიო ბანკთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, აგრეთვე ამ ქვეყანაში დემოკრატიზაციის პროცესის მხარდაჭერა *დ. შ-ის* ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი გახდა. ამით აიხსნება, რომ უკანასკნელ წლებში რუსეთი, როგორც ცალკე წევრი, მონაწილეობდა *დ. შ-ის* უმაღლესი დონის ყველა შეხვედრაში. ამიტომ *დ. შ.* უკვე გადაიქცა „დიდ რვიანად" და ხშირ შემთხვევაში სწორედ ამ სახელით მოიხსენიება.

დინასტია *დ-ს* ქმნიან ერთი და იმავე გვარის მონარქი მმართველები, რომლებიც ერთმანეთს ცვლიან ტახტზე მემკვიდრეობის უფლებით. თუ კონკრეტულ მმართველს ლეგიტიმურობას ანიჭებს მემკვიდრეობითობა, მთელი *დ-ის* ლეგიტიმურობა ემყარება „ტახტისა და საკურთხevelის" კავშირს. საუკუნეების მანძილზე ევროპაში გაბატონებული მმართველობის ამ ფორმის ლეგიტიმაციას ეკლესია ახდენდა. იგი მხარს უჭერდა ამა თუ იმ *დ-ის* კანონიერებას და მოსახლეობისაგან მოითხოვდა ამ მიწიერი, დროებითი ხელისუფლებისადმი მორჩილებას.

დიპლომატია *საგარეო პოლიტიკის* ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც უცხო ქვეყნებთან ურთიერთობებში სახელმწიფოს მიზნების შესრულებას ემსახურება. *დ-ის*, როგორც *საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტის* მთავარი ფუნქცია მხარეებს შორის საერთო ინტერესების მოძებნა და კონფლიქტური საკითხების გამორკვევაა მათი მშვიდობიანი გადაწყვეტის მიზნით. დიპლომატიური საქმიანობა ხორციელდება მოლაპარაკებების მეშვეობით, რომელსაც დიპლომატიური წარმომადგენელი, ელჩი ახორციელებს. მუდმივი ელჩის ინსტიტუტი პირველად XV ს-ის იტალიაში წარმოიშვა და მთელს მსოფლიოში გავრცელდა. *დ-ური* წარმომადგენლობების მთავარ ფუნქციებს დღემდე ინფორმაციის მოპოვება და მისი ინტერპრეტირება, წარმგზავნი სახელმწიფოს სამხედრო და ეკონომიკური ინტერესების დაცვა და სავაჭრო კავშირების ხელშეწყობა წარმოადგენს. *დ. საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტის* ფუნქციის გარდა *საერთაშორისო საზოგადოების* ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის როლსაც ასრულებს. ხშირად ამ სიტყვით ზოგადად *საერთაშორისო ურთიერთობებსაც* აღნიშნავენ.

დისიდენტი თავდაპირველად აღნიშნავდა სხვაგვარად მოაზროვნეს, ადამიანს, ვინც საეკლესიო მოძღვრების, ღვთისმსახურების ან ეკლესიის მოწყობის საკითხებში განუდგა გაბატონებული კონფესიის ოფიციალურ თვალსაზრისს. ცივი ომის პერიოდში ტერმინი გამოიყენებოდა სოციალური ბანაკის იმ პირთა აღსანიშნავად, ვინც არ ეთანხმებოდა გაბატონებული იდეოლოგიის პოლიტიკურ დოგმატიკას. *დ-ების* ბრძოლის ფორმები მშვიდობიანი იყო. ისინი ღიად, დაუფარავად გამოთქვამდნენ თავიანთ შეხედულებებს. რამდენადაც ამის გაკეთება ტოტალიტარულ სისტემებში სახელმწიფოს მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე მონოპოლიის გამო უმრავლეს შემთხვევაში შეუძლებელი იყო, ამდენად *დ-ები* მიმართავდნენ პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურის გავრცელებას თვითგამოცემების სახით. მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას მიერ *ცივი ომის* პერიოდში გამოცემული „ჯვარი ვაზისა“ სწორედ ამ სახის ლიტერატურას უნდა მივაკუთვნოთ. *დ-ობა* არ არსებობს იქ, სადაც არსებობს რელიგიური და პოლიტიკური პლურალიზმი, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლება და შემწყნარებლობა. შესაბამისად, ყოფილ საბჭოთა კავშირში *დ-მ* ფუნქცია დაკარგა იმ პროცესების შემდეგ, რომლებიც თან მოჰყვა გორბაჩოვის მიერ „პერესტროიკისა“ და „პლურალიზმის“ გამოცხადებას.

დისკრიმინაცია (სოციალურ-პოლიტიკური) მოქალაქეთა გარკვეული კატეგორიისათვის რასობრივი, ნაციონალური, სოციალური წარმოშობის, სქესის, პოლიტიკური შეხედულებების, ან სხვა ნიშნის მიხედვით უფლებების შეზღუდვა ან ჩამორთმევა. დ. შეიძლება განხორციელდეს უხეშად და დაუფარავად, ანუ არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, ზოგჯერ *გენოციდის* სახეც მიიღოს, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია რასისტული და ფაშისტური რეჟიმებისათვის, ტოტალიტარული და ავტორიტარული ქვეყნებისათვის. მაგრამ დ. შეიძლება ფარულ, არაოფიციალურ, ფაქტობრივ ხასიათსაც ატარებდეს, როდესაც კანონსა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში არ ფიგურირებს და სრული თანასწორუფლებიანობაა გამოცხადებული, მაგრამ სინამდვილეში არსებობს. დ. თანამედროვე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის რასობრივი, ეთნიკური, სოციალური, რელიგიური კონფლიქტების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს. ისტორიაში *დ-ის*

ნათელ მაგალითებად შეიძლება გამოდგეს დამოკიდებულება ებრაელი ხალხის მიმართ ფაშისტურ ქვეყნებში, სამხრეთ აფრიკის მკვიდრი მოსახლეობის მდგომარეობა *აპართეიდის* სისტემის პერიოდში, სულ ახლო წარსულში შავკანიანების, ინდიელებისა და ლათინოამერიკელების მდგომარეობა აშშ-ში, სტალინის რეჟიმის დროს დამოკიდებულება რეპრესირებული ხალხებისადმი სსრკ-ში, ზოგიერთ ქვეყანაში აბორიგენული მოსახლეობის, იმიგრანტთა, ლტოლვილთა, საზღვარგარეთელ მუშათა და სხვ. მდგომარეობა. ყოველივე აღნიშნული აბსოლუტურად შეუთავსებელია ნამდვილი *დემოკრატიისა* და *საერთაშორისო სამართლის* უმნიშვნელოვანეს პრინციპებთან.

დისკურსი მიშელ ფუკოს მიერ გამოყენებული ცნება იმის ასახსნელად, თუ როგორ ცდილობენ ადამიანები შეიტანონ წესრიგი სოციალური ცხოვრების ქაოსში. დ. არის ურთიერთდაკავშირებული დებულებების ან ცნებების ერთობლიობა, ერთგვარი „ენა", რომელიც განსაზღვრავს სოციალური სამყაროს ელემენტებს შორის ურთიერთობას. სოციალური მოვლენები ყოველთვის არსებობს მხოლოდ გარკვეული *დ-ის* ფარგლებში და სხვაგვარი არსებობა არ გააჩნია. მაგალითად, საზოგადოების ისტორიაში შეშლილობის განსხვავებული *დ-ები* არსებობდა. შესაბამისად, განსხვავებული იყო შეშლილობის, როგორც სოციალური მოვლენის, არსებობა: საშუალო საუკუნეებში შეშლილობას განიხილავდნენ როგორც ადამიანის გამორჩეულობას, მისი სიბრძნის გამოხატულებას, მაშინ როდესაც XX ს-ში შეშლილობა ითვლებოდა ავადმყოფობად, რომელიც მკურნალობას მოითხოვს. *დ-ები* შეიძლება იყოს როგორც შეთანხმებული, ისე კონფლიქტური. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ დ. არა მხოლოდ ქმნის (ან აღწერს) სოციალურ ურთიერთობებს, არამედ იყენებს ცოდნას *ძალაუფლების* დასაფუძნებლად. ფუკოს მიხედვით, ცოდნა სხვებზე ძალაუფლების წყაროა, რამდენადაც დ. გამოიყენება ქცევის გასაკონტროლებლად და სახელმძღვანელოდ. ის, ვინც აკონტროლებს *დ-ს*, ფლობს იმის ძალას, რომ განსაზღვროს სხვათა პოზიციები.

დისკურსული ცნობიერება გიდენსის მიხედვით, აღნიშნავს ინდივიდის უნარს, „აქციოს" საგნები (მოვლენები) სიტყვებად. ეს არის მსჯელობის (დასაბუთების), ანუ აქტიურად *რეფლექსური* ცოდნის დონე, როდესაც ინდივიდს შეუძლია იმის თქმა, თუ რატომ აკეთებს იმას, რასაც აკეთებს. ეს სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი ქმედების წარმომქმნელი მიზეზების გაცნობიერება. აქტიური რეფლექსიის უნარი მობილიზდება მხოლოდ რუტინათა შეწყვეტის ან კრიტიკული მსხვრევის დროს. ეს პროცესი ზოგჯერ წინასწარმეტყველებადია (მაგ., უნივერსიტეტის დასრულება ან სამსახურიდან გადადგომა), ხოლო ზოგჯერ რუტინათა შეწყვეტა ხდება გაუფრთხილებლად (მაგ., უმუშევრად დარჩენის ან სერიოზული დაავადების დროს). ამ დროს აქტორები საკუთარი ძალების მობილიზებას ახდენენ და პრობლემების გადასაჭრელად აზროვნებას მიმართავენ, რაც ანელებს დაძაბულობას და, საბოლოო ჯამში, სოციალური ცვლილებები მოაქვს. გიდენსი აღიარებს პასიური რეფლექსურობის არსებობასაც, რომელიც პრაქტიკული ცნობიერების დონეზე ხორციელდება (იხ. *პრაქტიკული ცნობიერება; არაცნობიერი მოტივაცია*).

დისპერსიული ანალიზი (ანოვა) ეს მეთოდი საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ კავშირები მრავალგანზომილებიანი შემთხვევითი სიდიდის სტა-

ტისტიკურ განაწილებებში. ორგანზომილებიანი შემთხვევითი სიდიდის ერთობლივი განაწილების ანალიზისას გამოიყენება ე.წ. ერთფაქტორული *დ. ა.* სოციოლოგიური *კითხვარიდან* აირჩევა ორი შეკითხვა – კვლევის ობიექტის ორი მახასიათებელი, რომელთათვისაც საჭირო გამოვავლინოთ ერთის გავლენა მეორეზე – ფაქტორისა ძირითად მახასიათებელზე. ძირითადი მახასიათებელი არის რაოდენობრივი კითხვა (ექსტენსიური ან ინტენსიური ბუნების). საკვლევი ერთობლიობა ემორჩილება ნორმალური განაწილების კანონს. მეორე მახასიათებელი – ფაქტორი – არის მკაცრად დიზიუნქციური კითხვა ნებისმიერი სახის სკალით (ნომინალური, რანგული, პროპორციული), მაგ., ნომინალური, რომელიც ყოფს საკვლევ ერთობლიობას ქვეერთობლიობებად. ყოველი მათგანი აღიწერება ნორმალური განაწილების კანონით ძირითადი მახასიათებლის მიხედვით.

ა. უზრუნველყოფს მიზნებში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებების შემოწმებას მრავალგვარი დაკვირვების ორ ტიპად დაყოფის მეშვეობით. ერთია „შიდაჯგუფური" მრავალსახეობა – განსხვავება შერჩევის ყოველ ჯგუფს შიგნით, მეორე – „ჯგუფთაშორისი" – ჯგუფის მიზნებს შორის განსხვავებები. *დ. ა-ის* გამოყენებას საფუძვლად უდევს ის, რომ: 1. ყოველი ჯგუფი ჩვეულებრივი მოსახლეობის შემთხვევით შერჩევას უნდა წარმოადგენდეს; 2. ჯგუფების გაფანტულობა მოსახლეობაში ერთნაირი უნდა იყოს.

დისტანცია მიესადაგება რეალურ, ფიზიკურ მანძილს, რომელიც მოვლენათა (საგანთა) არაერთგვაროვნების ან გათიშულობის აზრობრივი გაზომვის ფუნქციას ასრულებს. სოციალურ მეცნიერებებში შემოვიდა *ეთნოლოგიის* სფეროდან, კერძოდ, პროქსემიკიდან, რომელიც ადამიანებს შორის დამოკიდებულებებს მათ შორის სივრცული მიმართებების მეშვეობით აღწერს. სოციალურ მეცნიერებებში *დ-სთან* დაკავშირებული რამდენიმე ტერმინი არსებობს: ფსიქოლოგიური *დ.* – ადამიანთა განკერძოების რაღაც დონე, რომელიც, ჩვეულებრივ, ურთიერთქმედებაში გაჩენილ სირთულეთა შესახებ მსჯელობებით გამოიხატება; სოციალური *დ.* – ასახავს საზოგადოებაში ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის დაშორების ხარისხს; ძალაუფლებრივი *დ.* – საზოგადოების „დაბალი ფენების" დამოკიდებულება სოციალური უთანასწორობისადმი; სახალხო *დ.* – ფიზიკური სივრცე, რომელსაც ადამიანები ინარჩუნებენ ერთმანეთს შორის სახალხო მოლვაწეობის დროს (მაგალითად, ლექციის კითხვისას). სოციალური და ფსიქოლოგიური *დ-ის* ცნებები საკმაოდ რთული ცნებებია. ისინი ასახავს პირადი და სოციალური ურთიერთქმედების მოდელს; ადამიანებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის სიახლოვის, ერთმანეთის ღირებულებებისა და იდეალების მიმართ ორმხრივი სიმპათიების ხარისხს; ემოციური თანაზიარობის არარსებობას, წინასწარგანზრახული მიუკერძოებლობის პოზას, რაც რეალობაში ურთიერთქმედებისთვის ბარიერებს (ზოგჯერ გადაულახავს) ქმნის და სხვ. ფსიქოლოგიური და სოციალური *დ-ის* ინდიკატორებია: ა) საზოგადოების რომელიმე ფენის მისაწვდომობა სხვა ფენის ადამიანისა თუ ჯგუფებისთვის; ბ) უთანასწორობის შინაგანი შეგრძნება, რომელიც ინდივიდს ან ჯგუფს აქვს საზოგადოების რაღაც ნაწილის მიმართ – ჩვეულებრივ მისი ინდიკატორია ის, თუ რამდენად სიამოვნებს ადამიანს სხვა ადამიანთან (ფსიქოლოგიური *დ.*) ან სხვა სოციალური ჯგუფის ნარმომადგენელთან (სოციალური *დ.*) ურთიერთობა. ძალზე ხშირად სოციალურ მეცნიერებებში გამოიყენება ტერმინები „ჰორიზონტალური *დ.*" და

„ვერტიკალური *დ.*“ იმის აღსანიშნავად, ადამიანები ერთისა და იმავე სოციალურ-ეკონომიკურ კლასებს ეკუთვნიან თუ სხვადასხვას.

დიქტატურა ერთი პირის შეუზღუდველი მმართველობა. ძველ რომში დიქტატორებს ექვსი თვის ვადით ირჩევდნენ ქვეყნისათვის განსაკუთრებული საფრთხის ჟამს. ამასთან, ძველი რომის დიქტატორები თავიანთ მოქმედებებში ექვემდებარებოდნენ კანონს და ანგარიშვალდებულებისაგანაც არ იყვნენ თავისუფალნი. უფრო გვიან, ჯერ სულას და შემდეგ კი უკვე იმპერატორების მმართველობის ხანაში, *დ-მ* მიიღო დაახლოებით ისეთივე მნიშვნელობა, როგორიც მას დღეს აქვს: მმართველობის ისეთი წესი, რომელიც არ იზღუდება არც კონსტიტუციით ან სხვა კანონებით და არც რაიმე პოლიტიკური თუ სოციალური ფაქტორებით.

დიქტატორული მმართველობა დამახასიათებელი იყო XX ს-ის თითქმის ყველა ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმისათვის. შესაბამისად, თეორიულ ლიტერატურაში დიქტატორების რანგში შეიძლება მოხსენიებულნი იყვნენ მუსოლინი, სტალინი, ფრანკო, ჰიტლერი. თანამედროვე პერიოდში *დ-დ* მოიხსენიება სადამ ჰუსეინის რეჟიმი ერაყში ან კადაფის რეჟიმი ლიბიაში და სხვ.

დ-ის აუცილებლობის თეორიულ გამართლებას ვპოულობთ მარქსთან. „გოთას პროგრამის კრიტიკაში“ (1848) მარქსი პირველად ალაპარაკდა განსაკუთრებული ტიპის, პროლეტარიატის *დ-ზე*. ეს, მარქსის აზრით, არის კაპიტალიზმიდან კომუნისტურ საზოგადოებაზე გადასვლის პერიოდი, რომლის დროსაც სახელმწიფო არსებობს პროლეტარიატის *დ-ის* სახით.

დოგმატიზმი ცალმხრივი, სქემატური, უცვლელი აზროვნება, ეყრდნობა განყენებულ დებულებებს, რომლებიც არ ითვალისწინებენ კონკრეტულ პირობებსა და პრაქტიკას. *დ-ის* საფუძველს წარმოადგენს ავტორიტეტებისადმი ბრმა რწმენა, მოძველებული დებულებების დაცვა და მათი აბსოლუტიზაცია. იგი დამახასიათებელია რელიგიური აზროვნებისათვის. პოლიტიკურ საფუძველს *დ-ისთვის* წარმოადგენს საზოგადოებაში შემოქმედებითი აზროვნებისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი პირობების, დემოკრატიის, საჯაროობისა და სიტყვის თავისუფლების არარსებობა, რასაც თეორიისგან პრაქტიკის დაშორებისაკენ მივყავართ.

დოკუმენტების ანალიზი მეთოდი, რომლის მეშვეობითაც კვლევის მიზნებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღება. მისი დანიშნულებაა შესასწავლი ობიექტის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, მისი დაფიქსირება ნიშნების (ანალიზის კატეგორიების) სახით, ამ ინფორმაციის ვალიდურობის, საიმედოობის განსაზღვრა, რაც კვლევის მიზნებისთვისაა მნიშვნელოვანი, მისი საშუალებით საკვლევი პროცესისათვის ობიექტური და სუბიექტურ-შეფასებითი მახასიათებლებისა და მაჩვენებლების შემუშავება. *დ. ა-ის* გამოყენება სოციოლოგიური გამოკვლევის სხვადასხვა ეტაპზეა შესაძლებელი: კვლევის საგნისა და ობიექტის დაზუსტებისას, ჰიპოთეზების შემუშავებისა და შემოწმებისას, დასკვნების კორექციის დროს.

სოციოლოგიაში *დ. ა-ის* ორ ძირითად სახეს გამოყოფენ: 1. თვისებრივს ანუ ტრადიციულსა და 2. რაოდენობრივს ანუ ფორმალიზებულს – კონტენტ-ანალიზს. თვისებრივი ანალიზი ტექსტის გაგების მექანიზმს ემყარება. ტრადიციული მიდგომის არსი მდგომარეობს დოკუმენტების შინაარსის ჩაღრმავებულ ლოგიკურ კვლევაში, მათ ავტორთა პოზიციების გარკვევა-

ში, ავტორისეული ენისა და გადმოცემის სტილის თავისებურებაში. ამ მეთოდის მეშვეობით განისაზღვრება დოკუმენტის ღრმა შინაარსი. თუმცა, არსებობს მასალის სუბიექტური ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. კონტენტ-ანალიზი არის ტექსტობრივი ინფორმაციის რაოდენობრივ მაჩვენებლებში გადაყვანა სტატისტიკური დამუშავების გზით. ამ დროს ტექსტის შინაარსი განისაზღვრება როგორც მასში წარმოდგენილ მონაცემთა, შეფასებათა ერთობლიობა. ისინი გაერთიანებულია საერთო კონცეფციითა და ჩანაფიქრით. ფორმალიზებული ანალიზი ორიენტირებულია იმ რეალობის შესწავლაზე, რაც ტექსტს მიღმაა (ფაქტები, მოვლენები, ადამიანური ურთიერთობები). კონტენტ-ანალიზის პროცედურა იწყება ანალიზის ორი ერთეულის – „აზრობრივისა" და „თვლის ერთეულის" გამოყოფით. ამ დროს, მთავარი აზრობრივი ერთეული უნდა იყოს სოციალური იდეა, სოციალურად მნიშვნელოვანი თემა. იგი ტექსტში შეძლება გადმოიცეს სიტყვით, სიტყვათშეთანხმებით, აღწერით. კვლევის მიზანია იმ ინდიკატორების მონახვა, რომლებიც დოკუმენტში ანალიზისათვის მნიშვნელოვანი თემის არსებობაზე მიუთითებს. თვლის ერთეული შეიძლება იყოს ცალკეული სიტყვები (ტერმინები, გეოგრაფიული სახელწოდებები, პოლიტიკურ მოღვაწეთა სახელები და სხვ.), მსჯელობები, შეფასებები, არგუმენტები და სხვ. თვლის ერთეულის განსაზღვრას განაპირობებს კვლევის მიზანი. შესაძლებელია აზრობრივი ერთეული დაემთხვეს თვლის ერთეულს. რაოდენობრივმა ოპერაციამ, რომელიც თვლის ერთეულის გამოყოფით იწყება, უნდა უპასუხოს კვლევის მიზნებსა და სანდოობის მოთხოვნებს.

დომინოს თეორია ერთიმეორის მიყოლებით წაქცეული დომინოს ქვებისა და სახელმწიფოების მეტაფორული ანალოგია, რომელიც აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში XX ს-ის 50-იან და 60-იან წლებში გახდა პოპულარული. ამ თეორიის მიხედვით, დომინოების, იმავე სახელმწიფოების, წაქცევის მიზეზი საერთაშორისო კომუნიზმი იყო, რომელიც საზღვრების მიუხედავად ფართოვდებოდა. ამიტომაც დაუშვებელი იყო რომელიმე სახელმწიფოში კომუნიზმის გამარჯვება. *დ. თ-ის* მომხრეები განსაკუთრებულ ყურადღებას ვიეტნამისა და ინდოჩინეთის კომუნიზმისაგან დაცვას აქცევდნენ. *დ. თ-ს* კომუნიზმის როლის გაზვიადებისა და სახელმწიფოთა შიდა პოლიტიკის სხვა ფაქტორების იგნორირების გამო აკრიტიკებენ.

დოქტრინა (პოლიტიკური) სახელმძღვანელო თეორიული, სამეცნიერო, ფილოსოფიური ან პოლიტიკური პრინციპები. ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური დ. გამოხატავს სახელმწიფოს ოფიციალურ შეხედულებებსა და დებულებებს, რომლებშიაც ასახულია მოცემული ქვეყნის პოლიტიკური მიზნები და ამოცანები, შერჩეულია მოკავშირეები და ამ ამოცანების გადაწყვეტის გზები შორ, საშუალო და ახლოვადიან პერსპექტივაში. სახელმწიფოს პოლიტიკური დ. ვალდებულია გაითვალისწინოს ქვეყნის მთელი პოტენციალი (ეკონომიკური, სამხედრო, დემოგრაფიული, ფსიქოლოგიური, ეკოლოგიური და ა. შ.), რომელიც აუცილებელი იქნება დასახული მიზნის მისაღწევად. შემოთავაზებული გაგებით, ტერმინი „პოლიტიკური დ." ზოგიერთ პოლიტოლოგიურ ტრადიციაში ემთხვევა ტერმინს „დიდი სტრატეგია".

დრაკონული კანონები ამ ტერმინით აღინიშნება მკაცრი, დამთრგუნველი კანონების ერთობლიობა. პოლიტიკურ სიტყვათხმარებაში ტერმინი შემოვიდა ძვ. წ. VII ს-ის ათენელი მმართველის

დრაკონის სახელთან ასოციაციით, რომელმაც 621 წელს ქალაქს ძალზე მძიმე კანონები დაუწესა. თანამედროვე პოლიტიკურ ლექსიკონში ტერმინი შეიძლება შეგვხვდეს მოსალოდნელი მასობრივი არეულობების ან ამბოხების საფრთხის წინაშე მდგარი მთავრობის მიერ წესრიგის აღდგენის მიზნით შემოღებული საგანგებო კანონების აღსანიშნავად.

დრამატურგიული მიდგომა სოციოლოგიური მოდელი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სუბიექტურზე, ინდივიდუალურზე – ადამიანთა სოციალურ ქმედებებზე. ასეთ მოდელში საზოგადოება წარმოადგენს „სცენას, რომელიც დასახლებულია ცოცხალი მსახიობებით". სოციალური სამყაროს ეს სურათი ითვალისწინებს სოციალური ურთიერთქმედების ინდივიდუალურ ასპექტს და ადამიანის უნარს – შეიტანოს სუბიექტური აზრები, მნიშვნელობები და ინტერპრეტაციები კონკრეტულ სოციალურ სიტუაციებში, რომლებშიც ის მონაწილეობს. *დ. მ-ის* თანახმად, კვლევის ობიექტს წარმოადგენენ ინდივიდები, როგორც სოციალური როლების შემსრულებლები.

დ. მ. დაკავშირებულია ერვინ გოფმანის (Erving Goffman), ცნობილი ამერიკელი სოციოლოგის, სიმბოლური ინტერაქციონიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის სახელთან. *დ. მ-ის* არსი ისაა, რომ სოციალური ცხოვრება, კერძოდ, ინდივიდების ურთიერთქმედებები გაანალიზებულია თეატრთან ანალოგიების, მასთან დაკავშირებული მეტაფორების გამოყენების საშუალებით. *დ. მ.* სოციალურ ურთიერთქმედებას შეისწავლის ისე, თითქოს მასში მონაწილე ინდივიდები მსახიობები არიან სცენაზე, შესაბამისი დეკორაციებითა და რეკვიზიტებით. *დ. მ-ის* მოდელის გამოყენება სოციალური ურთიერთქმედების ეფექტური შესწავლის საშუალებას იძლევა. იდეა, რომ მთელი სამყარო არის სცენა და ყველა ადამიანი მსახიობია, არახალია. მას დიდი ხნის ისტორია აქვს, დანყებული ანტიკური პერიოდიდან. თანამედროვე სოციოლოგიაში ეს საკითხი ყველაზე ღრმად ე. გოფმანმა შეისწავლა. იგი თვლის, რომ სოციალური ცხოვრების ყოველდღიურობა სიტუაციური, ხანმოკლე კონტაქტებისაგან შედგება. ადამიანები ურთიერთქმედების პროცესში გარკვეულ სპექტაკლს დგამენ ერთმანეთისთვის (ანუ თამაშობენ ერთმანეთის წინაშე) და ცდილობენ შთაბეჭდილებების „დრამატურგიულ დადგმას". მსგავსად მსახიობებისა სცენაზე, სოციალური *აქტორები* სოციალური *როლების* შესრულებისას ცდილობენ, რომ კარგი შთაბეჭდილება მოახდინონ მათთან ურთიერთობაში ჩაბმულ ინდივიდებზე და დააკმაყოფილონ მათი მოლოდინი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ საშუალებებს, რომლებიც განაპირობებენ სოციალური როლების შესრულებას, აგრეთვე შთაბეჭდილებების შექმნასა და კონტროლს.

დ. მ-ის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ასპექტებია: 1. მაყურებლისთვის გათვალისწინებული თამაში (როლის შესრულება), ერთმანეთის წინაშე როლების თამაში განსაზღვრავს კომუნიკაციის ხარისხს თანამედროვე საზოგადოებაში. *აქტორები* ცდილობენ, ისე შეასრულონ თავიანთი როლები, რომ სხვებზე საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინონ და ის შემდეგშიც შეინარჩუნონ. „შთაბეჭდილების შექმნის" პროცესი *დ. მ-ის* მთავარი არგუმენტია. 2. *დ. მ-ის* გამოყენებამ მნიშვნელოვნად გააფართოვა წარმოდგენა იმ საშუალებებზე, რომლებსაც *კომუნიკაციის* მონაწილეები იყენებენ (ლინგვისტური კომუნიკაცია, სხეულის, ჟესტების, გარეგნობის – პიროვნებათშორისი კომუნიკაციის სიმბოლური საფუძვლის – ენა, საგნობრივი გარე-

მოს შექმნა, მოქმედების ადგილის განსაზღვრა და ა. შ.). ამ საშუალებებს ადამიანები იმისთვის იყენებენ, რომ სიტუაცია გააკონტროლონ და „კარგი თამაშის“ შთაბეჭდილება შექმნან. დრამატურგიული ტერმინოლოგიით, ეს არის სცენური წარმოდგენის (სანახაობის) „წინა პლანის“ (ანუ „ფასადის“) შექმნა. 3. იქ, სადაც არის „წინა პლანი“, აუცილებლად უნდა იყოს „კულისებსმილმა“ წარმოდგენა, სადაც ადამიანებს შეუძლიათ მოდუნება, დასვენება, ნილბების მოხსნა და ბუნებრივად მოქცევა. როგორც თეატრში, ისე სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სიტუაციაში არსებობს მკაფიო განსხვავებები „წინა პლანსა“ (თავად სცენასა) და „უკანა პლანს“ (კულისებსმილმა წარმოდგენას) შორის. შესაბამისად, როგორც მსახიობების, ისე სოციალური *აქტორების* მოქმედებები სცენაზე და კულისებს მილმა განსხვავებულია. სოციალური *აქტორები* ცდილობენ, შეინარჩუნონ ფასადი და გარეშე თვალს დაუმალონ კულისებსმილმიერი რეალური სურათი.

თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანები უამრავ განსხვავებულ როლს თამაშობენ. სხვადასხვა სიტუაციისა და ურთიერთქმედების დროს ისინი ხშირად განსხვავებულ საშუალებებს იყენებენ. როგორც თეატრში, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც სხვადასხვა მონაწილის „პარტიები“, როლები შეიძლება ერთნაირი იყოს, მაგრამ სხვადასხვა ოსტატობით შესრულდეს, რადგან დიდი მნიშვნელობა აქვს სუბიექტურ მხარეს, იგი განაპირობებს როლების შესრულების ხარისხს. ამგვარად, სოციალური როლები თეატრალური როლების ანალოგიურია.

ე

ეგალიტარიზმი სოციალური თანასწორობის კონცეფცია. *ე-ში* უმთავრესია უნარებისა და მოთხოვნილებების, შეტანილი წვლილისა და ანაზღაურების თანაფარდობის პრობლემა. *ე.* მიმართულია სოციალური პოლიტიკის პრობლემებზე, ქადაგებს საზოგადოების წევრთა შორის თანასწორობას. *ე.* უტოპიური სოციალიზმის თეორიის ნაირსახეობაა. ისტორიის მანძილზე ტერმინმა მრავალგვარი მნიშვნელობა შეიძინა. ტერმინის თანამედროვე გაგება და პოლიტიკური საზრისი ყალიბდება XVII ს-დან, ხოლო მომდევნო საუკუნეებში ვითარდება რევოლუციების გავლენით და მოიაზრებს ისეთ საზოგადოებას, სადაც არსებული დიფერენციაციის პირობებში განანილების ნორმა, აგრეთვე სოციალური სტატუსის მიღწევის შესაძლებლობა საზოგადოების ყველა წევრისთვის თანაბარია. ზოგი ავტორის აზრით, ასეთ სტატუსთა რაოდენობის დამთხვევა შესაძლო პრეტენდენტთა რაოდენობასთან საზოგადოების ეგალიტარულობის მახასიათებლად შეიძლება იქნეს მიჩნეული. თანამედროვე ეტაპზე *ე-ის* იდეები ასაზრდოებს *საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოების* შექმნის მცდელობას და ძირითადად ორი კონცეფციის სახე აქვს: *ე.*, როგორც შესაძლებლობების თანასწორობა და *ე.*, როგორც შედეგების თანასწორობა. მაგრამ მისი იდეები ყველა პოლიტიკური ძალისთვის ერთნაირად მისაღები არ არის. ზომიერი *ე-ის* მომხრე ნეოლიბერალებისა და სოციალ-დემოკრატების აზრით, ორივე კონცეფციას შორის კომპრომისული ვარიანტი უნდა მოიძებნოს; *ე-ის* მოწინააღმდეგე ნეოკონსერვატორების თვალსაზრისით, თანასწორობა ეწინააღმდეგება თავისუფლების პრინციპს, ადამიანის ბუნებას და დესტრუქციულ გავლენას ახდენს სოციალური ორგანიზმის ფუნქციონირებაზე. ტერმინი ფართოდ გამოიყენება კულტურის მეცნიერებებშიც *კულტურათა* თანასწორობის აღსანიშნავად (შპენგლერი, ლევი-სტროსი).

ეგზისტენციალური სოციოლოგია რაციონალობაზე ზედმეტი ყურადღების გამახვილება *ე. ს-ს* სოციოლოგიური თეორიების ნაკლად მიაჩნია და ამის გამო რაციონალობას უარყოფს. *ე. ს.* ემყარება იდეას, რომლის თანახმადაც ინდივიდები არსებითად სიტუაციურნი (ეგზისტენციალურნი) არიან ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანები ისეთივენი არიან, როგორიცაა თვით სამყარო: ქაოსური, ცვალებადი, არამდგრადი. ადამიანს ასეთ სამყაროში მხოლოდ მაშინ შეუძლია გადარჩეს, თუკი თვით დაემსგავსება ამ სამყაროს. ადამიანი თავისი ბუნებით ირაციონალურია. ეგზისტენციალისტების აზრით, სოციოლოგია უნდა იკვლევდეს მოტივაციისა და მოქმედების ირაციონალურ, ემოციურ და აფექტურ მხარეს, რადგან სწორედ ეს მხარეა რეალური. მერლო-პონტი ხაზს უსვამდა „ველურ ყოფიერებას" (être sauvage) ადამიანში. *ე. ს.* განიხილავს ადამიანის იმ მხარესა და ჩანაფიქრებს, რომლებსაც ადამიანები ერთმანეთს ძნელად უზიარებენ.

ეგზოგამია ჩვეულება, რომელიც კრძალავს ერთი და იმავე გვარის ან თემის წარმომადგენლებს შორის ქორწინებასა და ოჯახის შექმნას და დასაშვებად მიიჩნევს განსხვავებული ეთნიკური კუთვნილების მქონე პირებს შორის. *ე.* ყოველგვარ საზოგადოებაში გულისხმობს იმ ადამიანთა (უმეტესწილად სისხლით ნათესავთა) წრის შემომფარგველელ წესებს, რომლებთან ქორწინებაც იკრძალება. ამგვარი შეზღუდვა ვრცელდება საკმაო დიაპაზონში – შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფიდან მრავალრიცხოვან და მრავალგვარ ჯგუფამდე. *ეროს* წარმოშობისა და ფუნქციის თაობაზე ერთიანი აზრი არ არსებობს. მეცნიერთა ნაწილისთვის ამ მოვლენას ბიოლოგიურ-გენეტიკური საფუძველი აქვს ინბრიდინგის (სისხლით ახლო ნათესავთა სექსუალური კავშირი) მძიმე შედეგების გამო; მეორენი მას სოციალური ფაქტორებით ხსნიან. ერთი მოსაზრებით, *ე.* ჯგუფებს შორის არსებულ დაპირისპირებათა შესუსტების საშუალებაა ქორწინებით დანათესავების გზით, რადგან ნაკლებ სავარაუდოა მტრული ქმედებების განხორციელება იმ ჯგუფის წინააღმდეგ, რომლის შემადგენლობაშიც მოწინააღმდეგე ჯგუფის წარმომადგენელიცაა; სხვა მოსაზრებით, *ე.* პირველყოფილთა ცხოვრებაში სოციალური ორგანიზაციის სტაბილურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რამდენადაც მამრთა შემთხვევითი სქესობრივი კავშირები და სექსუალური მეტოქეობა ძირგამომთხრელია ადამიანური ჯოგის ერთიანობისთვის. ეგზოგამიური ნათესაობის ერთ-ერთი მახასიათებელია მის წევრთა თანაბარუფლებიანობა.

ეგო იხ. *იდი, ეგო, სუპერ-ეგო.*

ევოლუცია **1.** მოვლენის (ან პროცესის) განვითარება თანდათანობითი, ერთიმეორეში გარდამავალი განუწყვეტელი ცვლილებების შედეგად, ნახტომებისა და შესვენებების გარეშე, თვისებრივი განსაზღვრულობის შენარჩუნებით (განსხვავებით რევოლუციისაგან). **2.** სხვადასხვა გვარის მოძრაობა, რომელიც დაკავშირებულია გადაადგილებასთან, გარკვეული კომპონენტების გადაწყობასთან. **3.** ცვლილებების, განვითარების პროცესი.

ევოლუციური სოციოლოგია სოციოლოგია, რომელიც ხაზს უსვამს ბიოლოგიური და სოციალურ-კულტურული ევოლუციის მემკვიდრეობითობას. *ე. ს.* XIX ს-ის მეორე ნახევრის სოციალური აზრის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. იგი წარმოადგენდა კოსმოსის, პლანეტათა სისტემის, დედამიწის, ცხოველთა სამყაროს, კულტურის ევოლუციის, საერთოდ უსასრულო და

მრავალგვარი ისტორიული პროცესების გლობალური გააზრების ცდას.

სოციალური ევოლუციის იდეები ყალიბდებოდა სოციალური ფილოსოფიის ლოგიკის მიხედვით (ჰობსი, რუსო, ტრადიციონალისტები). ცნობილი ბრიტანელი სოციოლოგის უ. რანისმანის მტკიცებით, ნამდვილი სოციალური თეორია არ შეიძლება არ იყოს ევოლუციური, ვინაიდან: ა) ადამიანის სოციალურ უნარებს აქვს ბიოლოგიური საფუძველი; ბ) ყოველთვის არსებობს სოციალური ევოლუციის შესწავლის შესაძლებლობა განვითარების ისტორიული თანამიმდევრობის თვალსაზრისით, რომელშიც უფრო გვიანდელი მოღწევები დამოკიდებულია ადრინდელზე; გ) ევოლუციური თეორია საშუალებას იძლევა სოციალური „არჩევანის" ცნების გამოყენებით აიხსნას ზოგიერთი სოციალური მოქმედების მიზეზები.

სოციოლოგთა უმრავლესობა ეთანხმება ასეთ შეფასებას, თუმცა ზოგიერთები ეჭვქვეშ აყენებენ ამ თვალსაზრისს. მაგალითად, გიდენსი, მანი და სხვ. უარს ამბობენ „თანამიმდევრული თეორიის" გამოყენებაზე და მის ნაცვლად გვთავაზობენ სოციალური ცვლილებების ეპიზოდურ დახასიათებას. განსაკუთრებით საკამათოა *ადაპტაციის*, ფუნქციურად ეფექტური *სოციალური დიფერენციაციის*, პროგრესისა და სხვ. საკითხები.

ევროპოცენტრიზმი *ეთნოცენტრიზმის* ერთ-ერთი ნაირსახეობა (ისევე, როგორც ლოგოცენტრიზმი, *ანთროპოცენტრიზმი* და ა. შ.), რომელიც მიიჩნევს, რომ ევროპა თავისი კულტურით, ფასეულობებითა და ღირებულებითი იდეალებით წარმოადგენს მსოფლიოს ცენტრს, სოციალურ-კულტურული მოწყობის ნიმუშს, ჭეშმარიტ უკანასკნელ ინსტანციას. *ე-ის* თანამედროვე ტენდენციები აშკარად ვლინდება სხვადასხვა სახის ევროპულ გაერთიანებათა შექმნასა და გაფართოებაში (ევროკავშირი, ევროსაბჭო და სხვ.), რომლებისკენაც მიისწრაფიან სხვადასხვა ქვეყნები, მათ შორის არაევროპულებიც. (იხ. *ეთნოცენტრიზმი*).

ეთიკა (პოლიტიკური) პოლიტიკურ მეცნიერებათა შემადგენელი ნაწილი, რომელიც ცდილობს განსაზღვროს პოლიტიკური ქცევის *მორალური* მხარე. პოლიტიკური *ე-ის* ამოსავალი პრინციპები პირველად მაკიაველიმ ჩამოაყალიბა. ამასთან, პოლიტიკური *ე.* ჩამოყალიბდა, როგორც პოლიტიკური მეცნიერების და არა ზოგადად ფილოსოფიური *ე-ის* შემადგენელი ნაწილი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანია ქცევის მორალურობის შეფასების მიმართულება. თუ ფილოსოფიურ-ეთიკური თეორიების დიდი ნაწილი მოქმედების მორალურობას მისი განხორციელების მოტივებით აფასებს, პოლიტიკური *ე-ისთვის* განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება ქცევის შედეგებს.

ეთნიკური ნაციონალიზმი *ნაციონალიზმის* ერთ-ერთი ძირითადი სახეობა ლიბერალურ ანუ სამოქალაქო (სახელმწიფო) ნაციონალიზმთან ერთად. *ე. ნ.* (ეთნონაციონალიზმი) არის ეთნოსის ნაციონალიზმი, რომელიც ძირითად ღირებულებად აღიარებს *ერს* (მისი ეთნიკური მნიშვნელობით) და მისდამი ერთგულებას და მისი ინტერესებისთვის ბრძოლას მიიჩნევს დომინანტურად სხვა ღირებულებებთან (*სახელმწიფო*, ერი — პოლიტიკური მნიშვნელობით, კაცობრიობა, პიროვნება) შედარებით. *ე. ნ.* ერს განსაზღვრავს, როგორც საერთო წინაპრებისა და საერთო წარმოშობის ადამიანთა ერთობას („სისხლის ერთობა"). ამ ტიპის ნაციონალიზმის მიხედვით, ვერავინ მოხვდება ამა თუ იმ ერის შემადგენლობაში მისი ენის, კულტურისა და ტრადიციების შეთვისების გზით, თუ იგი სისხლითა

და წარმოშობით სხვა *ერს* მიეკუთვნება – ანუ გერმანელად, ლიტველად თუ ქართველად უნდა დაიბადო. ეს არ ნიშნავს, რომ სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი არ შეიძლება სრულუფლებიანი მოქალაქე იყოს, მაგრამ ერის შემადგენელ ნაწილად იგი ვერ იქცევა. *ე. ნ.*, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ხაზს უსვამს საკუთარი *ერის* განსაკუთრებულობას, რაც ზოგჯერ უკიდურეს ფორმას იღებს და *შოვინიზმისა* და *ნაციზმის* სახით ვლინდება. XX ს-ის *საერთაშორისო ურთიერთობების* ისტორიამ *ე. ნ-ის* არაერთი გამოვლინება იცის. ზოგიერთმა მათგანმა სისხლიანი სახე მიიღო (ბოსნია, კოსოვო, მთიანი ყარაბახი, აფხაზეთი, ყოფილი სამხრეთ ოსეთი, დნესტრისპირეთი, რუანდა, შრი-ლანკა და სხვ.) (იხ. აგრ. *ნაციონალიზმი*).

ეთნიკური წმენდა ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი თუ რელიგიური ჯგუფის მიერ შემუშავებული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ამა თუ იმ გეოგრაფიული რეგიონიდან განდევნოს სხვა ასეთი ჯგუფების სამოქალაქო მოსახლეობა ძალადობისა და ტერორის მეთოდების გამოყენებით (მკვლელობა, წამება, თვითნებური დაპატიმრება და დაკავება, გაუპატიურება და სხვა სექსუალური ძალადობა, სამოქალაქო მოსახლეობის ძალმომრეობით განდევნა, გადაადგილება და *დეპორტაცია*, სამოქალაქო მოსახლეობასა და რაიონებზე მიზანმიმართული სამხედრო თავდასხმები თუ ამ თავდასხმებით მუქარა, და ა. შ.). *ე. წ-ის* პრაქტიკა *გენოციდის* სახეს იღებს.

ე. წ. ადამიანობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა ერთ-ერთი ყველაზე საშიში სახეობაა, რომელიც საერთაშორისო მართლმსაჯულების იურისდიქციას განეკუთვნება; იგი იუგოსლავიის ომის შესახებ ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის გადაწყვეტილებებში ერთ-ერთი მთავარი ბრალდებაა, რის გამოც მრავალი სერბი სამხედრო თუ სახელმწიფო პირი მიეცა პასუხისგებაში. ბოლო დროს იმავე ბრალდებით პასუხისგებაში მიეცა რამდენიმე ხორვატი და ბოსნიელი პოლიტიკური მოღვაწეც.

ე. წ-ის სასტიკი გამოვლინებაა აფხაზ სეპარატისტთა ქმედებები, რომელთა შედეგად მოკლულია 10000-მდე სამოქალაქო პირი, ხოლო 250000-მდე ადამიანი განდევნილია მშობლიური კერიდან. ეს ქმედებები დაგმეს *საერთაშორისო ორგანიზაციებმა*.

ეთნოგრაფია ისტორიული მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის მსოფლიოს ხალხთა შემადგენლობას, წარმომავლობასა და კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობებს, მათ მატერიალურ და სულიერ კულტურას, ყოფის თავისებურებებს. დასავლეთევროპულ და ამერიკულ მეცნიერულ ტრადიციაში *ანთროპოლოგიის* შემადგენელი ნაწილია.

ეთნოლოგია იგივეა, რაც *ეთნოგრაფია*; ზოგიერთი მეცნიერი *ე-ს* განიხილავს მეცნიერების განმაზოგადებელ ფაზად, რომელიც შეისწავლის ადამიანური კულტურის განვითარების ზოგად კანონებსა და მრავალი კულტურისთვის დამახასიათებელ ერთნაირ კანონზომიერებებს, ხოლო *ეთნოგრაფიას* – წმინდა აღწერით დისციპლინად; სხვა თვალსაზრისით, *ე-ის* საგანია კულტურათა შედარებითი შესწავლა; ამგვარად, ცოდნის ერთიანი დარგი გაყოფილია აღწერით და თეორიულ დისციპლინებად, რაც მეცნიერთა ნაწილისთვის მიუღებელია. *ე.* ამერიკულ ტრადიციაში *კულტურული ანთროპოლოგიის* შემადგენელი ნაწილი ან სინონიმია; დასავლეთევროპულში (ბრიტანულსა და ფრანგულში) *სოციალური ანთროპოლოგიის* ანალოგია, გერმანულენოვან ქვეყნებში დამოუკიდებელი კვლევითი მიმართულებაა.

ეთნოპოლიტიკა სახელმწიფოს მიერ წარმოებული პოლიტიკა საკუთარ ტერიტორიაზე მცხოვრები *ეთნოსების* მიმართ. ეთნიკურად სტერილური არც ერთი სახელმწიფო არ არის. ყოველ ეროვნულ სახელმწიფოში, დომინანტური ერის გარდა, როგორც წესი, არსებობენ ეთნიკური უმცირესობები. სახელმწიფოთა დამოკიდებულება ეთნიკური უმცირესობების მიმართ განსხვავებულია ეპოქებისა და თავად სახელმწიფოების სპეციფიკის მიხედვით. არასწორად წარმართული *ე.* შეიძლება იქცეს ეთნოკონფლიქტების და, მაშასადამე, თავად სახელმწიფოსათვის არაერთი მწვავე პრობლემის წყაროდ.

ეთნოსი ადამიანთა ისტორიულად აღმოცენებული და ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოდგენილი *ტომის*, ხალხის, *ერის* სახით. მისი გაჩენის აუცილებელი პირობებია: ტერიტორია, ენა და ფსიქიკური წყობის ერთიანობა, ხოლო დამახასიათებელ თვისებად მიიჩნევა: 1. თვითდასახელება (ეთნონიმი), რომელიც ხშირად საცხოვრებელი ტერიტორიის სახელს (ტოპონიმს) უკავშირდება; 2. ტერიტორიული მთლიანობა, როგორც *ე-ის* ფორმირებისა და არსებობის პირობა; 3. ანთროპოლოგიური (რასობრივი) ნიშნების არსებობა; 4. კულტურის თავისებურებების (მატერიალურის – შრომის იარაღები, საცხოვრისი, ტანსაცმელი და ა. შ. სულიერის – რელიგია, განათლების სისტემა, ლიტერატურა, ხელოვნება და ა. შ.) გამოვლინებები. ყოველი *ე.* კულტურული მთლიანობაა, რომლის თვითცნობიერება და თვითშემეცნება მოიცავს წარმოდგენებს ინდივიდებისა თუ სოციალური ჯგუფების საერთო წარმომავლობის შესახებ წინაპართა ერთობლივი ისტორიული პრაქტიკის საფუძველზე.

ეთნოცენტრიზმი საკუთარი ეთნიკური ჯგუფისთვის უპირატესობის მინიჭება. ტერმინი 1906 წელს შემოიტანა უ. სამნერმა. თანამედროვე მეცნიერები მას განმარტავენ, როგორც ადამიანებისთვის დამახასიათებელ თვისებას, აღიქვას და შეაფასოს ცხოვრებისეული მოვლენები საკუთარი კულტურის ტრადიციებისა და ღირებულებების თვალთახედვით. *ე-ის* ძირითადი მაჩვენებლებია (ბრუერი და კემპბელი, 1976): 1) საკუთარი კულტურის ელემენტების აღქმა როგორც „ბუნებრივისა" და „სწორის", ხოლო სხვა კულტურისა – როგორც „არაბუნებრივისა" და „არასწორისა"; 2) საკუთარი კულტურის ადათ-წესების განხილვა უნივერსალურად; 3) საკუთარი კულტურის ნორმების, როლებისა და ღირებულებების შეფასება უდავო ჭეშმარიტებად; 4) წარმოდგენა, რომ ადამიანისთვის ბუნებრივია თავისი ჯგუფისთვის უპირატესობის მინიჭება, სიამაყე მისით, თანამშრომლობა თავისი ჯგუფის წევრებთან, მათი დახმარება და უნდობლობა (მტრობაც კი) სხვა ჯგუფის წევრების მიმართ. მკვლევრებს შორის *ე-ის* მიმართ დამოკიდებულებაში ერთსულოვნება არ არის: ზოგი მას ნეგატიურ მოვლენად მიიჩნევს, ზოგიც – პოზიტიურად. თუმცა *ე.* ხშირად ქმნის დაბრკოლებას ჯგუფთა შორის ურთიერთქმედებაში, იმავდროულად იგი ჯგუფისთვის სასარგებლო ფუნქციებსაც ასრულებს: მხარს უმაგრებს ჯგუფის დადებით იდენტობას და მთლიანობა-სპეციფიკურობას. ამასთან, *ე.* სხვა ჯგუფებისადმი მტრობას იმთავითვე არ გულისხმობს – იგი შეიძლება ერწყმოდეს მომთმენობასაც ჯგუფთა შორის განსხვავებების მიმართ. ასეთ *ე-ს*, როცა არაკრიტიკული მიმართება არ განივრცობა საკუთარი ჯგუფის ყველა თვისებასა თუ სასიცოცხლო სფეროზე და ცდილობენ უცხო კულტურის გაგებასა და ობიექტურ შეფასებას, უწოდებენ კეთილგანწყობილ ან მოქნილ *ე-ს*.

ეთოსი ჯგუფის, ორგანიზაციის თუ მთლიანად საზოგადოებისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული კულტურული მახასიათებელი; კულტურის მეცნიერებებში გააზრებულია როგორც წამყვანი იდეალების, ღირებულებების სისტემა, კულტურის კვინტესენცია. რუთ ბენედიქტი, რომელმაც ტერმინი კულტურის მეცნიერებებში დაამკვიდრა, მასში მოიაზრებდა კულტურული თემით ანუ კულტურის ეთოსით გამთლიანებულ შიდაკულტურული ელემენტების უნიკალურ კონფიგურაციას. *ე.* განსაზღვრავს არა მხოლოდ შიდაკულტურული ელემენტების ურთიერთშეთანადების პრინციპებს, არამედ მათ შინაარსსაც. რელიგია, ოჯახური ცხოვრება, ეკონომიკა, პოლიტიკური ინსტიტუციები – ყველა ერთიანობაში ქმნის განუმეორებელ სტრუქტურას. ამასთან, ამა თუ იმ სისტემის ურთიერთობათა, ქცევის წესების, საზოგადოებრივ ინსტიტუციათა ფორმების სხვადასხვაგვარი ვარიაციიდან ყოველ კულტურაში მკაცრად განსაზღვრული, მხოლოდ ამ კულტურის *ე-ის* შესაბამისი ვარიაციები არსებობს. ამგვარად, კულტურის *ე.* ვლინდება ადამიანური ცხოვრების ყველა სფეროში: საკუთრების განაწილების სისტემებში, სოციალური იერარქიის სტრუქტურაში, მატერიალურ საგნებსა და მათი წარმოების ტექნოლოგიაში, გენდერულ ურთიერთობათა ნაირსახეობებში, საზოგადოებაში გაერთიანებებისა და კლანების ფორმირებაში, ეკონომიკური განაწილების წესებში და სხვ. ყველა ინსტიტუციას უამრავი ტიპი და ვარიაცია აქვს, მაგრამ ერთ კულტურას მხოლოდ ერთი სახის *ე.* ახასიათებს.

ეკლესია 1. ძველ საბერძნეთში სახალხო კრების ყველაზე უფრო გავრცელებული სახელწოდება. დემოკრატიულ პოლისებში (მაგ. ათენში, *ძვ.* წ. V ს.) სახელმწიფოს უმაღლესი ორგანო იყო. მას ჰქონდა სრული საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ძალაუფლება, ირჩევდა თანამდებობის პირებს და ახორციელებდა მათზე მუდმივ კონტროლს. 2. რელიგიური ორგანიზაცია, სარწმუნოებისა და კულტის ერთიანობაზე დამყარებული ამა თუ იმ რელიგიის მიმდევართა გაერთიანება, ადგილი, სადაც სრულდება რელიგიური რიტუალები. მისი ძირითადი განმასხვავებელი ნიშნებია: მეტ-ნაკლებად დამუშავებული დოგმატური და საკულტო სისტემა, იერარქიული ხასიათი და მმართველობის ცენტრალიზაცია, მორწმუნეთა დაყოფა კულტის პროფესიულ მსახურებად (სამღვდელოება) და რიგით მორწმუნე ერისკაცებად (მრევლი).

ზოგადსაკაცობრიო პრობლემების გამწვავებასთან დაკავშირებით სულ უფრო მეტად იზრდება *ე-ის* როლი როგორც ცალკეული ქვეყნების შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

ეკოლოგია ცოცხალი არსებების გარემოსთან ურთიერთქმედების შესწავლა. ტერმინი პოპულარული გახდა XX ს-ის 80-იანი წლებიდან დედამიწის, როგორც საბინადრო სისტემის არამუდმივობის მიმართ მზარდი ინტერესის გამო. (იხ. *ეკოლოგიური კრიზისი*, აგრეთვე *ეკოპოლიტიკა*).

ეკოლოგიური კრიზისი ბუნებრივი გარემოს მიმართ ადამიანის, სოციუმის მძარცველური, ცალმხრივი, პრაგმატული დამოკიდებულების შედეგად ბუნებრივი ბალანსის, წონასწორობის, მთლიანად ეკოსისტემის გლობალური მასშტაბით დარღვევა, რომლის შედეგადაც ბუნებრივი სისტემები არცთუ შორეულ მომავალში შეიძლება აღმოჩნდეს (ან უკვე იმყოფება) ტექნოლოგიური მიღწევების, აგრეთვე დემოგრაფიული აფეთქების შედეგად გამოწვეული საშიშროების წინაშე. მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური

ფაქტორი მუშაობს იმ მიმართულებით, რომელიც იწვევს მცენარეთა და ცხოველთა მრავალი სახეობის გაქრობას, ოზონის ფენის გათხელებას, გლობალურ დათბობასა და ამინდის შეცვლას, მიწისა და წყლის ვეებერთელა მასივებისა და აუზების დაბინძურებას, ტყის მასივების კატასტროფულ შემცირებასა და სხვა გლობალურად საშიშ, კატასტროფულ შედეგებს.

ეკონომიკა 1. მატერიალური და ადამიანური რესურსების ორგანიზებულად მართვა დოვლათის წარმოების პროცესში; **2.** დოვლათის წარმოებასთან, განაწილებასთან და მოხმარებასთან დაკავშირებული სოციალური დაწესებულებებისა და ინსტიტუტების სისტემა; **3.** მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საზოგადოებაში მწირი რესურსებისთვის კონკურენციის, მათი წარმოების, გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების პროცესებს.

ეკონომიკური სანქციები *საგარეო პოლიტიკის* ეკონომიკური საშუალებების (ინსტრუმენტების) ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს *საერთაშორისო ურთიერთობების აქტორის* ან აქტორთა ჯგუფის მიერ სხვა აქტორის ან აქტორების დასჯას მათ ხელთ არსებული ეკონომიკური შესაძლებლობების მეშვეობით. *ე. ს-ს* მიეკუთვნება *ემბარგო, ბოიკოტი, ბლოკადა, კვოტები, ტარიფები,* შავი სია, წინასწარი შესყიდვა და ა. შ. *ე. ს-ის* მიზანია, აიძულოს სამიზნე სახელმწიფო, შეცვალოს თავისი პოლიტიკა და დაემორჩილოს *საერთაშორისო ორგანიზაციების* ანდა სანქციების გამტარებელ აქტორთა მოთხოვნებს. თუმცა სანქციების გატარება შესაძლებელია სამართლიანი იყოს და შეესაბამებოდეს საერთაშორისო საზოგადოების ინტერესებს, თვითონ *ე. ს-ების* ცნება ნეგატიური შინაარსის მქონეა, რადგან იგი არა იმდენად რეჟიმის, რამდენადაც მოსახლეობის წინააღმდეგ აღმოჩნდება ხოლმე მიმართული. უკანასკნელ ათწლეულებში *ე. ს-ები* გატარდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის და სამხრეთ როდეზიის (*რასისტული* და *აპართეიდული* პოლიტიკის გამო), აგრეთვე ერაყისა და იუგოსლავიის მიმართ. უფრო მცირე მასშტაბით *ე. ს-ის* გამოყენებას პრაქტიკულად პერმანენტული ხასიათი აქვს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში.

ეკონომიკური სოციოლოგია განისაზღვრება როგორც სოციოლოგიური თეორიული მოდელებისა და ცვლადების გამოყენება იმ კომპლექსური საქმიანობის მიმართ, რომელიც დაკავშირებულია მწირი რესურსებისთვის კონკურენციის, წარმოების, დისტრიბუციისა და მოხმარების პროცესებთან. *ე. ს-ის* ფარგლებში ხდება სოციალური სამყაროს ეკონომიკურ და არაეკონომიკურ ასპექტებს შორის ურთიერთობის კვლევა.

კლასიკური ეკონომიკური თეორია *ეკონომიკასა* და მის დინამიკას განიხილავს, როგორც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კანონების სამყაროს. ეკონომიკა თანამედროვე საზოგადოების ყველაზე ავტონომიური სფეროა, რომელშიც ტრანსაქციების ხასიათს განსაზღვრავს რაციონალური კალკულაცია და ის ნაკლებად ექვემდებარება არაეკონომიკური ცვლადების ზეგავლენას.

რაც შეეხება ეკონომიკისადმი სოციოლოგიურ მიდგომას, მისი ძირითადი მახასიათებელია „ეკონომიკური რაციონალობის“ ცვლადად მიჩნევა ადამიანების ინსტიტუციონალურ ცხოვრებაში და მისი ვარიაციების გამომწვევი ფაქტორების ანალიზი. ემპირიული ეკონომიკები ჩართულია როგორც ეკონომიკური, ასევე არაეკონომიკური ინსტიტუტების სისტემაში. მაგ., ისტორიული განვითარების სხვადასხვა

ეტაპზე *რელიგია* და *პოლიტიკა* ისეთივე მნიშვნელოვანი ფაქტორებია ეკონომიკის ფუნქციონირებისთვის, როგორც მონეტარული ინსტიტუტები. ეკონომიკური პროცესი სხვადასხვანაირადაა ინსტიტუირებული დროსა და სივრცეში.

ე. ს-ის კვლევისადმი სოციოლოგიური მიდგომის ფუძემდებლებად მიიჩნევენ კ. მარქსს, ჯ. შუმპეტერს, მ. ვებერსა და ე. დიურკემს. ეკონომიკური და სხვა სოციალური ინსტიტუტების ურთიერთდამოკიდებულების კვლევაში მნიშვნელოვან ეტაპად ითვლება კ. პოლანის, ტ. პარსონსისა და ნ. სმელზერის შრომები.

ეკონომიკური სოციოლოგიის წარმომადგენლები აკრიტიკებენ კლასიკური ეკონომიკური თეორიების არაისტორიულ მიდგომასა და ბაზისურ დაშვებებს. ერთ-ერთი ასეთი ბაზისური დაშვებაა ადამიანის გამარტივებული მოდელი – „ჰომო ეკონომიკუს" (Homo Economicus). კლასიკური ეკონომიკური თეორიების წარმომადგენელთათვის ადამიანი ინსტრუმენტული, რაციონალური, მოგების მაქსიმიზაციაზე ორიენტირებული მატერიალისტია. აქვს რა ინფორმაცია ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ, იგი მოქმედებს სრულიად რაციონალურად.

მ. ვებერმა ერთ-ერთმა პირველმა გაილაშქრა ასეთი მოდელის ისტორიულ უნივერსალიად გამოცხადების წინააღმდეგ. კ. პოლანის მიხედვით, იმ *ეკონომიკების* ფარგლებს გარეთ, რომლებშიც თავისუფალი ბაზრებია დომინანტური, ფორმალური ეკონომიკური ანალიზი და კლასიკური ეკონომიკური თეორიების მოდელები (მათ შორის „ჰომო ეკონომიკუსი") კარგავს თავის რელევანტურობას, როგორც ემპირიული ეკონომიკის შესწავლის მეთოდი.

ე. ს-ის ფარგლებში შეისწავლება *კულტურასთან, ძალაუფლებასთან* და სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან დაკავშირებული ცვლადების ზეგავლენა ეკონომიკურ და საფინანსო ინსტიტუტებზე, ბიზნესის ორგანიზაციის ფორმებზე, გიგანტური კორპორაციების ფუნქციონირებასა და მოსახლეობის ყოველდღიურ ეკონომიკურ ქცევაზე.

XX ს-ის 60-იანი წლებიდან ხდება *ე. ს-ის* ფრაგმენტაცია ისეთი სპეციალური დარგების მიხედვით, როგორიცაა ინდუსტრიული სოციოლოგია, შრომის ბაზრის სოციოლოგია, მოხმარების სოციოლოგია, თავისუფალი დროის სოციოლოგია და ა. შ. თანამედროვე *ე. ს-ის* ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სფეროა ე. წ. ქსელების (Networks) კვლევა. ქსელური მიდგომა გულისხმობს ინდივიდსა და მთელ ეკონომიკურ სისტემას შორის გამაშუალებელი ცვლადების აღწერასა და ანალიზს. მაგ., ქსელური ანალიზის საფუძველზე აღწერენ ეთნიკური ნიშნით ფორმირებული ქსელების მიერ აშშ-ის ეკონომიკის განსხვავებული სეგმენტების დაკავებისა და მონოპოლიზაციის პროცესს.

რაც შეეხება თეორიულ მოდელებს, *ე. ს-ის* პარადიგმები, ძირითადად, ეკლექტური და პლურალისტურია და ვერც ერთმა თეორიამ ვერ მოიპოვა დომინანტური როლი. ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ისევ მ. ვებერის, ტ. პარსონსისა და კ. პოლანის თეორიები ინარჩუნებენ.

ეკოპოლიტიკა პოლიტიკა, რომელიც მიმართულია გარემოს დაცვისა და გაჯანსაღებისაკენ, ბუნებრივი რესურსების რაციონალური მოხმარებისა და განახლებისაკენ, სოციოსფეროს შენარჩუნებისა და განვითარებისაკენ. იგი უზრუნველყოფს ადამიანის ნორმალურ სიცოცხლისუნარიანობასა და ეკოლოგიურ უსაფრთხოებას (იხ. აგრ. *ეკოლოგია, ეკოლოგიური კრიზისი*).

ეკუმენიზმი მოძრაობა, რომლის მიზანიცაა რელიგიური კონფესიების გა-

ერთიანება. ქრისტიანულ *ე-ს* საფუძველი ჩაეყარა 1910 წელს ედინბურგში გამართულ მსოფლიო მისიონერულ კონფერენციაზე. *ე.*, სულ ცოტა, სამ მიმართულებას ითვალისწინებს: 1. ქრისტიანული კონფესიების გაერთიანებას; 2. არაქრისტიანული რელიგიების ინტეგრაციულ პროცესებსა და 3. ქრისტიანული ეკუმენისტური ორგანიზაციების არაქრისტიანულ ორგანიზაციებთან შეთანხმებულ მოქმედებებს. უკანასკნელთა შორის გამოირჩევა ბუდისტების მსოფლიო საძმო, მსოფლიო ისლამური კონგრესი, ალ-ازهر-თან (ქაიროში) არსებული ისლამური კვლევების ცენტრი და სხვ. ქრისტიანობაში ეკუმენისტური პროცესების კოორდინატორია მსოფლიო საეკლესიო საბჭო, რომელიც 1948 წელს შეიქმნა. მასში გაერთიანებულია პროტესტანტული, მართლმადიდებლური, სომხურ-ბერძნული და სხვ. კონფესიების უმრავლესობა.

ელექტორატი 1. ფართო მნიშვნელობით – ყველა ის ადამიანი, რომელიც ფლობს საარჩევნო უფლებას და შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ამა თუ იმ დონისა და ტიპის *არჩევნებში*. **2.** ამომრჩეველთა ის ნაწილი, რომელიც, ჩვეულებრივ, ხმას აძლევს ამა თუ იმ პარტიას, ორგანიზაციას, მის წარმომადგენლებს ან რომელიმე დამოუკიდებელ დეპუტატს. ე-ის რაოდენობა პირველ შემთხვევაში დამოკიდებულია ქვეყნის მოსახლეობაზე, აგრეთვე იმაზე, თუ რომელ არჩევნებზეა საუბარი – საერთო სახელმწიფოებრივ, ფედერაციის სუბიექტებისა თუ ადგილობრივი ორგანოების; საპრეზიდენტო, საპარლამენტო თუ მუნიციპალურზე. მეორე შემთხვევაში მისი რაოდენობა დამოკიდებულია ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის თუ პიროვნების ამომრჩეველთა გავლენაზე და ამომრჩევლების მზადყოფნაზე – მხარი დაუჭირონ შესაბამის კანდიდატებს. *ე-ის* გაზრდა დეპუტატების კანდიდატების, მათი პარტიებისა და საარჩევნო კამპანიების მთავარი მიზანია.

ელიტა მცირერიცხოვანი სოციალური ჯგუფი, რომლის წარმომადგენლებსაც უკავიათ წამყვანი და პრივილეგირებული პოზიციები საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროებში, როგორიცაა *პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, თავდაცვა* და სხვ. და ახორციელებენ მასების მართვისა და კონტროლის ფუნქციებს. *ე-ის* განსაზღვრება სოციოლოგიაში არაერთმნიშვნელოვანია, რაც ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე განსაზღვრებიდანაც ჩანს: *ე.* ესაა ადამიანთა ერთობლიობა, რომლებსაც აქვთ უმაღლესი ინდექსი მათი მოღვაწეობის სფეროში (პარეტო), პოლიტიკური თვალსაზრისით ყველაზე აქტიური ადამიანები, ძალაუფლებაზე ორიენტირებული საზოგადოების ორგანიზებული უმცირესობა (მოსკა), ადამიანები, რომლებიც საზოგადოებაში სარგებლობენ უმაღლესი პრესტიჟით, სტატუსით, სიმდიდრით. ადამიანები, რომლებსაც აქვთ ინტელექტუალური ან მორალური უპირატესობა მასაზე, ასევე, პასუხისმგებლობის უმაღლესი გრძნობა (ხ. ორტეგა ი გასეტი). ადამიანები, რომლებსაც უკავიათ ძალაუფლების პოზიციები (ეტციონი), აქვთ ფორმალური ძალაუფლება იმ ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებში, რომლებიც განსაზღვრავს სოციალურ ცხოვრებას (თ. დაი), ღვთივშთაგონებულ ადამიანები, რომელთაც გააჩნიათ ქარიზმა (ლ. ფროინდი). საზოგადოების შემოქმედებითი უმცირესობა არაშემოქმედებითი უმრავლესობის საპირისპიროდ (ტოინბი), შედარებით მცირე ჯგუფები, რომლებიც შედგება იმ პირთაგან, ვისაც უკავიათ წამყვანი მდგომარეობა საზოგადოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ ცხოვრებაში (*ე-თა* პლურალიზმის თეორიის

მომხრეები), ბიუროკრატიული მართვის სისტემაში ყველაზე კვალიფიციური სპეციალისტები, მენეჯერები და უმაღლესი მოხელეები (ტექნოლოგიური დეტერმინიზმის მიმდევრები).

ე-ის განსაზღვრებისადმი ყველა არსებული მიდგომა შეიძლება დავიყვანოთ ორ ძირითადზე: ღირებულებაზე (ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება ადამიანის ფსიქოლოგიურ-მორალურ მახასიათებლებზე) და ფუნქციონალურზე (სადაც ყურადღება გამახვილებულია ადამიანთა სოციალურ სტატუსებსა და პოზიციებზე).

ე-თა კლასიფიკაცია სხვადასხვა კრიტერიუმითაა შესაძლებელი. საზოგადოებრივი ფუნქციების მიხედვით, *ე.* შეიძლება იყოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, ინტელექტუალური, სამხედრო, ადმინისტრაციული და სხვა; პოლიტიკურ სისტემაში ადგილის მიხედვით – მმართველი და ოპოზიციური; ცირკულაციის ინტენსიურობისა და ახალ წევრთა რეკრუტირების ხერხების მიხედვით – ღია და დახურული; სტრუქტურული თვალსაზრისით – ინტეგრირებული და არაინტეგრირებული; წარმომადგენლობითობის თვალსაზრისით – მაღალი და დაბალი ხარისხით წარმომადგენლობითი და სხვა.

ელიტიზმი კონცეფცია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს მართვა უნდა იყოს და პრაქტიკულად არის კიდეც „პოლიტიკური კლასის“ ანუ პოლიტიკური მართვის ხელოვნებაში კომპეტენტური ხალხის საქმე. ელიტისტური კონცეფციები ზოგ შემთხვევაში ეჭვქვეშ აყენებს ხალხის მიერ ხელისუფლების კონტროლის მართლზომიერებასა და მიზანშეწონილობას, ხოლო ზოგჯერ კი პრაქტიკულ რეალურობას. პირველად ამგვარ იდეას ვხვდებით პლატონის „სახელმწიფოში“. ელიტისტური კონცეფციების დეტალური დამუშავება უკავშირდება XX საუკუნის (დასაწყისისა და შუა პერიოდის) ისეთი ავტორების სახელებს, როგორებიცაა გაეტანო მოსკა, ვილფრედ პარეტო და იოზეფ შუმპეტერი. ამ ავტორთა ელიტისტური კონცეფციების სპეციფიკას წარმოადგენს იმ იდეის გატარება, რომ *ე.* სავსებით შეთავსებადია დემოკრატიული სახელმწიფოების ბუნებასთან, რაც პოლიტიკურ ლიტერატურაში არაერთგვაროვნადაა შეფასებული: ზოგს მიაჩნია, რომ *ე.* პრინციპულად ვერ ეგუება დემოკრატიის იდეალებს, ხოლო სხვებს მიაჩნიათ, რომ *ე-მა* გააფართოვა ჩვენი სტანდარტული წარმოდგენები დემოკრატიაზე. (იხ. აგრ. *ელიტა*).

ემანსიპაცია რომელიმე პიროვნების ან სოციალური ჯგუფის გათავისუფლება, ვისიმე ან რისამე დაქვემდებარებიდან, მფლობელობიდან გამოსვლა და შედეგად დამოუკიდებლობისა და თანასწორი უფლებების მიღება.

ემანსიპაცია ქალთა იხ. *ფემინიზმი.*

ემბარგო ეკონომიკური სანქციების ერთ-ერთი სახეობა. გულისხმობს კონკრეტული სახელმწიფოს მიმართ გატარებულ სადამსჯელო ღონისძიებას, რომლის მიხედვითაც იკრძალება გარკვეული ნაწარმით ვაჭრობა. *ე-ს* მიზანია ქვეყანა დატოვოს ცალკეული პროდუქციისა და ნედლეულის გარეშე (ძირითადად სტრატეგიული დანიშნულების საქონელი), რათა არ მისცეს საშუალება აწარმოოს ის, რაც გარკვეულ საფრთხეს უქმნის ცალკეული ქვეყნების უშიშროებასა და ეკონომიკურ განვითარებას. ზოგჯერ *ე.* მიზნად ისახავს შეაცვლევინოს ქვეყანას ამა თუ იმ საკითხის მიმართ აღებული კურსი. (იხ. აგრ. *ეკონომიკური სანქციები*).

ემერჯენტული თვისებები ტალკოტ პარსონსის მიერ სოციალურ სისტემათა ანალიზისათვის შემოტანილი ცნე-

ბა. იგი აღნიშნავს სოციალური სისტემის ნებისმიერ თვისებას, რომელიც არ შეიძლება მარტივად აიხსნას მისი წარმოშობის ან შემადგენელი ნაწილების მიხედვით იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ მთელი გაცილებით მეტია, ვიდრე მისი ნაწილების ჯამი. *ე. თ.* არარედუცირებადია, ანუ არ დაიყვანება სოციალურ მოვლენათა ბიოლოგიურ ან ფსიქოლოგიურ მახასიათებლებზე. აღნიშნული ცნება დამახასიათებელია ზოგადად ფუნქციონალური სოციოლოგიისათვის, რათა ხაზი გაესვას სოციოლოგიის დამოუკიდებლობას სხვა მეცნიერებებისაგან.

ემპათია / ემპათიკური გაგება უნარი იმისა, რომ გაგებულ იქნეს სხვა ადამიანთა ქცევა და ატიტუდები, რამდენადაც ისინი საკუთარ გამოცდილებაში შეიძლება არსებობდეს. სიმბოლური ინტერაქციონისტები (ჯორჯ მიდი და სხვ.) *ე-ს* განიხილავენ, როგორც სხვათა როლების ათვისების პროცესს, რაც სოციალიზაციის არსს შეადგენს. *ე-ის* შინაარსი ვებერთან მოიაზრება ცნებაში „ფერშტეენ" (verstehen), რომელიც ნიშნავს გაგებას და თანაგანცდის მეშვეობით უზრუნველყოფს სხვათა ემოციური (არარაციონალური) ქმედებების საზრისთა ადეკვატურ წვდომას. ინტერაქციონისტებს სჯერათ, რომ *ე-ის* განხორციელება თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებითაა შესაძლებელი. თუმცა, ოპონენტები ამტკიცებენ, რომ *ე.* სხვათა ქმედებებზე ობიექტური დაკვირვების შესაძლებლობას ამცირებს.

ემიგრაცია პოლიტიკური, ეკონომიკური ან პირადი მიზეზებით უცხო ქვეყანაში მცირე ხნით ან მუდმივად საცხოვრებლად წასვლა. პოლიტიკური მიზეზებით *ე.*, როგორც წესი, რეპრესიული რეჟიმის თანმხლები მოვლენაა, როდესაც რეპრესიის შიში ან გაბატონებული რეჟიმისათვის ლოიალობის გამოცხადების აუცილებლობა მოქალაქეებს აიძულებს უცხო ქვეყანას შეაფარონ თავი. რაც შეეხება *ე-ს* ეკონომიკური მიზეზებით, იგი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი. კაპიტალიზმის ეპოქაში, მას შემდეგ რაც სამუშაო ძალამ საქონლის სახე შეიძინა, კაპიტალის სხვა ფორმების მსგავსად, მუშახელი ერთი ქვეყნიდან მეორეში შედარებით თავისუფლად გადაადგილდება. (იხ. აგრ. *მიგრაცია*).

ერგონომიკა დისციპლინა, რომელიც კომპლექსურად შეისწავლის ინდივიდის ფუნქციურ შესაძლებლობებს ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში. სამუშაო ადგილის პროექტირებისას *ე-ის* სპეციალისტები ეყრდნობიან ცოდნას ადამიანის ანატომიასა და შრომის ნაყოფიერებაზე იმისთვის, რომ მან მაქსიმალური თვითგაღებითა და ჯანმრთელობისთვის მინიმალური დანაკარგებით იმუშაოს. დისციპლინა აგრეთვე ცნობილია *ადამიანური ფაქტორის* სახელწოდებით.

ერთგანზომილებიანი ადამიანი კონცეფცია, თეორია, რომელმაც სახელწოდება მიიღო ჰ. მარკუზეს ამავე სახელწოდების წიგნის მიხედვით (1964). კონცეფციის ჩამოყალიბებაში არსებითი როლი ითამაშა ფროიდის, რაიხის, ჰორნის, ჰორკჰაიმერის, ადორნის, ფრომის და სხვათა იდეებმა. მარკუზეს კონცეფციის მიხედვით, სოციალურ-კულტურული ერთგანზომილებიანობა, აზროვნების ერთგანზომილებიანობა ინდუსტრიული საზოგადოების გარდაუვალი შედეგია, ეფუძნება სციენტიზმისა და ტექნიციზმის იმპერატივებს, მომხმარებლურობის პრინციპს, რომელიც ამახინჯებს ადამიანის ბუნებრივ მისწრაფებებსა და მოთხოვნილებებს. მომხმარებლობა, მატერიალური სიკეთეების გამოდევნება არ-

თმევს ადამიანს სოციალურ-კრიტიკულ განზომილებას, ე. ი. მისთვის დამახასიათებელია სამყაროს დამახინჯებული ხედვა, გაუცხოება, სუბლიმირებული მონობა, რასაც იგი იღებს როგორც ბუნებრივს, სასურველს, ერთადერთ შესაძლებელს, ზოგჯერ კი – როგორც არსებობის ყველა შესაძლებლიდან უმაღლესს. *ე. ა.* მოკლებულია ოპოზიციას არსებული რეჟიმისადმი, მთლიანადაა ინტეგრირებული „სისტემაში", ერთგანზომილებიანობის გარღვევა, მარკუზეს თანახმად, შესაძლებელია ახალი მისწრაფებების, მოთხოვნილებების ფორმირების მეშვეობით. რევოლუციური პოტენციალის მატარებლად იგი თვლის სოციალურ აუტსაიდერებსა და მარგინალებს. ასეთი სოციალური ორიენტაციის გამო მარკუზეს იდეები ფარული სახით შეიცავს ექსტრემისტული ინტერპრეტაციების შესაძლებლობას. (ამიტომ იქცა იგი გასული საუკუნის 60-იანი წლების ახალგაზრდული მოძრაობის იდეოლოგად).

ერთეული ვეტოს სისტემა საერთაშორისო სისტემის ერთ-ერთი ჰიპოთეზური ტიპი ამერიკელი მეცნიერის მ. კაპლანის ტიპოლოგიის მიხედვით. ასეთ სისტემაში საერთაშორისო ურთიერთობების ყველა აქტორი – სახელმწიფო – აბსოლუტურად ინდივიდუალურად მოქმედებს და თანაბარძალიანია. ეს არის ჰობსისეული – „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ" – მდგომარეობის პრაქტიკული ასახვა. ასეთი სისტემის ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ყველა სახელმწიფოს ექნება ისეთი იარაღი, რომ შეეძლება ნებისმიერი აგრესორის მოსპობა თუნდაც საკუთარი არსებობის გაქრობის ფასად. ამ სისტემაში საერთაშორისო ორგანიზაციების არსებობას აზრი აღარ აქვს, ხოლო სისტემა სტაბილური იქნება მანამ, სანამ ყველა აქტორს შეეძლება გაუძღლოს მუქარას და საპასუხო ზომებიც მიიღოს. *ე. ვ. ს-ში* დაძაბულობამ შეიძლება ისეთ დონეს მიაღწიოს, რომ სისტემა ქაოსმა მოიცვას. თეორიულად დასაშვებია ისიც, რომ ერთმა აქტორმა შეძლოს დანარჩენების დაშინება. ასეთ შემთხვევაში ჩამოყალიბდება იერარქიული სისტემა (იხ. *იერარქია*).

ერთობა (სოციალური) ადამიანთა შედარებით მყარი ერთობლიობა, რომელიც გამოირჩევა მეტ-ნაკლებად ერთნაირი ნიშნებით (ცხოველმოქმედების ყველა ან ზოგიერთი ასპექტით), ცხოვრების პირობებითა და წესით, მასობრივი ცნობიერების, სოციალური ნორმების, ღირებულებითი ორიენტაციებისა და ინტერესების განსაზღვრული ერთიანობით. სხვადასხვა სახეებისა და ტიპების *ე-უები* – ეს არის ადამიანთა ერთობლივი ცხოველმოქმედების, ადამიანური თანაცხოვრების ფორმები.

სოციალური ინსტიტუტებისა და ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, *ე-უები* არ იქმნება ადამიანთა შეგნებული მოღვაწეობით, არამედ ყალიბდება საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ მსვლელობაში ადამიანთა ცხოველმოქმედების ერთობლივი ხასიათის ზემოქმედებით. ერთი რიგის *ე-უები* უშუალოდ წარმოიშობა საზოგადოებრივი წარმოებით (საწარმოო კოლექტივი, საზოგადოებრივი კლასი, სოციალურ-პროფესიული ჯგუფები); მეორენი აღმოცენდებიან ეთნიკურ საფუძველზე (ხალხები, ერები). მესამე სახის სოციალურ-დემოგრაფიული *ე-ის* საფუძველია ბუნებრივ-დემოგრაფიული ფაქტორები – სქესი, ასაკი.

ისტორიულად, *ე-ის* პირველი სახეები იყო ისეთი გაერთიანებები, როგორიცაა *ოჯახი, გვარი,* თემი, *ტომი,* რომელთა წარმოქმნის ობიექტურ საფუძველს შეადგენდა სისხლით ნათესაობითი *ე.* და ერთობლივი საწარმოო მოღვაწეობა, აგრეთვე იმ პირობებში აღ-

მოცენებული საერთო ეთნიკური ნიშნები. მაგალითად, თემი წარმოადგენდა ადრინდელი, გვაროვნული სისხლით ნათესაობის საწყისებზე წარმოქმნილ სოციალური ორგანიზაციის პირველ ფორმას.

სოციალურ *ე*-ად ადამიანთა ერთობლიობა ყალიბდება მაშინ, როცა მათ შეუძლიათ გააცნობიერონ თავიანთი პირობების ერთგვარობა, გამოავლინონ მათ მიმართ დამოკიდებულება და ამასთან დაკავშირებით გამოიმუშაონ მეტ-ნაკლებად ნათელი გაგება იმისა, თუ ვინ არის „თავისი" და ვინ „უცხო", განასხვაონ „ჩვენ" და „ისინი". შესაბამისად აღმოცენდება საკუთარი ინტერესების ერთიანობის გაგება სხვა *ე-ებთან* მიმართებით.

ერი ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული, მყარი ერთიანობა საერთო ტერიტორიით, ენით, ეკონომიკური თანაცხოვრებითა და კულტურულ-ფსიქოლოგიური (ნაციონალური ხასიათი, თვითცნობიერება, ინტერესები და ყოფა) ნიშნებით. ერის წარმოშობის ეკონომიკურ საფუძვლად იქცა ფეოდალური დაქუცმაცებულობის ლიკვიდაცია, ქვეყნის შიგნით ცალკეულ ნაწილებს შორის ეკონომიკურ კავშირთა განმტკიცება, ადგილობრივი ბაზრების ერთიან, საერთო-ნაციონალურ ბაზრად გაერთიანება. პირველი ევროპული ერები ფორმირდებოდა ცენტრალიზებული სახელმწიფოების საზღვრებში ერთი ან რამდენიმე ეთნიკურად ახლო მდგარი ხალხების ბაზაზე, მაგ., საფრანგეთში – ჩრდილო ფრანგებისა და პროვანსალებისაგან. ევროპის აღმოსავლეთსა და სამხრეთ-დასავლეთში ერების ფორმირება დაიწყო პოლიეთნიკური სახელმწიფოების შიგნით (ავსტრია-უნგრეთი, თურქეთი, რუსეთი); ამერიკის ქვეყნებში ერები ფორმირდებოდა ევროპიდან გადასახლებული სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისგან, რომლებიც შეერივნენ ერთმანეთს და აგრეთვე ინდიელებსა და ზანგებს. ამ ერების ძირითადი ენა, ჩვეულებრივ, ხდებოდა *მეტროპოლიის* ენა (ესპანეთი, პორტუგალია, ინგლისი და სხვ.), ხოლო მათი ფორმირების ჩარჩოები იყო აღმოცენებული სახელმწიფოების საზღვრები. მ. ვებერის მიხედვით *ე*. გრძნობების ერთობაა, რომლისთვისაც აუცილებელია სახელმწიფოებრიობა საკუთარი მთლიანობისა და ინტერესების დასაცავად. თანამედროვე თეორიებში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ერის ეთნიკურ ნიშნებზე, მის თვითცნობიერებაზე. ინგლისურ და ფრანგულ ენებში სიტყვა ერს (the nation, la nation) უფრო პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეთნიკური. თვით ქართულ და რუსულ ენებშიც კი, სადაც ეს სიტყვა ძირითადად ეთნიკური შინაარსისაა, გვხვდება კონტექსტები, რომლებშიც ერი სწორედ სახელმწიფოს მნიშვნელობით გამოიყენება (მაგ., გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ეროვნული ვალუტა და სხვა). (იხ. აგრ. *ერი-სახელმწიფო, ნაციონალიზმი, ეროვნული თვითგამორკვევა, ეროვნული ინტერესები*).

ერი-სახელმწიფო მთავარი პოლიტიკური ერთობა თანამედროვე მსოფლიოში და *საერთაშორისო ურთიერთობების* ძირითადი *აქტორი*. მიუხედავად მისი წამყვანი მნიშვნელობისა, *ე.-ს*. შედარებით ახალი ფენომენია. მისი ისტორია იწყება ევროპაში XVII-XVIII ს-დან და მანამდე არსებული *სახელმწიფოებისაგან* განსხვავებით (სადაც ძირითად ფორმას *ქალაქი-სახელმწიფოები*, რელიგიური თუ დინასტიური სამფლობელოები წარმოადგენდნენ), სახელმწიფოს საფუძვლად და შემაკავშირებელ ერთობად *ერი* წარმოჩინდა. ზოგიერთი მოსაზრებით, ევროპაში *ე.-ს-ების* ფორმირების პრო-

ცესი ვესტფალიის ზავის (1648) შემდეგ იწყება და მას სხვადასხვა პროცესებმა, მათ შორის სამეფო ხელისუფლებების ცენტრალიზაციამ, შემდგომ კი *რევოლუციებმა* შეუწყო ხელი. *ე.-ს-ს* ჩამოყალიბება შესაძლებელი გახდა, როცა ეთნოკულტურული ერთობები ერებად ჩამოყალიბდნენ და ერთიან პოლიტიკურ ერთობად ყოფნის აუცილებლობა გააცნობიერეს. *ე.-ს-ს* მნიშვნელობისათვის განმსაზღვრელი აზრი აქვს ორი ტერმინის, *ერისა* და *სახელმწიფოს* შეკავშირებას. როგორც წესი, *ე.-ს-ს* ცნებაში იგულისხმება ის, რომ ასეთი სახელმწიფოს ყველა მოქალაქე, მიუხედავად ეთნიკური კუთვნილებისა, ერთი ერის წარმომადგენელია. მაგ., ფრანგი ერი გულისხმობს საფრანგეთის ყველა მოქალაქეს, ასევე ამერიკელი ერი აშშ-ის მოქალაქეების ერთობლიობაა და ა. შ. ამდენად, ცნება „ფრანგი" განსხვავდება „ეთნიკური ფრანგისაგან", რადგან პირველი გულისხმობს საფრანგეთის ყველა მოქალაქეს, მეორე კი მხოლოდ ეთნიკურ ფრანგებს. ევროპის ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა *ე.-ს-ს* ტიპს განეკუთვნება, მაშინ როდესაც, მაგალითისთვის, აფრიკაში *ე.-ს.* იშვიათობას წარმოადგენს. *ე.-ს-ს* მნიშვნელობა და როლი ჯერ შეუმჩნეველ, მაგრამ პროგრესირებად დაკნინებას იწყებს XIX ს-დან ტრანსნაციონალური ეკონომიკური და სხვადასხვა სახის პოლიტიკური გაერთიანებების, XX ს-ის მიწურულიდან კი *გლობალიზმის* გაძლიერების კვალად, თუმცა *გლობალიზაციის* პროცესი გარდაუვლად არ გულისხმობს *ე.-ს-ს* მოსპობას, რადგან ჯერჯერობით ერთადერთი პასუხისმგებელი ინსტიტუტები, რომელთა დახმარებითაც გლობალისტურ ორგანიზაციებს შეუძლიათ დაიცვან თავიანთი ინტერესები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, ისევ *ე.-ს-ების* პოლიტიკური ინსტიტუტებია.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა დაპყრობილი და კოლონიზებული ხალხების ბრძოლა, რომელიც მიზნად ისახავს უცხოეთის ბატონობის მოსპობასა და ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებას, კოლონიური ჩაგვრისა და ექსპლუატაციის ლიკვიდაციას, ხალხის მიერ თვითგამორკვევისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლების განხორციელებას. ეს მოძრაობა ამა თუ იმ ფორმით თავს იჩენს კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში, მაგრამ განსაკუთრებით ინტენსიური გახდა ბოლო ორ საუკუნეში. ამ მოძრაობის პირველ მასობრივ ტალღად ითვლება XIX ს-ის პირველ მესამედში ლათინური ამერიკის ხალხთა ბრძოლა დამოუკიდებლობისა და სუვერენული სახელმწიფოების შექმნისათვის ესპანელი და პორტუგალიელი კოლონიზატორების ბატონობის წინააღმდეგ. ეს მოძრაობა განსაკუთრებით ფართოდ და მძლავრად გაიშალა XX ს-ის 50-60-იან წლებში, როდესაც ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვა აზიის, აფრიკის, კარიბის რეგიონისა და ოკეანეთის ასზე მეტმა სახელმწიფომ. მესამე ეტაპად უნდა ჩაითვალოს XX ს-ის 90-იანი წლები, როდესაც კომუნისტური რეჟიმების დამხობას აღმოსავლეთ ევროპაში და საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა ოცამდე ახალი სუვერენული სახელმწიფოს წარმოქმნა.

დღევანდელ მსოფლიოში *კოლონიალიზმის* კლასიკური ფორმა ფაქტობრივად ლიკვიდირებულია. დაპყრობილი და კოლონიზებული ხალხების რიცხვი არცთუ ისე ბევრია. თუმცა ახლად ჩამოყალიბებული, პოლიტიკურად დამოუკიდებელი ქვეყნების დიდი უმრავლესობა ეკონომიკურად კვლავ ყოფილი *მეტროპოლიის* დიდი გავლენის ქვეშ იმყოფება ან დამოკიდებულია სხვა წამყვან, განვითარებულ ქვეყნებზე. ასეთი მდგომარეობა წარ-

მოშობს დამოკიდებულების ახალ ფორმებს (*ნეოკოლონიალიზმი*) და ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოების წინაშე აყენებს პრობლემას – იბრძოლონ რაც შეიძლება მეტი ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის.

ე.-გ. ბ. სამართლიანი და პროგრესული მოვლენაა. მის იურიდიულ საფუძველს შეადგენს *საერთაშორისო სამართლის* ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი – ხალხთა თანასწორუფლებიანობის და თვითგამორკვევის უფლება. ამ ბრძოლისაგან მკვეთრად განსხვავდება *სეპარატიზმი*, რომელიც მიზნად ისახავს საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული სახელმწიფოსაგან გამოცალკევდეს მასში მცხოვრები მცირერიცხოვანი ხალხი ეთნიკური ან რელიგიური ნიშნის საფუძველზე, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის სხვა ძირითად ნორმებს, კერძოდ, სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობასა და საზღვრების ურღვევობის პრინციპებს.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ხალხების ბრძოლა, მიაღწიონ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და კულტურულ იდენტიფიკაციას. *ე.-გ. მ-ები* ჩაისახა XIX ს-ში და დიდი როლი შეასრულა იმპერიების დაშლის საქმეში. ასე მაგ., ოსმალეთის იმპერიის დაშლას თან მოჰყვა ბალკანეთსა და წინა აზიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოშობა, ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაშლამ დამოუკიდებლობა მოუტანა აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს, რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად შეიქმნა პოლონეთისა და ფინეთის, ხოლო ბრიტანეთის იმპერიის დაშლის შედეგად – ინდოეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო და ა. შ.

ე.-გ. მ. საწყის ეტაპზე მაინც, წარმოადგენს მოძრაობას კულტურულ-ეროვნული თვითიდენტიფიკაციისათვის. ამ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება (სხვა ენობრივი დიალექტების არსებობის ფონზე) უნიფიცირებული ენის, ეროვნული პრესის, მეტ-ნაკლებად ერთიანი განათლების სისტემის, საკუთარი ისტორიული წარსულის ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას და სხვა ეროვნულ კულტურულ დაწესებულებებთან ერთად, ყოველივე ამით ხორციელდება ეროვნული ცნობიერების ფორმირება, რაც ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტი ფაქტორია ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საქმეში. საქართველოში ამგვარი წამოწყებების უდიდესი ნაწილი განხორციელდა ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების ძალისხმევის შედეგად XIX ს-ის 60-იანი წლებიდან.

ე.-გ. მ-ის უფრო მომწიფებულ ეტაპებზე ხდება უკვე წმინდა პოლიტიკური, უკიდურეს შემთხვევაში, შეიარაღებული გამოსვლები, რომელთა წარმატება დამოკიდებულია მრავალ პირობაზე, მათ შორის საერთაშორისო პოლიტიკურ კლიმატზე. სწორედ ამ უკანასკნელმა და არა იმდენად მმართველი წრეების უუნარობამ მრავალმხრივ განაპირობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემა და უკვე ბოლშევიკური რუსეთის მიერ მისი ოკუპაცია 1921 წელს.

ეროვნული თვითგამორკვევა ეთნიკური ჯგუფის (რომელიც თავს განსაკუთრებულ, გამორჩეულ ერთობად აღიქვამს) უფლება ან მისწრაფება, თვითონ მართოს საკუთარი თავი და განსაზღვროს იმ ტერიტორიის პოლიტიკური და სამართლებრივი სტატუსი, რომელიც უკავია. პოლიტიკური მნიშვნელობით იგი გამოხატავს პროცესსაც და იდეასაც. ეროვნული *თვითგამორკვევა* მჭიდროდ უკავშირდება *ნაციონალიზმსა* და *ლიბერალიზმს* და შეიძლება განვიხილოთ როგორც *სახელმწიფოსა* და *ერს* შორის ურთიერთდამოკიდებულების თეორია. ზოგადი აზრით, ეს არის ხალხის უფლება,

თვითონ განსაზღვროს საკუთარი ბედი. თვითგამორკვევის იდეა ფიგურირებდა აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში, საფრანგეთის დიდი რევოლუციის მიერ გამოქვეყნებულ ადამიანთა უფლებების დეკლარაციაში. ამ იდეას განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ვუდრო უილსონის ცნობილ 14 პუნქტში, გაეროს წესდებასა და 1960 წლის დეკლარაციაში კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. როგორც საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, ეროვნული თვითგამორკვევა აღიარებს ყველა ხალხის უფლებას, თვითონვე განსაზღვროს თავისი პოლიტიკური და იურიდიული სტატუსი. ამასთანავე წინააღმდეგობა იქმნება საერთაშორისო სამართლის სხვა პრინციპებთან (სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის პრინციპები). ამ წინააღმდეგობამ არაერთი ეთნიკური კონფლიქტი გამოიწვია და დღესაც მსოფლიო დაძაბულობის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. საკითხი – თუ ვინ არის ხალხი, რომელსაც აქვს თვითგამორკვევის უფლება და რამდენად სამართლიანია ამ მიზნის მისაღწევად აჯანყების, *რევოლუციისა* თუ *სეცესიის* გზა, ჯერ-ჯერობით ღიად რჩება.

ეროვნული ინტერესები საგარეო პოლიტიკის ძირითადი განმსაზღვრელი კონცეფცია, რომელსაც საფუძვლად *ეროვნული უსაფრთხოებისა* და გადარჩენის პრინციპები უდევს; იხმარება მხოლოდ სახელმწიფოების მიმართ. *ე. ი-ის* ცნებამ დროთა განმავლობაში შეცვალა *სახელმწიფო ინტერესის* (raison d'état) დოქტრინა. ამ ცვლილების არსი, ერთი მხრივ, *ერი-სახელმწიფოს* წარმოშობასა და *ნაციონალიზმის* აღმავლობას უკავშირდებოდა, მეორე მხრივ კი, *სახელმწიფოს* დინასტიური ინტერესების მთელი საზოგადოების ინტერესებით ჩანაცვლებას. *ე. ი-ის* კონცეფცია *პოლიტიკური რეალიზმის* სკოლასა და მის ერთ-ერთ მთავარ წარმომადგენელს ჰანს მორგენტაუს სახელს უკავშირდება. მან *ე. ი.* სახელმწიფოს მიერ ძალაუფლების მოპოვებასა და შენარჩუნებასთან გააიგივა. მორგენტაუს მიხედვით, ამგვარად განსაზღვრული *ე. ი.*, როგორც სახელმწიფოს მოღვაწეობის მთავარი მიმართულება, ობიექტურ რეალობას წარმოადგენდა. მოგვიანებით მორგენტაუს თვალსაზრისი *ე. ი-ისა* და ძალაუფლებისაკენ სწრაფვის გაიგივების შესახებ უარყოფილ იქნა. ეჭვქვეშ დადგა *ე. ი-ის*, როგორც ობიექტური რეალობის საკითხიც. ამის ნაცვლად საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში ფეხი მოიკიდა *ე. ი-ის* უფრო სუბიექტური აღქმის თვალსაზრისმა, რომლის მიხედვითაც, კონკრეტულ ისტორიულ პირობებში *ე. ი-ის* ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს როგორც ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესები, ასევე ცვლილებები საერთაშორისო გარემოში. *კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების* თეორიებისა და საერთაშორისო პოლიტიკის მოქმედი პირების *პლურალისტური* აღქმის გავრცელების კვალდაკვალ *ე. ი-ის* კონცეფცია, როგორც სუვერენული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ატრიბუტი, კიდევ უფრო მეტი კრიტიკის საგანი გახდა. ამის მიუხედავად, *ე. ი-ზე* დაფუძნებულმა *პოლიტიკური რეალიზმის* კონცეფციამ დიდი გავლენა მოახდინა *საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის*, როგორც სამეცნიერო დისციპლინის განვითარებაზე.

ეროვნული სახელმწიფო იხ. *ერი-სახელმწიფო*; აგრ. *ერი, სახელმწიფო, ნაციონალიზმი.*

ეროვნული უსაფრთხოება დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური

ინსტიტუტებისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების უზრუნველყოფა. *პოლიტიკური რეალიზმის* კონცეფციის მიხედვით, *ე. უ. საერთაშორისო ურთიერთობების* ცენტრალური ცნებაა, რადგან ანარქიულ *საერთაშორისო სისტემაში* სახელმწიფოს უსაფრთხოება უმაღლეს ღირებულებად ითვლება. სახელმწიფო კი მოსახლეობის უსაფრთხოების მთავარი და ჯერჯერობით შეუცვლელი გარანტია. *ე. უ.* დაკავშირებულია ღირებულებებთან, მაგრამ თავად არ არის ღირებულება. იგი ის პირობაა, რომლის მეშვეობითაც ღირებულებათა შენარჩუნება ხორციელდება. *ე. უ.* მრავალი კომპონენტისაგან შედგება: სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი, ინფორმაციული, ბუნებრივი გარემოს დაცვისა და სხვ. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში გაიზარდა ეროვნული უსაფრთხოების არასამხედრო კომპონენტების მნიშვნელობა (იხ. აგრ. *უსაფრთხოება*).

ეროვნული ცნობიერება ეროვნული იდენტურობის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. გარდა საერთო ისტორიული მეხსიერებისა, ფსიქოლოგიური განწყობებისა, ენობრივ-მენტალური კოდების სისტემისა და ა. შ., *ე. ც.* შეიცავს ეროვნული თვითცნობიერების მომენტს, რომლის გარეშეც შეუძლებელია განისაზღვროს კონკრეტული პიროვნების ეროვნული მიკუთვნილობა. პიროვნება, რომელიც ეროვნული იდენტიფიკაციის ნიშანთა უმეტესობას აკმაყოფილებს, ძნელია მივიჩნიოთ ამა თუ იმ ერის წარმომადგენლად, თუკი ის ასეთად არ თვლის თავს და არ იზიარებს იმავე ერის მიზნებსა და მისწრაფებებს.

ეროვნული ხასიათი ეთნოფსიქოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კატეგორია, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა ეთნოსებისათვის სპეციფიკური *ე. ხ-ის* არსებობას. მისი კვლევა განსაკუთრებული ინტენსივობით მიმდინარეობს აშშ-ში. *ე. ხ-ს* გააჩნია პიროვნების მყარი ფსიქოლოგიური მახასიათებლები, რაც აისახება მის ქცევაში და საშუალებას იძლევა შეევქმნათ ამა თუ იმ ხალხის საშუალო ადამიანის „ბაზისური პიროვნების“ მოდელი, რომელშიც გაერთიანებული იქნება მათ წარმომადგენელთათვის საერთო ეროვნული ნიშნები და ეროვნული *კულტურის* ნიშნები (ა. კარდინერი). აქ მნიშვნელოვანია ოჯახის კულტურის გავლენა, აგრეთვე საზოგადოებრივი სტრუქტურისა და „ბაზისური პიროვნების“ უკუგავლენა სოციალურ ინსტიტუტებზე. ამერიკელი ფსიქოლოგები ომის შემდგომი იაპონიისა და დასავლეთი გერმანიის მოსახლეობის ფსიქოლოგიის შესწავლის შედეგად მივიდნენ დასკვნამდე, რომ ნაციონალური კულტურა გავლენას ახდენს *ერზე*, მისი ღირებულებების იერარქიაზე, ადამიანთა ურთიერთობის ფორმებზე და ა. შ. მ. მიდმა ხაზი გაუსვა იმას, რომ შეხედულებები, ცხოვრების სტილი ქმნიან სხვადასხვა „მოდელებს“ სხვადასხვა ხალხში და ეს დამოკიდებულია ბავშვის სწავლებაზე თითოეულ ეროვნულ კულტურაში, რაც განისაზღვრება მოზრდილთა ღირებულებების იერარქიის სისტემითა და ქცევით. რ. როლანი აღნიშნავდა, რომ თავისთავად, პიროვნების ნიშნების კრებული, რომელსაც იყენებს მკვლევარი, ზეგავლენას ახდენს შედეგზე. მკვლევრებმა აღმოაჩინეს აგრეთვე, რომ ხასიათის ნიშნები სხვადასხვაა მასებისა და *ელიტის* წარმომადგენლებში.

ეროსი და თანატოსი ფროიდის თეორიაში ძირითადი ინსტინქტები. *ე.* აღნიშნავს თვითშენახვაზე მიმართულ ინსტინქტთა ერთობლიობას. ეს სახელწოდება მოდის სიყვარულის ბერძნული ღმერთის სახელიდან, სადაც

იგი სასიცოცხლო ძალების გამაერთიანებელი და სულიერების მიმნიჭებელი უმაღლესი სათნოებაა. ასეთ ინსტინქტთა ერთობლიობას მიეკუთვნება სექსუალური ინსტინქტებიც. ფსიქოანალიზში *ე-ის* ცნებას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: სექსუალური ლტოლვა ან ლიბიდო, სექსუალობა, როგორც ასეთი, სიყვარული, ამ სიტყვის ვიწრო და ფართო მნიშვნელობით, სიცოცხლის ინსტინქტი. თანამედროვე ფსიქოანალიზურ ლიტერატურაში *ე-ის* ცნება გამოიყენება ცნებების – „ლიბიდოსა" და „სიყვარულის" გვერდით. ყველაზე ხშირად გამოიყენება *თ-თან* დაპირისპირების კონტექსტში, რომელიც სიკვდილისკენ ლტოლვის აღმნიშვნელი ტერმინია (ბერძნ. სიკვდილი) და *ე-ის* ანალოგიით ეწოდა. ეს ტერმინი ფროიდის გვიანდელ შრომებში გამოჩნდა. ფროიდის დუალისტური კონცეფციის თანახმად, სიცოცხლისა და სიკვდილისკენ (ნგრევისკენ, აგრესიისკენ) ლტოლვა ადამიანის პირველადი ურთიერთდაპირისპირებული ლტოლვებია. *თ.* თეორიულად განზოგადებული სიკვდილის ინსტინქტთა კონცეპტის შემადგენელია და თავს იჩენს ქცევის გარკვეულ მოდელებში (სიამოვნების უარყოფა, მისგან გაქცევა, დესტრუქციისკენ, აგრესიისკენ ლტოლვა).

ესენციალიზმი თვალსაზრისი, რომელიც უარყოფს ცოდნის კონვენციურ ან რელატიურ ხასიათს და აღიარებს, რომ ფილოსოფიას ან მეცნიერებას შეუძლია მიაღწიოს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, რასაც, მაგალითად, საგანთა არსების წვდომა უზრუნველყოფს. პლატონის იდეების თეორია *ე-ის* ერთ-ერთი ნიმუშია.

ესკალაცია სამხედრო კონფლიქტის გამწვავება, როდესაც ორი მხარე ერთმანეთის მიმართ სულ უფრო ინტენსიურ საპასუხო დარტყმებს ახორციელებს. *ე.* ნებისმიერი შეიარაღებული კონფლიქტის *ტოტალურ* ანუ აბსოლუტურ *ომად* გადაქცევას უწყობს ხელს. ერთი მხარის მიერ მეორისთვის თავისი ნების თავსმოხვევის მცდელობა საპასუხო ქმედებას იწვევს, რასაც მეომარი მხარეები უკიდურესობამდე მიჰყავს. თანამედროვე სამხედრო მნიშვნელობით ეს ცნება პირველად კლაუზევიცმა გამოიყენა. კლაუზევიცი *ე-ის* ტენდენციას ომის ბუნების ნაწილად მიიჩნევდა, რის საფუძველზეც დაასკვნა, რომ ომს აბსოლუტურ, ანუ ტოტალურ ომად გადაქცევისადმი მისწრაფება ახასიათებს. *ტოტალურ ომთან* მიახლოების მაგალითად კლაუზევიცი ნაპოლეონის ომებს ასახელებდა. *ე-სთან* დაკავშირებული მთავარი საკითხი მისი გაკონტროლებაა.

ეტალონური ცვლადები ტექნიკა, დაკავშირებული კომპარატულ ანალიზთან, როდესაც ხდება ორი საზოგადოების სპეციფიკური ასპექტების შედარება, რათა დადგინდეს მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები. ამ გზაზე იქმნება *ე. ც-ები*, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სოციალურ ცვლილებათა შედეგების გენერალიზაციისათვის. აღნიშნული ტექნიკა ასოცირდება პარსონსის *ფუნქციონალიზმთან*, რომელიც შეეცადა, *ე. ც-ის* განსაზღვრის მეშვეობით ეჩვენებინა განსხვავებები ტრადიციულ და თანამედროვე *საზოგადოებებს* შორის. მეტიც, *ე. ც.* პარსონსისათვის *აქტორის* სიტუაციაში ორიენტაციის საშუალებებია, როდესაც არჩევანი კეთდება იმისათვის, რომ სიტუაციამ ინდივიდისათვის განსაზღვრული მნიშვნელობა შეიძინოს. პარსონსი აღწერს *ე. ც-ის* ხუთ დიქოტომიურ წყვილს: 1. აფექტურობა – აფექტური ნეიტრალობა: აფექტურობის ნორმატიული ეტალონი აქტორს კარნახობს, რომ მან მოცემულ სიტუაციაში უპირატესობა მიანიჭოს უშუალო ემოციური დაკმაყოფილების

შესაძლებლობას. პირიქით, აფექტური ნეიტრალობის ეტალონი აქტორისაგან მოითხოვს, რომ მან თავი შეიკავოს ემოციური კმაყოფილების მილებისაგან და უპირატესობა მიანიჭოს შეფასებით მიდგომას; 2. ორიენტაცია საკუთარ თავზე – ორიენტაცია კოლექტივზე; პირველ შემთხვევაში აქტორს უფლება ეძლევა მოცემულ სიტუაციაში განახორციელოს კერძო ინტერესები. კოლექტივზე ორიენტაციის ეტალონი, პირიქით, აქტორისაგან მოითხოვს იმ ღირებულებების გათვალისწინებას, რომლებიც საერთოა ჯგუფისათვის; 3. უნივერსალიზმი – პარტიკულარიზმი: უნივერსალიზმის ეტალონი აქტორს ავალდებულებს ობიექტზე ორიენტირებას საერთო სტანდარტების და არა ობიექტთა უნიკალური თვისებების გათვალისწინებით. პარტიკულარიზმის ეტალონი აქტორისაგან მოითხოვს მოცემულ სიტუაციაში უპირატესობა მიანიჭოს ობიექტთა კერძო კავშირებს; 4. თვისება – რეზულტატურობა: პირველი ეტალონი აქტორს ავალდებულებს, რომ უპირატესობა მიანიჭოს ობიექტთა კონკრეტულ ატრიბუტებს და არა მათგან წარსულში, აწმყოსა ან მომავალში მოსალოდნელ საქმიანობებს, რასაც მოითხოვს რეზულტატურობის ეტალონი; 5. სპეციფიკურობა – დიფუზურობა: პირველი ეტალონი მოითხოვს, რომ აქტორმა ობიექტის მიმართ დამოკიდებულება განსაზღვროს მხოლოდ ცალკეულ სფეროებში და არ ჩართოს მასში ემპირიულად შესაძლო სხვა ურთიერთობები. დიფუზურობის ეტალონი კი პირიქით, აქტორს ავალდებულებს, ობიექტზე რეაგირება მოახდინოს ნებისმიერი რელევანტური ხერხით. *ე.-ც-ს* პარსონსი „ღირებულებითი ორიენტაციის აღმწერ კატეგორიებსაც“ უწოდებს.

ეტატიზმი სახელმწიფოს ჩარევა საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში, სამეცნიერო და სხვ. საქმიანობაში. *ე.* საზოგადოების პოლიტიზაციის ერთ-ერთი გამოვლინებაა, როდესაც პოლიტიკა რაციონალური ურთიერთქმედების ზღვარს სცდება და ცდილობს განსაზღვროს ცხოვრების თითოეული სფეროს ფუნქციონირება, რის შედეგადაც ზღუდავს და აფერხებს მას.

ეტიკური და ემიკური მიდგომები კულტურათა საკვლევი მიდგომები. ტერმინები ეკუთვნის ლინგვისტ კ. პაიკს, რომელმაც ისინი ლინგვისტური ცნებების – ფონეტიკურისა და ფონემიკურის ანალოგიით შექმნა (ლინგვისტიკაში ფონეტიკა შეისწავლის იმ ბგერებს, რომლებიც ყველა ენაშია, ფონემიკა კი – ერთი ენისთვის სპეციფიკურ ბგერებს). ამის შემდეგ ეს ტერმინები დამკვიდრდა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. *ე-ური მ-ით კულტურებს* შეისწავლიან უნივერსალური თვალსაზრისით, გარე დამკვირვებლის პოზიციიდან, რაც გულისხმობს ყველა კულტურისთვის საერთოს შესწავლასა და ასეთი გზით გამოვლენილი მონაცემების შედარებას საერთო მახასიათებლის მიხედვით; ემიკური მიდგომით კულტურის შესწავლა გულისხმობს კულტურულ-სპეციფიკურის შესწავლას. ეს პოზიცია ეყრდნობა კულტურის „შიგნიდან“, მისი მატარებლების პოზიციიდან შესწავლას. ორივე მიდგომა ტრადიციულად აპრობირებულია და გამოვლენილია თითოეული მათგანის ნაკლიცა და უპირატესობაც. ეტიკურის უპირატესობად მიიჩნევა კულტურათა შედარების შესაძლებლობა რაიმე მახასიათებლით ან მახასიათებელთა ერთობლიობით, ნაკლად კი – კონკრეტულ კულტურათა სპეციფიკის ნიველირება და კულტურული კონტექსტის გაუთვალისწინებლობა; ემიკური მიდგომის უპირატესობად მიიჩნევა კონკრეტული კულტურების უფრო სრული, სავსე აღწერა და ფე-

ნომენთა უკეთ ახსნის შესაძლებლობა, რადგან გათვალისწინებულია კულტურული კონტექსტი, ნაკლად კი – გამოვლენილ ფენომენთა შედარების სირთულე სხვა კულტურების ფენომენებთან.

ექსპანსია (პოლიტიკური) პოლიტიკური ექსპანსია გულისხმობს რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიის გაფართოებას, გავლენის სფეროს გავრცელებას სხვა ქვეყნებისა და ხალხების ხარჯზე. სხვადასხვა ეპოქაში *პ. ე-ს* განსხვავებული ფორმა ჰქონდა იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო ეპოქის ეკონომიკური, სამხედრო, ტექნიკურ-ტექნოლოგიური დონე, სახელმწიფოს კონკრეტული მიზნები და მოთხოვნილებები. *პ. ე.* ძირითადად იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის არის დამახასიათებელი და ხორციელდებოდა სამხედრო კონფლიქტებისა და სხვა ქვეყნების ტერიტორიების მიტაცებით, რაც გარკვეული პერიოდისათვის კვალიფიცირდება, როგორც *კოლონიალიზმი.* მაგრამ ასეთ პირობებშიც განასხვავებენ კონტინენტურ (ვთქვათ, რუსეთის ან თურქეთის) და საზღვაო *იმპერიების* (დიდი ბრიტანეთის) *პ. ე-ს.* პირველ შემთხვევაში იმპერიების ეკონომიკური ინტერესები რეალიზდებოდა ახალი ტერიტორიებისა და ხალხების, მაშასადამე, ძირითადად, გადამხდელთა რაოდენობის ზრდის ხარჯზე, მაშინ როდესაც საზღვაო იმპერიები უმთავრესად დაინტერესებულნი იყვნენ ვაჭრობისა და მრენველობისათვის ახალი ბაზრების, იაფი ნედლეულისა და მუშახელის მოპოვებით.

თანამედროვე ეპოქაში *პ. ე-ის* ძველი კოლონიური ფორმები შეცვალა *სახელმწიფოების* კულტურულმა, ინფორმაციულ-ტექნოლოგიურმა ექსპანსიამ. ძლიერი სახელმწიფოები გავლენის სფეროების ზრდას ამჯობინებენ ახალი ტერიტორიების მოპოვებას. *გლობალიზმის* ეპოქამ, რასაც თან სდევს ეროვნული სახელმწიფოების დასუსტება, ექსპანსიის ძირითად სუბიექტებად *ტრანსნაციონალური* გაერთიანებები აქცია.

ექსპერიმენტი ცდა. მეცნიერებაში არის ობიექტური სინამდვილის შემეცნების ერთ-ერთი ფორმა. ის სოციოლოგიური გამოკვლევის მნიშვნელოვანი მეთოდია. მისი მიზანია კვლევის *ჰიპოთეზების* შემოწმება *ე-ული* პირობების მართვის გზით. მკვლევარი ქმნის ან გამოძებნის ისეთ პირობებს, რომლებიც აუცილებელი და საკმარისია მისთვის საინტერესო მოვლენათა მიზეზობრივი კავშირის გამოსავლენად.

ე. შემდეგი ოპერაციებისგან შედგება: 1. ამოცანისა და ძირითადი *ჰიპოთეზების* წამოყენება და დაზუსტება, 2. იმ ემპირიული ობიექტის შერჩევა, რომლის ფარგლებშიც *ე.* უნდა ჩატარდეს, 3. *ე-ული* და საკონტროლო ჯგუფების საერთო გეგმის შემუშავება, 4. სამუშაო ჰიპოთეზების ფორმულირება და დაზუსტება, 5. *ე-ული* სიტუაციის შექმნა, ჰიპოთეზური მიზეზის ამოქმედება და ობიექტის პერიოდული გაზომვა, 6. რეზულტატების ანალიზი.

ე-ში ჰიპოთეზის დადასტურების (დამტკიცების) ან უარყოფის პრობლემა ძალიან მნიშვნელოვანია. ჰიპოთეზის შემოწმება ხდება *ე-ული* ჯგუფისა (რომელიც დამოკიდებული ცვლადია და დამოუკიდებელი ცვლადის ზემოქმედებას განიცდის) და საკონტროლო ჯგუფის (რომელიც არ განიცდის ცვლადის ზემოქმედებას) შედარების გზით.

გამოსაკვლევი ობიექტების ხასიათის მიხედვით სოციალური *ე-ები* იყოფა ეკონომიკურ, პედაგოგიკურ, სამართლებრივ, ესთეტიკურ და სხვ. *ე-ად.* დასმული ამოცანის სპეციფიკის მიხედვით *ე-ი* არის სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული.

ჰიპოთეზის დამტკიცების ლოგიკუ-

რი ხასიათის მიხედვით განასხვავებენ პარალელურ და თანამიმდევრულ *ე-ებს*. პარალელურია *ე-ები*, როდესაც არსებობს როგორც *ე-ული*, ისე საკონტროლო ჯგუფები და *ჰიპოთეზის* დამტკიცება ემყარება ერთსა და იმავე დროს ორივე ობიექტის მდგომარეობის შედარებას. თანამიმდევრულია ისეთი გამოკვლევა, რომელშიც საკონტროლო ჯგუფი, როგორც დამოუკიდებლად არსებული ობიექტი, არ არსებობს. თავად ექსპერიმენტული ჯგუფი გვევლინება როგორც საკონტროლო გარკვეული იმპულსის შეტანამდე და – როგორც *ე-ული* მას შემდეგ, რაც იმპულსზე გათვალისწინებული ზემოქმედება მოახდინა.

ე-ული სიტუაციის მიხედვით სოციალური *ე-ები* იყოფა საველე და ლაბორატორიულ *ე-ად*. საველეა *ე*, რომელიც ტარდება ბუნებრივ პირობებში. სოციოლოგიაში ეს მეთოდი ფართოდ არ გამოიყენება, რადგან ცვლადების კონტროლი ძნელია. ასევე ძნელია ისეთი პირობების შექმნა, სადაც *ე-ული* ჩარევა იქნება როგორც შესაძლებელი, ისე ეთიკური. ლაბორატორიულია *ე*, რომლის დროსაც თავად მკვლევარი ქმნის პირობებს.

საველე *ე-ის* მონაწილეებმა, როგორც წესი, არ იციან, რომ მათ შეისწავლიან და მით უმეტეს, რომ მათზე გარკვეულ *ე-ს* ატარებენ. ლაბორატორიულ *ე-ში* ადამიანებმა იციან, რომ ისინი მონაწილეობენ სოციალურ *ე-ში*.

საველე *ე-ებში* განასხვავებენ აქტიურად მიმართულ და ბუნებრივ *ე-ებს*. სოციალური *ე-ის* ტიპოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ე. წ. „ექს-პოსტ ფაქტუმ" (ex-post factum) *ე-ს*, რომელიც პირველად გამოყენებულ იქნა XX ს-ის ოციან წლებში ამერიკელი სოციოლოგის ელენ ქრისტიანსენის გამოკვლევაში.

ექსპერტი გამოცდილი, კომპეტენტური პირი, რომელსაც კვლევის ობიექტთან დაკავშირებულ სფეროში ცოდნა და გამოცდილება აქვს. იგი მონაწილეობს სოციოლოგიურ გამოკვლევაში როგორც სოციალური ინფორმაციის წყარო ან კომუნიკატორი.

ე-ების – განსაკუთრებული ტიპის რესპონდენტების გამოკითხვის არეალი (სფერო) ძალიან ფართოა. მათ მიმართავენ ინდივიდებისა და სოციალური ჯგუფების ნებისმიერი საქმიანობის გამოკვლევის დროს. *ე-ების* შერჩევა სხვადასხვა კრიტერიუმისა და მახასიათებლის მიხედვით ხდება (როგორიცაა, მაგ., მათი პროფესიული კომპეტენტურობა, პრესტიჟი, პასუხისმგებლობა, გამორჩეული სოციალური მდგომარეობა, ცხოვრებისეული გამოცდილება, საკვლევი საკითხის ღრმა ცოდნა, პრობლემის ობიექტური განხილვისა და ანალიზის უნარი, საკუთარი შეხედულებების, აზრების პირუთვნელი და მკაფიო გადმოცემა, ორიგინალური და ანალიტიკური აზროვნება და სხვ.), როგორც წესი, შერჩევა ხდება *ე-თა* ტესტირების შედეგების, აგრეთვე მათი კოლეგებისა და სხვა დაინტერესებული პირების რეკომენდაციების გათვალისწინებით.

ე-თა ფუნქციები სოციოლოგიურ გამოკვლევაში ძალიან მნიშვნელოვანია. მათ *გამოკითხვას* აწარმოებენ სოციოლოგიური გამოკვლევის სხვადასხვა ეტაპზე: კვლევის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრისას, ცნებების ემპირიული ინტერპრეტაციისა და ინდიკატორების გამოყოფის, *ჰიპოთეზების* ჩამოყალიბების, შემოწმებისა და კორექტირების, დასკვნების დასაბუთებულობისა და რეკომენდაციების შემუშავების დროს და ა. შ. *ე-ებს* განსაკუთრებული ფუნქცია ენიჭებათ გამოკვლევის საწყის ეტაპზე. ისინი კვლევის სტრატეგიულ პრობლემებთან დაკავშირებით და საკვლევი ობიექტის შესახებ შეიძლება უფრო ღრმა, ფართო და დაწვრილებით ინფორმაციას ფლობდნენ, ვიდრე მკვლევარი ან

მკვლევართა ჯგუფი. აუცილებელი ინ-ფორმაციის მიღება მკვლევარს ეხმა-რება კვლევის საერთო მიმართულების განსაზღვრაში, *ვალიდური* მეთოდე-ბის შერჩევაში და სხვ.

ექსპლუატაცია 1. სხვა ადამიანის, ან რაიმე რესურსის გამოყენება და ამის შედეგად მიღება მოგებისა, რომელიც არ შეესაბამება საკუთარ შრომით წელილს. **2.** ხალხის, მათი თვისებებისა თუ იმ მდგომარეობის უსამართლო გა-მოყენება, რომელშიც ისინი აღმოჩ-ნდნენ. სირთულე მდგომარეობს ვინმეს უსამართლო გზით, საკუთარი ინტერე-სების შესაბამისად გამოყენების არ-სისა და პირველ რიგში, იმ სიტუაციის დადგენაში, რომელიც ექსპლუატაციას უწყობს ხელს. აღნიშნული მიზეზის გამო ტერმინის ანალიზი მჭიდროდ უკავშირდება „ხელისუფლებისა" და „უსამართლობის" გაგებას. დღემდე არ არსებობს ერთი აზრი იმის შესახებ, თუ რა განაპირობებს *ე-ს*, როგორც უსამართლობის კერძო ფორმას, და რა ვითარებაში შეიძლება იგი ჩაითვა-ლოს ძალაუფლების ფორმად. ცალკე პრობლემას წარმოადგენს *ე-ური* გა-რიგებების იდენტიფიკაცია შეთანხმე-ბითი გაცვლების დროს, რომლებიც, ზოგი თეორეტიკოსის აზრით, ხელი-სუფალთა მონაწილეობას ნიღბავენ, ხოლო სხვათა აზრით, იმის გარანტიას იძლევიან, რომ ხელისუფალნი მათში არ მონაწილეობენ.

ექსპროპრიაცია სახელმწიფოს მიერ საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა ან გასხვისება.

ექსტრემიზმი პოლიტიკური პრობ-ლემების უკიდურესი გზებითა და სა-შუალებებით გადაჭრისაკენ მიდრეკი-ლება. *ე.* პოლიტიკაში გულისხმობს დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად ყველაზე რადიკალური საშუალებების მოხმობას, მათ შორის ძალადობის, ტერორის გამოყენებას. *ე-ის* ძირითადი წყაროა პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურების დე-ფორმაცია, არასწორი ნაციონალური და ეკონომიკური პოლიტიკა. თანამედ-როვე ეპოქისათვის დამახასიათებელია *ე-ის* სხვადასხვა სახეობა, როგორც მე-მარცხენე (მისი ყველაზე ტიპური ნი-მუშია იტალიური და გერმანული „წი-თელი ბრიგადები"), ასევე მემარჯვენე (უწინარეს ყოვლისა, ნეოფაშისტური ორგანიზაციები) ტიპისა. დამოუკიდე-ბელი თემაა ისლამური *ე.*, რაც თანაბ-რად ვრცელდება შიიტურ და სუნი-ტურ სახესხვაობებზე.

3

ვალიდურობა კვლევის ინსტრუმენ-ტების (ოპერაციონალიზებული ცნებე-ბის, გასაზომი ოპერაციებისა და ექ-სპერიმენტების) დასაბუთებულობა და ადეკვატურობა.

ლოგიკური *ვ.* (შინაგანი *ვ.*) აღნიშ-ნავს ცვლადებისა და ინდიკატორების ურთიერთკავშირისა და ურთიერთგა-მომდინარეობის (ურთიერთგანპირო-ბებულობის) ხარისხს. ემპირიული *ვ.* (გარეგანი *ვ.*) ემპირიულ მონაცემებთან ცვლადებისა და ინდიკატორების შესა-ბამისობის ხარისხის მაჩვენებელია. მე-თოდიკის *ვ.* მიუთითებს, თუ რამდენად ვარგისია ესა თუ ის მეთოდიკა გარ-კვეული კვლევითი ამოცანების გადა-საწყვეტად. მეთოდის *ვ.*, ე. ი. მეთოდის დასაბუთებულობა ნიშნავს მისი საშუ-ალებით მიღებული ემპირიული მონა-ცემების გამოკვლევის ძირითად მიზ-ნებთან შესაბამისობას. (მაგ., რომელი-მე დევიანტური ჯგუფის ქცევის მოტი-ვების გამოკვლევა სტანდარტიზებუ-ლი კითხვარის საშუალებით ნაკლებ *ვ-ური* იქნება, ვიდრე მათი შესწავლა გაუმჟღავნებელი ჩართული დაკვირვე-ბის მეშვეობით; ასევე რომელიმე სტუ-დენტური ჯგუფის პოლიტიკური ორი-

ენტაციის შესწავლა ჩაღრმავებული ინტერვიუს საშუალებით უფრო *ვ-ურია,* ვიდრე დაკვირვების მეთოდით). თუ სოციალური გამოკვლევების შედეგად მიღებულია *ვ-ური* მონაცემები, ეს ნიშნავს, რომ ისინი წარმოადგენენ შესასწავლი მოვლენის რეალურ ასახვას, ხოლო მეთოდი, რომლის საშუალებითაც ჩატარდა გამოკვლევა, *ვ-ურია.* სოციოლოგიაში *ვ.* გაზომვის ძირითადი მახასიათებელია. ის ასახავს გაზომვის საშუალებების გასაზომ მონაცემებთან, მაჩვენებლებთან შესაბამისობის ხარისხს, ე. ი. მიუთითებს რამდენად შეესატყვისება გაზომვის საშუალებები იმას, რაც უნდა გაიზომოს (მაგ., თუ ფსიქოლოგიური გაზომვა, როგორიცაა ინტელექტის ტესტი, *ვ-ურად* ითვლება, ეს ნიშნავს, რომ ის გამოსადეგია იმის გასაზომად, რისი გაზომვაც არის გათვალისწინებული).

ვ. წარმოადგენს გამოკვლევის ან გაზომვის უნარს – ადეკვატურად შეაფასოს ის, რის გამოსაკვლევად ან გასაზომადაც გამოიყენება.

ვ-ის შეფასების პროცედურას ვალიდიზაცია ეწოდება.

ვალიდიზაცია შეიძლება გაზომვამდე (როდესაც ლაპარაკია მისი სტანდარტიზებული საშუალებების გამოყენებაზე) და – შემდეგ (მისი რეზულტატების ანალიზისა და კვლევის ყველა გარემოების გათვალისწინებით).

ვერიფიკაცია პროცედურა, რომელიც დაკავშირებულია მსჯელობის ან *ჰიპოთეზის* ჭეშმარიტების დადგენასთან.

სოციოლოგიაში *ვ.* ნიშნავს ჰიპოთეზების შეფასებისა და შემონმების პროცედურას, რაც გულისხმობს მათ შედარებას ფაქტებთან, რეალურ ვითარებასთან. სწორად წარმართული გამოკვლევის დროს *ვ-ის* შედეგი შეიძლება იყოს ჰიპოთეზის დამტკიცება (დასაბუთება) ან უარყოფა. სოციალურ მეცნიერებებში ჰიპოთეზების დასაბუთების ემპირიულ მეთოდს თავისი სპეციფიკა აქვს. ყველაზე მეტად ის ეფექტურია მიმდინარე საზოგადოებრივი პროცესების შესწავლის დროს. *სოციოლოგიაში ვ.* ხორციელდება მრავალგვარი სტატისტიკური და სხვა მეთოდის საშუალებით.

ვესტფალიის სისტემა თანამედროვე სახელმწიფოთაშორისი სისტემა. მის ჩამოყალიბების დასაწყისად მიჩნეულია ვესტფალიის 1648 წლის ზავი, რომელმაც ევროპაში ოცდაათწლიანი ომი დაასრულა. ვესტფალიის ზავმა წერტილი დაუსვა ჰაბსბურგების მიერ ზეეროვნული იმპერიის შექმნის ამბიციას. ვესტფალიის ზავით ალიარებულ იქნა *სახელმწიფოთა* დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პრინციპებზე დამყარებული *საერთაშორისო სისტემა,* რომელშიც უნდა დამკვიდრებულიყო რელიგიური თავისუფლებისა და შემწყნარებლობის პრინციპი (cuius regio, eius religio – ვინც მართავს, რწმენასაც განაგებს). ამგვარად, *ვ. ს-მ საერთაშორისო ურთიერთობების* საერო ხასიათი დაამკვიდრა, რაც, თავის მხრივ, *საგარეო პოლიტიკაში სახელმწიფო ინტერესისა* და *ძალთა წონასწორობის* პრინციპების ალიარებას ემყარებოდა. ამის მიუხედავად, ვესტფალიის ზავით შექმნილი *საერთაშორისო სისტემა* მომდევნო ორი საუკუნის განმავლობაში ძირითადად ევროპულ და ქრისტიანულ ფასეულობებს ემყარებოდა.

ვეტო 1. სახელმწიფოს მეთაურის ან პარლამენტის ზედა პალატის უფლება, აკრძალოს ან დროებით შეაჩეროს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონის ძალაში შესვლა (საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი მუხლით ეს უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს პრეზიდენტს). შეერთებული შტატების კონსტიტუციით, წარმომადგენელთა პალატის ან სენატის

მიერ მიღებულ კანონპროექტზე პრეზიდენტმა შეიძლება წაანეროს სიტყვა *ვ.* („ვკრძალავ"), რის შემდეგაც დოკუმენტი აკრძალვის სათანადო მოტივაციით საკანონმდებლო ინსტიტუტს უბრუნდება. ამის შემდეგ კონგრესს მაინც შეუძლია გაიტანოს თავისი კანონპროექტი, თუ მისი წევრები მოაგროვებენ ორივე პალატაში ხმების 2/3-იან უმრავლესობას. თუ პრეზიდენტი კვლავ *ვ-ს* დაადებს კანონპროექტს, *ვ.* ავტომატურად ძალაში შედის ათი დღის ვადაში, თუ ამ პერიოდში კონგრესი არ შეწყვეტს სხდომებს. 2. საერთაშორისო ასპარეზზე *ვ-ს* უფლება აქვთ გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს (აშშ-ს, რუსეთს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და ჩინეთს).

ვიზიტი ამა თუ იმ სახელმწიფოს მეთაურის, მთავრობის ან დიპლომატიური წარმომადგენლის სტუმრობა მეორე ქვეყნის ოფიციალურ პირთან, სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან საქმიან წრეებთან. ტერმინი ასევე გამოიყენება ერთი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ესკადრის მეორე ქვეყნის პორტში შესვლის აღსანიშნავად, როდესაც ამგვარ სტუმრობას ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობების მანიფესტაცია უდევს საფუძვლად.

ვიქტიმოლოგია კრიმინოლოგიის სფერო, რომელიც შეისწავლის დანაშაულის მსხვერპლის როლს დანაშაულში. ეს სფერო ხშირად ამოვარდნილი იყო კრიმინოლოგთა ინტერესებიდან და მასზე მსჯელობა მხოლოდ ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. 1965 წ. აშშ-ში მოეწყო ფართო განხილვა დანაშაულთა სტატისტიკის საკითხებზე, სადაც გაირკვა, რომ არშეტყობინებულ დანაშაულთა „შავი სია" ბევრად აჭარბებდა ნავარაუდევს, ასევე მსხვერპლის რიცხვი, დანაშაულის ალბათობა არათანაბრად ნაწილდებოდა სხვადასხვა კლასებსა და ეთნიკურ ჯგუფებს, ასევე ქალებსა და მამაკაცებს შორის. ამას გარდა, შიდა ქალაქების მცხოვრებნი, სამართალდამცავთა სიჭარბის მიუხედავად, უფრო მეტად იმყოფებოდნენ დანაშაულთა რისკის ქვეშ.

თეორიული მიდგომები *ვ-ისადმი* მდგომარეობს მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის ურთიერთობის ბუნების გამოვლენაში, კერძოდ დაფუძნებულია „მსხვერპლის მიერ დანაშაულის პროვოცირებაზე". გარკვეულ შემთხვევებში (მაგალითად, გაუპატიურებასთან დაკავშირებით), ეს ფსიქოლოგიური მიდგომა ბრალს სდებდა დაზარალებულს დანაშაულის პროვოცირებაში. ამდენად, *ვ.* უკავშირდება დანაშაულში შერეული პასუხისმგებლობის საკითხს.

ვოლუნტარიზმი იდეოლოგიისა და ფსიქოლოგიის, პოლიტიკისა და პრაქტიკის თვისება, რომელიც მომდინარეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ნების გადამწყვეტ ფაქტორად აღიარებიდან და ამ ნების გონებისა და საზოგადოებრივი კანონებისადმი დაპირისპირებიდან. *ვ-თვის* დამახასიათებელია სუბიექტურის ობიექტურისაგან მოწყვეტა, ირაციონალურობის, იმპულსურობის, სტიქიურობის, სპონტანურობის როლის გაზვიადება, პოლიტიკასა და პრაქტიკაში ისტორიული განვითარების რეალური პირობებისა და შესაძლებლობების იგნორირება, განუკითხაობა და სუბიექტივიზმი. ბუნებრივია, რომ *ვ.* განსაკუთრებით დამახასიათებელია სოციოლოგიისა და პოლიტიკური მეცნიერების სუბიექტივისტური მიმართულებისათვის, ხოლო პოლიტიკასა და პრაქტიკაში – *ავტორიტარიზმის,* ბონაპარტიზმის, *ტოტალიტარიზმისათვის.* მან არაერთხელ პოვა თავისი გამოვლინება ხალხოსნების, ანარქისტების, ესერების, ბოლშევიკების რევოლუციურ მოღვაწეობაში ოქტომბრამდე და ოქტომბრის შემდეგ,

სტალინიზმის თვითნებობასა და განუკითხაობაში, ხრუშჩოვის სუბიექტივიზმსა და არაპროგნოზირებად პოლიტიკაში, როგორც პერესტროიკის, ისე უკანასკნელი ათწლეულის რეფორმატორი მოღვაწეების არაკომპეტენტურ, გაუთვლელ, დაუფიქრებელ, უსაფუძვლო და წინააღმდეგობებით აღსავსე პროექტებსა და პრაქტიკულ მოქმედებებში.

ჯოტუმი ინგლისურენოვან პოლიტიკურ ლიტერატურაში ზოგადად კენჭისყრის აღსანიშნავად გამოიყენება. ქართულ პოლიტიკურ პრაქტიკაში იგი დამკვიდრდა უფრო ვიწრო მნიშვნელობით, რაც გულისხმობს მთავრობის ან მისი რომელიმე წევრის პოლიტიკისადმი ნდობის ან უნდობლობის გამოცხადებას კენჭისყრის საშუალებით. უნდობლობის *ვ-ის* გამოტანას მთავრობის გადადგომა მოსდევს. კენჭისყრა შეიძლება განხორციელდეს ხელის აწევით ან ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. პროცედურის კონკრეტული სახე დამოკიდებულია ქვეყნის საპარლამენტო ტრადიციასა და რეგლამენტზე.

ვულგარული მატერიალიზმი XIX ს-ის ბურჟუაზიული ფილოსოფიის მიმდინარეობა, რომლის აღმოცენება დაკავშირებულია ამ საუკუნის უდიდეს აღმოჩენებთან ბუნებისმეტყველებაში. ვულგარული მატერიალიზმის წინამორბედი იყო ფრანგი მატერიალისტი პ. კაბანისი. მთავარი წარმომადგენლები იყვნენ გერმანელი ფილოსოფოსები: კ. ფოგტი, ლ. ბიუხნერი, ი. მოლეშოტი, რომლებსაც ფ. ენგელსი *ვ. მ-ისტებს* უწოდებდა. ისინი აღიარებდნენ მატერიის პირველადობასა და ცნობიერების მეორადობას, მაგრამ მატერიასა და ცნობიერებას შორის პრინციპულ განსხვავებას ვერ ხედავდნენ, ვინაიდან მათი გაგებით „აზრი ისევეა დამოკიდებული ტვინზე, როგორც ნაღველი ღვიძლზე" (ფოგტი). *ვ. მ.* მატერიალიზმის გაუბრალოებული, სქემატური გამოხატულებაა. მატერიალურისა და იდეალურის ერთმანეთზე დაყვანით ვულგარული მატერიალიზმი, ცხადია, დიალექტიკასაც უარყოფს ყოფიერებისა და ცნობიერების მიმართების საკითხში. იგი ემყარება მექანიციზმის ფილოსოფიურ პრინციპს. მათმა ასეთმა პოზიციამ რამდენადმე მაინც განსაზღვრა იდეალიზმთან ერთად ფილოსოფიის ე. წ. პოზიტივისტური უარყოფის ცდები, რაც საბოლოო ჯამში ფილოსოფიის როლის დაკნინება და მისი უარყოფის მცდელობა გამოვიდა. *ვ. მ.* საფუძვლად დაედო ვულგარულ მარქსიზმსა და ვულგარულ სოციოლოგიზმს.

ზ

ზავი ძალადობრივი კონფლიქტის დროებითი შეწყვეტა. ზ. შეიძლება განპირობებული იყოს ბრძოლის ველზე შექმნილი საჭიროებებით, როგორიცაა დაჭრილების გაყვანა, ან შეიძლება წარმოადგენდეს უფრო გრძელვადიანი სამშვიდობო შეთანხმების წინა ეტაპს.

ზეწოლის ჯგუფები *ინტერესჯგუფების* ალტერნატიული ტერმინი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ანალიტიკოსები სინონიმურად მოიხმარენ, ბევრ შემთხვევაში მაინც გამოიყენება ნეგატიურ კონტექსტებში კონკრეტულად ასეთი ჯგუფებისა და მათ მიერ გამოყენებული მეთოდების კრიტიკის თვალსაზრისით.

ზნე-ჩვეულებები ვებერის თანახმად, ერთგვაროვანი და განმეორებადი მოქმედებები, რომლებიც ორიენტირებულია განსაზღვრულ წესებზე, ნორმებსა და მაქსიმებზე, როგორც მოქმედების მეტ-ნაკლებად სტაბილურ მნიშ-

ვნელობებზე. *ზ.-ჩ-ის* ფარგლებში მოქმედების ერთგვაროვნება აიხსნება მხოლოდ ჩვეულებით. ადათი ისეთი *ზ.-ჩ-აა*, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამომუშავდება და განპირობებულია საერთო ინტერესებით, რასაც ვებერი „ინტერესთა კონსტელაციას" უწოდებს. ადათები (მით უფრო, *ზ.-ჩ.*) არ არის „მნიშვნელადი". ეს ნიშნავს, რომ ისინი არავისგან „მოითხოვენ" მათ დაცვას. უფრო ზუსტად: ადათები ისეთ ნორმებს შეიცავს, რომლებიც სრულდება ვალდებულების შეგრძნების გარეშე (მაგალითად, საზოგადოებაში მიღებულია ისაუზმო გარკვეული წესების დაცვით, თუმცა, არავინ არის ვალდებული ამ წესებს მისდიოს). ამრიგად, *ზ.-ჩ-ებსა* და ადათებს არა აქვს ფორმალურ-ინსტიტუციური ხასიათი და არ ექვემდებარება ადმინისტრაციულ რეგულირებას. სოციალური მოქმედების კლასიფიკაციაში, ისინი თავსდება *ტრადიციული* მოქმედების ფარგლებში, რომელიც იმყოფება გასაზრისიანებული მოქმედების ზღვარზე, ანუ, რაციონალური გაგების ფარგლებს სცილდება (იხ. *რაციონალობა, სოციალური მოქმედების ტიპები; სოციალური ურთიერთობა; ლეგიტიმურობა*).

თ

თავდაუსხმელობის პაქტი ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის შეთანხმება, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ერთიმეორის წინააღმდეგ მტრულ საბრძოლო მოქმედებებზე უარის თქმას ითვალისწინებს. როგორც წესი, პაქტის ხელმომწერი სახელმწიფოები მეზობლები არიან ან რაიმე საერთაშორისო საკითხის გამო ერთმანეთს ედავებიან. *ალიანსისაგან* განსხვავებით, *თ. პ.* მხარეებს არ ავალდებულებს ერთმანეთის დაცვას მესამე ქვეყნისაგან ამ უკანასკნელის მხრიდან მტრული საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში. *თ. პ-ში* აღებული ერთადერთი ვალდებულება დავის გადასაწყვეტად სამხედრო ძალის გამოყენებაზე უარის თქმაა.

თავდაცვა საერთაშორისო ურთიერთობებში სამხედრო *ძალის* ერთ-ერთი ფუნქცია, რომელიც თავდასხმისაგან ღირებულებების დაცვას ითვალისწინებს. როგორც წესი, *თ-ის* მთავარ საშუალებას სამხედრო *ძალა* წარმოადგენს, რომელსაც *სახელმწიფო* ან *ალიანსი* ძალადობრივი შეტევის მოსაგერიებლად იყენებს. *თ-ის* მთავარი მიზანი თავდამსხმელის დანაკარგების გაზრდაა, რათა მან საკუთარი მიზნების განხორციელება ვეღარ შეძლოს. იმ შემთხვევაში, როდესაც სამხედრო ძალა მოწინააღმდეგისთვის სამაგიეროს გადახდისა და მისი დასჯის მუქარას გულისხმობს, ესაა სამხედრო ძალის მეორე ფუნქცია – *დაშინება*. ხანდახან ეს ორი ცნება ერთმანეთის შემცვლელად გამოიყენება. XVII ს-ში თანამედროვე სახელმწიფოების ჩამოყალიბების შემდეგ *თ-ის* მთავარ ფუნქციად ქვეყნის ტერიტორიის ხელყოფის აღკვეთა ითვლება. *თ-ის* უზრუნველყოფაში განსაკუთრებულ როლს ტექნოლოგიები ასრულებს. *თ-ის* სამხედრო საშუალებები, ჩვეულებრივ, ეროვნული უსაფრთხოების ზრდის მთავარ ინსტრუმენტად მიიჩნეოდა. ბიუზანის აზრით, ბირთვული იარაღის ათვისების შემდეგ გაჩნდა ე. წ. „თავდაცვის დილემა" – პარადოქსული ვითარება, როდესაც *თ-ის* ბირთვული საშუალებების შეძენით სახელმწიფოს *უსაფრთხოების* დონე სხვა ქვეყნების მხრიდან ბირთვული მუქარის გამო, პირიქით, შემცირდა. *ცივი ომის* დასრულების შემდეგ *თ-ისა* და *უსაფრთხოების* ცნებების ერთიმეორისაგან დაშორება ნაკლებად შესამჩნევი გახდა.

თავისუფალი არჩევნები იხ. *არჩევნები.*

თავისუფალი დროის სოციოლოგია თავისუფალი დრო განისაზღვრება როგორც დრო, რომელიც რჩება ინდივიდს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებისა და საკუთარი თავისა და გარემოს მოვლასთან დაკავშირებული საქმიანობის შემდეგ. *თ. დ. ს.* სწავლობს ინდივიდებისა და სოციალური ჯგუფების მიერ თავისუფალი დროის გატარების, გართობის, კომუნიკაციის მოდელებს და იმ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც დაკავშირებულია ე. წ. „გართობის ინდუსტრიასთან". *თ. დ. ს-ის* წარმოშობას უკავშირებენ ვებლენის შრომას „უსაქმური კლასის თეორია."

განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში შემოსავლებისა და საყოველთაო კეთილდღეობის ზრდამ გამოიწვია გართობის ფორმებისა და მოდელების მრავალფეროვნება. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ჯგუფური იდენტურობების ფორმირების პროცესში ერთ-ერთ უმთავრეს კრიტერიუმად მოხმარებისა და გართობის პატერნებს მიიჩნევენ. ასეთი იდენტურობების გასაზომად მარკეტინგულ კვლევებში იყენებენ სპეციალურად შემუშავებულ ცვლადების სისტემას, რომელსაც *ცხოვრების სტილი* (lifestyle) ეწოდება.

პოსტმოდერნიზმი, რომელსაც კაპიტალის ახალ კულტურულ ლოგიკას უწოდებენ, თანამედროვე სოციალურ სტრუქტურას განიხილავს სტილიზებული გართობისა და მოხმარების პრაქტიკების კონსტრუირების ტერმინებით. დღეს ყველა *კლასი* ჩართულია მასობრივ *კულტურაში*. თავისუფალი დროის გატარების მეტ-ნაკლებად ერთნაირი ფორმების გავრცელებას კლასების დესტრუქციის ერთ-ერთ ფაქტორადაც მიიჩნევენ.

თავისუფლება პრაქტიკული ფილოსოფიისა და პოლიტიკის მთავარი ცნება. *თ-ის* განსაზღვრების მრავალ მცდელობათა შორის შესაძლებელია ორი ასპექტის გამოყოფა: 1. *თ.* შეიძლება გავიგოთ როგორც გარეგანი იძულებისა და ვალდებულებების არარსებობა. ამ იძულებას შესაძლებელია ბუნებრივი სახე ჰქონდეს ან თავისი წარმოშობით საზოგადოებრივ ხასიათს ატარებდეს (საზოგადოებრივი ნორმები და შეთანხმებები). ამ შემთხვევაში *თ.* ნეგატიურადაა დახასიათებული და საქმე ეხება თავისუფლებას „რალაცისაგან", რომელიც, უპირველეს ყოვლისა პოლიტიკურად, სოციალურად და ისტორიულად არის საინტერესო. 2. *თ.*, ასევე, შეიძლება გავიგოთ როგორც საკუთარი ნებისათვის გარკვეული მიმართულების მიცემის შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში გულისხმობენ გადაწყვეტილების მიღების ან ნების თავისუფლებას, რაც ნიშნავს *თ-ს* „რალაცისათვის" (პოზიტიური *თ.*). ასე გაგებული *თ.* წარმოადგენს მრავალი ფილოსოფიური და თეოლოგიური გამოკვლევის საგანს. პოლიტიკურ-სოციალური თვალსაზრისით შესაძლებელია *თ-ის* მიღება იძულების მოხსნით, ხოლო ფილოსოფიური თვალსაზრისით – არა. *თ-ის* ცნება განეკუთვნება დასავლური აზროვნების ძირითად ღირებულებას, რომელიც ევროპის გზით მთელს მსოფლიოში გავრცელდა. *თ-ის* იდეა, როგორც ნებისა და სინდისის *თ.*, ახალი დროის ადამიანის თვითგაგების ცენტრალური კატეგორია გახდა, რომელიც თანამედროვე მსოფლიო საზოგადოების *დემოკრატიისაკენ* ლტოლვას უდევს საფუძვლად. *თ-ის* ფილოსოფიური მიმართებების (შინაარსების) გარდა, შესაძლებელია განვასხვაოთ *თ-ის* საზოგადოებრივი (*თ.* როგორც სოციალური მიმართებების ცვლილებების შედეგი), ასევე ისტორიული კომპონენტები (გზა მონობის გაუქმებიდან თავისუფალი სამარ-

თლებრივი სახელმწიფოების ფორმირებამდე).

გააარჩევენ *თ-ის* შემდეგ სახეებს: 1. ნების *თ.* გულისხმობს, რომ ადამიანები პრინციპულად თავისუფლები არიან ამა თუ იმ ქმედების განხორციელებისა და გადაწყვეტილების მიღებისას. ნების *თ.* ნიშნავს, რომ ინდივიდის ქცევა არ არის რაიმეთი წინასწარ დეტერმინირებული. 2. ცალკეული ინდივიდის სამართლებრივი *თ.* გამომდინარეობს სხვათა *თ-ის* შეზღუდვიდან, რომელიც აუცილებელია ყველასათვის, რათა ყველასთვის მისაწვდომი გახდეს რაც შეიძლება მეტი *თ.* 3. პოლიტიკური *თ.* მიემართება სხვა ინდივიდის უფლებას, იყოს პოლიტიკურად ქმედითი და იქონიოს ზეგავლენა პოლიტიკური ნების ფორმირებაზე, მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკურ არჩევნებში. 4. რეალური *თ.* განასხვავებს სასურველ და ნამდვილ თავისუფლებას და სვამს კითხვას გარანტირებული *თ-ის* რეალური არსებობის შესახებ. რეალური *თ.* იმავდროულად არის სოციალური *თ.*

პოლიტიკური *თ.* შეიძლება განისაზღვროს როგორც კონკრეტული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფების უნარი, შესაძლებლობა, იმოქმედონ გარემოებათა ხელის შეშლის ან ჩარევის გარეშე. *თ-ის* ამგვარი გაგება მხოლოდ ერთია *თ-ის* უამრავი კონცეფციიდან, რადგან *თ.* მეცნიერებაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო საკამათო კატეგორიაა ხანგრძლივი ისტორიითა და შესაბამისი მეტაფიზიკური, თეოლოგიური და მორალური იმპლიკაციებით. *თ-ის* ეს განსაზღვრება შეიძლება ასევე წარმოდგენილი იყოს ფორმულით: „A თავისუფალია B-საგან, რათა p". სადაც A-თი ინდივიდები აღინიშნება, B-თი – ხელისშემშლელი პირობები, ხოლო p-თი – სასურველი მოქმედებები ან მდგომარეობები. პოლიტიკურ მეცნიერებებში ჯერალდ მაკალუმმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ ფორმულაზე, ნეგატიური ან პოზიტიური აზრით, შეიძლება დავიყვანოთ *თ-ის* ნებისმიერი განსაზღვრება. სანიმუშოდ შეგვიძლია მივმართოთ იზაია ბერლინის თვალსაზრისს, რომელიც განასხვავებდა ნეგატიურ და პოზიტიურ *თ-ას.* პრინციპში, ნეგატიური *თ.* ბერლინისათვის ხელისშემშლელი პირობების არარსებობაში მდგომარეობდა, ხოლო პოზიტიური *თ-ის* ქვეშ გულისხმობდა ინდივიდის უნარს, განეხორციელებინა თავისთვის სასურველი ქმედება.

თ-ის შემოთავაზებული ბაზისური გაგებიდან გამომდინარე, პოლიტიკური *თ-ის* ის მხარე, რომელიც განიხილავს ინდივიდის მიმართებას სახელმწიფოს პოლიტიკურ ინსტიტუტებთან, იმას, თუ რამდენად თავისუფალია კონკრეტულ საზოგადოებაში ინდივიდი, ინტერპრეტირდება, როგორც სამოქალაქო *თ.* (იხ. *სამოქალაქო თავისუფლება*), ხოლო რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს *თ-ის* საკითხი გაიგება როგორც *დამოუკიდებლობა* ან *სუვერენიტეტი.*

თამაშების თეორია თეორია, რომელიც თამაშს აღიარებს ადამიანის თავისუფალი თვითგამოხატვის ფორმად; თამაში არ არის მიმართული რაიმე უტილიტარული მიზნის მიღწევისკენ და არსებობს საწარმოო-პროფესიული მოღვაწეობისგან დამოუკიდებლად. სათამაშო ქცევა ვლინდება უმაღლეს ძუძუმწოვრებთან, ბავშვებთან, განვითარების პრიმიტიულ დონეზე მყოფ ხალხთან. თამაშს ხშირად ხელოვნებას ადარებენ. მას სოციალურ-კულტურული ფუნქციები აქვს: 1) პირველადი სოციალიზაციის ერთ-ერთი საშუალება, რომელიც ხელს უწყობს ახალი თაობის საზოგადოებაში დამკვიდრებას; 2) განსხვავებული სოციალური მდგომარეობისა და პროფესიული გამოცდილების მქონე ადამიანთა გამაერთიანებელი, ემოციებით დატვირთული კომუნიკაციების

სფერო; 3) არქაული ჩვეულებებისა და ღირებულებების შენარჩუნება და კვლავწარმოება, რომლებმაც დროსთან ერთად პირვანდელი პრაქტიკული საზრისი დაკარგეს. ბევრი ევროპელი ფილოსოფოსი და კულტუროლოგი ხედავს *კულტურის* წყაროს ადამიანის თამაშის უნარში. ამ აზრით, იგი კულტურის წარმოშობის წინაპირობაა (გადამერი, ფინკი, ჰაიზინგა), თამაშის სტიქიაში ადამიანი რადიკალურად სხვა როლშია იმ როლებისგან განსხვავებით, როცა ფანტაზიორობას არ მიმართავს. XIX ს-ში ეს აზრი ბევრმა მეცნიერმა აიტაცა. XX ს-ში თამაშის ფენომენი კულტუროლოგთა ძლიერ ინტერესს იწვევს. სარტრის მოსაზრებით, ადამიანს ორი არჩევანი აქვს – იყოს არარაობა ან ითამაშოს. ნიდერლანდელი მეცნიერისთვის – იოჰან ჰაიზინგასთვის კულტურა თავისუფალი და პატიოსანი თამაშია, თამაში კულტურის ფენომენია და არა ბიოლოგიური, ამიტომ კულტუროლოგიური თვალსაზრისით უნდა გაანალიზდეს. ადამიანის პირვანდელი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი სახეობები მასთანაა გადაჯაჭვული. ჰაიზინგას ნაშრომის – Homo Ludens-ის („მოთამაშე ადამიანი") ძირითადი თეზისი ასაბუთებს კულტურის თამაშისეულ ხასიათს და შრომის საპირისპიროდ, თამაშს კულტურის შემქმნელ ფაქტორად განიხილავს. ის ინდივიდისთვის სოციალურად მნიშვნელოვანია მასში მყოფი საზრისის, გამომხატველობითი ღირებულების გამო, ამიტომ შრომაზე უფრო მეტადაა ადამიანური კულტურის მაფორმირებელი ელემენტი – ადამიანმა გარემოს შეცვლის აქტი ჯერ საკუთარ ფანტაზიაში, თამაშის სფეროში განახორციელა. ჰაიზინგას თვალსაზრისით, თამაში კულტურაზე უფროსია, წინ უსწრებს და ქმნის მას. კულტურა სწორედ თამაშის ფორმით იქმნება, იგი თავიდან გათამაშდება. ყველა მკვლევარი აღნიშნავს თამაშის უმიზნობას უტილიტარული გაგებით. კულტურის გენეზისის კონცეფციას თამაშის საფუძველზე თანამედროვე კულტუროლოგიაში ბევრი მხარდამჭერი ჰყავს (ფინკი, ი გასეტი, ჰესე და სხვ.).

თ. თ. საერთაშორისო ურთიერთობებში კონფლიქტური ვითარებების დროს გადაწყვეტილების მიღების კვლევის ფორმალური მეთოდია. „თამაში" ამ შემთხვევაში ადამიანური ურთიერთქმედების ფართო სპექტრის მეცნიერული მეტაფორაა. *თ. თ.* მოქმედ პირთა რაციონალობის ვარაუდს ემყარება. *თ. თ.* მათემატიკის ერთ-ერთი დარგია და როგორც ნესი, მატრიცების სახითაა წარმოდგენილი. *თ. თ-ის* მარტივ მოდელებში თითოეულ მონაწილეს აქვს გადაწყვეტილების არჩევის ორი ვარიანტი, რაც ოთხი შესაძლო შედეგის არსებობას განაპირობებს. გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ არა მხოლოდ საკუთარი, არამედ მეორე მოქმედი პირის ინტერესებიც. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მხარეს წარმოდგენა არ ჰქონდეს პარტნიორის არჩევანზე. *თ. თ-ის* მიხედვით, მონაწილეთა მოქმედების პრინციპი შეიძლება იყოს სარგებლის მაქსიმალიზაცია, ან დანაკარგების მინიმალიზაცია, რომელთა შორის არჩევანიც ორივე მხარისათვის შედეგს განაპირობებს. *თ. თ.* წარმოშობს კითხვებს რაციონალობის რაობის შესახებ. არსებობს *თ. თ-ის* ნულოვანჯამიანი და არანულოვანჯამიანი (ე. წ. შერეული მოტივაციის) ვარიანტები. ნულოვანჯამიან ვარიანტში თითოეული მხარის მოგება აუცილებლად მეორე მხარის წაგებას მოასწავებს, ხოლო არანულოვანჯამიან ვარიანტში ორივე მხარის მიერ სარგებლის მოპოვება დასაშვებია. *თ. თ-ის* ყველაზე ცნობილი ვარიან-

ტია ე. წ. „პატიმრის დილემა“, რომელიც კლასიკურ არანულოვანჯამიან თამაშს წარმოადგენს. „პატიმრის დილემის“ გარდა *თ. თ-ის* მოდელებიდან აღსანიშნავია „ორმხრივად გარანტირებული განადგურება“, „მწვანე საფარის ტრაგედია“, „სქესთა შეჯახება“ და სხვ. საერთაშორისო ურთიერთობებში *თ. თ. გამალებული შეიარაღების, განიარაღების,* ბირთვული სტრატეგიული ურთიერთქმედებისა და გარემოს დაცვის საერთაშორისო პოლიტიკური ანალიზის *დროს გამოიყენება.* თ. თ-ის *შემქმნელად ჯონ ფონ ნეიმანი მიიჩნევა. საერთაშორისო ურთიერთობებში თ. თ-ის* ყველაზე ცნობილი თეორეტიკოსი თომას შელინგია.

თანაბარი შესაძლებლობები ინდივიდების მისწრაფებათა რეალიზაციის თანაბარი შანსი. *თ. შ-ის* პრინციპის რეალიზაციას ხედავენ დემოკრატიულ ქვეყნებში გავრცელებულ პრაქტიკაში – ვაკანტური თანამდებობა დაკავებული იქნეს კონკურსის წესით. კანონით დაცული *თ. შ-ის* არსებობა არ ნიშნავს, რომ საზოგადოებაში სრულად არის რეალიზებული სოციალური თანასწორობის იდეალი. თანასწორობის აბსოლუტურ რეალიზაციას ხელს უშლის მრავალი სოციალური და ეკონომიკური ფაქტორი და ის ძირითადად არარეალიზებად სოციალურ მოდელად რჩება, რომელსაც მეტ-ნაკლებად შეიძლება დაუახლოვდეს ესა თუ ის კონკრეტული საზოგადოება.

თანასწორუფლებიანობა დემოკრატიული საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური მონყობისა და ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომლის შესაბამისადაც მოცემული ქვეყნის ყველა მოქალაქეს აქვს თანაბარი უფლებები, კანონმდებლობასა და სხვა სამართლებრივ აქტებში დაუშვებელია მათი რამენაირი დისკრიმინაცია. *თ.* ადამიანთა პოლიტიკური თანასწორობის ერთ-ერთი გამოვლინებაა. იგი დაფიქსირებულია ბევრ საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტში, მათ შორის 1948 წლის ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში. *თ.* მეტ-ნაკლებად თანმიმდევრულად და გარანტირებულად არის გამყარებული ყველა დემოკრატიული ქვეყნის კონსტიტუციით, მათ შორის საქართველოს კონსტიტუციით. *თ.* არ უნდა ავურიოთ თანასწორობასთან, რამეთუ ამ უკანასკნელს უფრო ფართო გაგება აქვს. *თ.* ნიშნავს თანასწორობას მხოლოდ კანონზე დამყარებული სამართლის სფეროში. თვით *თ.* ხშირად შეიძლება ფორმალური, დეკლარაციული, ფიქტიური იყოს, ე. ი. რეალურ ცხოვრებაში არ ხორციელდებოდეს.

თაობა სოციალურ-ასაკობრივი კატეგორია, ნომინალური ჯგუფი. ეს ტერმინი სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება.

დემოგრაფიული თვალსაზრისით, *თ.* არის ასაკობრივი ჯგუფი, დროის დაახლოებით ერთსა და იმავე პერიოდში დაბადებული ადამიანების ერთობლიობა (მაგ., 1940 წ. დაბადებულთა *თ.*, 1940-1945 წლებში დაბადებულთა *თ.* და ა. შ.).

თ-ად მიჩნეულია დროის შუალედი, დაახლოებით 30 წელი, რომელიც თითოეულ ბუნებრივ *თ-ს* აშორებს შემდგომისაგან, ე. ი. პერიოდი, გარკვეული ასაკობრივი ერთობლიობის დაბადებასა და მათი შვილების დაბადებას შორის.

გენეალოგიური თვალსაზრისით, *თ.* აღნიშნავს საერთო წინაპრისაგან წარმოშობილ კოჰორტას.

მიუხედავად კონცეპტუალური სიძნელეებისა, მოცემული ცნება დიდ როლს ასრულებს სოციოლოგიაში.

სოციოლოგიური მნიშვნელობით *თ.* ნიშნავს საზოგადოების იმ წევრთა ასაკობრივ ჯგუფს, რომლებიც არა მარტო დაახლოებით ერთსა და იმავე დროს დაიბადნენ, არამედ საერთო ცხოვრებისეული გამოცდილება, ინტერესები, შეხედულებები, აღქმის უნარი და იდენტური თვითცნობიერება (თვითშეგნება) აქვთ. ისინი განიხილებიან როგორც გარკვეული კოლექტიური ერთობა (მაგ., XX ს-ის ოთხმოციანელთა *თ.*, II მსოფლიო ომის *თ.*, ე. წ. „დაკარგული თაობა", აფხაზეთის კონფლიქტის *თ.* და ა. შ.).

კარლ მანჰაიმი (Karl Mannheim, The Problem of Generations, 1952) განასხვავებს *თ-ს*, როგორც ლოკაციას (დაბადების კოჰორტას) და *თ-ს*, როგორც რეალობას, სადაც არსებობს ჯგუფისადმი თვითიდენტიფიკაცია, რაც გამოწვეულია საერთო ცხოვრებისეული გამოცდილებით, გრძნობებით, შეხედულებებით, ინტერესებით (მაგ., ვიეტნამის ომის *თ.*, სამოციანელთა *თ.* და ა. შ.). კ. მანჰაიმი თვლის, რომ სხვადასხვა *თ-ის* წარმომადგენლები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ სამყაროს. მისი აზრით, კულტურის, ინტერესებისა და ქცევის ინდივიდუალური და ჯგუფური განსხვავების ასახსნელად *თ-ს* ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც სოციალურ *კლასს* ან *გენდერს*.

თ-ს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ სოციოლოგიაში. პოლიტიკური ქცევა კორელაციაშია თაობასთან.

ზოგჯერ *თ-ის* მაგივრად ტერმინი „კოჰორტა" გამოიყენება. ის აღნიშნავს ადამიანთა ჯგუფს, რომელმაც დროის გარკვეულ პერიოდში საერთო გამოცდილება შეიძინა. კოჰორტა იმ ადამიანთა ერთობლიობაა, რომლებიც ერთდროულად, ერთ პერიოდში ერთნაირი მოვლენების მონაწილეები გახდნენ (ან ერთნაირი მოვლენები განიცადეს; მაგ., უმაღლესში შესულთა კოჰორტა, ჯარში წასულთა კოჰორტა და ა. შ.).

თეთრსაყელოიანები ტერმინი გამოიყენება საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის, კანცელარიების, ბანკებისა და ამ ტიპის სხვა დაწესებულებების მოსამსახურეთა აღსანიშნავად (თუმცა, მას ზოგჯერ უფრო ფართო მნიშვნელობითაც ხმარობენ და მოიაზრებენ მომსახურე პერსონალს, რომელიც ფიზიკურად არ შრომობს). ამ ტერმინში გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფი სოციალურ სტრუქტურაში იკავებს ადგილს მუშათა კლასსა და ძველი საშუალო კლასის ტრადიციული პროფესიების მუშაკთა შორის.

თეოკრატია სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც ხელისუფლება თავმოყრილია სასულიერო პირთა ან ეკლესიის მეთაურის ხელში. *თ-იული* სახელმწიფოები უძველეს დროშიც არსებობდა. ასე მაგ., ძველ იუდეაში ძვ. წ. V–I საუკუნეებში მთელი ძალაუფლება უმაღლესი ქურუმის ხელში იყო თავმოყრილი. ცნობილია, აგრეთვე, XVII ს-ში პარაგვაიში იეზუიტების მიერ ორგანიზებული სახელმწიფო, იმამ შამილის მმართველობა ჩეჩნეთსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე, რომელმაც ხანგრძლივი წინააღმდეგობა გაუწია მეფის რუსეთის არმიას XIX ს-ში კავკასიის დაპყრობისას; ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან მიერთებამდე დალაი ლამა (ლამას სასულიერო პირთა თავი) ტიბეტის საერო ხელისუფლებასაც ხელმძღვანელობდა. რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მეთაური – პაპი ერთდროულად ვატიკანის სახელმწიფოს მეთაურიცაა. თუმცა დღეს მთლიანობაში *თ.* ისტორიულ ანაქრონიზმად შეიძლება ჩაითვალოს, ირანის „ისლამურმა" რევოლუციამ 70-იანი წლების ბოლოს დაგვანახა ფაქტობრივი ხელისუფლების შეიტთა სასულიერო პირთა ხელში გადასვლის მაგალითი, რომელსაც აიათოლა ჰომეინი ედგა სათავეში. *თ-იულ*

ტენდენციებს თან ახლავს მოქალაქეთა პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს რელიგიური რეგლამენტაცია.

თვითგამორკვევა ყოველი ხალხის (ეთნოსის) საერთაშორისოდ აღიარებული უფლება დამოუკიდებლად და თავისუფლად განსაზღვროს თავისი ბედი, მათ შორის თავისი სახელმწიფოებრივი არსებობის ფორმა. *თ*-ის პრინციპი ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა დასავლეთ ევროპაში XVII-XIX სს-ის ეროვნული მოძრაობების განვითარების პროცესში, რომლის ძირითად მიზანსაც დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოების შექმნა წარმოადგენდა. XX ს-ში აღნიშნული პრინციპი *კოლონიალიზმის* წინააღმდეგ მიმართული *ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის* ძირითად მამოძრავებელ ძალად იქცა. დღეს იგი საყოველთაოდ არის აღიარებული და დაფიქსირებული გაეროს წესდებასა და ბევრ სხვა საერთაშორისო დოკუმენტში, მათ შორის, ჰელსინკის ხელშეკრულებებში. *თ.* ეროვნულ საკითხში დემოკრატიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გამოვლინებაა. ამ უფლებას სახელმწიფო არც უბოძებს და არც აწესებს. მას ესა თუ ის სახელმწიფო ცნობს ან არ ცნობს. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კონკრეტული სახელმწიფო ამ ბუნებრივ უფლებას არ აღიარებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხალხები ამ უფლებას კარგავენ. ამასთან ერთად, არ შეიძლება მისი აბსოლუტიზირება და სხვა, მაგ., ადამიანთა უფლებებზე უფრო მაღლა დაყენება. იგი უნდა განიხილებოდეს ყველა უფლებათა სისტემაში თავისი ისტორიული შინაარსის, რეალიზაციის კონკრეტული პირობებისა და სხვ. გათვალისწინებით. (იხ. აგრ. *ეროვნული თვითგამორკვევა*).

თვითმკვლელობა საკუთარი სიცოცხლის ხელყოფა. *თ-ის* სოციოლოგიური ანალიზის მრავალრიცხოვან ცდათაგან ყველაზე ღირებული დიურკემისეულია. მან *თ.* სოციალურ გარემოს დაუკავშირა და გამორიცხა მისი მიზეზების ძიება ბიოლოგიურსა ან ფსიქიკურში. „თვითმკვლელობაა ყველა სასიკვდილო შემთხვევა, რომელიც უშუალოდ ან შუალობითად დადებითი ან უარყოფითი ქცევის შედეგია, რასაც ჩადის თვითმკვლელობის მსხვერპლი, რომელმაც იცოდა, რა შედეგი მოჰყვებოდა მის მოქმედებას“. დადებით ქმედებად ითვლება თვითმკვლელის აქტიურობის შედეგად მიღებული სუიციდური შემთხვევა. ნეგატიურ ქმედებად ითვლება მოსალოდნელი საფრთხის მიმართ გულგრილობა, როცა თვითმკვლელი ნებაყოფლობით ეგებება მოსალოდნელ საფრთხეს. *თ.* მხოლოდ ადამიანური ფენომენია, რადგან მასში ცნობიერება მონაწილეობს. *თ-ს* არ მიეკუთვნება ვითარება, როდესაც ადამიანი სასიკვდილო საფრთხეში იგდებს თავს, მაგრამ ეს არ არის სიკვდილის მიზნით ჩადენილი ქცევა. *თ.* სიცოცხლეზე შეგნებულ და გაცნობიერებულ უარის თქმას ნიშნავს. დიურკემმა მოგვცა *თ-თა* ტიპოლოგიაც. ზოგი ავტორი ამ ტიპოლოგიაში ოთხ ტიპს გამოყოფს: ეგოისტური, ალტრუისტული, ანონიმური და ფატალისტური; ზოგი კი სამ ტიპზე მიუთითებს: ეგოისტური, ალტრუისტული და ანონიმური (რაიმონ არონი). თუმცა, დიურკემი ფატალისტურზეც მსჯელობს. *თ-ის* კოეფიციენტის დასადგენად იგი გვთავაზობს თანაფარდობას *თ-ების* რაოდენობასა და მოსახლეობის საერთო რაოდენობას შორის. დიურკემმა ყურადღება გაამახვილა ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად *თ-თა* კოეფიციენტის ზრდაზე.



ალტრუისტულია *თ.* იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოების მაინტეგრირებელი ძალები თვითშენახვის ინსტინქტზე მაღლდება; ეგოისტური *თ.* მაშინ ხდება, როდესაც საზოგადოების მაინტეგრირებელი ძალები სუსტია; ფატალისტური *თ-ისას* ჯგუფი ან ორგანიზაცია ძალუმად თრგუნავს პიროვნებას; ანომიური *თ.* ხდება მაშინ, როდესაც საზოგადოებაში სოციალური რეგულირება მოშლილი ან დაუძლურებულია, რის გამოც ინდივიდი კარგავს სოციალურ იდენტურობას. *თ.* განსხვავდება *თ-ის* მცდელობისაგან. მცდელობა გაცილებით მეტია, ვიდრე საკუთრივ *თ. თ-ის* მცდელობა ორ ჯგუფად იყოფა: 1. ნამდვილი, მაგრამ *თ-ის* წარუმატებელი მცდელობა და 2. *თ-ის* ფიქტიური მცდელობა. ესაა პარასუიციდი, რომელსაც მიზნად აქვს ირგვლივმყოფთა დამოკიდებულების შეცვლა პარასუიციდის სუბიექტისადმი. ეს არის, ფაქტობრივად, ადამიანის მიერ თავისი პიროვნების მიმართ ყურადღების მოთხოვნა. რეალური *თ-ის* მცდელობა განმეორებითი ტენდენციის მქონეა. რამდენიმე მცდელობის შედეგად განხორციელებულ *თ-თა* რიცხვი უფრო მეტია, ვიდრე იმ ადამიანებს შორის, ვინც *თ.* პირველად სცადა, რადგან ბევრი ერიდება ამ მცდელობის გამეორებას განცდილის საშინელების გამო.

თვითმმართველობა ძალზე ზოგადი გაგებით გულისხმობს რომელიმე ორგანიზაციის ან ქვეყნის ამა თუ იმ ოლქის უნარს, თავადვე მოაგვაროს საკუთარი საქმეები. უფრო კონკრეტულად კი, სახელმწიფოებრივ დონეზე, *თ-ში* ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ორი ფორმა: რეგიონალიზმი და ფედერალიზმი. ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელია მმართველობის დაბალ დონეებზე იმგვარი სფეროების არსებობა, რომლებიც მთლიანად დაცულია ცენტრალური ხელისუფლების ჩარევისაგან, რადგან ცენტრალური ხელისუფლება ადგილებზე ახდენს საკუთარი უფლებამოსილების ოლქების ხელისუფლებისადმი დელეგირებას. ასეთი *თ-ის* ნიმუშებად შეგვიძლია დავასახელოთ ხელისუფლებათა გამიჯვნა ფედერალური მონყობის ქვეყნებში (გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, რუსეთსა ან ჩრდილოეთ ირლანდიაში). მათგან განსხვავებით, *თ.* როგორც რეგიონალიზმი გულისხმობს ჯერ ერთი იმას, რომ ქვეყნის რეგიონები სტატისტიკური და ადმინისტრაციული მიზნით შექმნილია ცენტრალური ხელისუფლების მიერ და მათი სახეცვლილება ან სულაც ლიკვიდაცია ისევ ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაა; მეორე, ცენტრალური ხელისუფლების მიერ რეგიონალური *თ-ისათვის* გადაცემული უფლებამოსილებანი უმნიშვნელოა; დაბოლოს, რეგიონები არ არიან წარმოდგენილნი სახელმწიფოს უმაღლეს ხელისუფლებაში პოლიტიკური ერთეულების სახით.

თვითცნობიერება იხ. *იდენტობა.*

თინეიჯერი (სწორია ტინეიჯერი) ყმაწვილი, გარდამავალი ასაკის (13–19 წლის)

ვაჟი ან გოგონა. ტერმინი კულტურის მეცნიერებებში გამოიყენება ახალგაზრდული *სუბკულტურების* განხილვისას.

I

იარლიყების „მიკერების“ თეორია ახდენს იმ სოციალური პროცესების ანალიზს, როდესაც გარკვეულ მოქმედებებს, ინდივიდებს ან ჯგუფებს მიაწერენ („აკერებენ“) პოზიტიურ ან ნეგატიურ თავისებურებებს, ანუ სტერეოტიპებს. ამ მიდგომამ გავლენა მოახდინა *დევიაციის* სოციოლოგიაზე. *ი. მ. თ-ის* კლასიკური დახასიათება ეკუთვნის ჰოვარდ ბეკერს, რომელიც ამტკიცებდა, რომ ქმედებები თავისთავად არც ცუდია და არც კარგი: ნორმალურობა და დევიანტობა სხვა არაფერია, თუ არა სოციალურად განსაზღვრული თვისებები. ამდენად, *დევიაცია* უფრო მეტად არის არა მოქმედების თვისება, არამედ სხვათა მიერ მინერილი წესები და სანქციები „კრიმინალების“ მიმართ. *ი. მ. თ.* განავითარა „ჩიკაგოს სკოლამ“, კერძოდ, სიმბოლურმა ინტერაქციონიზმმა. ამ უკანასკნელმა გამოიკვლია ნეგატიური იარლიყების გავლენა ინდივიდთა თვითცნობიერებაზე, განსაკუთრებით, დევიანტური იდენტურობის, დევიანტური კარიერის და დევიანტური *სუბკულტურების* განვითარებაზე. ვინ ახდენს იარლიყის „მიკერებას“? როგორც წესი, მოქმედების ამა თუ იმ ტიპის კრიმინალიზაცია ხდება მოსამართლეების, მედიის, პოლიციის და სხვა, ე. წ. „სოციალური კონტროლის აგენტების“ მიერ, რაც აქტორებს უბიძგებს იმისაკენ, რომ მოახდინონ მათი ინდივიდუალური აქტივობის კორექტირება და გაიზიარონ დევიანტური სუბკულტურების ღირებულებები, რომელთაც იარლიყების „მიკერების“ პროცესი თავად ქმნის.

ამ თეორიას სხვადასხვა კუთხით აკრიტიკებენ. კრიტიკა, ძირითადად, მიმართულია იმისკენ, რომ იარლიყების „მიკერების“ გავლენას მიენიჭა უკიდურესად დეტერმინაციული ხასიათი და უარყოფილია ინდივიდის წინასწარი ფსიქიკური განწყობის მნიშვნელობა დევიაციის ახსნისას. ეს თეორია ივიწყებს იმასაც, რომ *აქტორებს* აქვთ მორალური არჩევანის შესაძლებლობა და, ამდენად, თავისუფლება ამა თუ იმ *ქცევის* დევიანტურად ჩათვლის, მით უფრო, მასში ჩართვის თვალსაზრისით. მარტივად, ინდივიდს აქვს უნარი, უარყოს ესა თუ ის იარლიყი და ჩათვალოს, რომ იარლიყის „მიკერება“ სულაც არ არის ავტომატური პროცესი.

იდეალიზმი იხ. *პოლიტიკური იდეალიზმი.*

იდეალური ტიპი ტერმინი სოციოლოგიაში (საერთოდ, სოციალურ მეცნიერებებში) შემოტანილია მაქს ვებერის მიერ. *ი. ტ-ს* იგი განსაზღვრავს როგორც თეორიულ კონსტრუქციას, რომელიც აგებულია რეალურ ცხოვრებაში დაკვირვებადი *ქცევებისა* და ურთიერთობების განსაზღვრული მახასიათებლებისაგან. ეს მახასიათებლები აღწერს *მოქმედების* ლოგიკურად არაწინააღმდეგობრივ და რაციონალურ შინაარსს და აბსტრაჰირებას ახდენს ირაციონალური მოტივებისაგან. სხვანაირად რომ ითქვას, იდეალურ ტიპში ხდება უამრავი „დისკრეტული და დიფუზური“ მოვლენის აზრობრივი შეერთება ერთიან სახეში, როდესაც ისინი აღწევენ ლოგიკური ურთიერთშეთანხმების ზღვარს. ასე იქმნება მოქმედების თეორიული, „წმინდა“ მოდელები, როგორც იდეალური კონსტრუქციები, რომლებიც ერთგვარად „ედება“, ფარავს რეალობას, ხოლო რეალური მოქმედებები ბოლომდე ვერასოდეს ამოწურავს მათ. *ი. ტ-ის* მიზანი არ არის შექმნას სრულყოფილი მაგალითი (შემთხვევა), ვებერს სურს დაგვარწმუნოს, რომ „იდეალური“ არ

ნიშნავს „ნორმატიულად სასურველს“, არამედ წარმოადგენს მხოლოდ საზომს (კრიტერიუმს), რომელსაც შეიძლება შევადაროთ რეალური შემთხვევები. ამდენად, *ი. ტ-ებს* აქვს მხოლოდ შემეცნებითი ღირებულება, ანუ გამოიყენება კერძო შემთხვევების ინტერპრეტაციისათვის, როგორც შესადარებელი კონსტრუქციები. ეს სწორედ ის კერძო შემთხვევებია, როდესაც მოქმედება მეტ-ნაკლებად მოკლებულია საზრისს. ასეთ დროს *ი. ტ-ები* გვეხმარება მოქმედების შემეცნებაში, კერძოდ, მათთან შედარების საფუძველზე განისაზღვრება გასაზრისიანებული მოქმედებისაგან გადახრის ზომა. მაგალითად, ყველაზე ცნობილი *ი. ტ.*, ვებერის თანახმად, არის *ბიუროკრატია*, რომელიც გამოიყენება იმისათვის, რომ პასუხი გაეცეს კითხვას – „რამდენად ბიუროკრატიულია ესა თუ ის ორგანიზაცია?“. ისეთი ცნებები, როგორიცაა „ეკონომიკური გაცვლა“, „კაპიტალიზმი“, „ეკლესია“, „სექტა“, „ქრისტიანობა“ და მრავალი სხვა, სოციალურ-თეორიული კონსტრუქციებია, რომლებიც არ არსებობს რეალურ სამყაროში, თუმცა იარაღია რეალობის შესამეცნებლად.

იდენტობა თავისთავადობის შეგრძნება, რომელიც ბავშვს უყალიბდება ზრდის პროცესში; „მე“-ს შედარებით მყარი, უწყვეტი განცდა საკუთარი თავისა; ესაა ინდივიდის თვითცნობიერების მნიშვნელოვანი კომპონენტი – წარმოდგენების სისტემა საკუთარ თავსა და თვისებებზე, უნარებზე, გარეგნობაზე, სოციალურ ღირებულებაზე. ამ წარმოდგენების საფუძველზე ადამიანი ააგებს ურთიერთობებს თავის თავთანაც და სხვებთანაც. ამერიკელი ფსიქოლოგის – ერიკ ერიქსონის თვალსაზრისით, *ი.* ყალიბდება სოციალურ ინტერაქციაში, ამდენად, განსაზღვრულია სოციალურ-კულტურული კონტექსტით. ამ საკითხთან მიმართებით ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიაში ბევრი რამ მსგავსად აიხსნება. მაგრამ არის განსხვავებებიც, ძირითადად, *ი-ს* აქცენტირებისა და მისი ფორმირების პროცესის თაობაზე. ბოლო პერიოდში *ი-მ* მნიშვნელოვანი სოციოლოგიური კონცეფციის ხასიათი მიიღო და აღნიშნავს გარკვეულ სოციალურ კონსტრუქციებთან ასოცირებულ თავისთავადობის შეგრძნებას. ინდივიდის თვითცნობიერებაში სხვადასხვა სოციალურ *როლთა* ინტეგრაცია და იერარქიულობა განაპირობებს სოციალური *ოიების* სიმრავლეს. პოსტმოდერნისტები *ი-ს* პიროვნების მოძრავ სიტუაციურ ასპექტად განიხილავენ, მაგალითად, რომელიმე *სოციალური ერთობის* (სქესობრივი, ასაკობრივი, ეკონომიკური, ეთნიკური, პროფესიული და ა. შ.) კუთვნილებით. სოციალურ *ი-ს* ეთნოკულტურული ასპექტიც აქვს, რაც დაკავშირებულია *კულტურაში* პიროვნების მოდელის შესახებ წარმოდგენებთან: დასავლურ კულტურებში ხაზგასმულია პიროვნების ერთიანობა – მთლიანობა კონკრეტული სოციალური *ი-ისგან* მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად; სხვა (კოლექტივისტური ორიენტაციის) კულტურებში აქცენტირებულია „მე“-ს მრავლობითობა. ეს განსხვავებული ორიენტაციები ვლინდება არა მარტო *იდეოლოგიის* (რელიგიური, ფილოსოფიური და სხვ.), არამედ ყოველდღიური ცნობიერების დონეზეც.

იდეოლოგია **1.** იდეათა სისტემა, რომელიც საფუძვლად უდევს სოციალურ და პოლიტიკურ მოღვაწეობას; **2.** უფრო ვიწრო მნიშვნელობით, იდეათა სისტემა, რომელიც ერთი ჯგუფის მეორეზე ბატონობას აკანონებს ან ამართლებს; **3.** ყოვლისმომცველი ენციკლოპედიური ცოდნა, რომელსაც უნარი შესწევს, დაანგრიოს ცრურწმენები და გამოყენებულ იქნეს სოციალურ რეფორმებში. თავდაპირველად ტერ-

მინი *ი.* სწორედ ამ მნიშვნელობით გამოიყენა ანტუან დესტიუ დე ტრასმა. დღეს ტერმინი *ი.* ძირითადად პირველი და მეორე მნიშვნელობით გამოიყენება.

ი-ის პრობლემატიკა თავდაპირველად ინგლისში XVII ს-ის დასაწყისში ჩნდება ფრენსის ბეკონთან (1561-1626). მისი აზრით, ყოველ საზოგადოებაში ადამიანს გარკვეული იდოლა აქვს. ბეკონის მიერ იდოლების კრიტიკა შეიცავს საზოგადოების კრიტიკის არსებით ნიშნებს. ევროპული განმანათლებლობა, თვით მარქსამდე, *ი-ის* წყაროების ანალიზის მეშვეობით ცდილობდა აზროვნების ხელისშემშლელი ფაქტორების დადგენას, რათა მოეხდინა მათი აღმოფხვრა. აზროვნების ასეთ ხელისშემშლელ ფაქტორებად სახელდებოდა სურვილები (ჰობსი, 1588-1679), წარმოსახვა (ლამეტრი, 1709-1751), ინტერესები და ვნება (კონდილაკი (1715-1780), ჰელვეციუსი). ენციკლოპედისტების, ჰოლბახისა (1723-1789) და ჰელვეციუსის (1715-1771) ცენტრალურ თემას წარმოადგენდა იდეების საზოგადოებრივი ვითარებით განპირობებულობა. ფრანგი განმანათლებლები გამოდიოდნენ ცნობიერების სოციალური ყოფით კაუზალური და ცალმხრივი განსაზღვრულობის იდეიდან. ადამიანი აღიქმებოდა როგორც სოციალური და გონით-სულიერი გარემოს პროდუქტი. ფრანგი განმანათლებლების ფილოსოფიის თანახმად, ადამიანის გონების შესაძლებლობების შემზღუდავი ცრურწმენები გაბატონებული ჯგუფების მიერაა წარმოებული და დამკვიდრებული, რასაც მიზნად არსებული საზოგადოებრივი მდგომარეობის შენარჩუნება აქვს.

მარქსი (1818-1883) და ენგელსი (1820-1895) „გერმანულ იდეოლოგიაში" (1847) აღნიშნავდნენ, რომ *ი-ში* მოცემულია მმართველი *კლასის* სამყაროს სურათი დამახინჯებული სახით, რადგან მმართველი კლასის ინტერესები არ ასახავს მთელი კაცობრიობის ინტერესებს.

ნეომარქსიზმი, ვულგარული მარქსიზმის საპირისპიროდ, რომელიც ყოველ მოსაზრებას *ი-დ* მიიჩნევს და რომელიც სოციალურ მოძრაობას საწარმოო ძალებით და ინსტიტუციებით ხსნის, ხაზს უსვამს სოციალურ მოძრაობაში სუბიექტური ფაქტორის მნიშვნელობას. კლასობრივი ცნობიერება აქ გაგებულია, როგორც თეორიული და პოლიტიკური მუშაობის შედეგი. ნეომარქსისტებისთვის (ერნსტ ბლოხი (1885-1977), დიორდ ლუკაჩი (1885-1971) და ა. შ.) *მარქსიზმი* არ არის დასრულებული მსოფლმხედველობა (როგორც ამას მიიჩნევდნენ XIX ს-ის დასასრულისა და XX ს-ის დასაწყისის სოციალ-დემოკრატები), არამედ თვითონ მარქსიზმი არის საზოგადოებრივი განვითარების ნაწილი.

კრიტიკული თეორიის წარმომადგენლები მაქს ჰორკჰაიმერი (1895-1973) და თეოდორ ადორნო (1903-1969) საზოგადოებრივ რეალობასა და *ი-ურ* ზედნაშენს ერთმანეთისაგან არ მიჯნავენ. საზოგადოების რეპროდუქცია ხორციელდება ინდივიდების მოქმედებითა და აზროვნებით. *ი.* საზოგადოებრივი სისტემის მიერ არის წარმოებული, ხოლო ინდივიდები ამ *ი-ის* აგენტებად გვევლინებიან. კრიტიკული თეორიის თანახმად, *ი.* არის ყველაფერი ის, რაც ხელს უწყობს საზოგადოების გაბატონებული სტრუქტურებისადმი ინდივიდის დაუბრკოლებელ შეგუებას და ხელს უშლის საზოგადოებაში არსებულ მიმართებებზე რეფლექსიას.

ID, EGO, SUPER-EGO ფროიდისეული ფსიქიკური აპარატის კომპონენტები. ყველა მათგანს თავისი ფუნქცია და პრინციპი აქვს. *ი.* პრიმიტიული, ცხოველური და ინსტინქტური ელემენტია, ბობოქარი ლიბიდოზური ენერგიის საცავია, რომელიც დაუყოვნებლივ

დაკმაყოფილებას ითხოვს; სულის ყველაზე ღრმა, საკუთრივ არაცნობიერი კომპონენტია. გარემოსგან მთლიანად ავტონომიური და იზოლირებულია და საკუთარი მიზნების მიღწევაზეა მიმართული. *ი-ს* ამგვარი ორიენტაციის შეზღუდვა *ე-ს* ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა. *ე.* კოგნიტური და პერცეპტული პროცესების ერთიანობაა და მოიცავს მეხსიერებას, ამოცანების გადაწყვეტას, სინამდვილის შემეცნებას, განსჯასა და ა. შ. *ე-ს* ფუნქციაა მათი გაცნობიერება და რეალობასთან შეთანადება. *ე.* მოიცავს გარკვეულ დამცავ მექანიზმებსაც, რომლებიც შუამავლის როლს ასრულებენ *ი-ს* პრიმიტიულ ინსტინქტურ მოთხოვნებსა და *ს.-უ-ს* აკრძალვებს შორის. ამ თვალსაზრისით, *ე.* ფსიქიკური წონასწორობის შემნარჩუნებელი ოპერაციონალური სისტემის მსგავსად მოქმედებს. *ს.-უ.* დაკავშირებულია ეთიკურ ქცევებთან – იგი პასუხს აგებს ადამიანის მიერ გაზიარებულ ქცევით სტანდარტებზე.- *ს.-უ.* მიიჩნევა გაშინაგნებულ (ინტერნალიზებულ) კოდექსად, თავისებურ სინდისად, რომელიც დანაშაულს სინდისის ქენჯნით სჯის. იგი ვითარდება „მნიშვნელოვანი სხვების" (ჩვეულებრივ, მშობლების) მხრიდან დასჯა-წახალისების შედეგად, რითიც, საბოლოოდ, ბავშვი თავისი საზოგადოების მორალურ კოდექსს ითვისებს. *ი.* იმართება სიამოვნების პრინციპით და მიმართულია ჰედონიზმზე, *ე.* – რეალობაზე, ხოლო *ს.-უ.* – იდეალურზე.

იდიოგრაფიული და ნომოთეტური მეთოდი შემეცნების ორი სხვადასხვა (ურთიერთსაპირისპირო) მეთოდი, რომლებმაც ლოგიკურ-თეორიული დასაბუთება მიიღო ბადენის ნეოკანტიანური სკოლის წარმომადგენლებთან – რიკერტთან და ვინდელბანდთან, ამასთან რიკერტი უპირატესობას ანიჭებდა *ი. მ-ს*, ვინდელბანდი – *ნ. მ-ს*, თუმცა ისინი რეალურ კვლევაში ორივე მეთოდის თანაარსებობის მომხრენი იყვნენ, ერთ-ერთი მათგანის დომინირებით. *ი. მ-ის* მთავარ თავისებურებას ნეოკანტიანელები მის უნიკალურობაში, ინდივიდუალურისა და განუმეორებლობის წვდომაში ხედავენ. იგი საშუალებას გვაძლევს მთელი ყურადღება მივმართოთ ისტორიულად მნიშვნელოვანი ობიექტის სწორედ ინდივიდუალურ მახასიათებლებზე, ამ ობიექტის კავშირის მეშვეობით „ღირებულებებთან", განსაკუთრებული სახის იდეალურ არსებებთან, რომელთა წყალობითაც ობიექტი „მნიშვნელობს" ისტორიაში.

ნომოთეტური ანუ გენერალიზების მეთოდი მიზნად ისახავს ზოგადი კანონების შემუშავებას შემეცნების ბუნებრივ-ისტორიული მეთოდის მიხედვით. ნომოთეტური ცოდნა შესაძლებლობას აძლევს ადამიანს, განჭვრიტოს საგნების მომავალი მდგომარეობა და მიზანშეწონილად იმოქმედოს მოვლენათა განვითარებაზე, რაც არ ძალუძს *ი. მ-ს.* დავამ გერმანელ ფილოსოფოსებს რიკერტს, ვინდელბანდსა და დილთაის შორის, თუ რომელი უფრო შეესაბამება კერძო მეცნიერებებს, შეიძლება თუ არა მათი გაერთიანება, გავლენა მოახდინა მაქს ვებერზე და მან, როგორც შემდგომში მრავალმა სოციოლოგმა, სცადა ამ ორი განსხვავებული მეთოდის შეერთება.

იერარქია მთელის ნაწილების გაშლა ზემოდან ქვემოთ მიმავალი რიგით. ტერმინი პირველად გამოიყენებოდა ქრისტიანული ეკლესიის ორგანიზაციის დასახასიათებლად. თანამედროვე ლიტერატურაში ტერმინი იმავე მნიშვნელობით იხმარება *სახელმწიფოს ბიუროკრატიული* სტრუქტურის დასახასიათებლად. *ელიტისტურ* თეორიებში, განსაკუთრებით მიხელსის მიერ ჩამოყალიბებულ თეორიაში, გატარებულია აზრი ნებისმიერი საზოგადოების *ი*-ული ორგანიზაციის შესახებ, რომ

საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია იმთავითვე გულისხმობს მის იერარქიულ მოწყობას.

ი. (პოლიტიკური) რაიმე ნიშნის მიხედვით დაყოფის (*სტრატიფიკაციის*) სისტემაა. დამახასიათებელია ყველა სოციალური სისტემისათვის. *საერთაშორისო სისტემაში* სტრატიფიკაცია ეფუძნება *აქტორების ძალასა* და სტატუსს, რომელიც *სახელმწიფოებს* (აგრეთვე, სხვა აქტორებს) შორის არათანაბარი განაწილების გამო *ი-ულ* სახეს იღებს. *ი-ულ* სისტემაში ძალა და გავლენა თავმოყრილია ერთ ერთეულში, რომელიც უფლებამოსილია შექმნას უფრო მცირე ერთეულები, ამ უკანასკნელებმა – კიდევ უფრო მცირე და ა. შ. ცენტრალური გაბატონებული ძალა ამყარებს წესრიგს, „ახალისებს" ან „სჯის" თავის ქვემდგომ ერთეულებს, მათი მეშვეობით (და არა უშუალოდ) – მესამე დონის ერთეულებს და ა. შ. ასეთ სისტემაში ძალითა და სტატუსით ერთ *ი-ულ* დონეზე მყოფი სახელმწიფოები ერთმანეთთან კავშირს უშუალოდ ვერ ამყარებენ და მხოლოდ *ი-ულად* ერთი საფეხურით მაღლა მდგომი სახელმწიფოს მეშვეობით ხორციელდება ეს კავშირი. *ი-ული* საერთაშორისო სისტემა წმინდა სახით არ არსებობს და არც არასოდეს უარსებია, თუმცა მასთან მიახლოებული სახე შეინიშნებოდა ძველ ჩინეთში (ჯოუს იმპერია), არაბთა ხალიფატში, საღვთო იმპერიაში XVII ს-მდე და სხვ. მკვლევართა უმრავლესობის (განსაკუთრებით *ნეორეალისტების*) აზრით, საერთაშორისო სისტემის *ანარქიულობა* თავისთავად საეჭვოს ხდის მისი *ი-ულობის* შესაძლებლობას.

იზოლაციონიზმი 1. საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის სახეობა, რომლის გამოყენებითაც *სახელმწიფო* ცდილობს განზე გადგეს მიმდინარე საერთაშორისო პროცესებისაგან, შეზღუდოს ან საერთოდ შეწყვიტოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობები სხვა სახელმწიფოებთან, მინიმუმამდე დაიყვანოს ეკონომიკური და კულტურული კავშირები გარე სამყაროსთან და გეზი აიღოს საკუთარი რესურსებით თვითდაკმაყოფილებაზე. ასეთ პოლიტიკას ატარებდა იაპონია XVII ს-ის დასაწყისიდან XIX ს-ის 50-იან წლებამდე და ნეპალი XIX ს-ის 40-იანი წლებიდან XX ს-ის 50-იან წლებამდე.- ნახევრად *ი-ისტური* ქვეყნების მაგალითია ბირმა, ჩრდილოეთი კორეა, ალბანეთი (XX ს-ის 60-80-იან წლებში). **2.** იზოლაციონიზმად იწოდება, აგრეთვე, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპი XIX ს-ში და XX ს-ის პირველ ნახევარში, რაც გულისხმობდა იმას, რომ არ დაშვებულიყო ევროპის სახელმწიფოების ჩარევა ამერიკის (როგორც აშშ-ის, ისე ლათინური ამერიკის ქვეყნების) საქმეებში, და პირიქით, აშშ-ისა – ევროპის საქმეებში. ეს პრინციპები ჩამოყალიბებული სახით წარმოდგენილია აშშ-ის პრეზიდენტის ჯეიმს მონროს წერილში კონგრესისადმი (4.XII.1823) და იგი ცნობილია მონროს დოქტრინის სახელით. ამ პრინციპის გატარება, ერთი მხრივ, ხელს უწყობდა ევროპის სახელმწიფოებისაგან (პირველ რიგში – ინგლისისაგან) აშშ-ის დამოუკიდებლობის განმტკიცებას, ხოლო, მეორე მხრივ, აშშ-ის გავლენის ზრდას ლათინურ ამერიკაში და ამ რეგიონის გადაქცევას აშშ-ის სანედლეულო დანამატად. ასეთი პოლიტიკის შედეგად საერთაშორისო ურთიერთობაში აშშ-ის როლი მთელი XIX ს-ის განმავლობაში მეორეხარისხოვანი და ნაკლებად შესამჩნევი იყო.

ი-ის პოლიტიკიდან პირველი მნიშვნელოვანი გადახვევა იყო აშშ-ის ჩაბმა პირველ მსოფლიო ომში 1917 წელს და პრეზიდენტ უილსონის ცნობილი 14 პუნქტი, რომლებიც ახალი მსოფლიო მართლწესრიგის დამყარებას ითვალისწინებდა. მაგრამ პარიზის 1919

წლის კონფერენციის დამთავრების შემდეგ აშშ კვლავ *ი-ის* პოლიტიკას დაადგა.

1941 წლის დეკემბერში, მას შემდეგ, რაც იაპონია თავს დაესხა აშშ-ს, ეს უკანასკნელი მეორე მსოფლიო ომში ჩაება და ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა აგრესორი სახელმწიფოების დამარცხებაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოქმნილ ახალ საერთაშორისო ვითარებაში აშშ-ს, როგორც სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს, ასევე მთავარი როლი დაეკისრა საბჭოთა კავშირისა და კომუნისტური რეჟიმების ექსპანსიის შეჩერების საქმეში. ამდენად, *ი-ის* ეს პოლიტიკა ისტორიის კუთვნილება გახდა და აშშ საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითად, განმსაზღვრელ სუბიექტად აქცია. ეს როლი კიდევ უფრო გაიზარდა საბჭოთა კავშირის დაშლისა და კომუნისტური სისტემის კრახის შემდეგ, თუმცა დღეისათვის ასეთი ტენდენცია სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას აწყდება, განსაკუთრებით თვით დასავლეთის სამყაროში — ევროპას სურს დამოუკიდებლად განაგებდეს თავის ბედს.

იმპერია მონარქიული სახელმწიფო, რომლის სათავეშიც იმპერატორი დგას. ცალკეული ტერიტორიების კოლონიური გაერთიანება, რომელზედაც ქვეყანა-მეტროპოლიის უფლებამოსილება ვრცელდება. *ი-ისთვის*, როგორც სახელმწიფოებრივი ფორმისათვის, დამახასიათებელია მონარქის მმართველობის მბრძანებლური ხასიათი, მეტროპოლიის, ცენტრის, გაბატონებული *ერის* პრივილეგირებული მდგომარეობა კოლონიებთან, პროვინციებთან, სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან შედარებით, რომელთაც ხშირად უარს უცხადებენ *თვითგამორკვევისა* და თვითმმართველობის უფლებაზე; მკაცრი და უკიდურესი ცენტრალიზაცია, *ი-ის* იდეოლოგიის ოფიციალური ქადაგება, რომელიც შოვინიზმს, ნაციონალიზმსა და სხვ. ემყარება. *ი-ის* ყველაზე უფრო ფართო გაგება გამოიყენებოდა რომის, ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთისა და სხვ. კოლონიალური სახელმწიფოების აღსანიშნად.

იმპერიალიზმი *ჰეგემონური სახელმწიფოს* დაქვემდებარებულ ქვეყნებთან ან ხალხებთან ურთიერთობების სისტემა. *ი-ისტური* პოლიტიკის მიზანი ჰეგემონი სახელმწიფოს საზღვრებს მიღმა ძალაუფლების გავრცელება და მჭიდროდ დაკავშირებული პოლიტიკური და ადმინისტრაციული ერთეულის შექმნაა. *ი-ის* ცნება ხშირად *კოლონიალიზმის* სინონიმადაც გამოიყენება, მიუხედავად იმისა, რომ *კოლონიალიზმის* შემთხვევაში ჰეგემონი სახელმწიფო დაქვემდებარებულ ქვეყნებთან და ხალხებთან ერთიან პოლიტიკურ ერთეულს არ ქმნის. *ი-ის* თეორიის ადრეული ავტორები არიან ჰობსონი და ლენინი, რომლებმაც ეს მოვლენა კაპიტალიზმის განვითარების ახალ საფეხურად მიიჩნიეს. ლენინის თეორიამ, რომ კაპიტალიზმი ბადებს *ი-ს*, ხოლო *ი.* ომებს იწვევს, დიდი გავლენა მოახდინა XX ს-ის საერთაშორისო პოლიტიკაზე. ალტერნატიული თეორიები *ი-ის* კაპიტალისტური საჭიროებებით ახსნის შესახებ მეტ ყურადღებას ამახვილებს კოლონიურ სახელმწიფოებს შორის სტრატეგიულ მეტოქეობასა და ტექნოლოგიების განვითარებაზე. *ნეორეალიზმის* კონცეფცია *ი-ის* წარმოშობას *საერთაშორისო სისტემის* ანარქიულ ხასიათს მიანერს. *ი-ის* თავდაპირველი მნიშვნელობა ნეოიმპერიალისტური და სტრუქტურული დაქვემდებარების თეორიების (იხ. *დაქვემდებარება*) გაჩენის შემდეგ შეიცვალა და ამჟამად *საერთაშორისო პოლიტიკაში* ერთი მოქმედი პირის მიერ მეორეზე მდგრადი ზემოქმედების აღსანიშნავად გამოიყენება.

იმპიჩმენტი რიგი ქვეყნების კონსტიტუციური კანონმდებლობით გათვალისწინებული უმაღლესი თანამდებობის პირების პასუხისგებაში მიცემის, კონსტიტუციის დარღვევისა და დანაშაულის ჩადენის ბრალდებით მათი საქმეების პარლამენტში სასამართლო განხილვის განსაკუთრებული წესი – პროცედურა. *ი.* გათვალისწინებულია აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების კანონმდებლობებით. მაგალითად შეიძლება გამოდგეს *ი-ს* საფრთხე, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტ რ. ნიქსონს ემუქრებოდა. 1974 წელს იგი ე. წ. „უოთერგეიტის საქმის“ გამო თანამდებობიდან გადადგა. *ი-ს* პროცედურა გათვალისწინებულია საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით.

იმუნიტეტი (პოლიტიკური) ფეოდალურ ევროპაში ფეოდალის უფლება, ცენტრალური ხელისუფლების დაუკითხავად გაემართა სასამართლო ან მოეკრიბა გადასახადი. მოგვიანებით *ი.* უწოდეს ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი რომელიმე სხვა ქვეყნის მოქალაქის ან ორგანიზაციის უფლებას, ყოფილიყო უცხო ქვეყნის იურისდიქციისაგან თავისუფალი. *ი.* არის თანამედროვე *საერთაშორისო სამართლის* ძალზე მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. იმავე ტერმინს რიგ შემთხვევებში იყენებენ წარმომადგენლობითი პოლიტიკური ორგანოს, პარლამენტის წევრთა პიროვნული ხელშეუხებლობის დასაფიქსირებლად, როდესაც პარლამენტის წევრი არ შეიძლება დაკავებულ იქნას და წარსდგეს სასამართლოს წინაშე პარლამენტის თანხმობის გარეშე.

ინაუგურაცია ძველ რომში თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის დაკავების საზეიმო აქტი, რიტუალური დღისთვის, განსაზღვრული დასახლებული პუნქტისათვის გარკვეული დანიშნულების მინიჭება. დღეს იგი აღნიშნავს რომელიმე თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის დაკავების საზეიმო აქტს (მაგ., აშშ-ის პრეზიდენტის *ი.* იმართება სარჩევნო წლის შემდგომი ახალი წლის იანვარში).

ინდექსი სპეციალურად შექმნილი რაოდენობრივი მაჩვენებელი, რომელიც აღნიშნავს კავშირს, ინდიკატორების კომბინაციას, გარკვეული ჰიპოთეზის შემოწმებისა და დასაბუთების საშუალებაა. *ი-ის* მეშვეობით დგინდება დასაკვირვებელი ერთეულის მდგომარეობა სკალაზე. იგი რაღაც რიცხვია და არ შეიცავს საკვლევი ობიექტის თვისებრივ განსაზღვრებებს, ანუ თვისებრივად ვერ ახასიათებს შესასწავლ ობიექტს. იგი გარკვეულწილად იძლევა თვისებრივი მახასიათებლების დაყვანას რაოდენობრივ განსაზღვრულობაზე და ხასიათდება ტერმინებით „მეტი“, „ნაკლები“, „უფრო ძლიერი“, „უფრო სუსტი“.

ინდივიდუალიზმი მსოფლმხედველობრივი პოზიცია, ქცევის პრინციპი, რომელიც ინდივიდს აბსოლუტური ღირებულების სახით გამოარჩევს. ხასიათდება ინდივიდუალური ინტერესების პრიმატით კოლექტივისტურთან მიმართებაში. *ი-ის* სათავეები იძებნება დასავლეთევროპულ აზროვნებაში, მისი პრობლემატიკა ყალიბდებოდა სოციალური, ქცევითი და ჰუმანიტარული მეცნიერების ყველა სფეროში და, ძველი ბერძნებიდან დაწყებული, თავს იჩენს იდეების, პოლიტიკისა და ეკონომიკის, რელიგიისა და ფილოსოფიის ისტორიაში. თანამედროვე კულტურის მეცნიერებებში *ი.*, როგორც პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართებაში კულტურის ღირებულებითი ორიენტაცია, მის საპირისპირო პოლუსთან – კოლექტივიზმთან ერთად, მიიჩნევა *კულტურის* სპეციფიკური თავისებურებების ამსახველ მახასიათებლად. ინდივიდუალისტურად მიიჩ-

ნევა თანამედროვე დასავლურ საზოგადოებათა უმრავლესობის, აგრეთვე აშშ-ისა და კანადის კულტურები.

ინდუიზმი ინდოეთში ყველაზე გავრცელებული რელიგია, ბრაჰმანიზმის გადამუშავებული სახე, ერთ-ერთი უძველესია დიდ რელიგიებს შორის. ჩაისახა ძვ. წ. VI-IV სს-ში *ბუდიზმთან* და ჯაინიზმთან ბრძოლაში. გაფორმდა კასტებად დაყოფასთან ერთად. ვედიზმისა და ბრაჰმანიზმის ელემენტების გარდა შეინარჩუნა ბევრი რამ წარმართულიდან. არის პოლითეისტური რელიგია მრავალი ღმერთითა და სხვადასხვა კულტით. გამოირჩევა ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა მხარესთან კავშირის მრავალგვარობით. *ი-ში* განსაკუთრებით ძლიერია საზოგადოებრივ-ყოფითი ტრადიციების მოთხოვნები. უკიდურესად შეუწყნარებელია მრავალგვარ შეზღუდვათა და აკრძალვათა დარღვევის მიმართ, რომლებიც საზოგადოებრივი, ოჯახური და პირადი ცხოვრების სფეროებს განეკუთვნება, აგრეთვე, სხვადასხვაგვარი ჯგუფების, კასტებისა და ქვეკასტების მიმართაც, რომელთა შორის ზღუდეები ამჟამადაც ურყევია. *ი-ის* ძირითადი მიმდინარეობებია: ვიშნუიზმი, შივაიზმი და შაქტიზმი.

ინდუსტრიალიზაცია ტერმინი პირველად შემოიტანა სენ-სიმონმა. იგი გამოიყენება იმ სოციალური პროცესის დასახასიათებლად, რომელიც გულისხმობს აგრარულ და კუსტარულ მრეწველობაზე ორიენტირებული ეკონომიკებისა და საზოგადოებების გადაქცევას ისეთ ეკონომიკებად, რომლებშიც წამყვანია მსხვილი, ავტომატიზაციაზე დამყარებული მრეწველობა.

ი-ის პროცესი დაიწყო ინგლისში ე. წ. „სამრეწველო რევოლუციის“ ეპოქაში, რასაც მოჰყვა თვისებრივი ცვლილებები როგორც პროდუქციის წარმოებისა და განაწილების, ასევე სოციალური სამყაროს მოწყობის სფეროში. კერძოდ, შეიცვალა მოსახლეობის პროფესიული სეგმენტაცია: მრეწველობასა და მომსახურების სფეროში დასაქმებულთა რაოდენობამ საგრძნობლად გადააჭარბა აგრარულ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობას. შეიცვალა მოსახლეობის გეოგრაფიული კონცენტრაცია და სწრაფად განვითარდა ურბანიზაციის პროცესი. მოდერნიზაციის პროცესი შეეხო არა მხოლოდ ტექნოლოგიურ კომპონენტებს, არამედ სოციალურ ნორმებსა და ინსტიტუტებს, სოციალური სტრატიფიკაციისა და მობილურობის მოდელებსა და სხვა სოციალურ თუ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფენომენებს.

ი-ის პროცესი მეტ-ნაკლებად ერთნაირი თვისებებით ხასიათდებოდა მთელს მსოფლიოში. თუმცა გამოყოფენ ქვეყნებს, რომლებსაც უწოდებენ პირველი ტალღის ინდუსტრიულ ქვეყნებს (დიდი ბრიტანეთი, აშშ). ამ ქვეყნებში *ი-ისა* და მოდერნიზაციის „ლოკომოტივის“ როლი მრეწველთა ფენამ შეასრულა. რაც შეეხება ე. წ. „გვიანი ინდუსტრიალიზაციის ქვეყნებს“ (გერმანია, იაპონია), აქ *ი-ის* პროცესში უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულა *სახელმწიფომ.*

ინდუსტრიული საზოგადოება ტერმინი გამოიყენება ეკონომიკური ორგანიზაციისა და სოციალური წესრიგის განსაკუთრებული ფორმის აღსაწერად. *ი. ს-ის* მახასიათებლებია: წარმოების პროცესის ავტომატიზაცია და კომერციალიზაცია; აგრარულ სექტორში დასაქმებული მოსახლეობის წილის სწრაფი შემცირება; შინამეურნეობის გამოყოფა წარმოებისგან; ერთიან ბაზარსა და მონეტარულ სისტემაზე დაფუძნებული ეროვნულ-ლიბერალური სახელმწიფოების წარმოშობა; ურბანიზაცია; სტრატიფიკაციის ტრადიციული სქემების რღვევა და

სწრაფი სოციალური მობილურობა; კლასობრივი კონფლიქტების ინსტიტუციონალიზაცია; მოხმარებისა და სოციალური კეთილდღეობის ზრდა; მასობრივი განათლების გავრცელება; *ოჯახისა* და ნათესაური კავშირების, როგორც სოციალური ორგანიზაციის საფუძვლის როლის შემცირება.

ი. ს-ის დოქტრინის წარმომადგენლები (ჯ. გელბრაიტი, რ. დარენდორფი) მიიჩნევენ, რომ 1. ინდუსტრიალიზაცია თანამედროვე სოციალური წესრიგის ფორმირების უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვიდრე განსხვავება კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის; 2. კლასობრივი სეგმენტაცია შეიცვალა პროფესიული, ეთნიკური, გენდერული სეგმენტაციით; ფართოდ გავრცელდა „კორპორაციული საწარმოს" ფორმა, რამაც გამოიწვია საკუთრებისა და კონტროლის ფუნქციების გაყოფა.

ი. ს-ის კონცეფციის განვითარებაა „პოსტინდუსტრიული საზოგადოების" თეორიები. ტერმინი „პოსტინდუსტრიული საზოგადოება" გულისხმობს წარმოების უფრო მოდერნიზებულ რეჟიმზე გადასვლას, რასაც მოაქვს ცვლილებები საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში. პოსტინდუსტრიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელია: საინფორმაციო ტექნოლოგიების დომინანტური როლი; მოხმარებისა და არა წარმოების პრიორიტეტი; *ტრანსნაციონალური კორპორაციების* სწრაფი ზრდა; ფინანსური ბაზრების *გლობალიზაცია*; სოციალური ფრაგმენტაცია და ახალი, მრავალგანზომილებიანი სოციალური იდენტურობების ჩამოყალიბება, ეკონომიკური კაპიტალის ჩანაცვლება ე.წ. ადამიანური კაპიტალით, ანუ ეკონომიკური *ელიტების* ჩანაცვლება ინტელექტუალებისა და მენეჯერების ახალი კლასით და ა. შ.

ინდუსტრიული სოციოლოგია გამოყენებითი სოციოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს ტექნოლოგიის განვითარების შედეგებს სოციალურ სამყაროში და წარმოების პროცესში წარმოქმნილი სოციალური ურთიერთობების ბუნებას.

ი. ს-ის პირველი ნაკადის ინტერესის სფეროშია *ინდუსტრიალიზაციის* ზეგავლენით სოციალური ურთიერთობების სისტემაში განხორციელებული ცვლილების ანალიზი. თუმცა, მეორე ნაკადში, რომელიც წარმოების პროცესში ორგანიზაციული ურთიერთობების შესწავლაზეა ორიენტირებული, ძირითადი სოციოლოგიური პარადიგმების ფარგლებში უფრო მეტი ემპირიული კვლევაა კონცენტრირებული.

ორგანიზაციული ურთიერთობების ანალიზი მეთოდოლოგიურად ეყრდნობა ტეილორიზმს, მ. ვებერის ბიუროკრატიის თეორიას, ე.წ. ადამიანური რესურსების თეორიას (ე. მეიო, დ. მაკგრეგორი), *სტრუქტურალიზმსა* (ტ. ბერნსი, გ. სტალკერი) და სისტემურ თეორიას (ლ. ბერტალანფი, ჯ. გელბრაიტი).

წარმოების პროცესის სოციოლოგიური ანალიზი გულისხმობს შრომის პროცესის მოტივაციური ცვლადების, ორგანიზაციაში ინსტიტუციონალიზებული და ლატენტური როლური სტრუქტურების, ორგანიზაციაში ძალაუფლებასთან დაკავშირებული ცვლადების, ორგანიზაციული კულტურისა და ორგანიზაციული სიმბოლიზმის კვლევას. ამგვარი კვლევების საბოლოო მიზანია წარმოების პროცესის მართვის ოპტიმიზაციასთან (მენეჯმენტი) დაკავშირებული მოდელების შემუშავება.

XX ს-ის 80-იანი წლებიდან სულ უფრო პოპულარული ხდება მიდგომა, რომელიც უარს ამბობს ორგანიზაციის როგორც იზოლირებული ერთეულის შესწავლაზე; განიხილავს ორგანიზაციას, როგორც ღია სისტემას და ანალიზის დროს მხედველობაში

ილებს იმ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტექსტს, რომელშიც ორგანიზაცია ფუნქციონირებს. განსაკუთრებული ინტერესის სფეროში მოექცა აგრეთვე, შრომის ბაზრების, შრომის კულტურისა და დინამიკის კვლევა ეთნიკურ, რასობრივ და გენდერულ ცვლადებთან მიმართებაში, უმუშევრობის სოციალური და სოციალურ-ფსიქოლოგიური შედეგების ანალიზი და ა. შ. ორგანიზაციის კვლევის სფეროს ამგვარი გაფართოება იწვევს *ი. ს-ის* ორი ნაკადის *კონვერგენციას.* (იხ. აგრ. *მართვის სოციოლოგია (მენეჯმენტი, ინდუსტრიული სოციოლოგია)*).

ინეროლოგია იხ. *პოლემოლოგია.*

ინკვიზიცია კათოლიკური ეკლესიის ტრიბუნალი, რომელიც XIII ს-ში შეიქმნა ერესთან საბრძოლველად. *ი-ური* ტრიბუნალი რთული დაწესებულება იყო, რომელიც საგამომძიებლო და სასამართლო ხელისუფლებას აერთიანებდა. *ი.* სრულიად დამოუკიდებელი იყო საერო ხელისუფლებისაგან. ის განსაკუთრებით მძვინვარებდა ესპანეთში და გამოიყენებოდა როგორც კონტრრეფორმაციის იარაღი.

ინკრემენტალიზმი გადაწყვეტილების მიღების მოდელი მმართველ სტრუქტურაში, რაც ემყარება იმას, რომ ჩვეულებრივ, გადაწყვეტილებანი ცუდად შეესაბამება რეალურ სიტუაციას. თავის სტატიაში „მეცნიერება – მივიყვანოთ საქმე ბოლომდე" (1959) და შემდგომ შრომებში ჩარლზ ლინდბლომი ამტკიცებს: პოლიტიკოსები გადაწყვეტილებას იღებენ არა იდეალური განჭვრეტითი კონცეფციის შემუშავების მიზნით, არამედ ამწუთიერი პოლიტიკური სიტუაციის გამო. ამასთან, მხედველობაში მიიღება შესაძლებელი ვარიანტების მხოლოდ მინიმალური ნაწილი. ეიშკელ დრორი *ი-ს* აკრიტიკებდა და ამბობდა, რომ იგი შეიძლება გამოიყენებოდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც რეალური პოლიტიკა უმრავლესობის მიერ დადებითად აღიქმება, ანუ სოციალური სტაბილურობის პირობებში, როდესაც სირთულეთა მიზეზი უცვლელია, ხოლო რესურსები – ულევი. მიუხედავად ამისა, ლინდბლომი თვლიდა, რომ მდგრად პოლიტიკურ წარმონაქმნებში *ი-ს* ყოველთვის აქვს ადგილი. ალბათ ამით აიხსნება დასავლეთის დემოკრატიებში საბიუჯეტო გადაწყვეტილებების უმრავლესობის მიღების პროცედურა. აღნიშნული მოდელი ნაკლებად მისაღებია, როდესაც გადაწყვეტილების მიღებაზე მოქმედებს განსაკუთრებული ვითარება, მაგ., ომი ან სერიოზული ეკონომიკური კრიზისი.

ინოვაცია მერტონის მიხედვით, *დევიაციის* სანიმუშო ფორმა, როდესაც საზოგადოებაში (*კულტურაში*) აქცენტირებული და გაზიარებული მიზნების (ღირებულებების) რეალიზაცია ხდება სოციალურად დაუშვებელი, არაინსტიტუციური, თუმცა, შესაძლოა, ტექნიკურად ეფექტური საშუალებების გამოყენებით. *ი.* ხშირ შემთხვევაში დანაშაულის ფორმას იღებს. *ი-ური* ქცევისაკენ გაძლიერებული მისწრაფება აქვთ დაბალი (შემოსავლის მიხედვით) სოციალური ფენების წარმომადგენლებს: ერთი მხრივ, ისინი თავიანთი მოქმედების ორიენტაციას ახდენენ სიმდიდრის მიღწევაზე, როგორც საზოგადოებაში აქცენტირებულ მიზანზე, ხოლო მეორე მხრივ, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, კანონიერი გზით მიაღწიონ ამ მიზანს. ამ შემთხვევაში ხდება სტრუქტურული შეუთავსებლობა, როდესაც არსებული სოციალური გარემო ზღუდავს ან, საერთოდ, კეტავს მიზნის მიღწევის კანონიერ გზებს ღარიბთათვის. დანაშაულსა და სიღარიბეს შორის კავშირი აშკარაა სწორედ მაშინ, როდესაც სი-

ლარიბე „უერთდება“ სოციალური გარემოს შეზღუდულ შესაძლებლობებს. ის, ვინც აცნობიერებს საკუთარი წარუმატებლობის სტრუქტურულ წყაროებს, მოსალოდნელია გაუცხოვდეს მისგან, მეტიც – აჯანყდეს მის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში, *ი.* გადაიზრდება ისეთ ფორმაში, როგორიცაა *ამბოხი.* ამგვარი რეაქციის გასანეიტრალებლად ხშირად მიმართავენ მისტიკურ მიზეზებს, რომლებიც ფსიქოლოგიურ კომპენსაციას ახდენს. კერძოდ, წარმატება ან წარუმატებლობა აიხსნება „ბედის“, „შემთხვევითობის“, „გამართლების“, „იღბლის“ და სხვ. გავლენით (იხ. *რიტუალიზმი, რეტრიტიზმი, ამბოხი*).

ინტეგრაცია *სახელმწიფოთა* გაერთიანების პროცესი პოლიტიკური თანამეგობრობის შექმნის მიზნით. *ი.* ნებაყოფლობითი პროცესია და კონსენსუსს ემყარება. მას ახასიათებს ისეთი გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურებისა და პოლიტიკური პროცესების არსებობა, რომლებიც თავიანთი ხასიათით უფრო ზეეროვნულია, ვიდრე სახელმწიფოთაშორისი. *ი-ის* პროცესის წარმატებისთვის აუცილებელია *უსაფრთხოების, თანამეგობრობისა* და ეკონომიკური *ურთიერთდამოკიდებულების* არსებობა. ტრადიციული (ევროპული) სქემით *ი-ის* საფეხურებია *საბაჟო კავშირის,* საერთო ბაზრის, საერთო პოლიტიკური სტრუქტურებისა და იდენტურობის შექმნა. *ი.,* როგორც წესი, *რეგიონალიზმის* საფუძველზე ვითარდება. დღევანდელ მსოფლიოში რეგიონული *ი-ის* ყველაზე წარმატებული მაგალითი ევროპის კავშირია.

ინტელიგენცია ადამიანთა საზოგადოებრივი ფენა, რომლის პროფესიულ საქმიანობასაც გონებრივი, უმთავრესად რთული, შემოქმედებითი შრომა შეადგენს. კ. მანჰაიმის აზრით, „ყოველ საზოგადოებაში არსებობენ სოციალური ჯგუფები, რომელთა სპეციალური ამოცანაა საზოგადოების უზრუნველყოფა სამყაროს ინტერპრეტაციით; ჩვენ მათ ინტელიგენციას ვუწოდებთ“. მეცნიერთა მიერ დახასიათებულ ჯგუფს დღეს უმჯობესია, ინტელექტუალები ვუწოდოთ. „ინტელექტუალის“ ცნება უფრო ფართოდ გამოიყენება თანამედროვე დასავლეთის ქვეყნებში. ტერმინი *ი.* მწერალმა ნ. ბობორიკინმა შემოიღო XIX ს-ის 60-იან წლებში და რუსულიდან გავრცელდა სხვა ენებშიც. თავდაპირველად *ი-ს* უწოდებდნენ საერთოდ განათლებულ ადამიანებს. *ი.* თავისი პირველადი ფორმით წარმოიქმნა მაშინ, როდესაც გონებრივი შრომა ფიზიკურს გამოეყო.

ი-ისადმი მშრომელთა პროფესიული მიკუთვნების გადამწყვეტი კრიტერიუმია შრომის ხასიათი. მიუხედავად იმისა, რომ კვალიფიციური გონებრივი შრომა, როგორც წესი, მოითხოვს უმაღლეს ან საშუალო სპეციალურ განათლებას, არასწორი იქნებოდა *ი-ისათვის* (სპეციალისტებისათვის) ყველა იმ პირის მიკუთვნება, ვისაც აქვს უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება (ბევრი მათგანი ჩვეულებრივ მუშად მუშაობს).

ი. იყოფა მეცნიერულ-ტექნიკურ, მეცნიერულ-ჰუმანიტარულ, ადმინისტრაციულ-მმართველობით, განათლების, ჯანდაცვის, იურისპრუდენციის, ლიტერატურის, ხელოვნების და სხვ. ჯგუფებად. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესაბამისად სულ უფრო იზრდება *ი-ის* რიცხობრიობა და მნიშვნელობა. დღეს უკვე ხშირად ლაპარაკობენ ჰუმანიტარულ ინტელექტუალებსა და ტექნიკურ *ი-ზე,* როგორც ახალ კლასზე. ეს უკანასკნელი პრეტენზიას აცხადებს ეკონომიკის კონტროლზე.

ინტერესი 1. სუბიექტის მიმართება მისთვის მნიშვნელოვან ობიექტთან, დაკავშირებული მოთხოვნილებათა

დაკმაყოფილებასთან, სარგებლობასთან. **2.** სოციალური სუბიექტების მოღვაწეობის რეალური მიზეზი, მიმართული განსაზღვრულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისკენ, რაც უშუალო მისწრაფებების, მოტივების, იდეების და ა. შ. საფუძველია, განსაზღვრულია ამ სუბიექტების მდგომარეობითა და როლით საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში. *ი.* შეიძლება იყოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სულიერი, ესთეტიკური, ეთიკური და სხვ.

ინტერვენცია ერთი ან რამდენიმე *სახელმწიფოს* მიერ სხვა სახელმწიფოს შიდა საქმეებში ძალის გამოყენებით ჩარევა ან სხვაგვარი უკანონო ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ამ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, პოლიტიკური წესწყობილების ან ორიენტაციის შეცვლას, რაც შეუთავსებელია გაეროს წესდებასთან.

განასხვავებენ შეიარაღებულ, ეკონომიკურ, დიპლომატიურ *ი-ს*, რომელთაგან ყველაზე საშიში ფორმაა შეიარაღებული, ანუ სამხედრო *ი.* – იგი *აგრესიის* აქტს წარმოადგენს და სამხედრო დანაშაულად ითვლება. სახელმწიფო, რომელიც სამხედრო *ი-ს* განიცდის, უფლებამოსილია იბრძოლოს *ი-ის* წინააღმდეგ მისთვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალებით.

აგრესიული ომისაგან განსხვავებით, რომელიც, ჩვეულებრივ, ქვეყნის *ანექსიას* ისახავდა ან ისახავს მიზნად, შეიარაღებული *ი-ის* მიზანია, ძალით შეცვალოს ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკური რეჟიმი, ამასთან, ფორმალურად მისთვის სუვერენული სახელმწიფოს სტატუსის შენარჩუნებით.

ინტერვიუ მიზანმიმართული საუბარი, რომლის ამოცანაა პროგრამით გათვალისწინებულ კითხვებზე გაცემული პასუხების საშუალებით საჭირო ინფორმაციის მიღება. *ი.* ფართოდ გამოიყენება სოციალური პრაქტიკის მრავალ სფეროსა და სხვადასხვა მეცნიერებაში (ფსიქოლოგიაში, ჟურნალისტიკაში, მედიცინაში, კრიმინოლოგიაში).

ემპირიულ სოციოლოგიაში *ი.* ვერბალური სოციალური ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია. ინფორმაციის მიღება ხდება *ინტერვიუერის რესპონდენტთან* მიზანდასახული საუბრის საშუალებით. საუბრის მიმართულებას განსაზღვრავს საკვლევი პრობლემა, რომელიც აინტერესებს მკვლევარს და რომელიც მოცემული კონკრეტული სოციალური გამოკვლევის საგანია. *ი.* აგრეთვე ემყარება მკვლევარსა (ან *ინტერვიუერს*) და რესპონდენტს შორის განსაკუთრებულ კვლევით ურთიერთობას, უშუალო სოციალურ-ფსიქოლოგიურ ურთიერთქმედებას. *ი-ს* პროცედურა გულისხმობს: 1. რესპონდენტის შერჩევას, 2. *ი-ს* ადგილისა და დროის განსაზღვრას, 3. პასუხების ჩაწერასა და მასალის საბოლოო გაფორმებას. *ი-ს* პროცესს განსაზღვრავს შემდეგი ძირითადი ცვლადები: 1. *ინტერვიუერი* – პირი, რომელიც ატარებს გამოკითხვას, 2. *რესპონდენტი* (ანუ ინფორმანტი) პირი (ან ჯგუფი), რომელიც ინფორმაციის წყაროა, 3. ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს დიალოგს კითხვებისა და პასუხების ფორმით – *ი-ს* კომუნიკე, 4. გარემო პირობები, სადაც ტარდება *ი.* – *ი-ს* ველი.

ი-ს საშუალებით შესაძლებელია ინფორმაციის მიღება რესპონდენტთა საქმიანობის, განწყობების, შეხედულებების, ღირებულებების, შეფასებებისა და ა. შ. შესახებ. თავიანთი ცოდნისა და ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, რესპონდენტები წარმოადგენენ ინფორმატორებსაც გარკვეული სოციალური ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების შესახებ.

ი-ს წარმატება, მიღებული მონაცემების ხარისხი ბევრადაა დამოკიდებული ინტერვიუერსა და რესპონდენტს შორის დამყარებულ ურთიერთობაზე, კონტაქტის დონესა და ურთიერთგაგებაზე.

არსებობს *ი-ს* სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია, რაც განსხვავებულ კრიტერიუმებს ემყარება: I. *ი-ს* ორგანიზების, ჩატარების ფორმის მიხედვით: 1) ინდივიდუალური (რომელიც ერთ პირთან ტარდება) და 2) ჯგუფური (რომელიც ერთდროულად რამდენიმე პირთან ტარდება); II. კომუნიკაციის ფორმის მიხედვით: 1) პირისპირი და 2) სატელეფონო; III. მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით: 1) *ი.* აზრებისა და დამოკიდებულებების შესახებ, 2) *ი.* ფაქტების შესახებ (ე. წ. დოკუმენტური *ი.*); IV. ჩატარების სიხშირის მიხედვით: 1) ერთჯერადი და 2) მრავალჯერადი; V. ჩატარების ტექნიკისა და ფორმის მიხედვით: 1) ფორმალიზებული (სტანდარტიზებული, სტრუქტურირებული, ჩამოყალიბებული – ყველა ეს სიტყვა სინონიმია) და 2) არაფორმალიზებული (აღსანიშნავია, რომ არაფორმალიზებულის მაგივრად ხშირად ხმარობენ ტერმინებს არასტანდარტიზებული, არასტრუქტურიზებული, თავისუფალი, ღია, სიღრმისეული, ინტენსიური, თვისებრივი, თუმცა ყველა ეს ტერმინი ყოველთვის არ წარმოადგენს სინონიმებს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით), 3) ნახევრად ფორმალიზებული (ნახევრად სტანდარტიზებული, ნახევრად სტრუქტურიზებული); VI. პროცედურის მიხედვით: პანელური, კლინიკური, ფოკუსირებული, არამიმართული, მიმართული, მრავალგზისი, ჩაღრმავებული (ღრმა, სიღრმისეული), ნარატიული, ბიოგრაფიული, ლაიტმოტივური, ფოკუსჯგუფი, ე. წ. დიალოგის *ი.* (ჩაღრმავებული ინტერვიუს ფორმა), ექსტენსიური და ინტენსიური, დირექტული და არადირექტული; VII. გამოსაკითხი პირების ტიპის მიხედვით: 1) *ი.* ძირითად ინფორმატორებთან (ე. ი. ექსპერტული *ი.*) 2) *ი.* სპეციალურ რესპონდენტებთან, 3) *ი.* სოციალური ჯგუფების ან დემოგრაფიული პოპულაციის ტიპურ წარმომადგენლებთან.

ი-ს საშუალებით მიღებული მონაცემები შეიძლება იყოს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი.

ი., როგორც კვლევის მნიშვნელოვანი ტექნიკა, ფართოდ გამოიყენება სოციოლოგიურ გამოკვლევებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასტრუქტურიზებული *ი-ს* გამოყენება კვლევის საწყის ეტაპზე, როდესაც ფორმირებულია ჰიპოთეზები და საჭიროა *ვალიდური კითხვარის* შექმნა, აგრეთვე ფართომასშტაბიანი გამოკვლევების მეთოდიკის შემუშავება. იგი ძირითადი მეთოდია სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევის დროს, როცა შერჩევა განსაზღვრული და მცირეა. როგორც დამატებითი მეთოდი, *ი.* გამოიყენება სხვა მეთოდებთან (როგორიცაა *ანკეტირება, დაკვირვება* და სხვ.) ერთად, აგრეთვე ე. წ. საკონტროლო გამოკვლევების დროს, სხვა მეთოდებით მიღებული მონაცემების დაზუსტებისა და შემოწმების მიზნით. *ი.*, განსაკუთრებით არაფორმალიზებული, ყველაზე უფრო „მოქნილი" მეთოდია.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, სწორედ *ი.* წარმოადგენს გამოკვლევის იმ სპეციფიკურ მეთოდს, რომელიც დამახასიათებელია სოციალური მეცნიერებისთვის.

ინტერვიუერი პირი, რომელიც ატარებს *ინტერვიუს.* მასზე ბევრადაა დამოკიდებული ინტერვიუს წარმატება, მიღებული ინფორმაციის ხარისხი, ვალიდურობა და სანდოობა.

ი-ს კარგ მუშაობას განაპირობებს შემდეგი მახასიათებლები: მისი ინდივიდუალური თვისებები, მეთოდიკის ცოდნა, სოციოლოგიური მომზადება და იმ საგნობრივი სფეროს ცოდნა,

რომლის გამოკვლევაც ინტერვიუს საშუალებით ხდება. ინდივიდუალური უნარი შეიძლება თანდაყოლილი ან სოციალურად შეძენილი თვისებები იყოს, რაც დამახასიათებელია ადამიანისათვის, მისი პროფესიული ჩვევების მიუხედავად. მეთოდიკის ცოდნის შეძენა, ინდივიდუალური უნარისაგან განსხვავებით, სწავლის მეშვეობით ხდება. მნიშვნელოვანია სოციოლოგიური მომზადება, რაც ხელს უწყობს *ი-ს*, დაიცვას შეფასებითი ნეიტრალობა *რესპონდენტების* პასუხების მოსმენისას, ადეკვატურად გაიგოს მათი გამონათქვამები, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც იგი და რესპონდენტი სხვადასხვა სოციალურ კლასს, ეთნიკურ ან პროფესიულ ჯგუფებს, სუბკულტურებსა და ა. შ. მიეკუთვნებიან. *ი-ს* სოციოლოგიური მომზადების შედეგად უმუშავდება უნარი, მოახდინოს რელევანტური თემების ფიქსირება და განვითარება. საგნობრივი მომზადებაც ამაღლებს ინტერვიუერის უნარს, სწორად გაუგოს რესპონდენტებს და შეარჩიოს რელევანტური თემები. უმაღლესი კვალიფიკაციის *ი-ებს* ოთხივე თვისება უნდა ჰქონდეთ.

ი-ის ფუნქციები დამოკიდებულია გამოკვლევის ხასიათსა და ინტერვიუს ტიპზე. მან უნდა შეარჩიოს რესპონდენტები შერჩევის მაკეტის მიხედვით, უზრუნველყოს ინტერვიუს ჩატარების პირობები (სიტუაცია), რესპონდენტთან საუბარი წარმართოს კვალიფიციურ დონეზე, მოახდინოს პასუხების რეგისტრაცია, მოაწესრიგოს, დააჯგუფოს მიღებული მონაცემები მკვლევრისთვის გადასაცემად, ჩაინეროს ინტერვიუს დროს მიღებული ზოგადი შთაბეჭდილებები და სპეციალური შენიშვნები. თვისებრივი ინტერვიუს დროს *ი.* უნდა ახდენდეს არა მხოლოდ ვერბალური, არამედ არავერბალური ინფორმაციის დაფიქსირებას (როგორიცაა, მაგ., რესპონდენტის სახის გამომეტყველება, მიმიკა, გარემომცველი სიტუაცია და ა. შ.).

პირს, რომელიც ფოკუსჯგუფში ინტერვიუს ატარებს და დისკუსიას წარმართავს, მოდერატორს უწოდებენ.

ინტერიორიზაცია იგივეა, რაც *ინტერნალიზაცია.*

ინტერნალიზაცია პროცესი, რომლის დროსაც სოციალური ღირებულებები, ნორმები და იდეები ინდივიდების მიერ ჩაითვლება როგორც მათი საკუთარი და აღიქმება როგორც ბუნებრივი და ნორმალური. *ი-ის* პროცესი საფუძვლად უდევს *სოციალიზაციას.* მის მექანიზმებსა და თავისებურებებზე ყურადღებას ამახვილებს ისეთი მიდგომები, როგორიცაა *ბიჰევიორიზმი* და *ფსიქოანალიზი. ი.* იგივეა, რაც ინტერიორიზაცია. (იხ. *სოციალიზაცია; იდი, ეგო, სუპერ-ეგო*).

ინტერნაციონალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში აღნიშნავს *დოქტრინებისა* და *იდეოლოგიების* ფართო სპექტრს, რომელთა მიზანია, სახელმწიფოცენტრული პოლიტიკა შეიცვალოს და წინა პლანზე წამოვიდეს უნივერსალური, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ტრანსნაციონალური ინტერესები. ჩვეულებრივ, *ი.* ასოცირდება *იდეალიზმთან* და *უტოპიზმთან* და რეალიზმის და *ნაციონალიზმის* ალტერნატივად წარმოგვიდგება. თუმცა, ნაციონალური და ინტერნაციონალისტური ინტერესები საკმაოდ ხშირად ერთმანეთის საპირისპირო სრულიადაც არ არის. ინტერნაციონალისტური დოქტრინებიდან და იდეოლოგიებიდან ალსანიშნავია *ლიბერალიზმი,* რომელიც ლიბერალურ-დემოკრატიული იდეების საყოველთაო გავრცელებას გულისხმობს, *მარქსიზმ-ლენინიზმი,* რომელიც მსოფლიო *კომუნიზმის* იდეას ქადაგებდა და *პაციფიზმი.* განსხვავებით *სახელმწიფოცენტრიზმისაგან,* რომე-

ლიც ჰორიზონტალური თეორიაა (*სახელმწიფოს* ურთიერთობა სახელმწიფოსთან), *ი.*, პირველ რიგში, წარმოგვიდგება ვერტიკალურ თეორიად, რომელსაც კაცობრიობის განვითარების პირობებზე უნივერსალური თეორიის პრეტენზია აქვს.

ინტერპელაცია სიტყვის შეწყვეტინება, საჩივარი სასამართლოს წინაშე შესაბამისი უფლების საფუძველზე პარლამენტის დეპუტატის ან დეპუტატთა ჯგუფის, ზოგჯერ კი სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მთავრობისაგან ან ცალკეული მინისტრისაგან ოფიციალური განმარტებების მოთხოვნა სამთავრობო პოლიტიკისა და პრაქტიკის ამა თუ იმ საკითხის შესახებ. *ი.* დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია, რომელიც ხალხის წარმომადგენლებს აძლევს საშუალებას, არა მარტო მიიღონ აუცილებელი ინფორმაცია, არამედ სისტემატურად აკონტროლონ მთავრობის პოლიტიკა და პრაქტიკული საქმიანობა. *ი.* შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმისა. ჩვეულებისამებრ, მისი პროცედურა მკვეთრად რეგლამენტირებულია. კანონი საქართველოს დეპუტატის სტატუსის შესახებ ითვალისწინებს *ი-ს* და განსაზღვრავს მის წესს.

ინფორმაციული საზოგადოება სოციალური სისტემა, რომელშიც საქონლისა და მოხმარების წარმოება არსებითად დამოკიდებულია ინფორმაციის შეგროვებაზე, დამუშავებასა და გადაცემაზე. თუ *ინდუსტრიულმა საზოგადოებამ* შესაძლებელი გახადა უდიდესი რაოდენობის სხვადასხვა საქონლის წარმოება, ინფორმაციული ტექნოლოგიების ერის ჩამოყალიბებამ უზრუნველყო ინფორმაციის უზარმაზარი რაოდენობის წარმოების, დამუშავებისა და გადაცემის შესაძლებლობა.

თანამედროვე წამყვანი სოციოლოგები დ. ბელი, ო. ტოფლერი, ე. კასტელზი და სხვ. მიუთითებენ, რომ *პოსტინდუსტრიული საზოგადოება*, თავისი არსით, კომუნიკაციური თუ ინფორმაციული საზოგადოებაა. ბელის მტკიცებით, თუ ინდუსტრიული საზოგადოების ძირითადი რესურსი კაპიტალი იყო, პოსტინდუსტრიული საზოგადოების სტრატეგიული რესურსებია ინფორმაცია და თეორიული ცოდნა. მეცნიერება კი გადაიქცა ძირითად საწარმოო ძალად. ახალი ტექნიკის, ახალი ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის შესაძლებლობანი გრანდიოზული გახადა.

ინფრასტრუქტურა საზოგადოების ან ორგანიზაციის საბაზისო ფიზიკური სტრუქტურა, დაგროვილი კაპიტალური აღჭურვილობის ფონდი. ეს შეიძლება იყოს ტრანსპორტის საშუალებები, სკოლები, ფაბრიკები და ა. შ.

ირედენტიზმი სიტყვასიტყვით ნიშნავს გამოსასყიდს, ასანაზღაურებელს, დასაბრუნებელს. მას შემდეგ, რაც 1870 წელს იტალია გაერთიანდა, მის საზღვრებს გარეთ დარჩა იტალიელებით დასახლებული რამდენიმე ტერიტორიული ერთეული (ტრიესტი, ტრენტინო, ალტო-ადიჯე), რომლებიც იტალიას საკუთარ და შემოსაერთებელ მიწებად მიაჩნდა, ხოლო მათ დასაბრუნებლად განხორციელებულ ქმედებას *ი.* ეწოდა.

თანამედროვე პოლიტიკაში *ი.* ეწოდება რომელიმე ქვეყანაში კომპაქტურად დასახლებული ეროვნული უმცირესობის მოთხოვნას, გამოეყოს ამ ქვეყანას და შეუერთდეს ისტორიულ სამშობლოს (*სეპარატიზმისაგან* განსხვავებით, აქ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მოთხოვნა არ დგას). *ი-ის* მაგალითია მთიანი ყარაბახის სომხეთთან, ან ე. წ. სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონის – სამაჩაბლოს) ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების მოთხოვნა. *ი-ის* რეალიზაცია ძალით,

სუვერენული სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, არაკანონიერი ქმედებაა, რადგან იგი ეწინააღმდეგება *საერთაშორისო სამართლის* ძირითად პრინციპებს.

ისკეიპიზმი პიროვნების ან სოციალური ჯგუფის გარკვეული ნაწილის გაქცევა სინამდვილის მწვავე პრობლემებისაგან ფსევდომოქმედების სფეროში ან სოციალური ილუზიის სამყაროში.

ისლამი მსოფლიო რელიგიებიდან სიდიდით მეორე, რომელიც მომდინარეობს წინასწარმეტყველი მუჰამედის მოძღვრებიდან. ჩაისახა VII ს-ის დასაწყისში არაბეთში, როცა პატრიარქალურ-თემური წყობა შეიცვალა კლასობრივი სახელმწიფოს შექმნით. IX-X სს-ში *ი.* უკვე წარმოადგენდა რთულ სისტემას დახვეწილი ფილოსოფიურ-რელიგიური (ქალამი) და სამართლებრივი (შარიათი) საფუძვლებით. *ი-ის* ძირითადი პრინციპები თავმოყრილია ყურანში და შეიცავს 7 დოგმას: რწმენა ერთიანი ღმერთისა (ალაჰისა) და ანგელოზებისა, ყველა საღვთო წიგნისა, ალაჰის ყველა წარმოგზავნილისა, ქვეყნის აღსასრულისა, განგებისა და მკვდრეთით აღდგომისა. ყველაფერი, რაც მოხდა და მოხდება, ალაჰის ნებაა. მთელი *ი.* ხუთ მცნებას, „რწმენის სვეტს" წარმოთქვამს: ფორმულა „არა არს ღმერთი ალაჰის კიდეგან, ხოლო მუჰამედი წინასწარმეტყველია მისი", ყოველდღე ხუთგზის ლოცვა; ურაზა: რამაზანის თვეში მარხვის დაცვა; აუცილებელია ქველმოქმედება (ზაქიათი); მექაში მოლოცვა (ჰაჯი). *ი-ის* დღესასწაულებია: ყურბან-ბაირამი, ურაზა-ბაირამი, მავლუდი და სხვ. მორწმუნეთათვის სავალდებულოა აგრეთვე ბრძოლა სარწმუნოებისათვის, საღვთო ომი — ჯიჰადი ან ჰაზავათი. მუსლიმანთა ძირითადი საკულტო ნაგებობებია მეჩეთი (ღმერთის თაყვანისცემის ადგილი), მინარეთი, მედრესე (სკოლა) და მაზარი (მავზოლეუმი).

ქრისტიანობის მსგავსად *ი.* დაიყო პოლიტიკურ და თეოლოგიურ მიმდინარეობებად, ძირითადად სუნიტურ — უფრო ლიბერალურ და შიიტიურ — უფრო ავტორიტარულ ფორმებად.

ისლამური ფუნდამენტალიზმი გავრცელებული მოძრაობა ისლამურ ქვეყნებში, რომელთა უმრავლესობაში სეკულარიზებული ხელისუფლებაა. გულისხმობს მმართველობის ისეთ სისტემასთან დაბრუნებას, რომელიც ემყარება ყურანს. თანამედროვე ისტორიაზე *ი. ფ-ის* პირველი მძლავრი ზეგავლენა 1979 წელს მოხდა, როდესაც ირანში ფუნდამენტალისტებმა ხელისუფლებას ჩამოაცილეს დასავლეთის მიერ აღიარებული შაჰი და იგი დასავლეთისადმი მტრულად განწყობილი მთავრობით შეცვალეს, რომელშიც მუსლიმანი სასულიერო პირები დომინირებდნენ. *ი. ფ-ის* ტრადიციული დაპირისპირება დასავლეთთან განპირობებულია მათი რწმენით, რომ დასავლური სამყარო ანგრევს ისლამური საზოგადოებისათვის განმსაზღვრელ ღირებულებებს. *ფუნდამენტალისტები,* პირიქით, ცდილობენ საზოგადოებრივი ცხოვრება შარიათის კანონებზე ააგონ, რაც გულისხმობს ისლამური ნორმებიდან ამოზრდილ იმგვარ პრაქტიკას, როგორიცაა სქესობრივი სეგრეგაცია სამუშაო ადგილებზე, ალკოჰოლის მიღების აკრძალვა და სხვადასხვა დანაშაულისათვის უმკაცრესი ღონისძიებები, მათ შორის კიდურების მოკვეთა. არსებობს *ი. ფ-ის* შიიტური და სუნიტური ნაირსახეობები, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან რადიკალიზმში. ამჟამად ფუნდამენტალისტები უპირისპირდებიან ალჟირის სეკულარიზებულ მთავრობას და ხელისუფლების საწინააღმდეგო აქციებს მიმართავენ ეგვიპტეში. ფუნდამენტალისტური პარამილიტარისტული და-

ჯგუფებები „ჰამაზი“ და „ისლამური ჯიჰადი“ ყოველ ღონეს მიმართავს, რათა არ დაუშვას ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო პროცესის პოზიტიური განვითარება. (იხ. აგრ. *ფუნდამენტალიზმი*).

ისტებლიშმენტი საზოგადოების პრივილეგირებული ჯგუფი, აგრეთვე მთლიანად ხელისუფლებისა და მმართველობის სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მმართველობა. *ი.* გადამწყვეტ გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე, *იდეოლოგიისა* და სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაზე.

ისტორიზმი **1.** ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც ადამიანური ეგზისტენციის გამოვლენას ისტორიულობაში ხედავს და ინსტიტუციების, იდეების წარმომავლობისა და ცვალებადობის ისტორიულობას უსვამს ხაზს. **2.** მეცნიერულ-თეორიული აზრით, *ი.* გულისხმობს კანონზომიერებების ისტორიული ინვარიანტების ძიებაზე, დროისა და სივრცისაგან დამოუკიდებელ ნომოლოგიურ გამონათქვამებზე უარის თქმას. *ი.* ყოველ ისტორიულ ეპოქას უნიკალურად მიიჩნევს და ცალკეული სიტუაციის, მოქმედების ხერხებისა და თვით მოქმედი სუბიექტების ინდივიდუალურობას თავისი კვლევის ობიექტად აცხადებს. *ი-ის* თანახმად, საგნის არსი მის განუმეორებლობაში უნდა იქნეს შემეცნებული, რაც *ჰერმენევტიკისა* და *გაგების* მეთოდებით ან ინტუიციით მიიღწევა.

„ისტორიის დასასრული“ ფრენსის ფუკუიამას გახმაურებული ნაშრომი, რომლის მიხედვითაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მთელ მსოფლიოში ლიბერალური დემოკრატიის გამარჯვება კაცობრიობის პოლიტიკური განვითარების ლოგიკური დასასრულია. ფუკუიამას თეზისი ჯორჯ ბუშის (უფროსის) *ახალი მსოფლიო წესრიგის* თეორიულ დასაბუთებას წარმოადგენდა. ფუკუიამა ლიბერალურ დემოკრატიას ფაქტობრივად აიგივებს კაპიტალიზმთან, რომელიც ერთადერთ გლობალურ სისტემად რჩება და აღარ შეიცვლება.

ისტორიის სოციოლოგია სოციოლოგიის დარგი, რომელიც 1) იკვლევს საზოგადოებების ისტორიულად არსებულ ფორმებს და რომელიც უფრო ვიწრო აზრით იყენებს ისტორიულ წყაროებს; 2) შედარებითი სოციოლოგიის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ისტორიულად არსებულ საზოგადოებებს და მათში მომხდარ ცვლილებებს სწავლობს. მართალია, *ი. ს.* გარკვეული აზრით, მოდიდან გამოვიდა, მაგრამ ისეთი ავტორების წყალობით, როგორებიც არიან მური, ვალერშტაინი (აშშ), ანდერსონი, მანი და ელიასი (ინგლისი) და რომელთა თანახმადაც, სოციალური ცვლილებების ყველა ზოგადი თეორია *ი. ს-ს* წარმოადგენს, იგი კვლავ პოპულარული გახდა. რ. აბრამსის აზრით, *ი. ს.* შეადგენს ტრადიციული სოციოლოგიის ბირთვს. *ი. ს-ის* განვითარებისადმი მიძღვნილია დ. სმიტის შრომა „ისტორიული სოციოლოგიის აღმოცენება“.

ისტორიული მატერიალიზმი (ისტორიის მატერიალისტური გაგება) მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ნაწილი, რომლის მიზანია საზოგადოების განვითარების უზოგადესი კანონების შესწავლა.

ი. მ. არის ზოგადი ტერმინი მარქსისა და ენგელსის კონცეფციისათვის ისტორიული, სოციალური და ეკონომიკური ცვლილებებისა და მისი ანალიზის მეთოდის შესახებ. (მარქსის მატერიალიზმის საბაზისო იდეა მოცემულია შრომაში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. წინასიტყვაობა“,

1859). ისტორიის მატერიალისტური გაგება შეიმუშავეს მარქსმა და ენგელსმა XIX ს-ის 40-იან წლებში. მათ ფილოსოფიური მატერიალიზმის ძირითადი პრინციპი გაავრცელეს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მიუთითეს, რომ ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათ ყოფიერებას, არამედ პირიქით, განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათ ცნობიერებას; როგორიცაა საზოგადოებრივი ყოფიერება, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობები, ისეთივეა ადამიანთა ცნობიერება, მათი იდეები და თეორიები; ჯერ იცვლება მატერიალური მხარე, საზოგადოებრივი ყოფიერება, ხოლო შემდეგ, მის შესაბამისად, ადამიანთა შეხედულებები და თეორიები, საზოგადოებრივი ცნობიერება.

ისტორიციზმი ტერმინი, რომელიც გამოიყენება ისტორიის ფილოსოფიურ კონცეფციებსა, სოციალურ ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში (კროჩე, პოპერი). პოპერის თანახმად, ისტორიცისტული თეორიულ-მეთოდოლოგიური კონცეფცია ჰერაკლიტედან, პლატონიდან და არისტოტელედან მომდინარეობს. ახალ დროში *ი-ის* წარმომადგენლები იყვნენ ჰეგელი და მარქსი. *ი-ის* მთავარი ამოცანა ისტორიის წინასწარმეტყველებაში მდგომარეობს, მისი ძირითადი ნიშანია ესენციალიზმი, ჰოლიზმი, ისტორიის ურყევი კანონების არსებობის რწმენა, წარსულში, აწმყოსა და მომავალში საზოგადოების განვითარების ფატალური ხასიათის აღიარება. პოპერის აზრით, *ი.* შეუთავსებელია ნამდვილ მეცნიერულობასთან. ისტორიული ხდომილებების ფუტუროლოგიური წინასწარმეტყველება შეუძლებელია თუნდაც იმის გამო, რომ ისტორიული განვითარება დამოკიდებულია ცოდნის ზრდაზე, რომლის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. სოციალურ-ისტორიულ პროცესებთან მიმართებაში ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ კანონებზე და არა „ტენდენციებზე" საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ ტენდენციებისათვის ისტორიული კანონზომიერების სტატუსის მინიჭებას, პოპერის თანახმად, აუცილებლად მივყავართ ავტორიტეტების ბრმა რწმენისაკენ, კრიტიკული მიდგომის გაქრობისკენ, დოგმატიზმისკენ და, საბოლოო ჯამში კი – *ტოტალიტარიზმისკენ.*

იუდაიზმი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიებიდან ერთ-ერთი, ებრაელი ხალხის რელიგია, რომლის მთავარი პრინციპებია ერთიანი ღმერთის – იაჰვეს – რწმენა, მესიის (ციური მხსნელის) მოლოდინი, ძველი აღთქმისა და თალმუდის აღიარება წმინდა წიგნებად. აღმოცენდა პოლითეისტური კულტურებიდან ძველებრაელთა მომთაბარე ტომებში. ძვ. წ. XIII ს-დან დაპყრობილ პალესტინაში თანდათან ჩამოყალიბდა იაჰვეს კულტი, რამაც საერთო სახელმძღვანელო რელიგიის სახე მიიღო (ძვ. წ. X ს-დან). ამ დროისათვის იქმნება ძველი აღთქმის კანონიკური ტექსტი, რომლის ბირთვს წარმოადგენს თორა – 5 წიგნი (რომლის ავტორობასაც მოსეს მიაწერენ). *ი-ის* ძირითადი დოგმატებია: მონოთეიზმი – იაჰვეს აღიარება ერთადერთ ღმერთად; იაჰვეს და ებრაელთა შორის დადებული აღთქმის რწმენა; ისრაელის ძეთა მიჩნევა ღმერთის რჩეულ ერად. ებრაელებმა შეიცნეს თავი ისეთი ყოვლისშემძლე ღმერთის „რჩეულ ხალხად", რომელიც თავის ხალხსაც კი სჯის ზნეობრივი მანკიერების გამო. მრავალი წლის შემდეგ *ი.* გადაიქცა თვითმყოფად რელიგიად მიუხედავად იმ ფაქტორისა, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ არსებობდა ებრაელთა სახელმწიფო.

იურიდიული სოციოლოგია იხ. *სამართლის სოციოლოგია.*

კ

კაბინეტი აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მინისტრები და პრემიერ-მინისტრი ან პრეზიდენტი. *კ-ის* შემადგენლობაში შემავალი მინისტრები პრემიერ-მინისტრის ან პრეზიდენტის მრჩევლებად ითვლებიან. ამ პოლიტიკური ინსტიტუტის მეორე გავრცელებული სახელწოდება მთავრობაა.

კაზუისტიკა კანონის ამა თუ იმ მუხლის მიყენება კონკრეტული ქმედებებისათვის. *კ-ის* აღნიშნული მნიშვნელობა ემყარება შუა საუკუნეების ღვთისმეტყველებაში გავრცელებულ პრაქტიკას, როდესაც ცალკეული რელიგიური საკითხი შესაბამისი დოგმის საფუძველზე აიხსნებოდა. ქართულ სიტყვათხმარებაში ფართოდაა გავრცელებული ტერმინის ვიწრო მნიშვნელობაც, რომელიც გულისხმობს საეჭვო დებულებების სხვადასხვა ხრიკებით გამართლებას.

კანონი მოვლენებს შორის არსებითი, აუცილებელი, მყარი და განმეორებადი კავშირურთიერთობების ფორმა. პოლიტიკურ ურთიერთობებში *კ-ებს* ნორმატიული ხასიათი აქვს. სახელმწიფოებისათვის უმაღლესი *კ.* არის კონსტიტუცია, რომელსაც მოსდევს რანგით უფრო დაბალი, კონსტიტუციით განსაზღვრული წესით უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ სამუშაო რეჟიმში მიღებული ნორმატიული აქტები. ვიდრე ნორმატიული აქტი *კ-ის* სტატუსს მიიღებდეს, რასაც, როგორც წესი, ეძღვნება საპარლამენტო დებატების დიდი დრო, ის მხოლოდ კანონპროექტია. ყოველი კანონპროექტი ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე კონკრეტულ სფეროს და მისი შემუშავება ხდება შესაბამის (ვთქვათ, განათლების ან სოციალური უზრუნველყოფის) საპარლამენტო კომიტეტში ან ქვეკომიტეტში, რის შემდეგაც ხდება მისი გატანა საპარლამენტო განხილვაზე. ქვეყნებში, სადაც უმაღლესი *კ.* კონსტიტუციაა, ყველა სხვა კანონი მას უნდა შეესაბამებოდეს, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს.

კაპიტალიზმი საზოგადოების ორგანიზაციის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც წარმოების საშუალებებზე, ისევე როგორც წარმოებულ პროდუქტზე კერძო საკუთრების პირობებში წარმოებას გააჩნია საზოგადოებრივი ხასიათი. პოლიტიკურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში ეს ტერმინი შეიძლება შეგვხვდეს შემდეგი სხვადასხვა მნიშვნელობით: პირველი, როგორც წარმოების ისტორიულად განსაზღვრული წესი, რომლის დროსაც კაპიტალი წარმოების ძირითადი საშუალებაა. მეორე, როგორც მენარმეობისაკენ მისწრაფების შერწყმა ანგარიშიანობასა და რაციონალიზმთან, რაც საბოლოო ჯამში გამოიხატება თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკურ ორგანიზაციაში; შემდეგ – წარმოების ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ორიენტირებულია ბაზარზე. *კ.* არც მხოლოდ საქონლის ან მხოლოდ ფულის ერთიანობაა და არც მხოლოდ წარმოების საშუალებებისა, არამედ მათი გარკვეული ტიპის სოციალურ ურთიერთობებთან კავშირის იმგვარი ფორმაა, რომელსაც მიზნად კაპიტალის დაგროვება აქვს.

ტერმინი *კ.* მარქსისტებმა გამოიყენეს და მას, მემარცხენე ლიტერატურისაგან განსხვავებით, თითქმის არ იყენებენ ლიბერალები და კონსერვატორები.

კაპიტულაცია ამა თუ იმ *სახელმწიფოს* შეიარაღებული ძალების მიერ საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტა,

როცა მთელი შეიარაღება და ინფრასტრუქტურა მოწინააღმდეგის ხელში გადადის, ხოლო შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა სამხედრო ტყვეების სტატუსს იღებს. *კ-ის* ნიმუშებად ასახელებენ მეორე მსოფლიო ომში გერმანიისა და იაპონიის მიერ ხელმოწერილ აქტებს, რომლის მიხედვითაც, ორივე ეს სახელმწიფო თავის სრულ მარცხს აღიარებდა და თანხმდებოდა იმ პირობებზე, რომელთაც მათ გამარჯვებული მხარე უყენებდა. ტერმინი შეიძლება გამოიყენებოდეს არასამხედრო თვალსაზრისითაც და აღნიშნავდეს რადიკალურ დათმობას.

კასტა სოციალური ნორმებით, სპეციფიკური ტრადიციებით, ქცევით, ცხოვრების სტილით, ურთიერთდახმარებით, ტანსაცმლით, საკვებითა და სხვა თავისებურებებით დაკავშირებული, საერთო შთამომავლობით გაერთიანებულ ადამიანთა (ხშირად – ეთნიკური) ჯგუფი. *კ-ის* შემადგენლობაში შედის ენდოგამიური თანასწორუფლებიანი წევრებისგან შემდგარი ნათესაური ჯგუფები, ჩამოყალიბებული წარმომავლობის, საერთო საქმიანობის და თავისი წევრების უფლებრივი მდგომარეობის საფუძველზე; *კ.* იერარქიულად აგებულ სისტემაში ჩართული სოციალური სტრატიფიკაციის ფორმაა, განკერძოებული და დახშული (დახურული) სტრატაა, რომლის წევრობაც დადგენილია; კონტაქტები სხვა სტრატებთან შეზღუდულია, მობილურობა კი – თეორიულად გამორიცხული. ყოველი *კ-ის* წევრებს მხოლოდ ერთი ტიპის საქმიანობის უფლება აქვთ, თუმცა, საბოლოოდ, *კ.* მაინც არაეკონომიკური კრიტერიუმებით იქმნება. *კ.* ძალზე მკვეთრადაა გამოხატული ინდოეთში, სადაც ჯგუფისადმი კუთვნილება მემკვიდრეობითია და შესაძლოა ადამიანმა ვერასოდეს შეიცვალოს. ფართო გაგებით, *კ.* გულისხმობს საზოგადოებრივ ჯგუფს, რომელიც იცავს თავის განკერძოებულობას, დახშულობასა და ჯგუფურ პრივილეგიებს.

კეთილდღეობის საზოგადოება ტერმინი გამოიყენება იდუსტრიულად განვითარებული საზოგადოებების აღსანიშნავად, სადაც მოსახლეობის მეტი ნაწილი ეკონომიკურად და სოციალურად უზრუნველყოფილია (დაახ. 1960 წლიდან), რაც ნიშნავს იმას, რომ ამ საზოგადოებაში ინდივიდებს არა მარტო ხელი მიუწვდებათ საქონლის მოხმარებაზე, არამედ შეუძლიათ დანაზოგის გადანახვაც, სახლის ყიდვა, მოხუცებულობის დაზღვევა და ა. შ. *კ. ს-ს* სიუხვის საზოგადოებას, ზოგჯერ სიჭარბის საზოგადოებასაც უწოდებენ (გოლბრაიტი, 1958).

კენჭისყრა *არჩევნების* ჩატარების ამ მეთოდს ხანგრძლივი ისტორია აქვს და მკაფიოდ პირველად დაფიქსირებულია ჯერ ძველ საბერძნეთში და შემდეგ ძველ რომში. *კ-ის* ინსტიტუტის განვითარების შემდეგი მნიშვნელოვანი ეტაპი შუა საუკუნეების იტალიურ ქალაქ-რესპუბლიკებს უკავშირდება. არსებობდა ვენეციის დოჟის საარჩევნო *კ-ის* ძალზე დეტალური განაწესი. ბოლოს, არჩევნებში *კ-ის* წესი კონსტიტუციურად განისაზღვრა შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში, სხვა დემოკრატიულ ქვეყნებში.

პოლიტიკურ მეცნიერებებში არჩევნები სამი ძირითადი მიმართულებით შეისწავლება: ა) ხმის მიცემის პროცედურის სპეციფიკა, ბ) ამომრჩეველთა ქცევა არჩევნების პერიოდში, დაბოლოს, გ) კონკრეტული სახის არჩევნების (მაგ., არჩევნები საკანონმდებლო ორგანოში) სპეციფიკის შესწავლა.

კვაზისახელმწიფო იხ. *არშემდგარი სახელმწიფო.*

კვანტიფიკაცია სოციალური ობიექტების თვისებებისა და მიმართებების

გამოვლენისა და წარმოდგენის პროცედურა რაოდენობრივი ფორმით. იგი გამოიყენება როგორც სოციოლოგიის ყველა სახის რაოდენობრივი (გაზომვის, ანალიზისა და მოდელირების, შერჩევის, სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმების, ლოგიკური, სტრუქტურული, ლინგვოსემიოტიკური) მეთოდის მოხმარების წანამძღვარი. *კ.* არის სოციოლოგიური გამოკვლევის ფორმალიზაციის მეთოდების სახესხვაობა, *დაკვირვებების* მნიშვნელობათა ციფრულ მონაცემებად გარდაქმნა ანალიზისა და შედარებისათვის. ტერმინი *კ.* მჭიდროდ უკავშირდება ცნებებს – „თვისება“ და „რაოდენობა“, რაც გარკვეულ ერთიანობას შეადგენს და ერთმანეთს განაპირობებს, რამდენადაც ობიექტის ყოველი თვისება შეიძლება განისაზღვროს რაოდენობრივად და ობიექტიც, თავის მხრივ, არსებობს რაღაც თვისებრიობის ფორმით. მოვლენის წვდომის შესაძლებლობა მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეგვიძლია დავახასიათოთ მათემატიკური საშუალებებით თვისების რაოდენობრივი განსაზღვრულობა. ეს ხორციელდება მოდელირების მოცემული სფეროს ნიშანთა სიმრავლით, რომელიც გარკვეულ პირობებში სკალას წარმოადგენს. გაზომვა ყოველთვის წარმოადგენს *კ-ს*, მაგრამ ისინი სრულად იდენტურნი არ არიან. *კ.* გაზომვაზე უფრო ფართოა. კვანტიფიცირების პრობლემა ყოველთვის უკავშირდება საგანთა რაოდენობას. რამდენადაც რაოდენობა ყოველთვის გაზომვადია და რიცხვითი მნიშვნელობებით გამოისახება, ამდენად, *კ-ის* ცნებას ხმარობენ გაზომვის სიზუსტისა და რიცხვების რაციონალური გამოყენების ასპექტით (ანუ ალგებრული აზრით).

კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები სოციოლოგიური გამოკვლევის ორი ტიპი. ის, რაც თითეული კვლევის ტექნიკას ერთმანეთისაგან განასხვავებს, შემდეგში მდგომარეობს: ა) *კ. თ. მ-ების* დანიშნულებაა, განსაზღვროს, „რა საგნები არსებობს, ვიდრე ის, თუ რამდენი ასეთი საგანი არსებობს“. სხვანაირად თუ ვიტყვით, თვისებრივი კვლევა გამოყოფს კვლევის საგანს და არ ეხება საგნის რაოდენობრივ განზომილებას, ანუ საგანთან მიმართებაში მეტნაკლებობის მიმართებების დადგენას, რაც რაოდენობრივი კვლევების ფუნქციაა; ბ) თვისებრივი ტექნიკა არ არის დაკავშირებული საკვლევი ობიექტის გაზომვასთან, ანუ არ ადგენს ობიექტის რაოდენობრივ პარამეტრებს სხვადასხვა სკალის მეშვეობით. შესაბამისად, *კ. თ. მ.* ნაკლებად სტრუქტურირებული და ფორმალიზებულია; გ) *კ. თ. მ.* მოითხოვს ინდივიდთა (*ინტერვიუერთა, რესპონდენტთა* და სხვ.) შეზღუდულ რაოდენობას, თუმცა იღებს უფრო ფართო მოცულობის მდიდარ მონაცემებს. ამისგან განსხვავებით, რაოდენობრივი ტექნიკა საჭიროებს, ჯერ ერთი, ადამიანური რესურსების გაცილებით მეტ რაოდენობას, მეორეც, იგი იღებს სტანდარტიზებულ მონაცემებს და არ ითვალისწინებს სხვადასხვა არასტანდარტულ სპეციფიკას, ანდა, ერთი სტანდარტის შიგნით განსხვავებულ ელფერს ქმნის; დ) თვისებრივი კვლევის ფუნქციაა ჰიპოთეზების ჩამოყალიბება, მაშინ როდესაც რაოდენობრივი კვლევა მიმართულია ჰიპოთეზების შემოწმებისკენ; ე) თვისებრივი კვლევის შედეგად მიღებული მასალის ანალიზი უფრო მეტად შემოქმედებითი და პიროვნულია, მაშინ როდესაც რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი სტანდარტიზებულ და ფორმალიზებულ ხასიათს უნდა ატარებდეს. არსებობს თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის ოთხი ძირითადი მეთოდი: 1. ჩაღრმავებული *ინტერვიუ*; 2. ჯგუფური ინტერვიუ (ფოკუსჯგუფების კვლევა); 3. ჩართული *დაკვირ-*

ვება; 4. *პროექციული ტექნიკა*. რაც შეეხება რაოდენობრივ კვლევას, იგი ძირითადად შემდეგ მეთოდებს გამოიყენებს: 1. *სტრუქტურიზებული ინტერვიუ*; 2. *ანკეტირება*; 3. *კონტენტ-ანალიზი*.

კვლევის რაოდენობრივი მეთოდები *იხ. კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები.*

კითხვა *სოციოლოგიურ გამოკითხვაში* თავისებური კვლევითი ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება პირველადი ემპირიული მონაცემების შესაგროვებლად და გასაზომად. იგი არის *რესპონდენტისადმი* (რესპონდენტთა გარკვეული ერთობლიობისადმი) შეკითხვით მიმართვა მისი შეხედულებების, განწყობების, აზრების, ქცევის მოტივების, ცოდნის, გარკვეული ფაქტების გამოვლენის, კვლევის ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელი ინფორმაციის (პასუხების – მსჯელობების სახით) მიღების მიზნით. *კ.* სოციოლოგიური ჰიპოთეზების ემპირიული ინტერპრეტაციის შედეგია. ის აგრეთვე ანალიზის კატეგორიების ოპერაციონალური გამოხატულებაა, ფიქსირების ხერხია. *კ-ის* ლოგიკურ სტრუქტურას განსაზღვრავს მასში არსებული საწყისი, ბაზისური ინფორმაცია, მოცემული მოკლე ფორმით, და მისი ახალი ინფორმაციით შევსების აუცილებლობა. *კ-ების* შინაარსი წარმოადგენს შესასწავლ პრობლემას ემპირიული ინდიკატორების დონეზე და ცვლადებს შორის კავშირის დადგენას ემსახურება.

კ-ს სამი ურთიერთდაკავშირებული ფუნქცია აქვს: ინდიკატორული, ინსტრუმენტული და კომუნიკაციური. ამ ფუნქციების რეალიზაცია *კ-ის* კონსტრუირებისა და გამოყენების სხვადასხვა ლოგიკური და მეთოდური მოთხოვნის შესრულებაზეა დამოკიდებული.

არსებობს რამდენიმე ტიპისა და სახის *კ. კ-ების* კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით:

I. *კ-ების* ტიპები შინაარსის მიხედვით: 1) *კ-ები* ფაქტების, მოქმედებების, აგრეთვე საქმიანობის შედეგების შესახებ, 2) *კ-ები* ინდივიდის ქცევის მოტივების, შეფასებების, მრწამსის, განწყობებისა და აზრების შესახებ. ზოგი სოციოლოგი ცალკე გამოყოფს *კ-ებს* ცოდნის შესახებ. თვლიან, რომ *კითხვარში* შეკითხვას შეიძლება ჰქონდეს ოთხი შინაარსი: ქცევა, რწმენა, განწყობა და ატრიბუტი (დილმენი, 1978).

II. *კ-ები* ფორმის მიხედვით: 1) ღია, დახურული და ნახევრად დახურული, 2) პირდაპირი და ირიბი. დახურული *კ.* რამდენიმე სახისაა: ა) დიქოტომიური – დიახ–არა, ბ) ალტერნატიული და გ) *კ-ები*–მენიუ. ალტერნატიული *კ-ების* ნაირსახეობებია თვისებრივი და რაოდენობრივი ხასიათის *კ-ები*, აგრეთვე *კ.*-დიალოგი.

III. *კ-ები* ფუნქციების მიხედვით: 1) კითხვები – ფილტრები, 2) საკონტაქტო ანუ შესავალი *კ-ები*, 3) მისახვედრი *კ-ები*, 4) ნეიტრალური *კ-ები*, 5) ბუფერული *კ-ები*, 6) პროექციული *კ-ები*.

არსებობს აგრეთვე ზოგადი და კონკრეტული *კ-ები*, წინასწარ მომზადებული და ინტერვიუს მსვლელობის დროს მოფიქრებული *კ-ები*, პიროვნული და უპიროვნო (არაპიროვნული) *კ-ები*, ძირითადი და არაძირითადი *კ-ები*.

კ-ის ტიპის არჩევა დამოკიდებულია, ერთი მხრივ, მის შემეცნებით ამოცანაზე (ე. ი. იმ ინფორმაციის შინაარსზე, რომლის მიღებაც სურს მკვლევარს), მეორე მხრივ კი – მკვლევრის მიერ ფორმულირებულ *კ-ზე* შესაბამისი პასუხების ყველა შესაძლებელი ვარიანტის გათვალისწინებაზე (ცოდნა-არ-ცოდნაზე), აგრეთვე კვლევის თემის ხასიათსა და დამოკვლევის ჩატარების საშუალებებზე.

ყველაზე ფართოდ გამოიყენება დახურული *კ-ები*. *კ.* დახურულია, თუ

რესპონდენტს სთავაზობენ შესაბამისი პასუხების ვარიანტებს და მას შეუძლია აირჩიოს მისი შეხედულების შესაბამისი ერთი ან რამდენიმე ვარიანტი. *კ.* ღიაა, თუ არ არის მოცემული შესაძლებელი პასუხების ვარიანტები და რესპონდენტს შეუძლია გამოთქვას თავისი შეხედულება.

როდესაც რესპონდენტს თავისი შეხედულების გამოსახატავად არ სთავაზობენ პასუხის ყველა შესაძლებელ ვარიანტს, მიზანშეწონილია ნახევრად დახურული (ნახევრად ღია) *კ.*, რომელიც საშუალებას აძლევს რესპონდენტს უარი თქვას შემოთავაზებული ვარიანტების არჩევაზე და თავად უპასუხოს, გამოთქვას თავისი აზრი. გამოიყენება, აგრეთვე, ტერმინები: არასტრუქტურული, სტრუქტურული და ნახევრად სტრუქტურული კითხვები.

კითხვარი სოციალური ინფორმაციის მოპოვების ინსტრუმენტი. ის ერთმანეთთან აზრობრივად და ლოგიკურად დაკავშირებული *კითხვების* (ან კითხვებისა და პასუხების) ნაკრებია. თითოეული *კითხვა* (ან კითხვა და პასუხები) სოციოლოგიური *გამოკითხვის* (ინტერვიუირების *ან ანკეტირების*) პროგრამული და პროცედურული ამოცანებითაა განპირობებული. ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს *რესპონდენტი*, რომლის პასუხების რეგისტრაცია *კ-ის* მეშვეობით ხდება. *კ-ს* ავსებს *ინტერვიუერი* (*ინტერვიუს* დროს), რომელიც გამოკითხვას ატარებს, ან რესპონდენტი (ანკეტირების დროს).

კ-ის საშუალებით მიიღება ინფორმაცია ინდივიდების, ჯგუფების ზოგადი მახასიათებლების (საქმიანობის, შემოსავლისა და ა. შ.), შეხედულებების, აზრების, განწყობების, ღირებულებების, აგრეთვე სოციალური ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების შესახებ. ზოგჯერ *კ.* თეორიების შესამოწმებლად გამოიყენება.

კ-ზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გამოკითხვის ხარისხი და შედეგები. არსებობს *კ-ის* რამდენიმე სახე: *ანკეტა*, გამოსაკითხი ფურცელი, გამოსაკითხი ბარათი და სხვ. კითხვების ტიპების მიხედვით განასხვავებენ სტანდარტიზებულ (ფორმალიზებულ) და არასტანდარტიზებულ (არაფორმალიზებულ) *კ-ებს*. ფორმალიზებული *კ-ის* (ანკეტის) სტრუქტურული ერთეულია კითხვა ან კითხვათა ბლოკი, ხოლო არაფორმალიზებული ინტერვიუს სტრუქტურულ ერთეულს თემა წარმოადგენს. *კ-ის* შედგენის პროცესი გამოკვლევის ძირითადი *ჰიპოთეზების* კითხვების ენაზე გადაყვანის პროცედურაა.

ვალიდური ინფორმაციის მიღების მიზნით, *კ-ის* შედგენის დროს საჭიროა მრავალი ფაქტორის გათვალისწინება. *კ-ში* ფიქსირებული უნდა იყოს მხოლოდ ყველაზე არსებითი კითხვები, რომლებზეც პასუხები საჭირო ინფორმაციის მიღებას უზრუნველყოფს. ყველა კითხვას მეტ-ნაკლებად პირდაპირი და უშუალო დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს საკვლევ პრობლემასთან. დიდი მნიშვნელობა აქვს *კ-ში* კითხვათა თანმიმდევრობას. კითხვები ისე უნდა იყოს განლაგებული, რომ აზრობრივად და ლოგიკურად ერთმანეთისგან გამომდინარეობდეს და რაც შეიძლება ნაკლები გავლენა მოახდინოს რესპონდენტის შემდგომ პასუხებზე. *კ-ში* მოცემული კითხვები უნდა იყოს ფორმულირებული ნათლად, ერთმნიშვნელოვნად, ნებისმიერი რესპონდენტისათვის გასაგებ ენაზე, რომ რესპონდენტებმა შეძლონ პასუხების გაცემა (ან ისეთი პასუხების არჩევა, რომლებიც მათ შეხედულებებს შეესაბამება). იქ, სადაც თემა შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი, უპირატესობა ღია (არაფორმალიზებულ) კითხვებს ენიჭება, რადგან შესაძლებელია, რომ მკვლევარმა წინასწარ ვერ გაითვალისწინოს შესაძლებელი პასუხების ყველა ვარიანტი. *კ-ში* კითხვების ტი-

პების არჩევა დამოკიდებულია საკვლევი თემის ხასიათსა და გამოკვლევის ჩატარების საშუალებებზე.

კ-უბის შევსების შემდეგ ხდება კითხვებზე გაცემული პასუხების კოდირება კომპიუტერული ანალიზისთვის, რაც აადვილებს კვლევის თეორიულ ინტერპრეტაციას.

კლანი ცენტრალიზებული სოციალური ორგანიზაციის ფორმა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობა ლოიალობას და არა იძულების ინსტიტუტს. ამერიკელი ევოლუციონისტ-ანთროპოლოგები *კ-ს* განიხილავენ *ტომიდან* აღმოცენებული *სახელმწიფოს* წინამორბედად. ახასიათებს საკუთრების გადანაწილებაზე დამყარებული სოციალური *სტრატიფიკაციისა* და ეკონომიკური სისტემის მოდელები. *კ.*, ჩვეულებრივ, სისხლით ნათესავთა ჯგუფია, დედით ან მამით ერთი წარმომავლობის მქონე, საერთო წინაპრის სახელის მატარებელი, როგორც წესი, *ეგზოგამიურო,* წევრები დაკავშირებული არიან სამეურნეო და საზოგადოებრივი ძაფებით. *კ-ს* სხვადასხვაგვარი რელიგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური ფუნქციები აქვს.

კლასი მაკროჯგუფი საზოგადოების სოციალურ *სტრატიფიკაციაში*, რომელიც აერთიანებს მსგავსი მატერიალური რესურსების, სოციალური მდგომარეობისა და ცხოვრების წესის მქონე ადამიანებს. ამ ცნების დამკვიდრება მეცნიერებაში დაკავშირებულია კარლ მარქსის სახელთან. მარქსისტული მიმდინარეობის წარმომადგენლებისათვის *კ-ის* მაკონსტრუირებელ კრიტერიუმებად ადამიანის წარმოების საშუალებებისადმი დამოკიდებულება და ამით განპირობებული მისი როლი და საზოგადოებრივი დოვლათის განაწილებაში მისი წილი მიიჩნევა. თანამედროვე სოციოლოგიაში ამ ორიენტაციის სოციოლოგები *კ-ისადმი* კუთვნილების განმსაზღვრელ კრიტერიუმად ასევე იყენებენ ისეთ მახასიათებელს, როგორიცაა ეკონომიკურ რესურსებზე კონტროლი. მ. ვებერი და მისი მიმდევრები საზოგადოების კლასობრივი სტრატიფიკაციისას ყურადღებას ამახვილებენ განათლებაზე, კვალიფიკაციაზე, გამოცდილებაზე, სოციალურ სტატუსსა და პრესტიჟზე, პროფესიაზე, შემოსავლების დონეზე, ეთნიკურ და რელიგიურ კუთვნილებაზე, ეს უკანასკნელნი, მათი აზრით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სოციალური ჯგუფების მიერ როგორც სოციალური ბარიერები სხვა ჯგუფების წინააღმდეგ, ასევე რესურსების კონტროლზე *მონოპოლიის* მისაღწევად. (იხ. აგრ. *პოლიტიკური კლასი*).

კლასობრივი ბრძოლა *კონფლიქტი* ეკონომიკურ ჯგუფებს შორის, რომელთა ინტერესებიც განსხვავებულია. მარქსისტების აზრით, *კ. ბ.* არის გამოხატულება იმ *ანტაგონიზმისა,* რომელიც წარმოიშობა, ერთი მხრივ, კლასობრივი *ექსპლუატაციის,* ხოლო, მეორე მხრივ, საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობის არათანაბარი განვითარების შედეგად. ისინი განიხილავენ *კ. ბ-ს* როგორც სოციალური დინამიკის განმსაზღვრელ ფაქტორს. *კლასებს* შორის ბრძოლა ვლინდება სხვადასხვა დონეზე – ყოველდღიური ეკონომიკური კონფლიქტებიდან და პოლიტიკურ-იდეოლოგიური დაპირისპირებიდან დაწყებული, მღელვარე *რევოლუციებითა* და სოციალური რყევებით დამთავრებული.

კლასობრივი ინტერესები და ცნობიერება ეს ტერმინი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მსგავსი სოციალური მდგომარეობის მქონე ინდივიდთა მაკროჯგუფები შესაძლებელია ატარებდნენ იდენტურ სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ ინტერესებს. მარქსისტების აზრით, ადამიანის კლასობ-

რივი პოზიცია, ანუ მისი ადგილი საზოგადოებრივი წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში გარკვეულ ობიექტურ, სუბიექტის ნებელობისაგან დამოუკიდებელ, მოთხოვნებს უყენებს მას. თუმცა ეს უკანასკნელი მან შეიძლება გაიცნობიეროს ან – არა. ადამიანებში *კ. ც-ის* გაჩენას განაპირობებს ის, რომ იდენტური ინტერესები და გარემოებები აიძულებენ ერთნაირი სოციალური მდგომარეობის მქონე ინდივიდებს ერთობლივად იბრძოლონ ამ ინტერესთა განხორციელებისათვის. ამ პირობებში ისინი თავს აცნობიერებენ ერთი მთლიანობის – სოციალური კლასის წევრად. ანუ „კლასი თავისთავად" (ერთნაირი სოციალური პოზიციის მქონე ინდივიდთა ერთობლიობა) თავს აცნობიერებს როგორც კლასი, როგორც იდენტური ინტერესების მატარებელი ერთობა, ქმნის შესაბამის ღირებულებათა და შეხედულებათა სისტემას, ახდენს თავისი თავის ორგანიზებას პოლიტიკური პარტიების ფორმით და იწყებს კლასობრივი ინტერესებისათვის გააზრებულ ბრძოლას, რითაც ის იქცევა „კლასად თავისთვის".

კლასობრივი სტრუქტურა *საზოგადოების* სოციალური *სტრატიფიკაციის* ერთ-ერთი მოდელი, რომლის ძირითადი კომპონენტებიც *კლასები*, სოციალური ფენები და პროფესიული ჯგუფებია. საზოგადოების დანაწილება აღნიშნულ ჯგუფებად ისეთი კრიტერიუმების საფუძველზე ხდება, როგორებიცაა დამოკიდებულება წარმოების საშუალებებისადმი, ადგილი და როლი წარმოების პროცესში, განათლებისა და შემოსავლების დონე, პროფესია, სოციალური სტატუსი და სხვა. საზოგადოების ტრადიციული *კ. ს.* წარმოდგენილია როგორც იერარქიული სისტემა, რომელშიც ყველაზე მრავალრიცხოვან კლასს უკავია ყველაზე დაბალი მდგომარეობა. *პოსტმოდერნისტული* საზოგადოების თეორეტიკოსთა აზრით, თანამედროვე სოციალური სტრუქტურა სხვა კონფიგურაციისაა. მასში ყველაზე მრავალრიცხოვან კლასს შუალედური პოზიცია უკავია. მათი აზრით, თანამედროვე საზოგადოება კლასობრივი მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. თუ ტრადიციული *სოციოლოგია* ორ ძირითად კლასს აღიარებდა და დანარჩენები ან დაიყვანებოდა მათზე, ან მიიჩნეოდა არაძირითად კლასებად (კლასებად, რომლებიც დაკავშირებული არ არიან წარმოების გაბატონებულ წესთან), თანამედროვე სოციოლოგია საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შვიდკლასიან მოდელსაც კი გვთავაზობს.

კლასტერული ანალიზი მეთოდიკა ობიექტთა ან ადამიანთა ჯგუფების გამოსავლენად, რომელსაც შეუძლია მონაცემთა ერთობლიობაში შეფარდებითი განსხვავება აჩვენოს. მაგ., ბაზრის კვლევის დროს *კ. ა.* გამოიყენება იმ ადამიანთა ჯგუფების გამოსავლენად, რომელთაც სხვაგვარი მარკეტინგული მიდგომები აქვთ. ყველაზე გავრცელებულია იერარქიული კლასტერირების მეთოდი. „აგლომერაციულ იერარქიულ კლასტერირებაში" (ანუ ქვევიდან) პროცესი მრავალი კლასტერით იწყება. ისეთი მათემატიკური კრიტერიუმის გზით, როგორც ევკლიდეს მანძილია, ობიექტები ან ადამიანები თანმიმდევრობით ერთიანდებიან კლასტერებში. „ანალიტიკურ იერარქიულ კლასტერირებაში" (ანუ ზევიდან) ერთი კლასტერი მოქმედებს, რომელიც ყველა შემთხვევას შეიცავს. შემდეგ ხდება მისი დაყოფა უფრო მცირე კლასტერებად.

კ. ა-ისას მრავალი პრაქტიკული პრობლემა ჩნდება. განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ცვლადების არჩევას, მანძილისა და კრიტერიუმების ზომებს კლასტერებში სხვადასხვა შემთხვევის გაერთიანებისათვის. შესაძლებელია ყალბი კლასტერის მიღებაც.

უმჯობესია რამდენიმე განსხვავებული მეთოდის გამოყენება.

კლაუზევიცის დოქტრინა *დოქტრინა*, რომლის მიხედვითაც ომის წარმართვას *პოლიტიკისა* და *საზოგადოების* მოთხოვნილებები უნდა განაპირობებდეს. *კ. დ-ის* გამოხატულებად ითვლება ფრაზა: „ომი არის პოლიტიკის სხვა საშუალებებით გაგრძელება", რაც გულისხმობს, რომ ომი პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებაა. *კ. დ-იდან* გამომდინარეობს ე. წ. „სამსახოვანი ომი", რომელშიც ჩართულია ხალხი, არმია და მთავრობა. ხალხი ომის თანმდევ ძალადობას, ზიზღსა და მტრობას უკავშირდება; არმია – ომის ალბათობასა და იღბალს; ხოლო მთავრობა ძალადობის კონტროლსა და ომის პოლიტიკური მიზნებისათვის დაქვემდებარებასთანაა წილნაყარი. კლაუზევიცის დიდ დამსახურებად „ტოტალური" და „შეზღუდული" ომის ერთმანეთისაგან გამიჯვნა მიიჩნევა. *კ. დ.* „სამსახოვანი ომის" თაობაზე ბირთვული იარაღის შექმნის შემდეგ ნაკლებად დამაჯერებელი გახდა, რადგან ბირთვული ომი თავისი ბუნებით *ტოტალური ომია*, რომელშიც პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოთხოვნილებები ვერანაირ როლს ვეღარ ასრულებს (იხ. აგრ. *ესკალაცია*).

კლერიკალიზმი პოლიტიკური მიმართულება, რომელიც ცდილობს რელიგიის და *ეკლესიის* როლის გაზრდას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. თანამედროვე დასავლურ *დემოკრატიებში*, სადაც განხორციელებულია *სახელმწიფოსაგან რელიგიის* გამოყოფა, დღეს *კ.* ნმინდა სახით აღარ არსებობს. თუმცა იგი სხვადასხვა სახით იჩენს თავს არა მხოლოდ რელიგიური ორგანიზაციების, არამედ ქალთა, ახალგაზრდული კავშირებისა და კონფესიური პოლიტიკური *პარტიების* მოღვაწეობაშიც.

კლიენტელიზმი კლასიკური განსაზღვრით, სოციალურ და პოლიტიკურ ფენომენთა ერთობლიობა, რომელიც ემყარება არასიმეტრიული ურთიერთობის ფორმის მქონე ორმხრივი გაცვლის მექანიზმს პატრონსა და კლიენტს შორის. ეს მოვლენა ინსტიტუციონალიზაციას მოკლებული ან სუსტად ინსტიტუციონალიზებული საზოგადოებიდან იღებს სათავეს და, აქედან გამომდინარე, უპირისპირდება თვით ინსტიტუციონალიზმის არსს. კლასიკური სახით *კ.* ძველ რომში გვხვდება, თვით ტერმინიც პირველად აქ იხსენიება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ძველი მსოფლიოს სხვა ქვეყნებისათვის საზოგადოებრივი ურთიერთობების ამგვარი ფორმა უცხო იყო. ქალაქ-რესპუბლიკური (დემოკრატიული) სისტემის კრიზისმა რომის რესპუბლიკის არსებობის ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით კი იმპერიის ეპოქაში, რომში მოქალაქეობის უფლების მქონე ლუმპენიზებული თუ დეკლასირებული ელემენტებისაგან შემდგარი სოციალური ფენა შექმნა. ამ ადამიანებს საარჩევნო ხმის გარდა არაფერი ებადათ და, ბუნებრივია, ეს უკანასკნელი არსებობის ერთადერთ წყაროდ გაიხადეს. რომაულმა *არისტოკრატიამ* კარგად ისარგებლა ამ სიტუაციით. დაიწყო მოქალაქე-ამომრჩეველთა მასობრივი მოსყიდვის პროცესი. მიზერული კომპენსაციის (ყოველდღიური სადილები, იაფფასიანი საჩუქრები) სანაცვლოდ არისტოკრატიამ მიიღო საარჩევნო ხმების გარანტირებული მინიმუმი სახელმწიფოს არჩევითი თანამდებობების დასაკავებლად. ზემოთ თქმული არ ნიშნავს იმას, რომ *კ.* მხოლოდ ეკონომიკურ საფუძველს ემყარებოდა. პოლიტიკური *ანარქია* და არასტაბილური სიტუაცია აიძულებდა სხვადასხვა სოციალურ საფეხურზე მყოფ მოქალაქეებს, ეძებნათ ძლიერი მფარველი. ამრიგად, იქმნებოდა ორმხრივი დაინტერესება. პოტენციური კლიენტი ეძებ-

და დამცველს, ხოლო პოტენციური პატრონი – კლიენტთა მასას, რომელიც საჭიროების შემთხვევაში თანადგომას გაუწევდა მას თავისი მიზნების განხორციელებისას. საერთოდ, *კოს* დევიზად შეიძლება აღებულ იქნეს ურთიერთდამოკიდებულება და სოლიდარობა. ეს პრინციპი კარგად გამოხატავს ორმხრივი ვალდებულებების სისტემას. ფეოდალიზმმა პატრონ-კლიენტური ურთიერთობების ინსტიტუციონალიზება მოახდინა. ფეოდალური ვასალიტეტი სწორედ *კოს* ძირითად პრინციპს ეფუძნებოდა. ევროპის ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა და კონსტიტუციური სახელმწიფოების წარმოშობამ დიდი როლი ითამაშა საზოგადოებრივ ცხოვრებაში აღნიშნულ ურთიერთობათა გავლენის შემცირების საქმეში. თანამედროვე, ინსტიტუციონალიზებული, *სამართლებრივი სახელმწიფო* თავის თავზე იღებს მოქალაქეთათვის იმ მფარველობით ფუნქციებს, რომლებიც კლიენტელურ ურთიერთობათა პირობებში პატრონებს ეკისრებოდათ.

კოალიცია (პოლიტიკური) ერთობლივი მოქმედებების გატარების მიზნით რამდენიმე პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ან მოძრაობის გაერთიანება. ასეთი გაერთიანება შეიძლება მოხდეს, მაგალითად, არჩევნების დროს, უფრო ხშირად კი მათი წარმომადგენლებისაგან ყალიბდება კოალიციური მთავრობა.

კოალიცია საერთაშორისო ურთიერთობებში ალიანსის სახესხვაობაა, რომლის შექმნის ხელშეკრულებას ოთხი ან მეტი სახელმწიფო აწერს ხელს. *კუები* დიდი კრიზისების პერიოდში იქმნება და, როგორც წესი, კრიზისის დასრულებისთანავე იშლება (იხ. აგრ. *ალიანსი*).

კოგნიტური სოციოლოგია სიკურელის ამავე სახელწოდების ნაშრომში (1973) გამოყენებული ტერმინი, რომელიც მოიაზრებს ეთნომეთოდოლოგიის გაერთიანებას ნეოპოზიტივისტურ კოგნიტივისტურ მეცნიერებებთან, მათ შორის, კოგნიტურ *ანთროპოლოგიასა* და სოციოლინგვისტიკასთან. სოციოლოგიურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ *კ. ს.* სათავეს იღებს *მეცნიერების* მერტონისეული პარადიგმის, მეცნიერების პოსტპოზიტივისტური მეთოდოლოგიისა და, უპირველეს ყოვლისა, კუნის ნაშრომის – „მეცნიერული რევოლუციების სტრუქტურის“ გავლენით ჩამოყალიბებული პოზიციის კრიტიკიდან, რომელშიც მეცნიერება განიხილება მეცნიერული საზოგადოების მიერ მიღებულ პარადიგმად. სწორედ ამ საფუძველზე ჩამოყალიბდა ნორმატიულისგან განსხვავებული მეცნიერების *კ. ს.*, რომელიც მეცნიერების კოგნიტურ ასპექტს განიხილავს როგორც სოციალურზე პირდაპირ დამოკიდებულს. *კ. ს.* მეცნიერებას სოციალური პირობების, ურთიერთობების, ინტერესების პროდუქტად მიიჩნევს. ტერმინით „კოგნიტივისტური მეცნიერება“ ერთიანობაში აღინიშნება მრავალგვარ სამეცნიერო დისციპლინათა ბოლოდროინდელი მიღწევები, რომელიც მოჰყვა კომპიუტერულ განვითარებას და ტვინის გაგება-გააზრებას ინფორმაციის გადამამუშავებელ სისტემად, აგრეთვე, ფსიქოლოგიური მეცნიერების მიერ აღმოჩენილ მნიშვნელოვან სიახლეებს ადამიანის კოგნიტური აქტივობის სფეროში. ამ ზოგადი ტერმინით მოიაზრება ადამიანური გონების შემსწავლელ მრავალგვარ, ადრე სულაც შეუსაბამო მიდგომათა ერთიანობა – კოგნიტური ფსიქოლოგია, გნოსეოლოგია, კულტურის მეცნიერებები, კოგნიტური ანთროპოლოგია (მრავალგვარი ნირსახეობით: სოციალური, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური და ა. შ.), ლინგვისტიკა და სოციოლინგვისტიკა, ხე-

ლოვნური ინტელექტის თეორიები, მათემატიკა, ნეიროფსიქოლოგია, ეპისტემოლოგია და სხვ.

კოეფიციენტი პირდაპირი მნიშვნელობით – ერთად წარმოქმნილი (შექმნილი). **1.** რიცხვითი ან ასოითი მამრავლი ალგებრულ გამოსახულებაში; **2.** ფიზიკაში – სიდიდე, რომელიც განსაზღვრავს ფიზიკური სხეულის რაიმე თვისებას, მაგალითად, ხახუნის *კ-ს*. **3.** სტატისტიკაში – მნიშვნელობა, რომელიც უჩვენებს ფაქტორებს შორის ურთიერთკავშირის ხარისხს. ეს მნიშვნელობა ყველაზე ხშირად ვლინდება შედგენილ ფორმებში, მაგალითად, კორელაციის *კ-ში*.

სოციალური მეცნიერებები მიმართავენ – ავადობის, ბავშვთა სიკვდილიანობის, ინტელექტის, გაყრების, დაბადებისა და სხვა მრავალგვარი კორელაციის *კ-ს* (იხ. *კორელაცია*).

კ. (ძალაუფლების) საარჩევნო ბლოკის გავლენის შეფასების საშუალებაა იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში ეს ბლოკი დაიკავებს დამოუკიდებელ პოზიციას და მისი გავლენა გადამწყვეტი აღმოჩნდება ამა თუ იმ პროექტის გამარჯვების ან დამარცხებისას. *ძალაუფლების კ.* ოფიციალურად შემოთავაზებულ იქნა ლაიონელ პენროუზის მიერ 1946 წელს, თუმცა მსგავსი იდეა ჯერ კიდევ 1787 წელს ანტიფედერალისტმა მარტინ ლუთერმა გამოთქვა. ყველაზე უფრო ცნობილია შეპლი-შუბიკის *კ.* სამწუხაროდ, სხვადასხვა *კ.* ერთი და იმავე სიტუაციის სხვადასხვა შეფასებებს იძლევა. ზოგიერთ სპეციალისტს მიაჩნია, რომ ასეთ *კ-ებს* საერთოდ არა აქვს აზრი. მიუხედავად ამისა, ამ იდეის მომხრეები ცდილობენ გამოიმუშაონ რაღაც საერთო კრიტერიუმი, თუმცა ამას ჯერჯერობით ვერ მიაღწიეს.

კოლაბორაციონიზმი თანამშრომლობა სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის. ტერმინმა ნეგატიური მნიშვნელობა შეიძინა მეორე მსოფლიო ომის დროს და მომდევნო წლებში. საფრანგეთში *კ-ისტებს* უწოდებენ იმ პირებს, რომლებიც ევროპაში ფაშისტური გერმანიის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე 1939-1945 წლებში თანამშრომლობდნენ ნაცისტებთან.

კოლონია ეს ლათინური ტერმინი თავდაპირველად აღნიშნავდა რომის იმპერიიდან გამოსულთა მიერ დაარსებულ იმპერიის გარეთა დასახლებას, განსახლების ამგვარი პრაქტიკა რომაელთა მოგონილი არ არის. რომაელებამდე მსგავს დასახლებებს ბერძნული *ქალაქ-სახელმწიფოები* ქმნიდნენ, თუმცა არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება ბერძნულ და რომაულ *კ-ებს* შორის, რასაც პირველად ადამ სმიტმა მიაქცია ყურადღება. ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოს *კ.* პოლიტიკურად დამოუკიდებელი იყო, მაშინ როდესაც რომაულ *კ-ებზე* რომის იურისდიქცია და, შესაბამისად, რომის სამართალი ვრცელდებოდა. ევროპელებმა დედამიწის სხვადასხვა კუთხეში *კ-ების* დაარსება კულტივაციისათვის ვარგისი მიწების ძიების (იტალიელებმა) ან საქონლის გასაღების ახალი ბაზრების, ისევე როგორც, იაფი ნედლეულის წყაროების მოპოვების (ბრიტანელებმა, პორტუგალიელებმა და ჰოლანდიელებმა) სურვილით დაიწყეს. *კ-ების* დაარსების სხვა წყაროები იყო ქრისტიანული პროზელიტიზმი და სამხედრო ავანტიურიზმი. სწორედ ამგვარი მოტივები ედო საფუძვლად, მაგ., ესპანეთის კოლონიალურ იმპერიას სამხრეთ ამერიკაში, რომელიც შეიქმნა „ოქროს, ღმერთისა და დიდებისათვის“.

კოლექტივიზმი ტერმინი შეესატყვისება ნებისმიერ *დოქტრინას*, რომელიც ამტკიცებს საზოგადოებრივი ინტერესების პრიორიტეტს კერძო ინტერეს-

სებზე. ამ აზრით, *კ.* უკავშირდება ყველა მოქალაქის თანასწორობის იდეას. კონკრეტულ პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან მიმართებით ტერმინი გამოიყენება „კოლექტიური პასუხისმგებლობის" კონტექსტში, რომლითაც ახასიათებენ ბრიტანეთის აღმასრულებელი ხელისუფლების სამუშაო პრინციპს. ამ პრინციპის მიხედვით, უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიღება არა ცალკეული მინისტრების, არამედ მინისტრთა მთელი *კაბინეტის* მიერ.

კოლექტიური მოქმედება 1. ინდივიდის ან სოციალური ჯგუფის მოქმედების ტიპი, რომელიც ორიენტირებულია საერთო მიზნების მიღწევაზე. **2.** კოლექტიური ქცევა. ადამიანთა ქცევა ან მოქმედება ჯგუფში ან ბრბოში, სადაც სხვა ადამიანთა ფიზიკური სიახლოვე და ზემოქმედება ქმნის სტანდარტებისგან გადახრის ტენდენციას არაორდინალური ვითარების გამო; კოლექტიური ქცევა, ძირითადად, არის ობიექტურად და უეცრად წარმოქმნილ, კრიტიკულ სიტუაციებზე ადამიანთა მასობრივი, სპონტანური რეაქციები. კოლექტიური ქცევის გარემოს ახასიათებს ინდივიდუალური ნების დაკარგვა და ჯგუფური ფსიქოლოგია, ამიტომ ასეთი მოქმედება ჩვეულებრივზე უფრო ხშირად ფეთქებადი და არაპროგნოზირებადია. პანიკა არის კოლექტიური ქცევის კლასიკური ტიპი. სტიქიური უბედურებების ვითარებების გარდა კოლექტიური ქცევა ახასიათებს *ომებს, რევოლუციებს.* ადრეულ სოციოლოგიურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ (გ. ლებონი), აგრეთვე ზოგ თანამედროვე თეორიაში (სმელზერი) ამგვარი ქცევის სხვადასხვაგვარი ფორმა, მაგ.: მასობრივი მიტინგები, ბუნტი, აჯანყება, განიხილება ნორმალური სოციალური წესრიგის მიმართ მუქარად და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალურ მოძრაობასა და *სოციალურ ცვლილებებში.*

კოლექტიური პასუხისმგებლობა დიდი ბრიტანეთის მთავრობის კაბინეტის მუშაობის პრინციპი, რომლის თანახმადაც, გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ მიიღება არა ცალკეული მინისტრების, არამედ მინისტრთა *კაბინეტის* მიერ, რომლის გადაწყვეტილებასაც აქტიურად უნდა დაუჭიროს მხარი მთავრობის ყველა წევრმა. ამ პრინციპის დაცვას დიდი ბრიტანეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რაც იქიდანაც ჩანს, რომ მის შეუსრულებლობას საჯარო გამოსვლებისა და პარლამენტში კენჭისყრის დროს, როგორც წესი, შესაბამისი მინისტრის გადადგომა მოჰყვება. *კ.-ის* პრინციპი აუცილებელია სტაბილური მართვისათვის. მას მკაცრად იცავს *ჩრდილოვანი კაბინეტიც,* რომელსაც სურს ხელისუფლების ღირსეულ მემკვიდრედ გამოიყურებოდეს. ამ პრინციპის კრიტიკოსები ალნიშნავენ, რომ იგი აფერხებს თავისუფალ დისკუსიას და *პრემიერ-მინისტრის* პოლიტიკას *ლეგიტიმურობის* ელფერს ანიჭებს, სინამდვილეში კი უმრავლესობის აზრს ეწინააღმდეგება. გამონაკლისს წარმოადგენს კაბინეტის რომელიმე წევრის მიერ კანონპროექტის შეტანის შემთხვევა, როდესაც *მთავრობაში* განსხვავებული აზრია რაიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხის შესახებ, რასაც მთავრობის გადადგომა მოჰყვება ხოლმე. მაგალითად, 1974-75 წწ. მთავრობის წევრებს მიეცათ უფლება, გაეკეთებინათ საკუთარი არჩევანი ევროპულ თანამეგობრობაში (ევროკავშირში) დიდი ბრიტანეთის შესვლის თაობაზე.

კოლექტიური უსაფრთხოება საერთაშორისო *მშვიდობისა* და *უსაფრთხოების* უნივერსალური სისტემის მოდელი, რომელიც *საერთაშორისო*

ურთიერთობების თვისებრივ შეცვლას ითვალისწინებს. *კ. უ-ის დოქტრინის* მიხედვით, უსაფრთხოების დილემის გადალახვა და *ომის* თავიდან აცილება *სახელმწიფოებს* არა *ძალთა წონასწორობის*, არამედ საერთაშორისო ინსტიტუტების ერთობლიობის შექმნით ძალუძთ. ამ ინსტიტუტების მეშვეობით სახელმწიფოებს შეუძლიათ ერთობლივ ქმედებებს მიმართონ იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც სხვების დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას ემუქრებიან. *კ. უ-ის* არსი გამოიხატება დევიზით „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის". *კ. უ-ის* დოქტრინის საფუძველზე XX ს-ის პირველ ნახევარში აშშ-ის პრეზიდენტ უილსონის ინიციატივით შეიქმნა უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია – ერთა ლიგა, რომელმაც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარება ვერ შეძლო და თავიდან ვერ აირიდა მეორე მსოფლიო ომი. ერთა ლიგის შექმნის მიზანი იყო კოლექტიური, მუდმივი და უნივერსალური ღონისძიებებით აგრესორი ქვეყნების დასჯა, რაც აგრესორის *დაშინებასა* და წესრიგის აღდგენას ითვალისწინებდა. მანჯურიისა (1931) და აბისინიის (1935) კრიზისებმა ერთა ლიგის ავტორიტეტი საფუძვლიანად შეარყია. *კ. უ-ის* სისტემის შექმნის მეორე მცდელობა იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩამოყალიბება (გაეროს) 1945 წელს. მაგრამ რიგი მიზეზების გამო (მათ შორის, გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრებისათვის *ვეტოს* უფლების მინიჭების მიზეზით) *კ. უ-ის* სისტემის შექმნა ვერ მოხერხდა. დღემდე საერთაშორისო ურთიერთობების თეორეტიკოსების კამათის საგანია ის, თუ რა გახდა *კ. უ-ის* სისტემის შექმნის განუხორციელებლობის მიზეზი – იდეის თეორიული ნაკლოვანებები თუ კონკრეტული ისტორიული მცდელობების ხარვეზები.

კოლექტიური ცნობიერება დიურკემის თანახმად, საზოგადოების სულიერი ერთობა, რომელიც არ არის ინდივიდუალურ ცნობიერებათა უბრალო ჯამი; *კ. ც.* არსებობს ინდივიდუუმებისგან დამოუკიდებლად; სოციალური ფაქტების (*ადათები*, მორალი, სამართალი, *ტრადიციები*, ცოდნა და ა. შ.) სახით უძლიერეს გავლენას ახდენს ინდივიდის ცნობიერებაზე. *კ. ც.* ქმნის მაიძულებელ მორალურ-საზოგადოებრივ გარემოს *ქცევისა* და აზროვნების ამ *საზოგადოებაში* გავრცელებული წესების მისაღებად. *კ. ც-ის* ფორმებია კოლექტიური წარმოდგენები, კოლექტიური გრძნობები. ისინი ყალიბდება ინდივიდებისთვის საერთო გრძნობების, რწმენებისა და ღირებულებების საფუძველზე და *ტრადიციულ საზოგადოებებში სოციალური წესრიგის* საფუძველია.

კოლექტიური ხელმძღვანელობა ტერმინი გამოიყენებოდა საბჭოთა პარტიული იერარქიული სისტემის მიმართ მორიგი ლიდერის, გენერალური მდივნის გარდაცვალების ან გადაყენების შემდეგ. ასე მოხდა ლენინის (1924), სტალინის (1953) გარდაცვალებისა და ხრუშჩოვის გენერალური მდივნის პოსტიდან გადაყენების შემდეგ 1964 წელს. რეალურად *კ. ხ-ის* პრინციპი კომუნისტურ პარტიაში, რომელიც თავისი იერარქიული ორგანიზაციით გასამხედროებულ ორგანიზაციას უფრო ჩამოჰგავდა, არასდროს განხორციელებულა.

კოლონიალიზმი *იმპერიალიზმის* სახეობა, რომელიც გულისხმობს უცხო მიწაზე დასახლებასა და ადგილობრივი მოსახლეობისა და ტერიტორიის დამორჩილებას. დამოკიდებულება „დედა-სახელმწიფოსა" (*მეტროპოლიას*) და *კოლონიას* შორის, როგორც წესი, ექსპლუატატორულია. ადრეულ ეპოქაში (მაგ., ძველი ბერძნების მიერ

ხმელთაშუაზღვისპირეთის, ან ნაწილობრივ ინგლისელების მიერ ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიზაციისას) *მიგრაცია* ხდებოდა პოლიტიკურად „ცარიელ“ ადგილზე და ამდენად არ განიხილებოდა როგორც ადგილობრივი მოსახლეობის ჩაგვრისა და დამონების ფორმა. შემდგომში *კ.* უცხო ტერიტორიების დაპყრობისა და *ექსპლუატაციის* სინონიმად იქცა. *კ-ის* ძირითადი თავისებურებებია უცხოელი უმცირესობის პოლიტიკური და იურიდიული დომინირება, ეკონომიკური პრივილეგიები და მათსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის რასობრივ-კულტურული განსხვავება. წმინდა იმპერიალიზმისაგან განსხვავებით, რომელიც არ გამორიცხავს სრულ *ანექსიასა* და *ასიმილაციას, კ.* გულისხმობს კოლონიის მეტროპოლისგან მეტ-ნაკლებად განცალკევებით არსებობას, რაც აუცილებელია მისი, როგორც მსახურის როლის შესასრულებლად. ისტორიულად *კ.* ევროპის სახელმწიფოების სახელთან არის დაკავშირებული და მთელი დანარჩენი მსოფლიო, აზიის რამდენიმე და აფრიკის ორი (ეთიოპია და ლიბერია) ქვეყნის გარდა, სხვადასხვა დროს ევროპის ქვეყნების კოლონია იყო. მთავარი კოლონიური სახელმწიფოები იყვნენ: პორტუგალია, ესპანეთი, ჰოლანდია, განსაკუთრებით კი დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, კოლონიებს ფლობდნენ აგრეთვე ბელგია, გერმანია, იტალია, აშშ და იაპონია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ *ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის* და *ლიბერალიზმისა* და *ნაციონალიზმის* იდეების ფართოდ გავრცელების შედეგად, აგრეთვე ხალხთა *თვითგამორკვევის* უფლების საყოველთაო აღიარების გამო 120-ზე მეტმა ქვეყანამ პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ *კ.,* როგორც სისტემა აღარ არსებობს.

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია ერთ-ერთი ძირითადი თეორია *საერთაშორისო ურთიერთობათა* მეცნიერებაში. ამ თეორიის ავტორები არიან ამერიკელი მეცნიერები რ. ქიოჰანი და ჯ. ნეი, რომლებმაც 1977 წელს გამოცემულ წიგნში „ძალა და ურთიერთდამოკიდებულება“ ჩამოაყალიბეს მისი ძირითადი პრინციპები. ეს თეორია პრინციპულად ეწინააღმდეგება *პოლიტიკური რეალიზმის* თეორიას და გვთავაზობს შემდეგ დებულებებს: თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში *სახელმწიფოს,* როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა მონაწილის როლი განუხრელად მცირდება; სახელმწიფო არ არის არც *უნიტარული* (ერთგვაროვანი) ერთეული და არც ძირითადი სუბიექტი თანამედროვე *საერთაშორისო სისტემაში;* უფრო მნიშვნელოვანია *საერთაშორისო ორგანიზაციების, ტრანსნაციონალური კორპორაციების,* არასამთავრობო ორგანიზაციების, სხვადასხვა მოძრაობათა და პიროვნებათა როლი; გარდა ამისა, *ძალა* და, კერძოდ, სამხედრო ძლიერება აღარ წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობათა განმსაზღვრელ ფაქტორს და იგი თანდათან იცვლება ეკონომიკური ძლიერების ფაქტორით; სახელმწიფოს ძირითადი მიზანი მატერიალური კეთილდღეობაა, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე *ეროვნული ინტერესები,* კერძოდ, ეკონომიკური კეთილდღეობის მიზნით სახელმწიფომ შეიძლება შეზღუდოს საკუთარი *სუვერენიტეტი* და დათმოს ზოგიერთი ინტერესი (ამის მაგალითია ევროკავშირის ქვეყნები); რაც მთავარია, თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში საერთაშორისო ურთიერთობათა სუბიექტები ისე არიან ერთმანეთზე დამოკიდებული და ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ქმნიან ერთ მთლიანობას, რომლის შენარჩუნება ყველა მათგანის ძირითადი ინტერესია; სწო-

რედ ამიტომ სახელმწიფოთა ურთიერთდაახლოება შეუქცევადი პროცესია, რაც მომავალში სულ უფრო შეამცირებს *ეროვნული სახელმწიფოს* როლს და გაზრდის საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების როლს, მოხდება *საერთაშორისო საზოგადოების* ჩამოყალიბება და სრულყოფა, ხოლო *ძალისა* და *უსაფრთხოების* პრობლემები *პლურალისტურ* საფუძველზე გადაიჭრება.

კომპროდორული ბურჟუაზია ეკონომიკურად ჩამორჩენილი ბურჟუაზიის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია უმთავრესად უცხოურ კაპიტალთან, კოლონიზატორებთან და დამოკიდებულია მასზე როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. შესაბამისად, იგი უცხოური პოლიტიკის გამტარებელია.

კომპრომისი ძალზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობით მხარეები შეთანხმებას აღწევენ ურთიერთდათმობის ხარჯზე. საკითხების ფართო სპექტრზე მხარეთა შეთანხმება თითქმის ყოველთვის *კ-ის* ხარჯზე ხორციელდება.

კომუნიზმი საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეოლოგია, რომლის მიხედვითაც როგორც ხელისუფლება, ასევე საკუთრება უნდა იყოს საზოგადოების ხელში და საზოგადოებრივი კეთილდღეობა საყოველთაოდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს. *კ-ის* იდეას ხანგრძლივი ისტორია აქვს, მის ყველაზე უფრო მკაფიო წარმომადგენლებად ბაბეფი და ოუენი ითვლებიან. მარქსისტული თეორიით, *კ.* არის საზოგადოებრივი განვითარების საბოლოო წერტილი, უკლასო საზოგადოება, რომლის თითოეული წევრი შრომობს უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში, მაგრამ მიიღებს მოთხოვნილების მიხედვით.

კომუნიკაცია ინფორმაციის გადაცემა ერთი სისტემიდან მეორეზე სიგნალების სპეციალური მატარებლებით. ადამიანთა საზოგადოებაში *კ.* ხორციელდება ინდივიდებს, ორგანიზაციებს, საზოგადოებებს, კულტურებს შორის ნიშნების სისტემათა (ენის) მეშვეობით. *კ.* ადამიანებს შორის ხორციელდება ნიშნობრივი წარმონაქმნების (შეტყობინებათა) გაცვლის მეშვეობით, რომლებშიც განივთებულია ცოდნა, აზრები, ღირებულებითი ურთიერთობები, მეკავშირე მხარეების მოლვაწეობის პროგრამები. *კ-ის* საშუალებები და ფორმები ასახავს საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და ადამიანთა ისტორიულ გამოცდილებას. იგი უზრუნველყოფს აგრეთვე სოციალური გამოცდილების დაგროვებასა და გადაცემას, შრომის განაწილებასა და ერთობლივი მოღვაწეობის ორგანიზაციას, მართვას, *კულტურის* ტრადიციის გადაცემასა და ა. შ.

კ-ის საშუალებები განსაკუთრებით განვითარდა გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან. ეს დაკავშირებულია ტექნიკური საშუალებებისა და ინფორმაციის გადაცემის ორგანიზაციული პირობების გართულებასთან, რამაც გამოიწვია მოკავშირე მხარეების უშუალო ურთიერთმოქმედების შემცირება. პრესის, ელექტრონული კავშირის (ტელეგრაფის, ტელეფონის, რადიოს, ტელევიზიის) მეშვეობით ძალზე შემცირდა მანძილი და დრო მხარეებს შორის. *კ-ის* თეორიის განვითარებამ განაპირობა კიბერნეტიკის, ინფორმატიკის, სემიოტიკის ჩამოყალიბება. *კ-ის* ცნება დღეს ცენტრალურ კატეგორიად ყალიბდება სოციალურ თეორიაში (ი. ჰაბერმასის „კომუნიკაციური მოქმედების თეორია, ნ. ლუმანის „სოციალური სისტემების თეორია“ და სხვ.). მარტივი *კ-ის* სისტემა, როგორც მინიმუმ, მოიცავს: 1. *კ-ის* ორ მონაწილეს; 2. სიტუაციას ან სიტუაციებს, რომლის გააზრებას და რის გაგე-

ბასაც ისინი ესწრაფვიან; 3. ტექსტებს, რომლებიც სიტუაციის საზრისს გამოთქვამენ ენის ან რომელიმე მოცემული სემიოტიკური სისტემის ელემენტებში; 4. ტექსტების მიმართულების მიმცემ მოტივებსა და მიზნებს.

კ. ფართო აზრით ადამიანური ცხოვრებისა და საქმიანობის ერთ-ერთი საფუძველია. იგი წარმოადგენს ინტელექტუალურ პროცესს, რომელსაც აქვს მტკიცე იდეურ-შინაარსობრივი გეგმა და დაკავშირებულია სოციალური მოქმედების განსაზღვრულ სიტუაციებთან. გამოყოფენ აგრეთვე ეგზისტენციალური *კ-ის* სახეს, რომელშიც მოიაზრება „მე"-ს, *სელფის* (Self) სხვაში – მეორე ადამიანში აღმოჩენის აქტი.

კ-ის თეორიის პრობლემების კვლევაში წამყვან როლს ასრულებს მასობრივი *კ-ების* სოციოლოგია. გამოყოფენ მასობრივ, პიროვნებათაშორის, მეცნიერულ და სხვ. კომუნიკაციებს.

კომუნიკე იხ. *საერთაშორისო კონფერენცია.*

კომუნიტარიზმი მიეკუთვნება ახალ სოციალურ მოძრაობათა რიგს. *კ.* იცავს ინდივიდის ცხოვრების სტილისა და უშუალოდ ამ სტილის გარემოცვის შექმნის უფლებებს. *კ.*, როგორც წესი, განსაკუთრებით აქტიურდება ინტენსიური მოდერნიზაციის პერიოდში, რომელსაც თან ახლავს არსებული საზოგადოებრივი ყოფის ფორმების ნგრევა. მაგალითებად შეიძლება ჩაითვალოს ევროპული რომანტიზმი და ამერიკული *კ.*: პირველი, როგორც *მძაფრი* რეაქცია სამრეწველო *რევოლუციის*, ხოლო მეორე – XX ს-ის *ურბანიზაციის* აფეთქების საპასუხოდ. თანამედროვე *კ.* კვლავ აღმოცენდა კონტრკულტურის წიაღში და მიზნად ისახავს ხარისხობრივად ახალი სოციალური წესის შექმნას, რომელიც დაფუძნებული იქნება თავისუფალი მოქალაქეების დეცენტრალიზებულ *კ-ულ* ერთობაზე და იარსებებს *თვითმმართველობის* საფუძველზე. არცთუ იშვიათად, *კ.* წარმოადგენს ალტერნატიული რელიგიური მოძრაობების არსებობის ფორმას. მთლიანობაში კი *კ-ის* მოქმედება მიმართულია მორიგი საზოგადოებრივი *კონსენსუსის* მისაღწევად.

კონდომინიუმი გარკვეული ტერიტორიის ერთობლივი მფლობელობა ორი ან რამდენიმე *სახელმწიფოს* მიერ *საერთაშორისო სამართლის* საფუძველზე. ასეთი მფლობელობის მონაწილე სახელმწიფოები ერთობლივად ახორციელებენ მოცემულ ტერიტორიაზე სახელმწიფო *სუვერენიტეტსა* და ხელისუფლებას. ეს ტერიტორია ამ სახელმწიფოების სუვერენული სივრცის ნაწილს შეადგენს. *კ-ის* მონაწილე სახელმწიფოთა სუვერენული მფლობელობის ურთიერთშეფარდება მოცემულ ტერიტორიაზე გამიჯნულია მათ შორის გაფორმებული საერთაშორისო შეთანხმებით. *კ.* პოლიტიკური და სამართლებრივი მმართველობის იშვიათი ფორმაა და ჩვეულებრივ, ხანგრძლივობით არ გამოირჩევა (მაგ., საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის *კ.* ახალი ჰებრიდის კუნძულებზე, დიდი ბრიტანეთისა და ეგვიპტის *კ.* სუდანში და ა. შ.). *კ.* უნდა განვასხვაოთ სამხედრო ოკუპაციისაგან. კერძოდ, მოკავშირეების მიერ ომისშემდგომი გერმანიის ერთობლივი მმართველობა *კ-ის* მაგალითი არ არის.

მეორე მნიშვნელობით, *კ.* ალტერნატიული მსოფლიო მოდელია, როცა დომინანტი ზესახელმწიფოები ერთობლივად, შეთანხმებით მართავენ *საერთაშორისო სისტემას.* თუმცა, ამ მნიშვნელობით ეს ცნება უფრო ფანტასტიკის სფეროს მიეკუთვნება.

კონვენციონალიზმი ოქსფორდის ლექსიკონის შესაბამისად: 1. ტენდენ-

ცია, დაცულ იქნეს კონვენციონალური ქცევის ნორმები. **2.** *კ-სადმი* მიდრეკილი ყველა მახასიათებელი, კონვენციონალური პრინციპი, იდეა, ჩვევა და პრაქტიკა. **3.** ფილოსოფიური პრინციპი, რომლის მიხედვითაც ლოგიკის პრინციპები მხოლოდ და მხოლოდ შეთანხმების საგანია. პოლიტიკური მნიშვნელობის *კ.* შეიძლება ავხსნათ, როგორც *კონსენსუსის* იდეური პლატფორმა, ინდივიდთა, ჯგუფების, *სახელმწიფოთა* და მათი ლიდერების, ყველა პოლიტიკური ძალის შეთანხმება ურთიერთმისაღებ პირობებზე, ხოლო შეძლებისდაგვარად პოლიტიკური კურსის თაობაზე.

კონვერგენცია სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური სისტემების, მათი სტრუქტურების თანდათანობითი დაახლოება ურთიერთკავშირის, თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების საფუძველზე, არსებითი წინააღმდეგობების გადალახვა და საერთო მახასიათებლების შეძენა, რაც განსაკუთრებით აქტიურდება სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების, ინტერნაციონალიზაციისა და *გლობალიზაციის* პროცესების ვითარებაში. *კ-ის* იდეა ჯერ კიდევ XX ს-ის 50-იან წლებში გაჩნდა და ფართოდ გავრცელდა თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის გავრცელებასთან ერთად. *კ.* მუშავდებოდა ჯ. გელბრეიტის, უ. როსტოუს, პ. სოროკინის, ი. ტინბერგენის და სხვ., მათ შორის ცნობილი „რომაული კლუბის" წარმომადგენლების მიერ. ისინი გამოდიან იმ მოსაზრებიდან, რომ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის განვითარება, საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროების ინტერნაციონალიზაცია, რომელიც ობიექტური რეალობაა და რომელმაც ეროვნული საზღვრები არ იცის, აუცილებლად საბოლოოდ მიგვიყვანს ახალი ტიპის, შერეული, ე.წ. ჰიბრიდული საზოგადოების შექმნამდე, რომელიც თავის თავში მოიცავს დადებითს როგორც კაპიტალიზმიდან, ისე სოციალიზმიდან. აღნიშნულის საფუძველზე, მათი აზრით, უნდა გადაწყდეს თანამედროვეობის გლობალური და ზოგადსაკაცობრიო პრობლემები. 70-იან წლებში *კ-მ* შემდგომი განვითარება და მოდერნიზაცია ჰპოვა ზ. ბჟეზინსკის, რ. ჰანტინგტონის, კ. მენერტისა და სხვ. შრომებში, წარმოიშვა იდეა ე.წ. ნეგატიური *კ-ის* შესახებ. მათი მტკიცებით, დაპირისპირებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემები ერთმანეთისაგან უპირატესად უარყოფითს და არა დადებითს იღებენ და თანამედროვე *ცივილიზაცია*, როგორც ერთი მთლიანობა, *კრიზისისაკენ* მიჰყავთ. (რ. ჰაილბრონერი, გ. მარკუზე, ი. ჰაბერმასი და სხვ.). ყოფილ სსრკ-ში *კ-ის* პროპაგანდას უწევდა და მასზე მუშაობდა ა. სახაროვი. დღეისათვის სოციალისტური სისტემის მარცხი დღის წესრიგიდან არ ხსნის *კ-ს* საკითხს, თუმცა კი სერიოზულად ცვლის მის შინაარსს და წინა პლანზე ახალ ტენდენციებსა და ასპექტებს აყენებს.

კონვერგენციის თეორია იდეა, რომლის მიხედვითაც განვითარებული, დაწინაურებული სახელმწიფოების ინდუსტრიული და ტექნოლოგიური პოტენციალის ზრდა გამოიწვევს მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურების დაახლოებას და შერწყმას მიუხედავად ისტორიული და იდეოლოგიური განსხვავებებისა. ამ თეორიის მიხედვით, (რომლის მთავარი წარმომადგენლები არიან რ. არონი და ჯ. კ. გელბრაიტი) ეკონომიკური და ტექნოლოგიური ზრდა და მართვის სრულყოფა პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში უზრუნველყოფს კეთილდღეობას, რისი მიღწევისთვისაც ხდება ლიბერალური ეკონომიკისა და სოციალიზმის დადებითი მხარეების დაახლოება და შერწყმა (*კონვერგენცია*), ხოლო კეთილდღეობის დონეს

ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევები განსაზღვრავს. *საერთაშორისო ურთიერთობებში კ. თ.* ხშირად განიხილება როგორც ტრადიციული რეალისტური მიდგომის ერთ-ერთი ვარიანტი, რომლის თანახმადაც, იდეოლოგიური განსხვავებების მიუხედავად, *დიდი სახელმწიფოები* ერთნაირად იქცევიან *ეროვნული უსაფრთხოებისა* და საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით.

კონვერსია ტერმინი ხშირად გვხვდება სამხედრო დანიშნულების, წარმოებისა და ეკონომიკის სხვა დარგების სამოქალაქო დანიშნულების წარმოებაზე გადაყვანის აღსანიშნავად ან პირიქით. (სწორედ ამ მნიშვნელობით გამოიყენებოდა ტერმინი „პერესტროიკის“ ეპოქის საბჭოთა მრეწველობის მიმართ). ის აღნიშნავს მდგომარეობას, როდესაც ომის მოთხოვნილებები ქვეყანას აიძულებს შეკვეცოს სამოქალაქო დანიშნულების მრეწველობა და გაზარდოს სამხედრო მრეწველობა (ან პირიქით). *ცივი ომის* დასრულების შემდეგ, *კ-ს* დაექვემდებარა არა მხოლოდ საბჭოთა, არამედ მისი ყოფილი მეტოქეების ეკონომიკაც.

კონიუნქტურა პირობების ერთობლიობა, მდგომარეობა, გარკვეულ სფეროში კონკრეტული მომენტისათვის არსებული სიტუაცია, მაგალითად, პოლიტიკური *კ.*, საერთაშორისო *კ.*, ეკონომიკური *კ.* და სხვ.

კონკორდატი რომის პაპის, როგორც კათოლიკური ეკლესიის მეთაურის ხელშეკრულება რომელიმე *სახელმწიფოსთან*, რომელიც არეგულირებს კათოლიკური *ეკლესიის* მდგომარეობას მოცემულ სახელმწიფოში და მის მიმართებას ვატიკანთან. ეს ტერმინი სხვა კონტექსტში შეიძლება გამოყენებული იყოს ძირითადად „შეთანხმების“ აღსანიშნავად. ასეთია საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის დადებული *კ.*, რომელშიც განსაზღვრულია მათი ურთიერთდამოკიდებულების უმნიშვნელოვანესი საკითხები. *კ.* შეიძლება შეგვხვდეს არა ეკლესიასა და პოლიტიკურ სუბიექტებს შორის ურთიერთობის აღმნიშვნელად, არამედ წმინდა პოლიტიკური მნიშვნელობითაც. ასე მაგ., მოიხსენიებენ შვიდი შვეიცარიული კანტონის *კ-ს* (1832), რომელსაც მიზნად ჰქონდა ლიბერალური და დემოკრატიული რეფორმების გატარება ქვეყნის პოლიტიკურ მმართველობაში, ქვეყნის ცენტრალიზაცია და ა. შ.

კონსენსუსი გადაწყვეტილებების ან დოკუმენტების მომზადებისა და მიღების სახე, რომლის დროსაც განსახილველი დებულება მიიღება არა კენჭისყრით, არამედ შეთანხმებით. *კ-ის* დროს რომელიმე მხარე, რომელიც თანახმა არ არის დოკუმენტის ამა თუ იმ კონკრეტული დებულების მიღებაზე, მაინც მხარს უჭერს მთელი დოკუმენტის, გადაწყვეტილების მიღებას მისი ზოგადი ხასიათიდან ან მიზნებიდან გამომდინარე. *კ.* მჭიდროდ უკავშირდება საკითხების „პაკეტში“ მიღების მეთოდს, როდესაც გადაწყვეტილება მიიღება არა დოკუმენტის ცალკეული პუნქტების მიხედვით, არამედ მთლიანად. დასავლურ პოლიტიკურ პრაქტიკაში *კ.* განსაკუთრებით ხშირად ფიგურირებს პარტიათა შორის ურთიერთობებში, როდესაც რომელიმე პრობლემის მიმართ მიღწეულია ზოგადი თანხმობა.

კონსერვატიზმი იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომლის მიზანია შეინარჩუნოს მდგრადი ტრადიციები და წინ აღუდგეს რადიკალურ ცვლილებებს. ტეთჩერის განსაზღვრებით, *კ.*, როგორც პოლიტიკური პრაქტიკა, უპირატესობას ანიჭებს ძველ და კარ-

გად შესწავლილ გზებს და არა ჯერ გამოუცდელი და არაპროგნოზირებადი ბილიკების ძიებასა და გამოყენებას. თანამედროვე ევროპული *კ.* წარმოიშვა როგორც რეაქცია განმანათლებლობასა და საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე. მიიჩნევენ, რომ *კ-ის* იდეები პირველად გადმოცემულია ბრიტანელი მოღვაწის, ედმუნდ ბერკის წერილებში. კონსერვატორებისათვის უცვლელი და პრიორიტეტული ღირებულებებია *ოჯახი, რელიგია* და *ტრადიციები.* კლასიკური, ბერკის ტიპის *კ.* ამართლებდა საზოგადოების კლასობრივ დაყოფას, რადგან მიიჩნევდა, რომ რეალურად ადამიანები არ არიან თანასწორნი. თანასწორობის ერთადერთი შესაძლო სახე, ბერკის მიხედვით, არის ზნეობრივი თანასწორობა. *კ.* ამართლებს და იწონებს კერძო საკუთრების არსებობას და მას ინდივიდის თავისუფლების საფუძვლად მიიჩნევს. განსხვავებულად განიხილავენ კონსერვატორები ადამიანსაც. *განმანათლებლობის* საპირისპიროდ, ისინი ადამიანს ნაკლოვან არსებად მიიჩნევენ, რომლის ბუნებისთვისაც განმსაზღვრელია არა გონება (მისი წილი უმნიშვნელოა ადამიანის მოღვაწეობაში), არამედ ზნეობა, ჩვევები, *ტრადიციები* და მოთხოვნილებები. ადამიანთა თანაცხოვრების სახელმწიფოებრივი ფორმა დიდი დროის განმავლობაში, თანდათანობით ყალიბდება და მკვეთრი, რევოლუციური ცვლილებები დამლუპველი იქნება მისთვის. ამიტომ, კონსერვატორები, რომლებიც შეიძლება დათანხმდნენ *სახელმწიფოში* გარკვეული *რეფორმების* ფრთხილ გატარებას, საზოგადოებრივი ცხოვრების ევოლუციურ განვითარებას, ყოველთვის ეწინააღმდეგებიან ყოველგვარ *რევოლუციას.*

კონსერვატიული პარტიის სახელწოდება პირველად დიდ ბრიტანეთში გამოიყენეს *ტორების* მიმართ 1832 წელს პარლამენტში გამართული საარჩევნო რეფორმის ირგვლივ გამართული დებატების შემდეგ. თანამედროვე პოლიტიკურ სპექტრში წმინდა სახის (ბერკის ტიპის) *კ.* აღარ არსებობს. სინამდვილეში გვაქვს კონსერვატიული პარტიების ფართო სპექტრი, ბრიტანეთში კონსერვატიული, შტატებში რესპუბლიკური, გერმანიაში ქრისტიან-დემოკრატებისა და სხვათა სახით.

კონსტიტუცია სახელმწიფოს ძირითადი *კანონი,* რომელიც მოიცავს ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივი მოწყობის საფუძვლებს, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, განათლებისა და სახელმწიფოებრივი ორგანოების ფუნქციონირების სისტემას, პრინციპებსა და მექანიზმს, *საარჩევნო სისტემის* საფუძვლებსა და სხვ. *კ.* არის ქვეყნის მთლიანი კანონმდებლობის საფუძველი და მას უმაღლესი იურიდიული ძალა აქვს. ჩვეულებრივ, *კ.* შემუშავებულია *პარლამენტის,* ან სპეციალური ორგანოს (დამფუძნებელი კრების, საკონსტიტუციო კომიტეტის, სათათბიროს) მიერ და მტკიცდება პარლამენტის, დამფუძნებელი კრების მიერ ან *რეფერენდუმის* საშუალებით. ზოგიერთ შემთხვევაში *კ-ს* ადგენენ მონარქები, *პრეზიდენტები* და ისინივე ამტკიცებენ. ასეთ *კ-ებს* ოქტრირებულს უწოდებენ. შეცვლის საშუალების მიხედვით განასხვავებენ რბილ და მყარ *კ-ებს.* მეორე, პირველისაგან განსხვავებით, ცვლილებებისა და დამატებების შეტანის უფრო მკაცრ, განსაკუთრებულ წესებს ითვალისწინებს. ზოგიერთ ქვეყანას საერთოდ არა აქვს *კ.,* როგორც განსაკუთრებული დოკუმენტი (მაგ., დიდ ბრიტანეთს), თუმცა რეალური კონსტიტუციური მოწყობა გამყარებულია სხვა კანონებით.

კონსტრუქტივიზმი იხ. *სოციალური კონსტრუქტივიზმი.*

კონტენტ-ანალიზი რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდი, რომელიც დაკავშირებულია მედიის შინაარსის (ინფორმაციის) შესწავლასთან, როდესაც ხდება მისი კლასიფიკაცია ფორმალიზებული პრინციპით. *კ.-ა-ის* ობიექტი შეიძლება გახდეს გაზეთების, საჯარო გამოსვლების, ტელე და რადიოგადაცემების, ოფიციალური და პირადი დოკუმენტების, *ინტერვიუების*, *ანკეტის* ღია *კითხვებზე* პასუხების და ა. შ. შინაარსი. დასაწყისში მკვლევრები შეიმუშავებენ კატეგორიათა ჯგუფს (სერიას), ე. წ. „საზრისისეულ ერთეულებს". ეს ის ერთეულებია, რომელთა არსებობა (ან არარსებობა) აინტერესებს მკვლევარს შესასწავლ საინფორმაციო მასივში (მაგალითად, განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში გამოსული გაზეთის ნომრებში). „საზრისისეული ერთეულები" (კატეგორიები) შეიძლება იყოს: პიროვნების განსაზღვრული თვისებები, სოციალური სტატუსი, სპეციფიკური სოციალური ურთიერთობები, ინფორმაციის ავტორის პოზიცია და ა. შ. რამდენადაც ერთი და იგივე საზრისისეული ერთეული შეიძლება გამოიხატოს განსხვავებული ენობრივი ხერხებით, საჭიროა განისაზღვროს ამა თუ იმ კატეგორიის კონკრეტული ემპირიული ინდიკატორები. ბოლოს ხდება აღრიცხვის ერთეულების განსაზღვრა, რაც შეიძლება იყოს: მოხმარებული სიტყვის სიხშირე, სტრიქონების რაოდენობა, რომლებიც ეთმობა მოცემული საზრისისეული ერთეულის აღწერას, საგაზეთო სვეტის მოცულობა, გადაცემის ხანგრძლივობა და სხვ. ეს საშუალებას იძლევა, მიღებულ იქნეს განსაზღვრული რაოდენობრივი მონაცემები, რომლებიც დაექვემდებარება კომპიუტერულ დამუშავებასა და სტატისტიკურ ანალიზს. მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება დადგინდეს, რა ხასიათის, ღირებულებითი ორიენტაციის, *იდეოლოგიის* (მსოფლმხედველობის) საინფორმაციო მასალასთან გვაქვს საქმე. *კ.-ა-ის* პრობლემა ისაა, რომ რთულია როგორც საზრისისეული ერთეულების განსაზღვრა, ასევე გასაანალიზებელი მასალის „მოთავსება" შესაბამის კატეგორიებში.

კონტექსტი **1.** ზოგადად: კონკრეტული სიტუაციისთვის დამახასიათებელი მოვლენები და პროცესები, რომლებიც გავლენას ახდენს ინდივიდის ქცევაზე; **2.** სპეციფიკური *გარემოებები*, რომელშიც ან რომლის დროსაც ხდება მოქმედება ან მოვლენა; **3.** ლინგვისტიკაში: ტექსტის ფრაგმენტი შესაბამისი ერთეულებით (სიტყვა, ფრაზა, წინადადება), რომელიც აუცილებელი და საკმარისია ტექსტის ზოგადი აზრის გასაგებად; **4.** კულტურის მეცნიერებებში: *კ-ად* შეიძლება მიჩნეულ იქნეს მთლიანად *კულტურა* ან კულტურის რომელიმე ასპექტი. არჩევენ ვერბალურ და არავერბალურ *კ-ს*; *კომუნიკაციის* პროცესში ფონური ან *კოგნიტური* ინფორმაციის პრიორიტეტის მიხედვით არჩევენ ძლიერად *კ-ურ* (ან მაღალკონტექსტურ) და სუსტად *კ-ურ* (ან დაბალკონტექსტურ) კულტურებს. სუსტი *კ-ურობა* არის მოვლენა, რომელიც ინფორმაციის გაცვლისას ორიენტირებულია კოგნიტურ სტილზე. ასეთ *კ-ში* წამყვანია მეტყველების სისწრაფე, ცნებათა სიზუსტე და მოლაპარაკის ლოგიკურობა – აქ არ ენდობიან იმას, რაც ვერბალურად მკაფიოდ ფორმულირებული არაა. ამ ტიპის *კ.* დასავლურ კულტურებს ახასიათებს. ძლიერად *კ-ურ* კულტურებში არსებითი ისაა, ვისთან და რა ვითარებაში ხდება კომუნიკაცია და არა იმდენად ის, რას ამბობენ. ძლიერკონტექსტურად მიიჩნევენ აღმოსავლურ კულტურებს, სადაც დამახასიათებელია მეტყველების ნაკლები კონკრეტულობა და არაკატეგორიული ფორმები.

კონტრკულტურა *კ-ს* ხშირად ალ-

ტერნატიულ *კულტურასაც* უწოდებენ, რითაც აღინიშნება *სუბკულტურის* ის ფორმა, ანუ ღირებულებებისა და ნორმების ის სისტემა, რომელიც არათუ განსხვავდება გაბატონებული კულტურისაგან, არამედ უპირისპირდება კიდეც მას. *კ.* შეიძლება შეიქმნას საერთო ინტერესების ან სოციალური გამოცდილების საფუძველზე, რომელიც მკვეთრად განსხვავებულია იმისაგან, რასაც *საზოგადოების* უმრავლესობა „ჩვეულებრივად" ან „ნორმალურად" მიიჩნევს. განსაზღვრული *კ-ის* არსებობას პროცესუალური და კონტექსტუალური ხასიათი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი დაპირისპირება გაბატონებულ კულტურასთან შეიძლება შესუსტდეს ან საერთოდ გაქრეს კიდეც. *კ.* ხშირად ასოცირდება ისეთ ალტერნატიულ კულტურასთან, როგორიც იყო ჰიპების მოძრაობა XX ს-ის 60-იან წლებში, თუმცა, იგი შეიძლება შეიქმნას პოლიტიკური პრინციპების გარშემოც, როგორიცაა, მაგალითად, მწვანეთა მოძრაობა (იხ. *სუბკულტურა*).

კონტროლის ლოკუსი როტერის მიერ შემოტანილი ცნება, რომელიც აღწერს ადამიანის გენერალიზებულ მოლოდინს ან რწმენას იმის თაობაზე, თუ რას მიიჩნევს იგი საკუთარი წარმატება-წარუმატებლობის წყაროდ – ენდოგენურ თუ ეგზოგენურ ფაქტორებს. მისი შეფასება ხდება მახასიათებლით „ძლიერი ინტერნალობა – ძლიერი ექსტერნალობა". ინტერნალები ის ადამიანებია, რომლებიც მართვის წყაროს თავის თავში ათავსებენ, შესაბამისად, მიიჩნევენ, რომ საკუთარი ბედის კონტროლი შეუძლიათ, ამიტომ, თავიანთი ქცევებისა და შეხედულებების გამო პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ილებენ; ექსტერნალები არიან ისინი, რომლებიც საკუთარ თავს გარედან მართულად განიცდიან, შესაბამისად, საკუთარ წარმატება-წარუმატებლობას გარეშე ძალებს მიაწერენ. აქ არ იზომება რეალური მართვის წყარო – არსებითია არა ის, ნამდვილად მოდის თუ არა რეალური კონტროლი ენდოგენური ან ეგზოგენური წყაროებიდან, არამედ ამ წყაროთა ინდივიდისეული აღქმა.

კონფედერალიზმი *ინტეგრაციის* სხვა თეორიების მსგავსად, შეიძლება გავიგოთ როგორც პროცესიც და როგორც საბოლოო მდგომარეობაც. როგორც პროცესი იგი მთავრობათშორისი მართვის (intergovernmentalism) სახელითაა ცნობილი. ამის მაგალითია ევროკავშირის მთავრობათშორისი კონფერენციები, რომელიც არსებითი ფაქტორი იყო ინტეგრაციული პროცესების წარმართვისათვის. როგორც საბოლოო მდგომარეობა *კ.* კონფედერატული კავშირების ანუ *კონფედერაციის* სახითაა წარმოდგენილი.

კონფედერაცია ორი ან რამდენიმე *სახელმწიფოს* ისეთი კავშირი, როდესაც მასში შემავალი სახელმწიფოები სრული სახით ინარჩუნებენ საკუთარ *სუვერენიტეტს* და *საერთაშორისო სამართლის* სუბიექტებად რჩებიან. *კ.* თვითონაც მონაწილეობს *საერთაშორისო ურთიერთობებში* როგორც სუბიექტი და აქვს საერთაშორისო სამართალსუბიექტის ნიშნები, მაგრამ შეზღუდული სახით.

კ-ის ჩამოყალიბება ფორმდება საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომლის საფუძველზეც *კ-ს* გადაეცემა უფლებამოსილება გარკვეულ სფეროებში. ჩვეულებრივ, ეს სფეროებია: ომი და ზავი, საგარეო პოლიტიკა, შეიარაღებული ძალები, შესაძლოა მათ განეკუთვნებოდეს აგრეთვე საფინანსო პოლიტიკა და ა. შ. მაგრამ იმის გამო, რომ *კ-ის* წევრი სახელმწიფოები სუვერენიტეტს ინარჩუნებენ, გადაწყვეტილებები *კ-ისათვის* გადაცემული კომპეტენციის ფარგლებშიც მისი ყველა

სუბიექტის თანხმობის შემთხვევაში მიიღება.

კ-ის ორგანოები იქმნება იმის მიხედვით, თუ რა კომპეტენცია განუსაზღვრეს *კ-ს* მისმა სუბიექტმა სახელმწიფოებმა, თუმცა კონფედერაციის ცენტრალური ორგანოები სრული სახით მაინც არ ემსგავსება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, რადგან მათი გადაწყვეტილებების განხორციელება დამოკიდებულია სუბიექტების ნებაზე, რომლებსაც შეუძლიათ უარი განაცხადონ *კ-ის* მიერ მიღებული გადაწყვეტილების რეალიზაციაზე.

კ. გარდამავალი ტიპის რთული სახელმწიფოა, რომელიც ზოგიერთი გამონაკლისის გარდა ან ფედერაციაში გადაიზრდება (აშშ 1776-1787, შვეიცარია 1815-1848), ან იშლება (გამბია და სენეგალი 1982-1989).

კონფლიქტი ზოგადად, შეხედულებების დაპირისპირება-შეჯახება. სოციოლოგიაში *კ.* ნიშნავს განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებს, პიროვნებებსა და ინტერესებს შორის ბრძოლას. *კ.* არსებობს მაშინ, თუკი ერთ პიროვნებას რამდენიმე შესაძლო, ერთმანეთის გამომრიცხავი ქცევის არჩევანი აქვს, ანუ შესაძლო ქცევებიდან მხოლოდ ერთის არჩევაა შესაძლებელი (ინტრაპერსონალური *კ.*). *ფსიქოანალიზში* *კ.* წარმოდგენილია როგორც ინტრაპერსონალური დაპირისპირება მოთხოვნილებებსა და პრინციპებს შორის (დაპირისპირება რეალობასა და სიამოვნებას შორის). ანტაგონისტური *კ.* მოცემულია მაშინ, როცა შეურიგებელი და უკომპრომისო მხარეები ერთმანეთს უპირისპირდებიან და ვერ აღწევენ შეთანხმებას (*მარქსიზმში: კლასობრივი ბრძოლა*). თუ *კ.* არ მიდის გადაწყვეტამდე, მაშინ ის იწვევს სოციალური სისტემის დეზინტეგრაციას. არსებობს, ასევე, *კ-ის* სხვა სახეობიც, მაგ., ინდუსტრიული, ინსტიტუციონალური, ლატენტური და ა. შ.

კონფლიქტის თეორია ზოგადი ტერმინი, რომელიც აერთიანებს სოციოლოგიურ მიდგომათა ფართო სპექტრს. კონფლიქტის სოციოლოგიური თეორიები უპირისპირდებიან ფუნქციონალისტურ მიდგომებს. *კ. თ-ის* თანახმად, კონფლიქტი ყოველგვარი საზოგადოების მოუცილებელი ნიშანია, რადგან *საზოგადოებაში* არსებობს დეფიციტური რესურსები, რომელზეც ყველა სოციალურ ჯგუფსა და პიროვნებას ხელი არ მიუწვდება. მარქსისტები ყურადღებას ამახვილებენ კლასობრივ კონფლიქტზე, რომელიც ეკონომიკური რესურსების განაწილების საფუძველზე ჩნდება. მაქს ვებერის მიმდევრები ხაზს უსვამენ კონფლიქტს, რომელიც წარმოიშობა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის სტატუსისა და *ძალაუფლებისათვის* კონკურენციის საფუძველზე.

კონფლიქტოლოგია *საერთაშორისო ურთიერთობების*, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ერთ-ერთი ქვედარგი, რომელიც საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი ძალადობრივი *კონფლიქტების* მიმდინარეობისა და მათი მოგვარების პრობლემებს შეისწავლის. *კ.* თეორიებსა და კვლევის მეთოდებს რამდენიმე განსხვავებული სამეცნიერო დისციპლინისაგან სესხულობს. *საერთაშორისო ურთიერთობების* მეორე ქვედარგის, *სტრატეგიული კვლევებისაგან* განსხვავებით, *კ.* საერთაშორისო ურთიერთობების *პლურალისტულ* პარადიგმას ეყრდნობა და *სახელმწიფოს* კონფლიქტის უმთავრეს მოქმედ პირად არ მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, *კ-ის* კვლევის ობიექტს არ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტები და *ომები*. კონფლიქტების მიზეზების ანალიზისა და გადაწყვეტის გზების ძიებისას *კ.* მხარეებისაგან მოითხოვს: 1) თავიანთი მიზნების იმგვარად განსაზღვრას, რომ მათი მიღწევა კონფლიქ-

ტის გარეშე გახდეს შესაძლებელი; ან 2) თავიანთი ურთიერთობების ისე შეცვლას, რომ მიზნები ერთმანეთს აღარ ეწინააღმდეგებოდეს. არა მარტო კონფლიქტების კვლევისას, არამედ მათი გადაწყვეტისასაც *კ.* სამეცნიერო და აკადემიური წრეების აქტიურ ჩარევას მოითხოვს. ამ მიზნისათვის იგი აქტიურად იყენებს სოციალური ფსიქოლოგიის მიღწევებს.

კონფორმიზმი *კ. პოლიტიკაში* გულისხმობს შემგუებლობას არსებულ რეჟიმთან, გაბატონებულ შეხედულებებთან პასიურ შეგუებას; ხასიათდება საკუთარი თვალსაზრისის, პოზიციის არარსებობით, იმით, რომ ის არაპრინციპულად მიჰყვება ნებისმიერ, სულ უფრო მზარდი ძალით თავსმოხვეულ შეხედულებებს.

კონფორმულობა სოციალური ქცევის ტიპი, რომელსაც ახასიათებს შემგუებლობა, მოვლენათა, ნორმატიული დანაწესებისა და შესაბამისი წესრიგის, მოსაზრებების, ღირებულებების, წარმოდგენების პასიური მიღება; საკუთარი პოზიციის უქონლობა; მეტნაკლები წნეხის ძალის მქონე ნებისმიერი ნიმუშის თუ სტერეოტიპის უპრინციპო და უკრიტიკო მიღება. *კ-ში* გულისხმობენ: ა) ინდივიდის განწყობებისა და ქცევების შესაბამისობას სოციალური ჯგუფის მოლოდინებსა და ნორმებთან; ბ) განწყობებისა და ქცევის შეცვლას სოციალური ჯგუფის მხრიდან წნეხის (რეალური, ნაგულისხმევი ან წარმოსახული) გამო; გ) ინდივიდის მიერ უთანხმოებათა ცნობიერად თავის არიდების ტენდენციას ფაქტობრივი ან ფორმალური თანხმობის დასამკვიდრებლად. სოციალური ფსიქოლოგები გამოყოფენ *კ-ის* ორ ტიპს: 1) ინტერიორიზაციას, როცა ხდება ჯგუფის აზრის მიღება და გაშინაგნება; 2) დამორჩილებას, როცა ადამიანი გარეგნულად ეთანხმება, მაგრამ შინაგანად – არა. მერტონის თვალსაზრისის თანახმად, არსებობს *კულტურით* განსაზღვრული მიზნებისა და მათ მისაღწევად ინსტიტუციურად დადგენილი საშუალებებისადმი ინდივიდის ადაპტაციის ხუთი ტიპი; კონფორმიზმი ადაპტაციის ერთ-ერთი ძირითადი ტიპია და ვლინდება ვითარებაში, როცა ინდივიდისთვის მთლიანად მისაღებია კულტურული მიზნებიც და მათი მისაღწევი ინსტიტუციური წესებიც; შესაბამისად, კონფორმისტული ქცევა სტაბილური სოციალურ-კულტურული გარემოს მახასიათებელია. მერტონის აზრით, სანამ სოციალური სწრაფვების კანონიერი გზით განხორციელების შანსი არსებობს, კონფორმისტი *დევიანტურ* ქცევას არ მიმართავს.

კონცეპტი ცნება, მენტალური კატეგორია, რომელიც გამოიყენება მოვლენების, ობიექტების, სიტუაციების, ქცევისა და ადამიანთა კლასიფიკაციისთვის იმის შესაბამისად, რაც აღიქმება (ან მიიჩნევა) ზოგად თვისებებად; აზროვნების ფორმა ან აზრი, რომელიც საგნებსა (სინამდვილის მოვლენებს) და მათ შორის კავშირებს ასახავს განზოგადებული ფორმით ზოგადი და სპეციფიკური ნიშნების ფიქსაციის მეშვეობით.

კონცერტის სისტემა *საერთაშორისო ურთიერთობების* თანამშრომლობითი სისტემა, რომელიც ევროპაში 1815 წელს „ევროპის კონცერტის" (Concert of Europe) სახელწოდებით ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა და რომელიც ისტორიაში წინასწარი განზრახვით შექმნილ პირველ *უსაფრთხოების* საერთაშორისო რეჟიმს წარმოადგენდა. ეს სისტემა არ იყო ფორმალურად ინსტიტუციონალიზებული, მაგრამ მას ჰქონდა საერთაშორისო ურთიერთობების მართვის მიზანი და ამ მიზნის მისაღწევი საშუალებები. *კ. ს-ის* მთავარი მიზანი იყო

ძალთა წონასწორობის მართვა იმგვარად, რომ ნაპოლეონის შემდგომი ხანის ევროპაში *მშვიდობა* შენარჩუნებულიყო. ევროპის კონცერტს ძალთა წონასწორობის დაცვის ორი საშუალება ჰქონდა – საერთაშორისო კონფერენციები და ე.წ. კომპენსაციის პრინციპი. კომპენსაციის პრინციპი გულისხმობდა *ძალთა წონასწორობის* ხელოვნურად შენარჩუნებას, ანუ როდესაც ერთ-ერთი ევროპული ქვეყანა ევროპაში ან მის ფარგლებს გარეთ ტერიტორიას (ან კოლონიას) ჩაიგდებდა ხელში, კომპენსაციის პრინციპის მიხედვით, ამ შენაძენის ტოლფასი ტერიტორია სხვებსაც უნდა მიეღოთ. საერთაშორისო კონფერენციები ევროპის კონცერტის მიერ ძალთა წონასწორობის შენარჩუნების მეორე ინსტრუმენტი იყო. საერთაშორისო კონფერენციები დროდადრო ევროპის ქვეყნებს შორის სადავო საკითხების მოსაგვარებლად იმართებოდა.

კორელაცია **1.** სტატისტიკაში – ორ ან მეტ ცვლადს შორის კავშირი, რომლის დროსაც ერთი ცვლადის მნიშვნელობის სისტემატურ ზრდას თან სდევს მეორის მნიშვნელობის სისტემატური ზრდა ან კლება. ასეთი სტატისტიკური კავშირი ტრადიციულად გამოიყენება ერთი ცვლადის მეტნაკლებად მოსალოდნელი მნიშვნელობის სავარაუდოდ იმ პირობებში, როცა მეორე ცვლადის მნიშვნელობა ცნობილია. რაც უფრო დიდია *კ.* (ანუ *კ-ის* კოეფიციენტი რაც უფრო – მეტია ნულზე), მით უფრო მეტია ვარაუდის სიზუსტის სანდოობა. **2.** მოვლენათა შორის ნებისმიერი კავშირი, რომლის დროსაც ერთი ცვლადის ცვლილებების კვალდაკვალ ვლინდება ზოგიერთი თანმდევი ან დამოკიდებული ცვლილება მეორეში (ან სხვა ცვლადებში). ორივე სახის გამოყენებისას ივარაუდება ცვლადებს შორის მიზეზობრივი კავშირი. *კ-ები* ცვლადთა შორის კავშირის დამტკიცებაა. *კ-ები* ვარაუდობს, მაგრამ აუცილებლობით არ გულისხმობს, რომ ცვლილებები ერთ ცვლადში წარმოქმნის ან იწვევს ცვლილებებს მეორე ცვლადში (ან ცვლადებში).

კორუფცია ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ქცევის სტანდარტების უარყოფა არაკანონიერი პირადი სარგებლის მიღების მიზნით. კორუფციული ქმედება ბევრ *საზოგადოებაში* ჩვეულებრივი მოვლენაა. გავრცელებული მოსაზრებით, *კ-ს* ნაწილობრივ ხელს უწყობს მართვის ბიუროკრატიული სისტემა. ბოლო პერიოდში *კ-ის* პრობლემას სულ უფრო ხშირად უკავშირებენ *კულტურის* ორიენტაციის ტიპს (*კოლექტივიზმს* და *ინდივიდუალიზმს*). მეცნიერთა ერთი ჯგუფის თვალსაზრისით, კოლექტივისტური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ლოიალობა ოჯახისა და შიდა ჯგუფისადმი, რაც იწვევს შიდაჯგუფური ღირებულებების შეჭრას სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში, ხელს უწყობს და აძლიერებს *კ-ის* ტენდენციას; მეცნიერთა მეორე ნაწილის თვალსაზრისით, *კ-ის* ხელშემწყობი არა იმდენად კულტურული ფაქტორია, რამდენადაც ცალკეულ მმართველთა სიხარბე, საერთაშორისო პოლიტიკური და ფინანსური ინტერესები, სილარიბე და გაუნათლებლობა, აგრეთვე ძალაუფლებრივი დისტანცია საზოგადოებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს თვალსაზრისები ურთიერთგამომრიცხავი არაა. ჩამოთვლილ ფაქტორთა გარდა, გარკვეულ კულტურებში, კულტურული ტრადიციის შესაბამისად, ჯგუფურ მორალსა და ზნეობას (უკონფლიქტობა – ელასტიკურობა ურთიერთობებში და შიდა ჯგუფის გარე ჯგუფისგან გამომყოფი საზღვრების ხელშეუხებლობა) კანონის ტოლფას ღირებულებას ანიჭებენ. ამ ფაქტის გათვალისწინებით, ბოლო

დროს მკვლევრები *კ-ის* ტენდენციას ხშირად ეთიკასთან მიმართებაში განიხილავენ, შესაბამისად, ემპირიული კვლევები მიმართულია კულტურის ტიპსა და კორუფციას შორის კავშირის გამოვლენაზე და ეყრდნობა სოციალური ორიენტაციების, კერძოდ, შიდა ჯგუფის ღირებულების მნიშვნელობას. კვლევებმა გამოავლინა ინდივიდუალიზმის ძლიერი კავშირი ბიზნესში ეთიკის მაღალ დონესა და სუსტ *კ-იასთან*, აგრეთვე კულტურული რელატივიზმის პრობლემები – არ არსებობს *კ-იასთან* ბრძოლის ერთადერთი სწორი გზა, განსხვავებული კულტურიდან შეტანილი ღირებულებებისა და სტანდარტების დანერგვა უშედეგოდ მთავრდება, ამიტომ კორუმპირებული კულტურის დახმარება ნიშნავს *კ-იასთან* ბრძოლას კულტურული ნესების გათვალისწინებით.

კოსმოპოლიტიზმი მსოფლიო მოქალაქეობის იდეოლოგია. *კ.* სხვადასხვა ეპოქაში სტიქიურად თუ მიზანდასახულად ყალიბდებოდა ამა თუ იმ (ვთქვათ, ალექსანდრე მაკედონელის ან რომის) იმპერიის იდეოლოგიად. შუა საუკუნეებში *კ-ს* ნერგავდა კათოლიკური ეკლესიაც. განმანათლებლობის ეპოქაში *კ-ის* საშუალებით ინერგებოდა ინდივიდუალური თავისუფლებების იდეა. *კ-ს* ხშირად უპირისპირებენ *ნაციონალიზმს* როგორც მის სრულ ანტიპოდს, რადგან *კ.* უარყოფს ნაციონალურ *ტრადიციებსა* და *კულტურას, პატრიოტიზმსა* და *ნაციონალური სახელმწიფოს* იდეას.

კოპირტა იხ. *თაობა.*

კრიზისი უეცრად წარმოშობილი მასობრივი პრობლემა, რომლის გადაწყვეტა შეუძლებელია დიდი ძალისხმევის (სიძნელეების გადალახვის) გარეშე. სოციოლოგიაში განასხვავებენ *კ-ის* რამდენიმე სახეს:

ლეგიტიმაციის *კ.:* თანამედროვე პოლიტიკური სისტემების ტენდენცია, რომელიც დამოკიდებულია პოლიტიკური სისტემების თანხმობაზე, მხარი დაუჭირონ პოლიტიკურ ავტორიტეტებს, რაც რთულ პრობლემებს უკავშირდება. იურგენ ჰაბერმასი საუბრობს თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების *კ-ის* სამ მთავარ ტენდენციაზე: 1. ეკონომიკური *კ.* წარმოიშობა იმის გამო, რომ *სახელმწიფო,* რომელიც უნდა მოქმედებდეს როგორც „სამართლისა და ღირებულებების არაცნობიერი აღმასრულებელი", ამის მაგიერ ფუნქციონირებს როგორც „გაერთიანებული მონოპოლიური კაპიტალის" დაგეგმვის აგენტი. 2. რაციონალობის *კ.* ნიშნავს „ადმინისტრაციული რაციონალობის დარღვევას". ეს ხდება 1) ცალკეული კაპიტალისტის (კაპიტალის მონოპოლისტური და არამონოპოლისტური ფორმების) ინტერესთა შეჯახების შედეგად, 2) სისტემისათვის უცხო სტრუქტურების გაჩენით, მაგ., როგორიცაა საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფა. 3. ლეგიტიმაციისა და მოტივაციის *კ.,* რომელსაც საფუძვლად უდევს ადმინისტრაციული ჩარევების პოლიტიზაცია.

ასევე არსებობს ცხოვრების შუა ეტაპის *კ.,* რომელიც დაკავშირებულია 40 წლის ასაკს გადაცილებული ადამიანების შეშფოთებებსა და ეჭვებთან პირად მომავალთან მიმართებაში.

ქალაქის *კ.:* (ტერმინი შემოიტანა მანუელ კასტელსმა), რომლის თანახმადაც, კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი პერიოდული *კ-ები* ყველაზე მკაფიოდ *ქალაქებში* ვლინდება, რადგან სწორედ ქალაქია *კლასობრივი ბრძოლის* ძირითადი ასპარეზი. ქალაქის *კ.* წარმოიშობა მაშინ, როცა კეთილდღეობის არსებული დონე აღარ აკმაყოფილებს ქალაქის მცხოვრებთა საბაზისო მოთხოვნილებებს.

სოციოლოგიაში ასევე გაარჩევენ პროფესიონალიზმის *კ-ს,* რაც შესაბა-

მისი კვალიფიკაციის მქონე მუშაკთა დეფიციტს ნიშნავს.

კ. საერთაშორისო ურთიერთობებში გულისხმობს საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეთა შორის ურთიერთდამოკიდებულების მოკლე პერიოდს, რომელიც მასში ჩაბმული და დაინტერესებული ქვეყნების მომავალი ურთიერთობებისთვის გადამწყვეტ მომენტად აღიქმება. საერთაშორისო *კ-ის* ანალიზისას ორი მიდგომა გამოიყენება. პირველი მათგანი *კ-ის* დროს გადაწყვეტილების მიმღები ცალკეული პირების მიერ ვითარების აღქმას, მათ მოტივებსა და ქცევას აქცევს ყურადღებას. მეორე მიდგომა საერთაშორისო *კ-ს* სტრუქტურული თვალსაზრისით განიხილავს და ყურადღებას მონაწილე მხარეთა (*ძირითადად სახელმწიფოების*) ურთიერთქმედებაზე და ამ ურთიერთქმედების შედეგებზე ამახვილებს. პირველ შემთხვევაში გამოიყენება *ბიუროკრატიული პოლიტიკის* ანალიზის, მეორე შემთხვევაში კი ფორმალური მოდელირების მეთოდები (*იხ. თამაშების თეორია*).

კრიტიკული თეორია *საერთაშორისო ურთიერთობების* ტრადიციული თეორიების წინააღმდეგ შექმნილი ლიტერატურა, რომელშიც უარყოფილია საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც მეცნიერების ცალკე დარგის არსებობა. *კ. თ-ის* წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზი უფრო ფართო სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ და ფილოსოფიურ კონტექსტში უნდა მოხდეს და არა ერთი დისციპლინის ფარგლებში. *კ. თ.* ასოცირდება ე.წ. ფრანკფურტის სკოლის ფილოსოფიურ ტრადიციასთან და მის დამაარსებელ იურგენ ჰაბერმასთან. ჰაბერმასი *სოციალური წესრიგის* როგორც ეპისტემოლოგიურ, ისე ონტოლოგიურ საფუძვლებს აყენებდა ეჭვქვეშ. საერთაშორისო ურთიერთობებში ამ სკოლის წარმომადგენლებმა *ნეორეალიზმისა* და *ნეოლიბერალიზმის* ტრადიციული მიმდინარეობის წინააღმდეგ გაილაშქრეს. *კ. თ.* ამ ორ მიმდინარეობას ე.წ. „განმანათლებლობის პროექტის“ ნაწილად განიხილავს და მიიჩნევს, რომ განმანათლებლობამ ადამიანი არათუ გაათავისუფლა, არამედ დეჰუმანიზაციამდე მიიყვანა. *საერთაშორისო ურთიერთობების* სფეროში *კ. თ-ის* წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ თეორიული კვლევის საფუძველი უნდა იყოს არა საერთაშორისო პროცესების „ახსნა“ ან „გაგება“, არამედ მათი ცვლილებისათვის ხელშეწყობა.

კროსკულტურული კვლევა იგივეა რაც კროსკულტურული ანალიზი ან კიდევ შედარებითი სოციალურ-მეცნიერული კვლევა. სოციალურ-კულტურულ კვლევაში გაანალიზებულია განსხვავებული *კულტურისა* და, შესაბამისად, *საზოგადოების* სტრუქტურები და ასევე სოციოლოგიური კვლევის მონაცემები. ეს მონაცემები შეიძლება იყოს პოლიტიკური, კულტურული და სოციალური ხასიათის. მსგავსი კვლევით დაკავებულია სოციოლოგიის ერთ-ერთი დარგი, რომელსაც შედარებითი სოციოლოგია ეწოდება.

კულტი (პიროვნების) პოლიტიკური მოღვაწის როლის გადაჭარბებული გაზვიადება, მისთვის ისტორიის მსვლელობაზე გადამწყვეტი ზეგავლენის მიწერა. პიროვნების ისტორიული როლისა და ფუნქციების ამგვარი შეფასება ენინააღმდეგებოდა მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, რომლის მიხედვითაც ისტორიას ქმნიან არა გმირები, არამედ ხალხი. პიროვნების *კ.* საბჭოური ტერმინია, რომელიც გამოიყენებოდა საბჭოთა სახელმწიფოში XX საუკუნის 30-50-იან წლებში გაბატონებული სტალინური რეჟიმის დასაგმობად. კომპარტიის XX ყრილობა-

ზე პარტიის ახალმა ლიდერმა ნიკიტა ხრუშჩოვმა ტერმინი გამოიყენა როგორც სტალინის პიროვნული მოღვაწეობის ნეგატიური მახასიათებელი. ამითვე ხრუშჩოვი მიანიშნებდა პარტიის ახალ პოლიტიკურ კურსზე, რომლისთვისაც განმსაზღვრელი უნდა ყოფილიყო კოლექტიური მმართველობა.

კულტურა წარმოდგება ლათინური ზმნიდან 'colo', რაც (ნიადაგის) მოვლას, დამუშავებას, ზრუნვას ნიშნავს. *კ-ის* ცნების განსაზღვრებაში არ არსებობს ერთსულოვნება. საკმარისია ითქვას, რომ დღეისათვის ოთხასამდე დეფინიციას ითვლიან. თუმცა შეიძლება გამოიყოს *კ-ის* ცნების განსაზღვრების სამი ძირითადი ელემენტი: 1. *კ.* ისაა, რაც გადაეცემა. ის სოციალური მემკვიდრეობა, ანუ სოციალური ტრადიციაა. ამ ნიშნით *კ.* განსხვავდება სოციალური სისტემისაგან, რამდენადაც *კ.* შეიძლება ვრცელდებოდეს ერთი სოციალური სისტემიდან მეორეზე; 2. *კ.* ისაა, რასაც სწავლობენ. *კ.* არაა ადამიანის გენეტური ბუნების გამოვლენა, ის სოციალიზაციის პროცესში შეძენილი ნორმების ერთობლიობაა; 3. *კ.* საყოველთაოდ მიღებულია, ანუ ის საზოგადოებისათვის საერთო ნორმებისა და ღირებულებების სისტემაა. ამრიგად, *კ.*, ერთი მხრივ, სოციალური ურთიერთქმედების პროდუქტია, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ურთიერთქმედებათა სახეების დეტერმინანტი. გუდენაუ გამოყოფს *კ-ის* შემადგენელ ოთხ ელემენტს: 1. ენობრივი ფენომენები (ცნებები, კონცეპტები), რომლებიც ადამიანის (ჯგუფის) გამოცდილების რელევანტურია, რამდენადაც ამ გამოცდილების მოწესრიგებასა და ორგანიზებას ახდენს; 2. ცნებებს შორის მიზეზ-შედეგობრივი და ფუნქციონალური კავშირების გამომხატველი ურთიერთობები; 3. ღირებულებები, რომლებიც დაკავშირებულია მიზნებთან, რისი მიღწევისკენაც საზოგადოება მიისწრაფის; 4. წესები და ნორმები, რომლებიც არეგულირებს ადამიანთა ქცევას ღირებულებებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. წესებთან დაკავშირებულია სანქციები, რომლებიც ითვალისწინებს დასჯას ან წახალისებას ნორმების დარღვევის ან შესრულების შემთხვევაში.

კულტურული დიფუზია *ინოვაციის* გავრცელება მისი აღმოცენება-წარმოშობის ადგილიდან მეზობელ რეგიონებში *კულტურათა* შორის კავშირურთიერთობების მეშვეობით; სოციალურ *ანთროპოლოგიაში, ეთნოგრაფიაში, კულტუროლოგიაში, სოციოლოგიაში* სესხებისა და კულტურის გავრცელების პროცესებს ერთი ცენტრიდან სხვებში (დაპყრობის, ვაჭრობის, *კოლონიზაციისა* თუ *მიგრაციის* გზით) საზოგადოებრივი განვითარების საფუძვლად მიიჩნევენ.

კულტურული რელატივიზმი თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, *კულტურა* შეიძლება გაგებულ იქნეს მხოლოდ მისი საკუთარი ღირებულებებისა და ნორმების მისივე კონტექსტში ანალიზის საფუძველზე. არ არსებობს ე. წ. „სანიმუშო" კულტურა, ან უნივერსალური ღირებულებები, რომელთა საფუძველზეც გაიზომება ამა თუ იმ კულტურის ვარგისიანობა. შეუძლებელია სხვადასხვა კულტურისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალობის „თარგმნა" ისეთი ტერმინებით, რომლებიც მისაღები იქნება ყველგან და ყველასთვის. ამ თვალსაზრისის თანახმად, შეუძლებელია კულტურათა შეფასება, როგორც „უფრო მაღალის" ან „უფრო პროგრესულის", კულტურები უბრალოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ყველა მათგანი უნიკალური და შეუცვლელი ღირებულების მქონეა.

კულტურული უნივერსალია ცხოვრების წესის ყოველგვარი გამოვლინე-

ბა (ღირებულებები, ქცევის წესები, სტანდარტები და ა. შ.), რომელიც ყველა ადამიანურ *კულტურას* ახასიათებს.

ლ

ლავირება რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ოსტატური მანევრირება, წინააღმდეგობების გადალახვის უნარი. ტერმინი აგრეთვე გულისხმობს პოლიტიკოსის თვისებას, თავი აარიდოს საპირისპირო პოლიტიკურ ძალასთან შეჯახებებს, კონფრონტაციულ მოქმედებებს.

ლეგალობა ამ ცნებით ვებერთან აღნიშნება *ლეგიტიმური* (კანონიერი) წესრიგის ერთ-ერთი ფორმა, დანარჩენ ორთან – ტრადიციულსა და ქარიზმატულთან ერთად. *ლ. ბატონობის* რაციონალური ტიპია, იგი ისეთ *სოციალურ წესრიგს* გულისხმობს, რომელიც ეფუძნება არსებული სამართლებრივი და ფორმალური ნორმების კანონიერების რწმენას. ლეგალური ბატონობის განხორციელების ძირითადი ინსტრუმენტია *ბიუროკრატიის* განსაკუთრებული ტიპი – ფორმალურ-რაციონალური ბიუროკრატია. ეს უკანასკნელი გულისხმობს წესების ფორმალურად დადგენილ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს მართვის ერთგვაროვნებას და კერძო შემთხვევებისადმი ზოგადი ინსტრუქციების გამოყენებას. ფორმალურ-რაციონალური ბიუროკრატია მოითხოვს უპიროვნო („ანონიმურ") ადმინისტრაციულ მოღვაწეობას და ურთიერთობათა ემოციურ ნეიტრალობას, როდესაც ინდივიდი („ფუნქციონერი") არის სოციალური ძალაუფლების მატარებელი, რომლის რეალიზებას დადგენილი ლოგიკა და ჩარჩოები აქვს.

ლეგიტიმაცია მმართველობის ამა თუ იმ სისტემის მიერ შემოღებული კანონიერების დამკვიდრებისა და აღსრულების ისეთი ფორმა, რომელიც მისაღებია მოცემული ქვეყნის მოქალაქეებისათვის. ტერმინი ამ მნიშვნელობით პოლიტიკურ მეცნიერებებში შემოვიდა ვებერის სოციოლოგიიდან. ვებერისათვის *ლეგიტიმურობა* გულისხმობს სხვადასხვა ხელისუფლებათა განხორციელების საფუძვლად არსებულ რეალურ განსხვავებებს. კერძოდ, არსებობს ხელისუფლების დაფუძნებისა და განხორციელების სამი სხვადასხვა ფორმა. ხელისუფლება, ჩვეულებრივ, ემყარება ან *ტრადიციას*, ან *ქარიზმას*, ან, ბოლოს, რაციონალურ კანონიერებას, რაც, თავის მხრივ, გამოიხატება იმ ნორმების რაციონალურობის რწმენაში, რომელთა დამკვიდრებასაც ხელისუფლება ცდილობს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოსახლეობა ემორჩილება არა ქარიზმატულ ან ტრადიციულად ხელისუფლების მქონე პოლიტიკურ ლიდერს, არამედ დეპერსონალიზებულ, აბსტრაქტულ კანონიერებას. *ლ-ის* ეს ფორმა აგრეთვე გულისხმობს მორჩილებას ცალკეული, სათანადო პოსტების მქონე ხელისუფალთადმი, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათი განკარგულებანი თავსდება აბსტრაქტული კანონიერების ფარგლებში და მოკლებულია მათ პიროვნულ ინტერესებს. ხელისუფლების განხორციელების სამივე ფორმა გულისხმობს *ლეგიტიმურობის* ერთ საერთო ნიშანს – რწმენას, რომ არსებული პოლიტიკური ინსტიტუტები ოპტიმალურია საზოგადოებისათვის. იმის თაობაზე, თუ რამდენად არსებითია ეს ნიშანი ხელისუფლების განხორციელებისათვის, რეალურ წარმოდგენას გვიქმნის ამა თუ იმ ქვეყნის უმცირესობის მიერ გაჩაღებული კონფლიქტები, რომლებიც წარმოიქმნა ან *სახელმწიფოში რელიგიის* ადგილის და ფუნქციის საკითხის ირგვლივ, ან ეკონომიკური და პოლი-

ტიკური უფლებების მშრომელთა ფართო მასებზე გავრცელების მოთხოვნით და ან ნაციონალური შემოსავლის სამართლიანი განაწილების საკითხის გამო. არსებული ხელისუფლების ლეგიტიმურობის უგულებელყოფის ალნიშნული მოტივები დასავლური სამყაროსათვის დამახასიათებელი იყო XIX-XX სს-ების მიჯნაზე. XX ს-ში *ცივი ომის* დასასრულიდან აქტუალობა შეიძინა მოსახლეობის უმცირესობის მიერ ქვეყნებში არსებული ტერიტორიული დაყოფის ლეგიტიმურობის აუღიარებლობამ, რასაც მოჰყვა მწვავე კონფლიქტები კავკასიაში, ბალკანეთში, ესპანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში.

ლეგიტიმურობა ფართო აზრით, ნიშნავს *სოციალური წესრიგის*, მოქმედების, მოქმედი პირის ან ხდომილების აღიარებასა და გამართლებას, უფრო ზუსტად, მათი კანონიერების რწმენას. ხშირად მას უპირისპირებენ *ლეგალობას* (მაგ., კ. შმიდტი), როგორც საკუთრივ კანონიერს, ანუ იმას, რაც გამოხატულია იურიდიული ნორმებით. ამ კატეგორიებს უკავშირდება აგრეთვე *ლეგიტიმაციის* ცნება, რომელიც სოციალური წესრიგის ღირსებისა და ღირებულების აღიარების პროცესია. ლ. სოციოლოგიაში დაამკვიდრა მაქს ვებერმა. ვებერის თანახმად, სოციალური ურთიერთობის შინაარსს შეიძლება ეწოდოს „*ლეგიტიმური წესრიგი*" იმ შემთხვევაში, თუ ადამიანთა ქცევა ორიენტირებულია მკაფიოდ განსაზღვრულ „მაქსიმებზე", რომლებიც მნიშვნელადია ინდივიდებისათვის და მათ მიერ ჩაითვლება სავალდებულოდ და მისაბაძ ნიმუშად. სოციალური წესრიგის უზრუნველმყოფი ლეგიტიმური ნორმების მნიშვნელადობა შენარჩუნდება იმ შემთხვევაშიც, თუ ამ ნორმებს არღვევენ, ამიტომ დამრღვევი იძულებულია დაფაროს თავისი დანაშაული. სოციალური წესრიგის ლ. შეიძლება გარანტირებულ იქნეს როგორც შინაგანად, ისე გარეგანად. შინაგანად იგი გარანტირებულია აფექტური, ღირებულებით-რაციონალური და რელიგიური მოტივებით. პირველი შემთხვევა არსებული წესრიგის მიმართ ემოციური ერთგულებაა, მეორე შემთხვევა – მისი უცვლელობის რწმენა, რამდენადაც წესრიგი მიიჩნევა უპირობო (აბსოლუტური) ღირებულებების გამოხატულებად, მესამე შემთხვევა – იმის რწმენაა, რომ მოცემული წესრიგის შენარჩუნებაზე დამოკიდებულია ადამიანთა უმაღლესი სიკეთე და ხსნა. *ლ-ის* გარეგანი მაგარანტირებელი ფაქტორებია შეთანხმებულობა და სამართალი. პირველი მათგანი *ლ-ის* გარანტიას ქმნის იმის რწმენით, რომ წესრიგისაგან ნებისმიერ გადახრას მოჰყვება გაკიცხვა ადამიანთა განსაზღვრული წრის შიგნით, რომელიც ამ წესრიგს მნიშვნელადად და კანონიერად თვლის. მეორე ფაქტორი გულისხმობს ადამიანთა სპეციალური ჯგუფის არსებობას, რომლის ფუნქციაა წესრიგის დაცვა ძალის გამოყენების საშუალებით (იხ. *მნიშვნელადობა*).

ლ. მთავრობის მიერ ქვეყნის მართვის უფლების საერთაშორისო აღიარებაა. ლ. ხშირად უფრო პოლიტიკური საკითხია, ვიდრე სამართლებრივი. *ლ-ის* დოქტრინა უკავშირდება ეკვადორისა და შეერთებული შტატების პრეზიდენტების ტობარისა და უილსონის სახელებს. თავდაპირველად *ლ-ის* აღიარების საჭიროება დადგა იმ შემთხვევებთან დაკავშირებით, როდესაც ქვეყანაში მთავრობა იცვლებოდა ქვეყნის *კონსტიტუციით* გაუთვალისწინებელი მეთოდებით, როგორიცაა *სახელმწიფო გადატრიალება* ან *რევოლუცია*. მოგვიანებით ვუდრო უილსონმა შემოიღო „დემოკრატიული ლეგიტიმურობის" ცნება, რომელიც ხალხის მიერ აღიარებული რეჟიმისათვის, თუნდაც იგი არაკონსტიტუციური გზით ყოფილიყო ხელისუფლებაში

მოსული, ლეგიტიმური სტატუსის მინიჭებას ითვალისწინებდა. *საერთაშორისო ურთიერთობებში* ლ. დაკავშირებულია არა მარტო ცალკეულ მთავრობასთან, არამედ მთელ *საერთაშორისო სისტემასთანაც,* რომელშიც ყველა სახელმწიფო სტატუს-კვოს აღიარებს და არც ერთი მათგანი სისტემის რევოლუციური გარდაქმნის მოთხოვნით არ გამოდის.

ლესბიანიზმი იხ. *ჰომოსექსუალიზმი.*

ლიბერალიზმი ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული იდეური და სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს პიროვნების თავისუფლების დაცვა, ჰუმანიზმი და დემოკრატიზმი, საბაზრო მეურნეობა, მეწარმეობის თავისუფლება, კონკურენცია სახელმწიფოს მინიმალური ჩარევით, ზომიერი რეფორმატორობა, რაციონალიზმი, შემწყნარებლობა, პარლამენტარიზმი, ინდივიდუალიზმი, კოსმოპოლიტიზმი, ტრადიციებისაგან დამოუკიდებლობა და სხვ. *ლ-ის* იდეები აქტიურად მუშავდებოდა ჯერ კიდევ XVII-XVIII სს-ში, მაგრამ როგორც დამოუკიდებელი, განსაკუთრებული მიმართულება, რომელმაც ფართო გაქანება მიიღო, იგი XIX ს-ის 30-40-იან წლებში ჩამოყალიბდა, განსაკუთრებით კი ლიბერალური პარტიის გაჩენასთან დაკავშირებით. დღეს ბევრი ასეთი პარტია მმართველია ან კოალიციური მთავრობის შემადგენლობაშია. 1947 წელს ამ პარტიათა უმრავლესობა გაერთიანდა და ჩამოაყალიბა ლიბერალური ინტერნაციონალი, რომელმაც მიიღო „ლიბერალების მანიფესტი". მათ შესაბჭ�ევროპარლამენტში. *ლ-სთვის* დამახასიათებელია პიროვნების თვითფასეულობების აღიარება და ყველა ადამიანის სანყისი თანასწორობა, მოქალაქეთა თავისუფლების, უფლებებისა და პასუხისმგებლობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლა, ხალხის მმართველობა, კონსტიტუციონალიზმი, კანონიერება და სამართლის დაცვა, ხელისუფლების დანაწილება, სახელმწიფოს აღქმა როგორც ორგანოსი, რომელიც დაფუძნებულია საზოგადოების წევრებთან საერთო *კონსენსუს*ზე, პიროვნების თავდაპირველი უფლებების დაცვასა და მის პირად ცხოვრებაში ჩაურევლობაზე. ლ. ცალსახოვანი არ არის. მან სერიოზული ევოლუცია განიცადა კლასიკური *ლ-დან* XIX-XX სს-ების *ნეოლიბერალიზმამდე.* თანამედროვე მსოფლიოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური, სოციალურ-პოლიტიკური და სხვ. გლობალური, ძირეული ცვლილებების გავლენით იგი დღესაც განიცდის ევოლუციას. სხვადასხვა ეტაპზე სერიოზულად იცვლებოდა *ლ-ის* დამოკიდებულება და ურთიერთქმედება ერთი მხრივ, *კონსერვატიზმთან* და, მეორე მხრივ, *სოციალ-დემოკრატიზმთან.* ისტორიული და თანამედროვე *ლ-ის* ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან: ლოკი, მონტესკიე, კანტი, ჯეფერსონი, ა. სმიტი, დიდრო, ბენტამი, სპენსერი, ჯ. ს. მილი, ს. მ. ლიპსეტი, პოპერი, ფ. ჰაიეკი, ჰ. ალბერტი და სხვ.

ლიბერალური დემოკრატია პოლიტიკური კულტურის ლიბერალურ-დემოკრატიული მოდელის ფაქტორები, ფორმირების ეტაპები და ევოლუცია, ძირითადად, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისა და ევოლუციის ეტაპებს ემთხვევა. უფრო მეტიც, ამ სამი კომპონენტის ერთობლიობა ქმნის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემას. ლ. დ. დაკავშირებულია კაპიტალისტური განვითარების პროცესში ახალი, შუა საუკუნეებისაგან განსხვავებული მსოფლმხედველობის დაფუძნებასა და *ლეგიტიმაციასთან,* სადაც ინ-

დივიდი მიჩნეულია *სოციალური მოქმედების* თავისუფალ, დამოუკიდებელ ერთეულად. მის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს *პლურალიზმი*, რომელიც *სამართლებრივი სახელმწიფოსა* და *სამოქალაქო საზოგადოების* უმნიშვნელოვანესი მახასიათებელიცაა. აუცილებელია, აგრეთვე გვახსოვდეს, რომ თავისუფლება ითვალისწინებს როგორც ხელისუფლების მრავალი ცენტრის არსებობას, რომლებიც ზღუდავს როგორც სახელმწიფოს ერთმმართველობას, ასევე, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური არჩევნის შესაძლებლობას, რაც თავისთავად წარმოუდგენელია არსებობის საშუალებების ალტერნატიული წყაროების გარეშე. თუ *ტოტალიტარულ* და *ავტორიტარულ* სისტემებში *სახელმწიფო* დომინირებს *საზოგადოებაზე*, ამ შემთხვევაში, პირიქით, საზოგადოება დომინირებს სახელმწიფოსა და მის ინსტიტუტებზე.

ლიბერტარიანიზმი იდეურ-პოლიტიკური მიმართულება, რომლისთვისაც დამახასიათებელია *სახელმწიფოს* როლისა და ფუნქციების აბსოლუტურ მინიმუმამდე დაყვანა. ამ რწმენას საფუძვლად უდევს კერძო საკუთრებისა და *საბაზრო ეკონომიკის* პრინციპების ჯანსაღი სოციალური ცხოვრების ბაზისურ პრინციპებად გამოცხადება. *ლ-ის* თავდაპირველი მნიშვნელობის მეორე ძირითადი ნიშანი იყო თავისუფალი ნების კულტივირება: ლიბერტარიანელები გამოდიოდნენ ადამიანის ბუნებრივი მოტივაციით ნაკარნახევი ქცევის ნებისმიერი შეზღუდვის წინააღმდეგ, სულერთია, საქმე ეხებოდა *ოჯახს*, *რელიგიას*, თუ სახელმწიფოს. ტერმინის თანამედროვე გაგებაში ამგვარი მნიშვნელობები იშვიათად გვხვდება, თუმცა შემორჩენილია რწმენა, რომ ადამიანებს, რიგ უფლებებთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, აქვთ კერძო საკუთრების უფლება. რაც შეეხება თანამედროვე *ლ-ის* დამოკიდებულებას სახელმწიფოსთან, ითვლება, რომ ადამიანი უნდა ემორჩილებოდეს სახელმწიფოს იმდენად, რამდენადაც ეს განხორციელდება თავად ადამიანის სურვილის საფუძველზე ან, ყოველ შემთხვევაში, ამით არ დაირღვევა ადამიანის ბაზისური თავისუფლებები. ლიბერტარიანული იდეები შეიცავს ანარქისტული იდეოლოგიის ელემენტებს, თუმცა მათი გაიგივება *ანარქიზმთან*, რომელიც საერთოდ სახელმწიფოს მოსპობის მომხრეა, არასწორი იქნებოდა. ლიბერტარიანელები სულაც არ უარყოფენ სახელმწიფოს საჭიროებას თანამედროვე საზოგადოებისათვის. პირიქით, ისინი ქადაგებენ სახელმწიფოსა და მმართველობის როლის მინიმუმზე დაყვანის, „ღამის დარაჯი" სახელმწიფოს (რომელიც ასრულებს მხოლოდ პიროვნების უსაფრთხოების, ხელშეკრულებების შესრულების გარანტის და ქვეყნის საგარეო საფრთხისაგან დაცვის ფუნქციებს) რეანიმაციის იდეას.

ლიდერი პიროვნება, რომელსაც მოცემული ჯგუფის ინტერესების დასაკმაყოფილებლად ერთობლივი მოქმედებებისათვის, ინტეგრაციის მიზნით, ძალუძს სხვაზე ზემოქმედების მოხდენა. *პოლიტიკაში* მოქმედების მასშტაბისა და ხასიათის მიხედვით ასხვავებენ სამი ტიპის *ლ-ს*: 1. მცირე ჯგუფის *ლ.*, 2. საზოგადოებრივი მოძრაობის (ორგანიზაციის, *პარტიის*) *ლ.*, 3. პოლიტიკოსი, რომელიც მოქმედებს ძალაუფლების ურთიერთობების სისტემაში, სადაც პოლიტიკური *ლიდერობა* სოციალური ინსტიტუტის სახით არის წარმოდგენილი.

ლიდერობა ჯგუფურ პიროვნებათაშორის ურთიერთობათა სისტემაში დომინირება-დაქვემდებარების, გავლენა-მიმდევრობის მიმართებები. კვლევის შედეგად გამოიყო *ლ-ის* რამდენიმე

სტილი და შეიქმნა რამდენიმე კონცეფცია. ბეილსის ლიდერის როლთა თეორიის შესაბამისად, არსებობს *ლიდერის* ორი ტიპი: საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირებული „პროფესიონალი" და ურთიერთობრივ პრობლემათა გადაწყვეტაზე ორიენტირებული „სოციალურ-ემოციური სპეციალისტი"; თვისებების თეორიის მომხრეთა აზრით, *ლ-ისთვის* ადამიანი უნდა ფლობდეს სპეციფიკურ სალიდერო უნარ-თვისებებს, ასეთი მიდგომის ერთ-ერთი ვარიანტია *ლ-ის* ქარიზმული კონცეფცია; ინტერაქციულ თეორიათა მომხრეების თვალსაზრისით, ლიდერი შეიძლება გახდეს პიროვნებათაშორისი ურთიერთქმედების სისტემაში ადგილის მქონე ნებისმიერი ადამიანი გარკვეული პირობების გათვალისწინებით (მისი ინდივიდუალური თავისებურებები, ჯგუფის სხვა წევრთა აზრი მასზე, ჯგუფის სტრუქტურა, შექმნილი სიტუაცია, შესასრულებელი ამოცანა და სხვ.); სიტუაციური თეორიის (ანუ ჯგუფურდინამიკური მიდგომის) პოზიციით, ლ. ჯგუფში შექმნილი სიტუაციის პროდუქტია, შესაბამისად, მრავალგვარ სიტუაციაში, ურთიერთობებზე ორიენტირებულთან შედარებით, საქმეზე ორიენტირებული ლიდერი უფრო შედეგიანია, ზომიერად სასიკეთო სიტუაციებში კი მეტ წარმატებას ურთიერთობებზე ორიენტირებული ლიდერი აღწევს; სინთეტური (კომპლექსური) თეორიის მომხრეები ყურადღებას ამახვილებენ პიროვნებათაშორის ურთიერთობათა პროცესის ძირითად ელემენტებზე – ლიდერებზე, მიმდევრებსა და სიტუაციაზე. *ლ-ის* პრობლემაზე აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, არავინ დავობს იმაზე, რომ ლიდერები მართლაც გამოირჩევიან სხვა ადამიანებისგან გარკვეული მახასიათებლებით, მათ შორის: *ლ-ის* მოტივაციით – მათ სურთ გაიყოლონ ადამიანები და გავლენას ახდენდნენ მათზე; კოგნიტური უნარებით – შეუძლიათ დიდი მოცულობის ინფორმაციის გადამუშავება და ინტერპრეტაცია; შემგუებლობით – შეუძლიათ თავის მიმდევართა და სიტუაციის ცვალებად მოთხოვნებთან შეგუება. ქარიზმული ლიდერები ზეგავლენას ახდენენ მათდამი განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო, რაც მათ მიმდევრებში სპეციფიკურ რეაქციებს იწვევს, კერძოდ: მეტ გულმოდგინებასა და შრომისუნარიანობას, ლიდერისადმი დიდ ერთგულებას, ლიდერის იდეების მიმართ ენთუზიაზმს, საერთო საქმისათვის საკუთარი ინტერესების მსხვერპლად მიტანასა და სხვ. ამას გარდა, არჩევენ ლიდერის სხვა ტიპებსაც: ავტორიტარულს – ცდილობს ქვეშევრდომთა მოქცევას თავისი გავლენის ქვეშ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას სხვების მონაწილეობის მაქსიმალურ შესუსტებას ან სულაც მათ ჩამოცილებას; მკაცრად აკონტროლებს სამუშაოს შესრულებას, სუბიექტურად აფასებს შედეგებს და სხვ. პიროვნულად ახასიათებს აგრესიულობა, მაღალი თვითშეფასებისა და პრეტენზიის დონე, სწრაფვა სტერეოტიპთა მიდევნებისკენ, სუსტი რეფლექსია და ა. შ.; მისგან განსხვავებით, დემოკრატი ლიდერი ორიენტირებულია ქვეშევრდომთა აზრის მოსმენასა და გათვალისწინებაზე, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას – მათ აქტიურ მონაწილეობასა და ინიციატივაზე; სამუშაოს შესრულებაში მომთმენია განსხვავებული და შემოქმედებითი მიდგომის მიმართ და სხვ.

ლინგვისტური სოციოლოგია სოციოლოგიის დარგი, რომელიც ენას განიხილავს, უპირველეს ყოვლისა, სოციალურ მოვლენად, ადამიანთა საზოგადოებრივ მდგომარეობასთან, საქმიანობის სფეროსთან, განათლებასთან და ა. შ. დაკავშირებულ ურთიერთობათა საშუალებად. ენის სოციალური ბუნე-

ბა ჯერ კიდევ ლოკის, ვიკოს, ჰუმბოლდტის და სხვათა მიერ იყო აღნიშნული. შემდგომ სოციოლოგები და სოციალური ფსიქოლოგიის წარმომადგენლები უდიდეს ინტერესს იჩენდნენ ლინგვისტური მოღვაწეობის წარმმართველი, სოციალურად განსაზღვრული წესების მიმართ და ნაკლებად აინტერესებდათ ენის ფორმალური თავისებურებები. მათი ძირითადი ინტერესის საგანს წარმოადგენდა ენობრივ ფენომენთა სოციალური ბუნება. სოციალური ფსიქოლოგები ყურადღებას ამახვილებდნენ სამეტყველო ურთიერთობებზე, სოციოლოგები კი – ენისა და არალინგვისტური სტრუქტურების ურთიერთმიმართებების შესწავლაზე (მაგალითად, *კლასი* და *გენდერი*). XX ს-ის 50-იანი წლებიდან დაიწყეს ენის ფუნქციონირების შესწავლა სხვადასხვა ურთიერთობრივ სიტუაციაში (მაგ., სხვადასხვა რანგის ადამიანთა ურთიერთობებში ემოციების გამოხატვა, საზოგადოების მიერ დაწესებულ ქცევის ფორმებსა და ნორმებში, საზოგადოებრივ და რელიგიურ ცერემონიებში და სხვ.). ბერნშტეინმა აჩვენა, რომ სოციალურ ურთიერთობათა სხვადასხვა ფორმა აჩენს ლინგვისტური ნორმების განსხვავებულ ფორმებს, ამდენად, ინდივიდის მეტყველებაში აისახება მისი წარმომავლობა თუ აღზრდის პირობები (მაგალითად, სკოლაში მუშათა ფენიდან გამოსული ბავშვები ლინგვისტურ ნორმებს შეზღუდულად იყენებენ, რაც განაპირობებს მათ წამგებიან პოზიციებს). განსაკუთრებული შესწავლის ობიექტი გახდა *მასმედიის* სამეტყველო თავისებურებები (საზოგადოებრივი გამოსვლების, პროპაგანდის, რეკლამის სტილი), მისი ზემოქმედება მოსახლეობის სხვადასხვა ფენაზე და ა. შ. უფრო გვიანდელ და თანამედროვე ეტაპზე *ლ. ს.* დაინტერესდა ვერბალურ ურთიერთობებში საუბრის სტრუქტურირებისა და გამონათქვამთა თანმიმდევრობასთან დაკავშირებული წესებით (დიალოგური ანალიზი), ხოლო ეთნომეთოდოლოგია – კომუნიკაციური ინტერაქციის წარმმართველი „თავისთავად მოცემული" წესებით (გარფუნკელი, საქსი და სხვ.) *ლ. ს.* სპეციალურად იკვლევდა გენდერსა და ენას შორის კავშირს და გამოავლინა ქალის ჩაგვრა, რასაც მხარს უჭერს ენობრივი ურთიერთობის პროცესი. „*ფემინიზმის* მეორე ტალღამ" ბიძგი მისცა ამ საკითხის ახალი ლინგვისტური მეთოდებით შესწავლა-გაშუქებას. XX ს-ის 60-იანი წლების ძირითადი პრობლემებიდან (რწმენათა განზოგადებული სისტემების, მაგ., *რელიგიის* შესწავლა) დღეს მეცნიერთა ყურადღება მიპყრობილია კონკრეტულ საზოგადოებებში საგანთა, ადამიანთა და მოქმედებათა ყოველდღიურ მეტყველებაზე, ანუ საერო კლასიფიკაციათა შესწავლაზე.

ლობიზმი გულისხმობს საკანონმდებლო ორგანოსა და *სახელმწიფოს* მაღალი რანგის ჩინოვნიკებზე ზემოქმედების პრაქტიკას, რომლის მიზანია შესაბამისი ჯგუფების ინტერესების კვალად სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა (გარკვეული კანონპროექტების, სახელმწიფო შეკვეთების, სუბსიდიების მიღება, რელიგიური ან ქალთა ინტერესების დაცვა და ა. შ.). ამ მიზნით დასავლეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში, არსებობს სააგენტოების განვითარებული ქსელი, რომლებიც გამოხატავს მსხვილი კომპანიების, პროფკავშირებისა თუ სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების ინტერესებს. ლობისტებად, როგორც წესი, აპყავთ პროფესიონალი შუამდგომლები, რომლებიც მუშაობენ პოლიტიკისა და პოლიტიკური რეკომენდაციების სფეროში საკონსულტაციო ბიუროებსა და კომპანიებში. ლობისტი შეიძლება აყვანილი იყოს ხელშეკრუ-

ლებით ან საკუთარი ინიციატივით წარმოადგენდეს გარკვეულ ინტერესჯგუფს.

ლოზუნგი მონოდება, რომელიც გამოხატავს ამა თუ იმ პოლიტიკური მოძრაობის სახელმძღვანელო იდეის შინაარსს, ამოცანას, მოთხოვნას. ტერმინი შეიძლება გამოიყენებოდეს სხვა მნიშვნელობითაც. XX ს-მდე აღნიშნავდა პირობით საიდუმლო სიტყვას, რომელსაც ახმიანებდნენ საკონტროლო გამშვებ პუნქტებზე.

ლონგიტუდური კვლევები ერთი და იმავე ჯგუფის შესწავლა, რაც გულისხმობს დაკვირვებას დროის გარკვეული ინტერვალებით. ამ მეთოდის მეშვეობით ხდება დაკვირვება ჯგუფის, ორგანიზაციის შიგნით ცვლილებებზე დროის გარკვეულ პერიოდში. ცვლილების მიზეზობრივი ფაქტორი უშუალოდ იმ მონაცემთა საფუძველზე შეისწავლება, რომლებიც ცვლილებებამდე და მათ მერე მოხდა.

ლონგწრფივი ანალიზი სტატისტიკური ანალიზის მეთოდი, რომელიც, ჩვეულებრივ, ჯვარედინი ტაბულაციის დროს გამოიყენება. იგი გარდაქმნის არაწრფივ მოდელებს წრფივად ლოგარითმების საშუალებით. რამდენადაც სოციალური მონაცემები ძირითადად ნომინალური ან რომელიმე რიგისაა, ამდენად, ვერ შეესატყვისება და ვერ აკმაყოფილებს სტატისტიკური მეთოდების მოთხოვნებს. ლ. ა. არის მიზეზობრივი მოდელირების საშუალება, რომელიც გულისხმობს მოდელების შემოტანას მონაცემთა შემოწმების მიზნით და გრძელდება სასურველის მოძიებამდე.

ლუმპენი (ლუმპენ-პროლეტარიატი) მუშათა და სხვ. დემორალიზებული, დეკლასირებული ნაწილი. ფენა, რომელიც საზოგადოების ფსკერზე იმყოფება (მათხოვრები, მაწანწალები, ბომჟები, დამნაშავეები, პარაზიტული ელემენტები და სხვ.) და შეგუებულია თავის მდგომარეობას. მათ არ ძალუძთ დამოუკიდებელი ბრძოლა თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. *ლ-ების* რიცხვი მკვეთრად იზრდება საზოგადოების განვითარების კრიზისულ პერიოდში, განსაკუთრებით კი ეკონომიკური კრიზისის, უმუშევრობის, სოციალურ-პოლიტიკური ანომიისა და სხვა დროს. როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, *ლ-ები*, თავისი სოციალურ-პოლიტიკური ორიენტაციის გაურკვევლობის გამო სრულიად სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური ძალების მხარეზე შეიძლება აღმოჩნდნენ (შემარცხენე, ანარქისტული, ფაშისტური) და ავტორიტარული თუ ტოტალიტარული იდეოლოგიისა თუ პოლიტიკის წყაროდ და რეზერვად იქცნენ.

ლურჯსაყელოიანები ტერმინი გამოიყენება ფიზიკური შრომისა და მომსახურების სფეროს (თუმცა, ამ უკანასკნელთ, ზოგჯერ რუხსაყელოიანთა სახელითაც მოიხსენიებენ) მუშაკთა აღსანიშნავად და მუშათა კლასის სინონიმია.

მ

მაგია 1. იმ ნეს-ჩვეულებათა ზოგადი აღნიშვნა, რომლის საფუძველია ბუნების საგნებზე, ცხოველებსა და ადამიანებზე ზებუნებრივი ძალებით ზემოქმედების რწმენა. **2.** შედეგის მისაღწევად რიტუალიზებული საშუალებებით ზებუნებრივი და სულიერი ძალების ამოქმედება. *მ.* დაკავშირებულია მითებსა და მითოლოგიასთან. ინგლისელი რელიგიათმცოდნის ფრეზერის თანახმად, *მ.* ეყრდნობა პრინციპს „მსგავსი შეიქმს მსგავსს", აგრეთვე შეხების კანონზე დაფუძნებულ ჯადოქ-

რობის წესებს (მტრის დაზიანება ან მოკვდინება მისი გამოსახულებისთვის ზიანის მიყენებით). სოციოლოგები და სოციალური ფსიქოლოგები მოქმედებას მაგიურად მიიჩნევენ მაშინ, როცა: ა) ამგვარი მოქმედების შემსრულებელს სწამს, რომ მოვლენის მიზეზი ზებუნებრივი ძალებია; ბ) მოქმედება არ წარმოადგენს ორგანიზებული რელიგიური წეს-ჩვეულების ნაწილს (ამ კრიტერიუმის გამოყენებას *ეთნოცენტრისტული* ტენდენციები განსაზღვრავს). ფუნქციონალისტთა თვალსაზრისით, *მ-ს* იმ შემთხვევებში მიმართავენ, როცა სასურველი მიზნის მისაღწევად რეალური ეფექტური საშუალებები აღარ არსებობს, შესაბამისად, *მ-ის* სოციალური ფუნქციაა შფოთის შემცირება და რთულ სიტუაციებში აქტიური ქმედების მოთხოვნილების რეალიზაცია. მან ასევე შეიძლება შეასრულოს კათარზისის ფუნქციაც. უფართოესი გაგებით, *მ.* არა მარტო ე.წ. პრიმიტიული საზოგადოებებისთვისაა დამახასიათებელი, არამედ თანამედროვე საზოგადოებათა ცხოვრების ნაწილსაც წარმოადგენს (სხვადასხვა ფსევდომეცნიერების რწმენა, ცრურწმენები და მისთ.).

მაკიაველიზმი პოლიტიკური ქცევის ნაირსახეობა, რომელიც დასახული მიზნების მისაღწევად მიზანშეწონილად და გამართლებულად მიიჩნევს პოლიტიკოსის ხელთ არსებული ყველა, მათ შორის უკიდურესად მკაცრი და ვერაგული, საშუალების გამოყენებას. *მ-ის* ამგვარი ინტერპრეტაცია უკავშირდება ფლორენციელი პოლიტიკური მოღვაწისა და თეორეტიკოსის, ნიკოლო მაკიაველის (1469-1527) სახელს, რომლის პოლიტიკური შრომები დასავლეთის პოლიტიკურ მეცნიერებაში არაერთგვაროვნად, ხოლო საბჭოთა ლიტერატურაში უაღრესად ნეგატიურად იყო შეფასებული. დასავლურ პოლიტიკურ მეცნიერებაში უფრო გავრცელებულია აზრი, რომელიც მაკიაველის პოლიტიკური მეცნიერების პიონერად მოიხსენიებს. საამისოდ რამდენიმე მიზეზი არსებობს. მაკიაველის დამსახურებაა, უპირველეს ყოვლისა ის, რომ მან პოლიტიკური მეცნიერება ჯერარსობის ფორმიდან არსებულისაკენ შემოაბრუნა. სხვაგვარად რომ ითქვას, პლატონიდან წამოსული ტრადიციის საპირისპიროდ, მაკიაველი იკვლევდა არა იმას, თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფო და პოლიტიკური ცხოვრება, არამედ იმას, თუ როგორია ის რეალურად. გარდა ამისა, მაკიაველის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დამსახურებაა პოლიტიკური ეთიკის (და არა მორალურობის პრინციპისა პოლიტიკაში), როგორც პოლიტიკურ მეცნიერებათა სრულუფლებიანი წევრის დაფუძნება. განსხვავებით სტანდარტული ეთიკური თეორიებისაგან, რომლებიც ადამიანის ქცევის შეფასებისას ხელმძღვანელობს ქცევის მოტივებით, მაკიაველის პოლიტიკური ეთიკა ქცევას აფასებს პოლიტიკური შედეგებიდან გამომდინარე. მაკიაველიმ აღადგინა ძველი რომაელების კლასიკური წარმოდგენები პოლიტიკური ღირსების (virtu), როგორც ადამიანთა სოციალური და პოლიტიკური აქტივობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი ფენომენის შესახებ. მისი პოლიტიკური შეხედულებები გადმოცემულია უმთავრესად ორ ნაშრომში – „მთავარში", რომელიც მონარქიულ სახელმწიფოს ეხება და „ტრაქტატებში", სადაც განხილვის საგანია *რესპუბლიკა*.

მაკროსოციოლოგია მოიცავს თეორიებს, რომლებიც ფოკუსირებას ახდენს ქცევის მყარ მოდელებზე, დიდ სოციალურ ჯგუფებსა და პროცესებზე მთელი *საზოგადოების* ანალიზის კონტექსტში. ეს მოდელები ქმნის სოციალურ სტრუქტურებს და მოიცავს ისეთ საზოგადოებრივ ინსტიტუტებს,

როგორიცაა ოჯახი, განათლება, *რელიგია*, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები. *მ.* გამორჩეულ ყურადღებას უთმობს საზოგადოების განსხვავებულ სტრუქტურებს შორის ურთიერთმიმართებისა და იმ გავლენის შესწავლას, რასაც ისინი ინდივიდის ქცევაზე ახდენენ. ეს გავლენა მდგომარეობს ინდივიდების სტრუქტურებისადმი დაქვემდებარებულობის აღიარებაში, როდესაც სუბიექტური აქტივობა იზღუდება ობიექტური პატერნებით (*„სოციალური ფაქტებით“*) და წარიმართება მათ მიერ. აღნიშნულ თეორიებს შორის ძირითადია ორი – *ფუნქციონალიზმი* და *კონფლიქტის თეორია*.

მალთუსიანელობა თომას რობერ მალთუსიდან (1766-1883) მომდინარე თეორია, მიდგომა, რომელშიც მოსახლეობის ზრდა არსებობის საშუალებების (საკვების რაოდენობის) ზრდასთან მიმართებაშია განხილული. მალთუსის თანახმად, მოსახლეობის რაოდენობა გეომეტრიული პროგრესიით, ხოლო არსებობის საშუალებები (საკვების რაოდენობა) არითმეტიკული პროგრესიით იზრდება. ნაშრომში „ნარკვევები მოსახლეობის შესახებ“ (Essay on Population, 1798, მე-2 გამოცემა – 1803) მალთუსი მოსახლეობის ზრდის ტემპების შეჩერების, მოსახლეობის ზრდასა და არსებობის საშუალებით მის უზრუნველყოფას შორის ბალანსის შენარჩუნების საქმეში ხაზს უსვამდა ისეთი ფაქტორების მნიშვნელობას, როგორიცაა ავადმყოფობა, შიმშილი, ძალადობა (მოსახლეობის ზრდაზე „პოზიტიური კონტროლი“), თავშეკავება სექსუალური ცხოვრებისაგან, გვიანი ქორწინება, ზნეობრივი შეზღუდვები („პრევენციული კონტროლი“). მალთუსი ცდილობდა მოსახლეობის ზრდის პროცესების ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორები „მოსახლეობის კანონის“ სახით ჩამოეყალიბებინა. მალთუსის ამ მოსაზრებების განახლება და განვითარება XX ს-ის 50-იან წლებში სცადა გ. მაკენროტმა (1903-1955).

მანდატი (იმპერატიული) დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მისი წარმომდგენლის გარკვეულ უფლებებს, უფლებამოსილებას. ამა თუ იმ *პარტიის* ან პარტიების კოალიციის მიერ *არჩევნებში* გამარჯვება განიხილება როგორც მის მიერ ხალხისაგან ქვეყნის მართვაზე ან რაიმე განსაკუთრებული პოლიტიკის გატარებაზე *მ-ის* მიღება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რამდენ დაპირებას იძლევიან არჩევნების წინ პარტიები, ძნელია ვამტკიცოთ, რომ გამარჯვებულმა პარტიამ მიიღო განსაკუთრებული *მ.* ხალხისაგან, თუმცა სავსებით აზრიანი იქნებოდა იმის თქმა, რომ მან მიიღო ზოგადი *მ.* მართვაზე. თუ პარტია საარჩევნო კამპანიაში გამოდიოდა რაიმე განსაკუთრებული პრობლემის გადაჭრის ლოზუნგით, მაშინ გამარჯვების შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ მან მიიღო *მ.* ამ საკითხის მოგვარებაზე. *მ.* შეიძლება შეგვხვდეს ნეგატიურ კონტექსტებშიც, კერძოდ, შეიძლება ითქვას, რომ გამარჯვებულ პარტიას არა აქვს უფლება გაატაროს გარკვეული პოლიტიკა ხალხისაგან განსაკუთრებული *მ-ის* მიღების გარეშე.

მანიფესტი დოკუმენტი, რომელიც ასახავს პოლიტიკური *პარტიის* პროგრამას, რომლის განხორციელებასაც პარტია აპირებს ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში. როგორც წესი, *მ.* უფრო შიდაპარტიული ფრაქციების კომპრომისს ასახავს, ვიდრე მათი მოქმედების შეთანხმებულ პროგრამას. *მ-ად* იწოდებოდა მარქსისა და ენგელსის მიერ 1848 წელს კომუნისტების კავშირის მითითებით დაწერილი კომუნისტური პარტიის პროგრამული დოკუმენტი, რომელიც, ამავე

დროს, თავად მარქსის შეხედულებების ევოლუციის მნიშვნელოვან ეტაპს გამოხატავს. ამ დოკუმენტში ცალსახადაა განსაზღვრული *კაპიტალიზმის* გარდაუვალი დაღუპვის, *პროლეტარიატის* მსოფლიო ისტორიული მისიისა და უკლასო საზოგადოების – *კომუნიზმის* დადგომის აუცილებლობის იდეა.

მაჟორიტარული სისტემა საარჩევნო სამართალში კენჭისყრის შედეგების განსაზღვრის წესი, რომლის მიხედვითაც არჩეულად ითვლება ის კანდიდატი (ან კანდიდატები), რომელმაც საარჩევნო ოლქში ხმათა უმრავლესობა მიიღო. იხ. *საარჩევნო სისტემა.*

მარგინალები ადამიანთა ერთობა, ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის ან ქვეჯგუფის წარმომადგენლები, რომელთა ცნობიერება, მოქმედება და სტატუსი ზღვარზე, შუალედურ მდგომარეობაში იმყოფება. აღნიშნული შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ *მ-მა* არ იციან, როგორ (ან სურვილი არა აქვთ) მოხდეს მათი ადაპტირება რომელიმე სოციალურ ჯგუფთან ან *კულტურასთან.* ჩვეულებრივ *მ-ები* ის ადამიანები არიან, რომლებიც მოწყვეტილი აღმოჩნდნენ წარსული სოციალურ-კულტურული სისტემიდან და ვერ შეძლეს ახალში – არსებულში ჩართვა, ამიტომაც მათი სტატუსი შუალედურ, გარდამავალ ხასიათს ატარებს და ერთგვაროვან თვითიდენტიფიკაციას არ ექვემდებარება. ასეთი სიტუაცია ხშირად კონფლიქტამდე მიდის საზოგადოებაში დომინირებულ ჯგუფსა (*კულტურასა*) და დაქვემდებარებულ სუბჯგუფს (*სუბკულტურას* – მაგ., ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებსა და მათ კულტურათა) შორის, რასაც *კონტრკულტურის* გაჩენამდე მივყავართ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ *მ-ის,* როგორც სუბკულტურის წარმომადგენლების ურთიერთქმედება სხვა კულტურათა წარმომადგენლებთან ხშირად ხელს უწყობს ამ კულტურათა გადააზრებასა და მათში ახლებურ ხედვათა ჩამოყალიბებას (იხ. *მარგინალობა*).

მარგინალობა ტერმინი პირველად გამოიყენა რ. პარკმა 1982 წელს „კულტურული ჰიბრიდის" აღსანიშნავად, რომელიც ორი განსხვავებული ჯგუფის ცხოვრების წესსა და ტრადიციებს მისდევს. *მ.* ჩვეულ გარემოს და ცხოვრების წესს მოწყვეტილი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მდგომარეობაა, რომელთაც დაკარგეს წინანდელი სოციალური კავშირები, ვერ (ან არ) შეეგუენ ცხოვრების ახალ პირობებს და რამდენიმე სოციალური ჯგუფის გამყოფი (შემაერთებელი), სასაზღვრო მდგომარეობა უჭირავთ. მარგინალთა (ჯგუფებისა თუ ცალკეული პიროვნებების) განწყობები, ღირებულებითი ორიენტაციები, ქცევის მოდელები ერთდროულად შეესაბამება რამდენიმე განსხვავებულ კულტურულ სისტემას, მაგრამ სრულად ინტეგრირებული არც ერთში არ არის. *მ.* ჩნდება მაშინ, როცა ადამიანები ან ადამიანთა ჯგუფები ცხოვრობენ წინააღმდეგობრივი სოციალურ-კულტურული მოთხოვნების კონტექსტის პირობებში. ასეთია მიგრანტები (სიფლიდან ქალაქში, ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასული პირები), შერეულ ქორწინებაში მყოფნი, პროფესიულ კარიერაზე ორიენტირებული დედები, ბისექსუალები და სხვ. კულტურული *მ.* სოციალური ჯგუფებისა თუ ცალკეულ პიროვნებათა სტატუსის, აგრეთვე სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების მახასიათებელია. მარგინალურ *სუბკულტურათა* სტატუსს განსაზღვრავს მათი ორიენტაციების შესაბამისობა სოციოკულტურული სისტემების განაპირა არეალთან – საზოგადოებრივად მიღებული სტანდარტებისგან მკვეთრად განსხვავებული ნორმები და ორიენტა-

ციები, მათგან დისტანცირება და სხვ., რაც დომინირებული კულტურის მხრიდან მათ მიმართ რაიმე ფორმით მიუღებლობას აჩენს. *მ-ის* ფორმირების ობიექტური პირობებია საზოგადოებრივ სისტემათა ტრანსფორმაციის პროცესები, სოციუმში სოციალურ გადანაცვლებათა ინტენსიფიკაცია, კულტურათა შორის ურთიერთობების გააქტიურება, განსაკუთრებით, მიგრაციის პროცესები. გარდა ამისა, არსებობს სუბიექტური ფაქტორებიც, მაგალითად, სოციალურად მისაღები მიზნებისა და მათ მისაღწევად არსებული წესების ურთიერთმიმართება. მერტონის თვალსაზრისით, სუბკულტურების, მათ შორის, მარგინალურის, შემქმნელ რეაქციათა ძირითად ტიპებს მიეკუთვნება *ინოვაცია* (მიზნების მიღება, მაგრამ მისაღწევ წესთა მიუღებლობა), *რიტუალიზმი* (მიზნების მიუღებლობა, მაგრამ სოციალურად მისაღებ წესთა მიღება), *რეტრიტიზმი* (ერთდროულად მიზნების და მისაღწევი წესების მიუღებლობა) და *ბუნტი* (მიზნების მიღება, მაგრამ მისაღწევ წესთა ტოტალური უარყოფა, თუმცა ხშირად ასეთი სტრატეგია ახალი *იდეოლოგიის* შექმნით მთავრდება). მიუხედავად იმისა, რომ კულტურული *მ.* ღირებულებითი და ნორმატიული ამბივალენტობის პროდუქტია, სოციალურ-კულტურული სისტემების ამგვარი ურთიერთქმედება ხშირად ხელს უწყობს ახლებური ხედვის ჩამოყალიბებასა და ახალი იდეების გაჩენას.

მართვის სოციოლოგია (მენეჯმენტი, ინდუსტრიული სოციოლოგია) გამოყენებითი სოციოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის მენეჯმენტში „სოციოლოგიურ ზედნაშენს". თუმცა თავად მენეჯმენტი მოიცავს საქმიანი ურთიერთობების ეკონომიკურ, ტექნიკურ-ორგანიზაციულ, სამართლებრივ და ფსიქოლოგიურ საკითხებს. მენეჯმენტი ხშირად გამოიყენება როგორც *მ. ს-ის*, *ი. ს-ის* ეკვივალენტი. მენეჯმენტი და შესაბამისად *მ. ს.* სწავლობს: 1) სოციალურ და ეკონომიკურ ინსტიტუტებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ სამრეწველო საქმიანობაზე. 2) მენეჯმენტი სამეცნიერო დისციპლინაა, რომელიც საზოგადოებრივი წარმოების მართვის ორგანიზაციულ-ტექნიკური და სოციალური ასპექტების კვლევითაა დაკავებული. მენეჯმენტი მიზნად ისახავს ჩამოაყალიბოს და პრაქტიკაში დანერგოს მართვის ზოგადი პრინციპები, რომელიც გამოსადეგი იქნება ნებისმიერი საზოგადოებისათვის. *მ. ს-ს* საფუძველი XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში ჩაეყარა. მის ფუძემდებლებად ითვლებიან ამერიკელი ინჟინრები ფ. ტეილორი (აქედან – *ტეილორიზმი*), ს. ტომპსონი, გ. ემერსონი და სხვ. ისინი ძირითადად ყურადღებას შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და სოციალური ურთიერთობების რეგულირების საკითხებზე ამახვილებდნენ. თანამედროვე მენეჯმენტისა და *მ. ს-ის* თეორიას საფუძველი ჩაუყარეს მასლოუმ, მეიომ, დრაკერმა, მაკგრეგორმა, ჰერცბერგმა და ლაიკერტმა. მათ დაამუშავეს „შრომის გამდიდრებისა" და „ჰუმანიზაციის" კონცეფცია.

მარქსიზმი ფილოსოფიურ, ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა სისტემა, რომლის ფუძემდებლები არიან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. მოიცავს ფილოსოფიურ მატერიალიზმსა და დიალექტიკას, ისტორიის მატერიალისტურ გაგებას (საზოგადოებრივი ფორმაციების თეორია), კაპიტალისტური საზოგადოების განვითარებას, ეკონომიკური კანონების დაფუძნებას (ზედმეტი ღირებულების თეორია და ა. შ.), კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის, პროლეტარული *რევოლუციის*, კომუნისტურ საზოგადოებაზე გადასვლის თეორიას. არსებობს *მ-ის* სხვადასხვა ინტერპრეტა-

ცია: საბჭოთა *მ*, ტროცკიზმი, დასავლეთის *მ*, მესამე სამყაროს *მ*, *ნეომარქსიზმი* და ა. შ.

მარქსი ცნობილია, როგორც საზოგადოებისადმი სისტემური მიდგომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. სოციალური სისტემის მისეული მოდელი განიხილება როგორც სოციალურ ურთიერთობათა სისტემა, რომლის საფუძველიც ეკონომიკური ბაზისია, ხოლო მთელი პოლიტიკური და იდეოლოგიური ზედნაშენი ემყარება *ძალაუფლებასა* და ძალადობას. მარქსი ასევე გვევლინება სოციალურ განვითარებაში კონფლიქტოლოგიური პარადიგმის ერთ-ერთ პიონერად. კონფლიქტის საფუძვლად მას მიაჩნია *ანტაგონიზმი*. წარმოებით ურთიერთობებსა და სანარმოო ძალებს, წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმებს შორის, რომლის კლასობრივი გამოხატულებაა კაპიტალისტებსა და პროლეტარებს შორის არსებული ანტაგონიზმი, ხოლო მისი გადაწყვეტა უნდა მოხდეს სოციალისტური რევოლუციისა და *პროლეტარიატის დიქტატურის* დამყარების შედეგად. ეს უკვე ნიშნავს პროლეტარიატის გადაქცევას „კლასიდან თავისთავად" „კლასად თავისთვის". ე. წ. გარდამავალი პერიოდის შემდეგ კი ნავარაუდები იყო კომუნისტური საზოგადოების, როგორც ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის დამყარება. როგორც ისტორიულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, *მ-ის* სუსტ მხარეს წარმოადგენდა სოციალურ-პოლიტიკური და, განსაკუთრებით, სოციალურ-კულტურული ფაქტორების საზიანოდ საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკური ფაქტორების ადგილისა და მნიშვნელობის ცალმხრივი გაზვიადება, მხოლოდ მუშათა კლასის როლის აბსოლუტიზაცია სხვა ძალების ჯეროვნად დაუფასებლობის ფონზე; გაძლიერებული აქცენტი სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებათა ძალისმიერ, რევოლუციურ ფორმებზე; კაპიტალიზმის ისტორიული როლისა და პერსპექტივების, მისი ახალ პირობებთან შეგუების შესაძლებლობების სათანადო შეუფასებლობა, კლასობრივი გაზვიადება, უკიდურესი იდეოლოგიზაცია, განსხვავებულ აზრთან შეუგუებლობა და ა. შ. ზემოაღნიშნულმა – *მ-ის* მოძღვრების არსის სერიოზულმა დამახინჯებამ, რიგი მარქსისტულ ლოზუნგებს ამოფარებული ტოტალიტარული რეჟიმების მსხვრევამ, *მ.* სერიოზულ კრიზისამდე მიიყვანა.

მარქსის ნააზრევმა არსებითი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის მთელ რიგ დასავლურ მიმდინარეობებზე, ეგზისტენციალიზმზე (ჟ. პ. სარტრი), შემეცნების სოციოლოგიაზე, (მ. შელერი), ფრანკფურტის სკოლის სოციალურ ფილოსოფიაზე (მ. ჰორკჰაიმერი, თ. ადორნო, ჰ. მარკუზე, ე. ფრომი, ი. ჰაბერმასი), სტრუქტურულ სოციოლოგიასა და სხვ. ამავე დროს მარქსისტულ თეორიაში მისი კრიტიკოსები ხედავდნენ „ღია საზოგადოების მტერს" (კ. პოპერი), და მიაჩნდათ რომ მისი თეორიიდან პრაქტიკულად გამომდინარეობს *ტოტალიტარიზმი*, სადაც უგულებელყოფილია პიროვნების თავისუფლება.

მასმედია 1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (ბეჭდვითი, რადიო, ტელევიზია, კინო, რეკლამა და ა. შ.) 2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ინფორმაციის სისტემატური გავრცელების პროცესი (ანუ მასობრივი კომუნიკაცია) მრავალრიცხოვან და გაშორიშორებულ აუდიტორიაში. *მ.* გაჩნდა ბეჭდვითი პრესის დაბადებასთან ერთად XIX ს-ში. მისი შემდგომი განვითარება დაკავშირებულია სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან. *მ-ს* სპეციფიკური თავისებურებები აქვს: ურთიერთობაში მყოფ მხარეთა კონტაქტების არაპირდაპირი ხასიათი,

უკუკავშირის თავისებურება, სხვადასხვაგვარ აუდიტორიაზე ერთდროული ზემოქმედება, ინფორმაციის გადაცემის სიხშირე და რეგულარულობა, შეტყობინების შინაარსის უნივერსალურობა სტერეოტიპიზაციის ელემენტებით, მრავალგვარი ტექნიკური შესაძლებლობის, აგრეთვე ინფორმაციის მომპოვებელ, გადამამუშავებელ და გამავრცელებელ სპეციალურ ორგანიზაციათა გამოყენება; თანამედროვე ეტაპზე *მ-ის* საშუალებები, ტელეგრაფ-ტელეფონთან და რადიო-ტელევიზიასთან ერთად, მოიცავს უახლესი ტექნოლოგიის ფართო სპექტრს კომპიუტერების, ვიდეო-საშუალებების, თანამგზავრული ტელევიზიისა და ინტერნეტის ჩათვლით. მათი გავლენა ადამიანებსა და საზოგადოებაზე *მ-ის* სოციოლოგიის შესწავლის საგანია (იხ. *მასმედიის (მასობრივი კომუნიკაციის) სოციოლოგია*).

მასმედიის (მასობრივი კომუნიკაციის) სოციოლოგია სოციოლოგიის ერთ-ერთი დარგი. შეისწავლის მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ფუნქციონირებისა და განვითარების პროცესებს, აგრეთვე მათ სოციალურ განპირობებულობასა და ზემოქმედების შედეგებს. ინფორმაციის სისტემატური გავრცელების პროცესი ბევრი სხვადასხვა სამეცნიერო სფეროს სპეციალისტს აინტერესებდა, რამაც *მასმედიის* პრობლემატიკისადმი თეორიულ მიდგომათა მრავალფეროვნება განაპირობა. წამყვანია 3 ძირითადი მიდგომა: 1) სოციალურ-ფსიქოლოგიური, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მასობრივი კომუნიკაციის პროცესებსა და ზემოქმედებაზე; 2) მეორე მიდგომამ ცვლილებები შეიტანა თეორიულ ორიენტაციაში (განსაკუთრებით, სტრუქტურული ფუნქციონალიზმის გავლენით) და აქტუალური გახდა მასობრივი კომუნიკაციის ინსტიტუტებისა და მათი სოციალური კონტექსტის საკითხი; 3) XX ს-ის 60-იან წლებში *სტრუქტურალიზმის* გავლენით ჩამოყალიბებულმა მესამე მიდგომამ შესწავლის საგნად აქცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გადაცემული შეტყობინებები და მნიშვნელობები. შესაბამისად, მასმედიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე შესწავლის ობიექტებიც განსხვავდებოდა: XX ს-ის 30-40-იან წლებში ეფექტური პროპაგანდისტული ზემოქმედების პირობებისა და შინაარსის შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანა ამერიკულმა სკოლამ (ლასუელი, ჰოვლანდი), რომელმაც ლასუელის ცნობილი ფორმულით – „ვინ აცნობებს, რას აცნობებს, რომელი არხებით, ვის და რა ეფექტით“ – გამოხატა *მ. ს-ის* ძირითადი პრინციპი. ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა კვლევათა მეთოდიკური არსენალი: მასობრივი შერჩევითი გამოკითხვა და აუდიტორიის საპანელო კვლევა (ლაზარსფელდი), *კონტენტ-ანალიზი* (ლასუელი, ბერელსონი), *ექსპერიმენტები* (ლევინი და ჰოვლანდი). მოგვიანებით, დამოკიდებულებების თეორიაზე დაყრდნობით, ჩამოყალიბდა მასობრივი კომუნიკაციის ეფექტურობის გამაშუალებელი კონცეფცია (კლაპერი) და ორსაფეხურიანი კომუნიკაციის თეორია, რაც გულისხმობს, რომ იდეები (ინფორმაცია) ხშირად ვრცელდება *მ. ს-ის* საშუალებიდან „საზოგადოებრივი აზრის ლიდერებამდე“, ხოლო მათგან – სხვა, ნაკლებად აქტიურ მიმდევრებამდე – რეციპიენტებამდე. ჩვეულებრივ, შეისწავლიან: ა) კომუნიკატორის, აუდიტორიის, შეტყობინების შინაარსისა და მასობრივი ინფორმაციის აღქმის პრობლემებს; ბ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა (ბეჭდვითი, რადიო, ტელევიზია, კინო, რეკლამა და სხვ.) თავისებურებებს; გ) მასობრივი ინფორმაციის სისტემის ფუნქციონირების კანონზომიერებებს. *მ. ს-ის* ძირითადი თეორიული პრობლემაა მიმართებების გააზრება *მასმე-*

დიასა და *საზოგადოებას* შორის, აგრეთვე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლი *კულტურის* შექმნაში და სხვ.

მასობრივი განადგურების იარაღი კრებითი ტერმინი, რომელიც გამოხატავს სამი კლასის იარაღთა სისტემას: ატომურს (ბირთვულს), ბიოლოგიურსა და ქიმიურს. ამ იარაღის კლასების ინგლისური დასახელების აბრევიატურიდან გამომდინარე, ზოგჯერ გამოიყენება აღნიშვნა ABC. *მ. გ. ი.* განსხვავდება ჩვეულებრივი იარაღისაგან როგორც შეუდარებლად მეტი გამანადგურებელი ძალით, ისე იმ ზიანის მასშტაბით, რაც მათი გამოყენების თანმდევ და შემდგომ მოვლენებს მოაქვს. მსოფლიოში დღეს არსებული *მ. გ. ი-ის* საერთო სიმძლავრე გაცილებით მეტია, ვიდრე დედამიწაზე სიცოცხლის სრული მოსპობისთვის იქნებოდა საკმარისი. ამიტომ ცივი ომის პერიოდში დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი საკითხი *მ. გ. ი-ის* წარმოების შეზღუდვა და განიარაღება იყო. ამჟამად განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს *მ. გ. ი-ის* შექმნა ე. წ. *პარია* (არამზადა) *სახელმწიფოების* (იხ. *ურჩი სახელმწიფო*) მიერ. მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების ძალისხმევაც იქითკენაა მიმართული, რომ ეს იარაღი ავტორიტარული და უპასუხისმგებლო რეჟიმების ხელში არ აღმოჩნდეს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იხ. *მასმედია.*

მასობრივი საზოგადოება ცნება, შემოტანილი იმ *საზოგადოების* დასახასიათებლად, რომელიც შედგება ატომიზებული ადამიანებისაგან. ამ ტიპის ადამიანები ემოციურად ძნელად ეგუებიან ნებისმიერი შუალედური ჯგუფის არსებობას, რომელიც შეიძლება ჩადგეს მათსა და *სახელმწიფო ძალაუფლებას* შორის. ამ თვალსაზრისით, *მ. ს. ტოტალიტარიზმის* რელევანტურია, როგორიც იყო, მაგ., გერმანული *ფაშიზმი* ან საბჭოთა ბოლშევიზმი. თუმცა, ეს ცნება, ზოგადად, გამოიყენება თანამედროვე, *ინდუსტრიული საზოგადოების* აღსანერად, რომელმაც დაკარგა წარსული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ინტიმურობა და აუთენტურობა. *მ. ს.* ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: იგი გამოირჩევა არადიფერენცირებულობის მაღალი ხარისხით; მისი შემადგენელი ინდივიდების უმრავლესობა ერთმანეთის მსგავსია, მათ დაკარგული აქვთ ინდივიდუალობა და მათი ქმედებები რუტინულია; აღარ არსებობს საყოველთაო მორალური ღირებულებები და, ამის მიუხედავად, მასა მიდრეკილია იდეოლოგიური ფანატიზმისაკენ; ინდივიდები გამოირჩევიან პოლიტიკური აპათიურობით, მათ შორის კავშირები შეესუსტებულია და, ამდენად, იოლად ემორჩილებიან მანიპულირებას *დიქტატურისა* და *ბიუროკრატიის* მხრიდან; ლოკალური *ტრადიციები* და *კულტურა* გადაფარა *მასმედიის* გავლენამ, კულტურა (ხელოვნება, ლიტერატურა, ფილოსოფია და მეცნიერება) გადაიქცა მასობრივ, დაბალი გემოვნების კულტურად. *მ. ს-ის* თეორია, ძირითადად, განვითარდა 1920-60 წლებში და დაკავშირებულია ფრანკფურტის სკოლასთან (ადორნო, ბენიამინი, ფრომი, ჰორკჰაიმერი, მარკუზე), რომლის ბევრი წარმომადგენელი იძულებული გახდა ჰიტლერული გერმანიიდან ამერიკაში გაქცეულიყო.

მასონობა რელიგიურ-ეთიკური მოძღვრება და მოძრაობა (საზოგადოება), რომელიც XVIII ს-ის დასაწყისში ინგლისში წარმოიშვა, მოგვიანებით კი სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. იგი მიზნად ისახავდა მსოფლიო ფარული ორგანიზაციის შექმნას და კაცობრიობის ერთიან რელიგიურ-ეთიკურ საძმოში

მშვიდობიან გაერთიანებას. მისი დასახელება, ორგანიზაცია, ტრადიციები და ნეს-ჩვეულებები გადმოლებულ იქნა შუა საუკუნეების საამქროებიდან (მათ შორის, ქვის მჭრელების), საძმოებიდან და ორდენებიდან. ადამიანური ზნეობრივი სრულყოფისა და განმანათლებლობის ქადაგებას თან ახლდა სპეციალური *რიტუალების, ადათ-წესების* შესრულება და იდუმალება. მასონები თავის თავს ღვთის წარგზავნილებად (ქვის მთლელებად) თვლიდნენ და მის სადიდებლად ახალი მსოფლიო წყობა უნდოდათ შეექმნათ. *მ-ის* გავლენის მწვერვალად შეიძლება ჩაითვალოს XVIII ს-ის დასასრული და XIX ს-ის დასაწყისი. მაგრამ დღესაც იგი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უმსხვილესი, ფარული ორგანიზაციაა, რომელიც თავის რიგებში რამდენიმე მილიონ ადამიანს აერთიანებს და მსოფლიოს ათეულობით ქვეყანაში მისი დანაყოფები (ლოჟები) ფუნქციონირებს, განსაკუთრებით, აშშ-ში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, იტალიასა და სხვ. როგორც ადრე, მასონები არც დღეს გამოირჩევიან მკვეთრი სოციალ-პოლიტიკური, კონფესიონალური და სხვ. ორიენტაციით, ამიტომაც სხვადასხვა სიტუაციებში მათ შეიძლება მზარი სხვადასხვა ძალებს დაუჭირონ. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, დაუშვებელია *მ-ობის* როლისა და გავლენის გაზვიადება და სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური მითების შექმნა ე. წ. მასონების „მსოფლიო შეთქმულების“ შესახებ.

მატერიალური კულტურა ცნება, რომელიც გაჩნდა *კულტურის* მატერიალურად და სულიერად დაყოფის შედეგად. ტერმინი აღნიშნავს ყოველგვარ მატერიალურ საგანს, აგრეთვე, გამოგონებებსა და ცვლილებებს ტექნოლოგიის განვითარებაში. *მ. კ-ის* ცნებით ხშირად უპირისპირდებიან სულიერი კულტურის ცნებას, მაგრამ ამგვარ დაპირისპირებას შედარებითი ხასიათი აქვს, რამდენადაც კულტურის ნებისმიერი ფენომენი *სემიოტიკური* ქმნილებაა. *მ. კ-ის* საგნები ადამიანთა ცხოვრებაში ორმაგ როლს ასრულებს: ერთი მხრივ, ისინი პრაქტიკული მიზნების მიღწევის, მეორე მხრივ კი სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადაცემისა და შენახვის საშუალებებია. მეცნიერებაში მიჩნეულია, რომ მხოლოდ მეორე ფუნქციის მეშვეობით იქცევიან ისინი კულტურის ფენომენებად.

მატრიარქატი ქალის ძალაუფლებაზე დამყარებული ორგანიზაცია, ქალის დომინირებული მდგომარეობა (საკუთრების, სოციალური მდგომარეობის დედის ხაზით მემკვიდრეობა) *საზოგადოებაში*. ტერმინის გაგება მრავალგვარია. მეცნიერთა ერთი ნაწილის მიერ გაგებული იყო როგორც ქალების იმთავითვე წამყვანი მდგომარეობა მეურნეობასა და საზოგადოებაში, აგრეთვე ამ საწყისთა ასახვა სულიერ სფეროში. ეს თვალსაზრისი ეყრდნობოდა არა მარტო ჯგუფური ქორწინებისა და დედის ხაზით ნათესაობის ისტორიულ პრიორიტეტს, არამედ მრავალგვარ ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მონაცემსაც ქალის შედარებით მაღალ მდგომარეობაზე პირველყოფილ საზოგადოებაში და ამ ვითარების ნარჩენებზე ადრეკლასობრივ საზოგადოებებში. მაგრამ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა *მ-თან* დაკავშირებით. მორგანის თვალსაზრისით, კლასიკურმა პირველყოფილმა საზოგადოებამ არ იცის სქესთა უთანასწორობა. ენგელსი მიიჩნევდა, რომ პირველყოფილი მატრიარქალური *კლანი* საზოგადოებრივი წყობის ერთ-ერთი ადრინდელი ფორმაა და ზოგიერთ ხალხში წინ უსწრებს *პატრიარქატს*, მაგრამ დედის უფლებებზე დამყარებული სამართლებრივი სისტემის დამხობამ დაიფუძნა პატრიარქალური *ოჯახი*, რა-

საც მოჰყვა მამაკაცის უპირატესობაზე (მათ შორის, უკამათო მამობის პირობებში მემკვიდრეობის პრობლემის მოხსნა) დამყარებული მონოგამიური ოჯახური ერთეულის წარმოქმნა. ამ გაგების საპირისპირო თვალსაზრისით, სოციალური ორგანიზაციის წარმოშობის საწყისი ფორმა დესპოტური პატრიარქატით მართულ ოჯახთა კორპორაციულ ჯგუფზე დამყარებული ორგანიზაციაა. ამ დებატებმა სათავე დაუდო ფემინისტურ *ანთროპოლოგიასა* და *ფემინისტურ სოციოლოგიას*. დებატები მატრიარქალური საზოგადოებების არსებობის თაობაზე დღემდე გრძელდება. რადიკალური *ფემინიზმისგან* განსხვავებით, თანამედროვე ფემინისტურ აზროვნებას *მ.* ესმის როგორც ქალით ორიენტირებული ან მასზე გულისყურმიპყრობილი *საზოგადოებები* და *კულტურები*.

მაღალი პოლიტიკა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის საკითხები, რომლებიც *ეროვნული ინტერესების* უმნიშვნელოვანესი პრობლემაა (შდრ. *დაბალი პოლიტიკა*). *მ. პ.* გულისხმობს, რომ საგარეო კონფლიქტისა და საერთაშორისო კრიზისების პირობებში საგარეო პოლიტიკა შიდა პოლიტიკაზე მაღლა უნდა დადგეს. *მ. პ.*, უპირველეს ყოვლისა, *სახელმწიფოს* გადარჩენასა და გრძელვადიან ეროვნულ ინტერესებს ითვალისწინებს.

მთავრობა ხშირად მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების სინონიმად იხმარება, განსხვავებით „ხელისუფლებისაგან", როცა გულისხმობენ ხელისუფლების სამივე შტოს. დემოკრატიულ ქვეყნებში, როგორც წესი, *მ-ს* აყალიბებს საპარლამენტო უმრავლესობა, რომელიც უმეტესწილად ფორმირებულია ერთი პარტიის წარმომადგენლების მიერ. ასეთი ვითარება განსაკუთრებით ხშირია ორპარტიულ სისტემებში. უმრავლესობის *მ-ს*, რომელსაც პრაქტიკულად ხელები აქვს გახსნილი საკუთარი პროგრამის გასატარებლად, მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება. ითვლება, რომ თუკი რომელიმე *პარტიამ* დააკომპლექტა უმრავლესობის *მ.*, მას უნდა მიეცეს პროგრამის შეუფერხებელი რეალიზაციის საშუალება იმდენად, რამდენადაც ეს პროგრამა ყველაზე უფრო ადეკვატურად გამოხატავს ამომრჩევლების ინტერესებს.

მედიანა მნიშვნელობა, რომელსაც ცენტრალური მდგომარეობა უჭირავს და გააჩნია მრავალი სიდიდე როგორც თავისზე დაბლა, ასევე – ზევით. იგი განსაკუთრებით შედეგიანია მოცემული რიგის დონის ზომებისათვის, სადაც ფარდობითი მანძილები კატეგორიებს შორის უცნობია (თუმცა, ამ დროს საშუალოსაც მიმართავენ ხოლმე).

მეთოდოლოგია იმ პრინციპებისა და ხერხების ერთობლიობა, რომელიც ახდენს მეცნიერული კვლევის ორგანიზებას. მას სხვანაირად მეცნიერული კვლევის სტრატეგიასაც უწოდებენ. *მ.* უნდა განვასხვაოთ მეცნიერული, მათ შორის, სოციოლოგიური თეორიისაგან. პირველი უფრო ფართოა მეორეზე. *მ.* უშუალოდ არ უკავშირდება სოციალურ პრობლემებს, მისი პრინციპები შეიძლება გამოსადეგი გახდეს რიგი მეცნიერებებისთვის, რომლებსაც კვლევის სხვადასხვა საგანი აქვთ. მაგ., *გამოკითხვის* მეთოდი წარმატებით მუშაობს ფსიქოლოგიურ კვლევებში, ხოლო ისეთი სტატისტიკური მეთოდი, როგორიცაა მახასიათებლების *გაზომვა*, ფართოდ გამოიყენება არა მხოლოდ სოციალურ, არამედ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. რაც შეეხება *სოციალურ თეორიას*, იგი განსაზღვრულია საგნობრივი შინაარსით, რომელიც გამოყოფს მას სხვა დისციპლინებისაგან. *მ-სა* და თეორიას შორის განსხვავებას ასეც გამოხატავენ: პირ-

ველი უპასუხებს კითხვაზე – „როგორ?“, ხოლო, მეორე – კითხვაზე „რა?“. შესაბამისად, *მ.* უფრო მეტად ფორმალიზებული დისციპლინაა, ხოლო სოციალური თეორია – შინაარსობრივი.

ნებისმიერი მეცნიერული, მათ შორის, სოციოლოგიური კვლევა საჭიროებს შესაბამის *მ-ს.* სოციოლოგიური კვლევის *მ.* (მას ზოგჯერ სოციოლოგიური კვლევის მეთოდიკასაც უწოდებენ) პროცედურათა სისტემაა, რომელიც მოიცავს ოპერაციათა ერთობლიობას, კერძოდ, მეთოდების, ტექნიკური საშუალებებისა და კვლევის ინსტრუმენტების თანამიმდევრულ გამოყენებას. მეთოდი ემპირიულ-სოციალურ კვლევაში წარმოადგენს პირველადი ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და ანალიზის ძირითად ხერხს. რაც შეეხება ტექნიკას, ის შეიცავს სპეციალურ წესებს, რომელთა გამოყენება აუცილებელია ამა თუ იმ მეთოდის ეფექტური ფუნქციონირებისათვის. მაგალითად, ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთ მეთოდად შეიძლება გამოიყენონ ანკეტური *გამოკითხვა* ან *ინტერვიუ.* ტექნიკა მოცემულ შემთხვევაში იქნება *კითხვების* ფორმულირების სხვადასხვა წესი (ღია და დახურული, პირდაპირი და ირიბი, ძირითადი და საკონტროლო და ა. შ. კითხვები). რაც შეეხება თავად *კითხვარს,* მისი შევსების ინსტრუქციასა და სხვა დოკუმენტებს – ყველაფერი ეს კვლევის ინსტრუმენტებია (იხ. *კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები*).

მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი თეორიული პოზიცია, რომელიც მოითხოვს, რომ ადეკვატური სოციოლოგიური ანალიზი ეფუძნებოდეს მხოლოდ ცალკეული ინდივიდების მახასიათებლებს. ამ პოზიციაზე იდგა, მაგ., მაქს ვებერი, რომელიც მოქმედებაში ნაგულისხმევი სუბიექტური საზრისის, ანუ მოქმედების სუბიექტური ინტერპრეტაციის კვლევით შემოფარგლავდა *სოციოლოგიას* და თვით ისეთი სოციალური ფენომენების, როგორიცაა *კაპიტალიზმი* ან *სახელმწიფო,* შესწავლას (ახსნას) მოითხოვდა რეალური ან აბსტრაქტული ინდივიდების ქმედებათა კონტექსტში. *მ. ი.* ჩამოყალიბდა როგორც *ფუნქციონალიზმის* ოპოზიცია. ფუნქციონალისტები, კერძოდ, დიურკემი ამტკიცებდა, რომ სოციოლოგიური ანალიზი უნდა მიიმართებოდეს არა ინდივიდუალური მოტივაციებისაკენ (რაც *დევიაციების* წყაროა), არამედ „სოციალური ფაქტებისაკენ“, რომლებიც ინდივიდებისაგან დამოუკიდებლად, კოლექტიურობის ფორმით არსებობს. პარსონსი, აგრეთვე, ამტკიცებდა, რომ სოციოლოგიამ უნდა შეისწავლოს სოციალური ჯგუფის ე. წ. „ემერჯენტული თვისებები“, ანუ ის თავისებურებები, რომლებიც არ დაიყვანება ჯგუფის შემადგენელი ცალკეული ინდივიდების მახასიათებლებამდე, არამედ მხოლოდ მათ შორის ურთიერთობის მოდელებში ვლინდება. ამის საპირისპიროდ, *მ. ი.* ამტკიცებს, რომ ყველა სოციოლოგიური ახსნა უნდა იწყებოდეს და მთავრდებოდეს ინდივიდებისადმი მიმართვით. სუბიექტური მნიშვნელობებისაგან დამოუკიდებლად, კოლექტიური სოციალური ფორმები (სისტემები, სტრუქტურები და სხვ.), მხოლოდ ფიქციაა. ამ შეხედულებას, ჩვეულებრივ, აკრიტიკებენ იმ პოზიციიდან, რომ შეუძლებელია ინდივიდები მთლიანად გავათავისუფლოთ *კულტურასა* და სტრუქტურულ კონტექსტებზე დამოკიდებულებისაგან.

მემარცხენეობა თანამედროვე პოლიტიკურ ლექსიკონში ტერმინი აღნიშნავს პოლიტიკური კურსის გამოხატვის რადიკალურ ან პროგრესულ გზას, მაგრამ თავდაპირველად მას პირდაპირი მნიშვნელობა ჰქონდა. 1789

წელს საფრანგეთში გენერალური შტატების მოწვევისას მდაბიო მოსახლეობა (მესამე ფენის – ქალაქთა კორპორაციების წარმომადგენლები) მეფისაგან მარცხნივ ისხდნენ, ხოლო თავად-აზნაურობას უფრო საპატიო მარჯვენა მხარე ეჭირა. *მ-ის* რეალური შინაარსი დროისა და ადგილის გავლენის მიხედვით მნიშვნელოვნად იცვლება და საკმაოდ არაერთგვაროვანია, მაგრამ, როგორც წესი, ითვალისწინებს თანასწორუფლებიანობას, *ეგალიტარიზმისაკენ* სწრაფვას, მუშათა (კარგად ორგანიზებულ) *კლასზე* დაყრდნობას, მრეწველობის *ნაციონალიზაციის* მხარდაჭერას, *ანტაგონიზმს იერარქიის* მიმართ, ნაციონალისტური საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიუღებლობას. განსაზღვრება *მ.* გამოიყენება პოზიციების დასაფიქსირებლად როგორც ერთი პარტიის შიგნით, ასევე პარტიებს შორის. მემარცხენეთა ფრთას ეკუთვნიან სოციალისტები, რომელთაც უკიდურესი პოზიცია უკავიათ ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების მიმართ. მემარცხენე *კომუნიზმად* (რომელსაც ლენინმა 1920 წ. „საყმაწვილო დაავადება" უწოდა), ცინიზმის გარკვეული დოზით, შეიძლება მოინათლოს კომუნიზმის ყველა ის ფორმა, რომელიც ხელისუფლების სათავეში მყოფი კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელების მხარდაჭერით არ სარგებლობენ. მიუხედავად ამისა, 1920-30 წწ. ცალკეულმა მიმართულებამ მემარჯვენე ან მემარცხენე მოძრაობების დასახელება მიიღო. *მ.,* როგორც წესი, პარტიის ხელმძღვანელი როლის სათანადო გათვალისწინების გარეშე, ხალხის *რევოლუციისაკენ* წაქეზებას ნიშნავდა, ხოლო *მემარჯვენეობა* – „ახალი ეკონომიკური პოლიტიკისა" (ნეპის) და ბაზრის აქტიურ მხარდაჭერას.

მემარჯვენეობა როგორც პოლიტიკური პლატფორმის აღმნიშვნელი ტერმინის წარმოშობა სრულიად შემთხვევით გარემოებებს, საფრანგეთის პირველ რევოლუციურ პარლამენტში (1789) დეპუტატთა მიერ დაკავებულ ადგილებს მიეწერება (იგივე ითქმის *მემარცხენეობის* შესახებაც). უკიდურესად მარცხენა ადგილები დაკავებული ჰქონდათ იაკობინელებს, რომელიც ყველაზე რევოლუციურად განწყობილი პარტიული დაჯგუფება იყო. ცენტრში ზომიერები, ხოლო უკიდურეს მარჯვენა ადგილებზე კლერიკალები და როიალისტები განთავსდნენ. ეს უკანასკნელნი ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ *მონარქია* და პრივილეგიები მაშინ, როდესაც მემარცხენეები ქვეყანაში სახალხო *სუვერენიტეტის* და რადიკალური გარდაქმნების მომხრეები იყვნენ. იმავე მნიშვნელობით ტერმინები მემარჯვენე, მემარცხენე დღეს, რა თქმა უნდა, აღარ გამოიყენება. ერთ-ერთი გავრცელებული კრიტერიუმი, რომელიც *პოლიტიკური პარტიებისა* თუ ცალკეული მოღვაწეების პლატფორმას მემარჯვენეობა/მემარცხენეობის სპექტრზე გაანაწილებდა, არის მათი დამოკიდებულება *სახელმწიფოს,* ინდივიდისა და *ეკონომიკის* მიმართ. მემარჯვენე პოლიტიკა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ინდივიდის ეკონომიკურ და სხვა სახის აქტივობაში ჩარევის მინიმალიზაციას. *მ.,* როგორც წესი, *ელიტისტური* თუ სხვა მოსაზრებებით, ეწინააღმდეგება მოსახლეობის ფართო ფენების ქვეყნის მართვაში მონაწილეობას, რადიკალურ რეფორმებს და ცდილობს არსებული პოლიტიკური წესრიგის შენარჩუნებას. ტერმინი „მემარჯვენე" ხშირად „კონსერვატორის" (იხ. *კონსერვატიზმი*) სინონიმად იხმარება.

მემკვიდრეობითობა ცოცხალი სისტემებისთვის დამახასიათებელი თვისება თავისივე მსგავსის კვლავწარმოქმნისა, რაც გულისხმობს თაობიდან თაობაში ფიზიოლოგიურ მახასიათებელთა გადაცემას. ინტელექტთან და-

კავშირებით *მ-ს* განიხილავენ ბუნებისა და ალზრდის ურთიერთმიმართების პოლემიკის კონტექსტში, აგრეთვე ანტისოციალური ქცევებისა და დანაშაულის მიზეზების შესახებ დისკუსიებში. *მ-ის* გაუმჯობესების შესახებ მეცნიერება ევგენიკა, რომელიც ეყრდნობა დაუმტკიცებელ კავშირებს გენეტიკურ *მ-სა* და ადამიანის სხვადასხვა სოციალურ თუ ინდივიდუალურ თვისებებს შორის, ასოცირდება რასობრივად წმინდა საზოგადოების შექმნის *ნაცისტურ* გეგმასთან.

მემორანდუმი დიპლომატიური დოკუმენტი ან მიმოწერის ფორმა, რომელიც გამოხატავს ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე *სახელმწიფოს*, პოლიტიკური მხარის პოზიციას. *მ*, როგორც წესი, აღწერს საქმის ფაქტობრივ ან იურიდიულ მხარეს, დაერთვის *ნოტას* ან დამოუკიდებელი სახით გადაეცემა მეორე სახელმწიფოს ოფიციალურ წარმომადგენელს. მას თან არ ახლავს ნოტისათვის დამახასიათებელი თავაზიანი ფორმულირებები, არა აქვს ხელმოწერა და ბეჭედი. (იხ. აგრ. *დემარში*).

მენეჯერი ხელმძღვანელი პირი საკუთარი კაპიტალის გარეშე. ასევე პირი, რომელიც პასუხს აგებს შრომის ორგანიზაციასა და კონტროლზე ორგანიზაციასა ან წარმოებაში. დიდი წარმოებების წარმოშობასთან ერთად მოხდა წარმოების მესაკუთრისა და ხელმძღვანელის ფუნქციათა გამიჯვნა. *მ-ები* სამ ფენად იყოფიან: უფროსი, საშუალო და უმცროსი. უფროსი *მ-ების* ფენა მოიცავს მაღალანაზღაურებად აღმასრულებელ დირექტორებს, მაშინ როცა უმცროსი *მ-ების* ფენა წარმოდგენილია დისპეტჩერებით, მართვის სხვა დაბალ საფეხურს მიკუთვნებული პირებით, რომლებიც მათ დაქვემდებარებულ პერსონალზე (მუშებზე) ოდნავ მეტ ანაზღაურებას იღებენ. სოციოლოგიაში მიმდინარეობს დისკუსია *მ-ების* ადგილისა და როლის შესახებ საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში (აბერკომი და ური, 1983), ასევე, სოციოლოგები ლაპარაკობენ *მ-ული* რევოლუციის შესახებ (ბერნჰაიმი), რომელიც გულისხმობს პროფესიონალ *მ-თა* რიცხვის ზრდას. (იხ. აგრ. *მართვის სოციოლოგია (მენეჯმენტი, ინდუსტრიული სოციოლოგია)*).

მენეჯმენტი იხ. *მართვის სოციოლოგია (მენეჯმენტი, ინდუსტრიული სოციოლოგია)*.

მერი *ქალაქის* ადგილობრივი მმართველობის მეთაური. ქალაქის *მ-ს* ზოგიერთ ქვეყანაში ირჩევენ ქალაქის საკრებულოს დეპუტატები (ამგვარი პრაქტიკა გავრცელებულია საფრანგეთსა და შვეიცარიაში) ან პირდაპირ ამომრჩევლები (ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში). სხვაგან, მაგ., ჰოლანდიაში ქალაქის *მ.* ინიშნება ცენტრალური ხელისუფლების მიერ, თუმცა, მიუხედავად ამისა, ის მოქმედების არანაკლებ თავისუფლებას ფლობს, ვიდრე არჩეული *მ-ები* სხვა ქვეყნებში.

მერია 1. მუნიციპალური მმართველობა. 2. მუნიციპალური მმართველობის შენობა.

მერიტოკრატია საზოგადოების ელიტარული ნაწილი, რომლისადმი მიკუთვნილობა განისაზღვრება არა ჩამომავლობით ან სოციალური მდგომარეობით, არამედ პიროვნული უნარებითა და ინდივიდუალური ძალისხმევით. *მ*, როგორც სოციალური იერარქიის საფეხურებზე გადაადგილების პრინციპი, პირველად სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე სრულად გამოიყენეს 1789 წლის რევოლუციის შემდგომ და განსაკუთრებით ნაპოლეონის ეპოქის საფრანგეთში, როგორც „ნიჭისთვის ღია გზის“ პრინციპი.

მერკანტილიზმი XV ს-დან ევროპაში გავრცელებული ეკონომიკური თეორია, რომელიც *საზოგადოების* კეთილდღეობის საფუძვლად თვლიდა არა მრეწველობის განვითარებას, არამედ სასაქონლო და ფულადი საშუალებების ბრუნვას. მერკანტილისტური დოქტრინა მიიჩნევდა, რომ საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს საგარეო ვაჭრობის იმგვარ რეგულირებას, როდესაც საქონლის გატანა სჭარბობს მის შემოტანას, ხოლო ქვეყანაში შემოტანილი დოვლათი გროვდება ფულადი კაპიტალის სახით. ტერმინის აღნიშნული გაგება საფუძვლად დაედო უფრო ფართო მნიშვნელობას ყოველდღიურ სიტყვათგამოყენებაში, როდესაც მერკანტილურად ითვლება ანგარიშიანობასა და სარგებლიანობაზე დამყარებული ქცევა.

მესამე სამყარო ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში დეკოლონიზებული ქვეყნების, ჩვეულებრივ, სუსტი და ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული *სახელმწიფოების* კრებითი სახელწოდება. *მ. ს.* მოიცავს ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის, ახლო აღმოსავლეთის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებს. ეს ცნება გაჩნდა *ცივი ომის* პერიოდში, რათა ზემოთ ნახსენები ქვეყნები, ერთი მხრივ, განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოებისგან („პირველი სამყარო"), ხოლო მეორე მხრივ, კომუნისტური ბლოკისაგან („მეორე სამყარო") განესხვავებინათ. *მ. ს-ს* ქვეყნებს ახასიათებს არამყარი უსაფრთხოება, ეთნიკური სიჭრელე, სასაზღვრო დავები, არასტაბილური პოლიტიკური სისტემები, *პატრიმონიალური* ან ნეოპატრიმონიალური მმართველი რეჟიმები, კოლონიური და ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკები, რომლებშიც სოფლის მეურნეობა და მოპოვებითი დარგები ჭარბობს. *საერთაშორისო ურთიერთობებში მ. ს-ს* ქვეყნები თავიანთი მიზნების მიღწევას ტრადიციულად ზესახელმწიფოებთან ალიანსების, საერთაშორისო კარტელების (მაგ., ოპეკი), *მიუმხრობლობის* მოძრაობისა და *საერთაშორისო ორგანიზაციების* (უპირველეს ყოვლისა, გაეროს) გამოყენებით ცდილობდნენ. ცივი ომის დასრულების შემდეგ *მ. ს-ს* ცნებამ ზუსტი მნიშვნელობა დაკარგა, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობებში კვლავაც გამოიყენება. საკუთრივ *მ. ს.* მეტად არაერთგვაროვანია, რაც ცნების ანალიტიკურ ფასეულობას ეჭვქვეშ აყენებს.

მეტათეორია თეორიის თეორია. მოსაზრებები თეორიათა ფორმების შესახებ; ასევე, ფართო, ზოგადი თეორია; მეცნიერების თეორია.

მეტროპოლია *სახელმწიფო*, რომელსაც აქვს *კოლონიები*. ტერმინი ძველი ბერძნული წარმოშობისაა და თავდაპირველად აღნიშნავდა იმ „დედა" ქალაქს, რომლის ნამეტი მოსახლეობა სხვა, „თავისუფალ" ტერიტორიაზე აარსებდა ახალ დასახლებას. ურთიერთობა *მ-სა* და კოლონიას შორის სხვადასხვა ეპოქასა და სხვადასხვა ხალხებში განსხვავებული იყო. ამ სხვაობების გათვალისწინებით ადამ სმითი აყალიბებდა ორ ძირითად ტიპს, ბერძნულსა და რომაულს. ბერძნული *მ.* კოლონიას თავს არ ახვევდა საკუთარ კანონებს, არ ერეოდა შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში და ცდილობდა შეენარჩუნებინა მასთან როგორც კულტურული და ეკონომიკური კავშირები, ასევე კოორდინირებული საგარეო პოლიტიკაც. ამისგან განსხვავებით, რომი, როგორც *მ.*, ყოველთვის განსაზღვრავდა კოლონიის კანონმდებლობას და მკაცრად აკონტროლებდა ყოველდღიურ პოლიტიკას. გასაგებია, რომ *მ-სა* და კოლონიას შორის რომაული ტიპის ურთიერთობები ყოველთვის იყო კონფრონტაციისა და კონფლიქ-

ტების წყარო. ახალი დროის მტაცებლურმა *კოლონიალიზმმა* პოლიტიკურ ლიტერატურაში ტერმინის სწორედ ეს უკანასკნელი მნიშვნელობა დაამკვიდრა.

მექანიკური და ორგანული სოლიდარობა იხ. *სოციალური სოლიდარობა.*

მექანიციზმი იხ. *ნატურალისტური სოციოლოგია.*

მეცნიერება ინსტიტუციონალიზებული, მრავალსაფეხურიანი, ლოგიკურად დაკავშირებული გამონათქვამების სისტემა, რომელიც ობიექტური მეთოდებით ცოდნის აკუმულირებადაგროვებას ახდენს. თანამედროვე საზოგადოებაში ცოდნა ქმნის საკუთარ საზოგადოებრივ ქვესისტემას (ლუმანი). სამეცნიერო ინსტიტუტები მყარ სოციალურ ორგანიზაციებს წარმოადგენენ, სადაც მეცნიერები აწარმოებენ კვლევას. კვლევის შედეგები, ჩვეულებრივ, ქვეყნდება, დაგროვილი ცოდნა თაობიდან თაობას გადაეცემა და ინახება.

მეცნიერულმა გამონათქვამმა საგანი (ობიექტი) ისე ზუსტად უნდა განსაზღვროს, რომ იგი სხვებისათვის ამოცნობადი იყოს (ინტერსუბიექტურობა), გარდა ამისა, მეცნიერული კვლევით მიღებული უნდა იქნეს ახალი მონაცემები (სიახლე), დებულებები პრაქტიკულად უნდა იქნეს დადასტურებული (პრაგმატულობა) და შესაძლებელი უნდა იყოს მათი მეთოდური გამეორებით გადამოწმება (დასაბუთებადობა). თეორიის მეცნიერული აღიარების კრიტერიუმებია: მეცნიერული თეორიის პროგნოზის უნარი, ემპირიული გაზომვადობა და მკაფიოობა, ცოდნის სისტემატიზაცია. სოციალურ *მ-ებში* ხშირად საკამათო და სადისკუსიოა *მ-ის* ღირებულებისაგან (შეფასებითი ხასიათის მსჯელობებისაგან) თავისუფლების საკითხი (ვებერი).

თანამედროვე დასავლური *მ-ის* ძირები ანტიკურობაში უნდა ვეძებოთ. არისტოტელე (ძვ. წ. 384-322), მაგ., ერთმანეთისაგან განასხვავებდა პრაქტიკულ, თეორიულ და პოეტურ *მ-ს.* სამყაროს მეცნიერული და სხვა (მაგ., მითოლოგიური) სახის ახსნის მკაფიო გამიჯვნა ზოგიერთ შემთხვევაში პრობლემატურადაა მიჩნეული (ფეიერაბენდი). განსხვავებული პასუხები არსებობს კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა კულტურის შესახებ *მ-ის* (სოციალური *მ-ების*) და საბუნებისმეტყველო *მ-ების* განსხვავება ერთმანეთისაგან მათი საგნისა და მეთოდების მიხედვით.

მ-ის განვითარება წარმოადგენს *მ-ის* ისტორიის საგანს, ზოგიერთ შემთხვევაში მისი განვითარება წარმოდგენილია როგორც ევოლუციური წინსვლა (პოპერი), ხოლო ზოგჯერ ხაზგასმულია მეცნიერული პარადიგმების რევოლუციური მონაცვლეობა (კუნი). *მ-ის* ანალიტიკური ფილოსოფიის (შტეგმიულერი) შესწავლის საგანია თვით *მ.* რადგანაც *მ-ის* პრაქტიკული შედეგები უფრო და უფრო მეტ კრიტიკას განიცდის, იზრდება რეფლექსია *მ-ის* შესახებ (ბეკი). *მ-ისა* და საზოგადოების ურთიერთზეგავლენა *მეცნიერების სოციოლოგიის* საგანია, რომელიც, ამასთან, *მ-ის* დამოუკიდებლობის საკითხს იკვლევს (ბურდიო).

მეცნიერების სოციოლოგია იკვლევს სამეცნიერო ცოდნისა და *მეცნიერების,* როგორც სოციალური ინსტიტუტის ურთიერთქმედებას სოციალურ სტრუქტურებთან, მეცნიერებისათვის დამახასიათებელი შემეცნებითი ფორმების განსაზღვრულობას სოციალურ-კულტურული პირობებით, მეცნიერების ქცევას განსხვავებულ სოციალურ სისტემებში. პირველ ეტაპზე *მ. ს.* ვითარდებოდა ცოდნის სოციოლოგიის შიგნით, სადაც ფილოსოფიისა და რელიგიის შესწავლასთან ერთად გაანალი-

ზებული იყო ცოდნისა და სოციალური სისტემების ურთიერთკავშირის საკითხები.

ცოდნის სოციოლოგიის წამყვანი კონცეფციის ფარგლებში (XX ს-ის 20-იანი წლები) ვითარდებოდა ცოდნის სხვადასხვა ფორმების (მათ შორის მეცნიერული ცოდნის) და შინაარსების ანალიზის სპეციფიკური მიდგომები, მეცნიერების გენეზისისა და მეცნიერების *კულტურასა* და ტექნიკასთან კავშირურთიერთობის საკითხები. კ. მანჰაიმი ხაზს უსვამდა შემეცნების სოციალურად განპირობებულობას. მისი აზრით, მხოლოდ სოციალური ცოდნის ფორმები (*იდეოლოგია* და უტოპია) შესაძლებელია აიხსნას სოციოლოგიურად, მაშინ როცა საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი და მათემატიკური ცოდნა *მ. ს-ის* კომპეტენციის მიღმა დგას. შელერი ხსნიდა რა ახალ დროში მეცნიერების წარმოშობას, მასში ხედავდა თეორიული გონებით მჭვრეტელი ადამიანებისა (ფილოსოფოსების) და შრომის სფეროს წარმომადგენლების (ხელოსნების) ძალისხმევის გაერთიანებას რეალობაზე ბატონობის განსახორციელებლად. მეცნიერება განიხილებოდა როგორც ტექნიკური ინჟინერია, ხოლო მისი არსება ბურჟუაზიის ბუნებაზე ბატონობის ნებასთან დაკავშირებულად მიიჩნეოდა. დ. ლუკაჩი ხაზს უსვამდა კაპიტალისტურ სასაქონლო მეურნეობაზე მეცნიერების დამოკიდებულების საკითხს. ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენლები მეცნიერებას განიხილავდნენ როგორც ინსტრუმენტალურ გონებას, ხოლო მეცნიერულ რაციონალობას – როგორც იძულების რაციონალიზაციას, ბუნებასა და თვით ადამიანზე ძალაუფლების განხორციელების საშუალებას. ფ. ზნანეცკის თანახმად, *მ. ს-ის* ამოცანაა იმ ადამიანების სოციალური ურთიერთქმედების ანალიზი, რომლებიც ცოდნის გენერირებაზე აგებენ პასუხს (მეცნიერთა სოციალური როლების, მათი ღირებულებითი ორიენტაციების ანალიზი). მნიშვნელოვანია დ. ბერნალის შრომები *მ. ს-ში.* იგი მეცნიერებას განიხილავდა როგორც სოციალურ ინსტიტუტს (მარქსისტული *მ. ს.*). განსაკუთრებული წვლილი *მ. ს-ის* განვითარებაში შეიტანა რ. მერტონმა. კლასიკად ქცეულ შრომაში „მეცნიერება, ტექნიკა და საზოგადოება XVII ს-ის ინგლისში" (1933) მერტონმა წინა პლანზე წამონია პურიტანული რელიგიისა და მორალის როლი ახალი დროის მეცნიერების ფორმირებაში. უფრო გვიან მან ჩამოაყალიბა *მ. ს-ის* კონცეფცია, რომელიც 60-იან წლებში დომინირებადი „პარადიგმა" გახდა. მერტონისეული *მ. ს-ის* კონცეფციის ფილოსოფიურ საფუძველს მეცნიერული ცოდნის ზრდის სოციალური ნეიტრალურობის და კუმულაციური ხასიათის პოზიტივისტური იდეა წარმოადგენდა, ხოლო სოციოლოგიურად მერტონი *სტრუქტურული ფუნქციონალიზმის* მის მიერვე შემუშავებულ ვარიანტს ეყრდნობოდა. მერტონის თანახმად, მეცნიერება, სოციოლოგიური თვალსაზრისით, სოციალური ინსტიტუტია, რომელიც იცავს მეცნიერების ავტონომიურობას და ახალი, სანდო ცოდნის მიღების სტიმულირებას უწყობს ხელს. მეცნიერული აღმოჩენა მიღწევაა, რომელიც საზოგადოებისაგან დაჯილდოება-წახალისებას მოითხოვს, რაც უზრუნველყოფილია კოლეგებისა და საზოგადოების მხრიდან მეცნიერის წვლილის აღიარებით. ეს აღიარება განსაზღვრავს მის პრესტიჟს, სტატუსსა და კარიერას. მეცნიერების, როგორც სოციალური ინსტიტუტის ფუნქციონირება სავალდებულო ნორმებითა და ღირებულებებით რეგულირდება, რაც მეცნიერების ეთოსს შეადგენს. ამ ეთოსის თანახმად, მეცნიერებას უნდა ახასიათებდეს უნივერსალიზმი (მეცნიერული მსჯელობისა და გამონათქვამების სუბიექტისაგან დამოუკიდებლობისა და ობიექ-

ტურობის რწმენა), ზოგადსაყოველთაოობა (ცოდნა უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი), მიუკერძოებლობა (მეცნიერის პირადი ინტერესის გამოყენების აკრძალვა) და ორგანიზებული სკეპტიციზმი (კოლეგების მიერ მიღებულ შედეგებზე პასუხისმგებლობა). რადგან მეცნიერი მოქმედებს კონკურენციულ, წინააღმდეგობრივ პირობებში და ნორმათა სისტემა ცალსახად არ განსაზღვრავს მის ქცევას, მისი ქცევა ამბივალენტურია და ხშირად ურთიერთსაპირისპირო პოლუსებს შორისაა მოქცეული. მერტონის შრომებმა სერიოზული ზეგავლენა მოახდინა მეცნიერებაში ემპირიულ და თეორიულ კვლევებზე. 70-იანი წლებიდან იწყება მერტონის კონცეფციის კრიტიკა კუნის პოზიციებიდან. კუნი შრომაში „მეცნიერული რევოლუციების სტრუქტურა" მეცნიერებას განიხილავდა როგორც სამეცნიერო საზოგადოების მიერ მიღებულ და დადგენილ პარადიგმას. ამ ფილოსოფიურ საფუძველზე ჩამოყალიბება დაიწყო ნორმატიულმა, ე. წ. კოგნიტურმა *მ. ს-მ,* სადაც მეცნიერების *კოგნიტური* (შემეცნებითი) მხარე სოციალურ სინამდვილესთან პირდაპირ კავშირში განიხილებოდა. *მ. ს-ის* ეს მიმართულება განვითარდა ინგლისში (ბრასი, ბლური, კოლინზი, მალკეი, უოლგარი და სხვები). 80-იანი წლების მიჯნაზე წარმოიშვა *მ. ს-ის* მრავალფეროვანი, მაგრამ მეთოდოლოგიურად ერთმანეთთან ახლოს მდგარი თეორიები. ასეთი იყო მაგ., *მ. ს-ის* „კონსტრუქტივისტული პროგრამა" (ნოპი-�ტინი), რომელიც მეცნიერებას განიხილავდა როგორც სოციალურ კონსტრუქციას, რელატივისტურ პროგრამას (უ. კოლინზი), ეთნომეთოდოლოგიურ მიდგომას (ჰ. გარფუნკელი, ს. უოლგარი), *დისკურსის* ანალიზს (მალკეი). მათთვის დამახასიათებელია ისეთი ტრადიციული განსხვავებების უარყოფა, როგორიცაა კოგნიტური და სოციალური მეცნიერებაში ანუ მეცნიერების შემეცნებითი საწყისის შეცვლა *სოციალური მოქმედებით,* მოლაპარაკებებითა და მეცნიერებს შორის ურთიერთდამოკიდებულებით.

სისტემების თანამედროვე თეორია (ლუმანი) მეცნიერებას განიხილავს როგორ ერთ-ერთ სოციალურ ქვესისტემას, რომელიც ჭეშმარიტებას, როგორც კომუნიკაციის მედიუმს, საკუთარი რეპროდუქციისათვის იყენებს. მეცნიერების საზოგადოებრივი ფუნქცია, ლუმანის თანახმად, მდგომარეობს ახალი ცოდნის კონსტრუირებასა და ცოდნის მოპოვებაში. მეცნიერული ჭეშმარიტება ლუმანის მიერ განიხილება არა როგორც რეალურ სამყაროსთან შესატყვისობა, არამედ როგორც *კომუნიკაციის* სიმბოლურად გენერალიზებული მედიუმი.

მეხუთე კოლონა ნეგატიური მნიშვნელობის ტერმინი. აღნიშნავს მტრის ფართო ფარულ აგენტურულ და დივერსიულ ქსელს, რომელიც დაკავებულია ზურგისა და კომუნიკაციების მოშლით ქვეყანაში. ეს ტერმინი წარმოიქმნა ესპანეთის სამოქალაქო ომის პერიოდში (1936-39). 1936 წელს, მადრიდზე ოთხი კოლონით იერიშის მიტანამდე, მომავალი დიქტატორი ფრანკო *მ. კ-ს* უწოდებდა მადრიდში მყოფ თავის ფარულ მომხრეებს, რომლებიც ეწეოდნენ საბოტაჟს, დივერსიებსა და სხვა სახის ძირგამომთხრელ საქმიანობას, ქალაქიდან ეხმარებოდნენ ფრანკისტებს.

მიბაძვა ნიმუშის მიმდევრობა. როგორც ქცევის თავისებურება, ახასიათებს ცხოველსაც და ადამიანსაც. შეიძლება იყოს უნებლიეც და ნებსითიც. ადამიანისთვის წარმოადგენს პიროვნული თვისებებისა და თავისებურებების ჩამოყალიბება-ტრანსფორმაციის, სრულყოფისა და სწავლების მექანიზმს. სოციალიზაციის პროცესში ას-

რულებს ქცევის საზოგადოებრივად გამომუშავებული წესებისა და ფორმების დაუფლების მექანიზმის ფუნქციას. გადამწყვეტ გავლენას ახდენს რეფერენტული ჯგუფის წევრებზე მორალური და ქცევითი ნორმების, აგრეთვე *დევიანტური* ქცევითი პატერნების ჩამოყალიბების საქმეში. სოციოლოგიაში მისი ინტენსიური შესწავლა დაიწყეს XIX ს-ში. ფრანგი სოციალური ფსიქოლოგი და კრიმინოლოგი გაბრიელ ტარდი *მ-ის* ფენომენით ცდილობდა გამოგონების მექანიზმის გაგებას და მას სიახლის რეალიზაციის საშუალებად მიიჩნევდა. მისი თვალსაზრისით, სოციალური მეცნიერება, სოციალური ფილოსოფიისგან განსხვავებით, იკვლევს არა გამოგონებას, არამედ *მ-ს*, ძველი ხატის ახლებურად გამეორებას; *მ-ის* კანონზომიერებაა უსასრულოდ გავრცელების ტენდენცია, ორიენტაცია შინაგანი *მ-იდან* გარეგანზე, ცალმხრივიდან ორმხრივზე_ და ა. შ. ტარდი *მ-ით* ბევრი სოციალური მოვლენის ახსნას ცდილობდა და მიიჩნევდა ცხოვრების ძირითადი – საყოველთაო გამეორების – კანონის გამოვლენად. შემდგომში ეს პრობლემა ფსიქოლოგიური შესწავლის ობიექტად იქცა და აღიარებულია დასწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად. დღეს *მ.* მეცნიერებს აინტერესებთ როგორც კოლექტიური ქცევის, აღქმის კულტურული ნიმუშებისა თუ ქცევის სტანდარტების ინტერნალიზაციის ერთ-ერთი ფორმა. ამ ტერმინის გამოყენებისას ზოგჯერ გულისხმობენ წინასწარ განზრახვასაც.

მიგრაცია ადამიანების გადასვლა ერთი რეგიონიდან მეორეში (შიდა *მ.*), ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში (გარე *მ.*) ან კიდევ მოსახლეობის პერიოდული გადინება-შემოდინება ერთი რეგიონიდან მეორეში (ქანქარისებური *მ.*). სიკვდილიანობის და შობადობის კოეფიციენტთან ერთად *მ-ის* კოეფიციენტის საშუალებით განისაზღვრება მოსახლეობის ზრდა-შემცირების დინამიკა. (იხ. აგრ. *ემიგრაცია, საერთაშორისო მიგრაცია*).

მიკროსოციოლოგია მოიცავს თეორიებს, რომლებიც ფოკუსირდება მცირე მასშტაბებზე, კერძოდ, ინდივიდებსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში მათ შორის ურთიერთობებზე (ინტერაქციაზე). ეს თეორიები უარს ამბობს სისტემურ მიდგომაზე და აქცენტს აკეთებს ერთეულ აქტებსა და მათ ურთიერთქმედებაზე. ერთეული აქტები შეიძლება გაგებულ იქნეს მხოლოდ იმ საზრისების ანალიზის საფუძველზე, რომლებსაც მათ ადამიანები ანიჭებენ ერთმანეთთან ურთიერთობისას. ამდენად, აღნიშნული თეორიებისათვის ცენტრალურია ინტერაქციის პროცესში გამჟღავნებული მოტივები, ატიტუდები (მიდგომა-დამოკიდებულებები), მნიშვნელობები და ა. შ., რომლებიც, თავის მხრივ, ქმნის ქცევის პატერნებს და გავლენას ახდენს *საზოგადოების* სტაბილურობასა და მასში მიმდინარე ცვლილებებზე. *მ-ურ* თეორიებს მიეკუთვნება *სიმბოლური ინტერაქციონიზმი, სოციომეტრია,* ვებერის თეორია და სხვ.

მილიტარიზმი პოლიტიკა, რომელიც მოითხოვს *სახელმწიფოს* სამხედრო ძლიერების მაქსიმალურ ზრდას, *გამალებულ შეიარაღებას, ეკონომიკისა* და *იდეოლოგიის* დაქვემდებარებას სამხედრო მიზნებისათვის და სამოქალაქო ცხოვრებაზე სამხედრო კონტროლს. *მ-ის* დროს სახელმწიფოს მთელი ძალისხმევა მიმართულია ერთი მიზნისაკენ – მიაღწიოს სამხედრო უპირატესობას სხვა ქვეყნებთან შედარებით, შექმნას მძლავრი პოტენციალი სხვა სახელმწიფოების მიმართ ექსპანსიისა და დაპყრობითი ომებისათვის. *მ-ის* დონეზე წარმოდგენას იძლევა სამხედრო ხარჯების ხვედრითი წილი

ქვეყნის ბიუჯეტში და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის როლი ეკონომიკაში. ეს მაჩვენებლები განსაკუთრებით მაღალი იყო ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, აგრეთვე, ავტორიტარული რეჟიმის მქონე ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში (ერაყი, სირია, ანგოლა და სხვ.). *მ-ის* კლასიკური მაგალითებია პოლიტიკა, რომელიც გაბატონებული იყო ლათინური ამერიკის ქვეყნებში გასული ს-ის 50-70-იან წლებში, იაპონიაში 20-30-იან წლებში, იტალიასა და გერმანიაში 30-იან წლებში.

XX ს-ის 90-იან წლებში დაძაბულობის შენელების სასარგებლოდ მსოფლიოში მომხდარი კარდინალური ცვლილებების შედეგად, რასაც ხელს უწყობდა და უწყობს გაეროს სისტემაში არსებული საკონტროლო მექანიზმები და საერთაშორისო ხელშეკრულებები შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე, *მ-ის* პოლიტიკა მსოფლიო მასშტაბით საგრძნობლად შესუსტდა.

მინისტრთა კაბინეტი უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება იმ ქვეყანაში, რომელსაც სათავეში უდგას *პრემიერ-მინისტრი* ან *პრეზიდენტი*. იქ, სადაც არსებობს საპარლამენტო მმართველობის ფორმა (მაგ., დიდ ბრიტანეთში), მინისტრები ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებენ მთელი მთავრობის სახელით. შეერთებული შტატების პრეზიდენტის კაბინეტის შემადგენლობაში შემავალი მინისტრები პასუხისმგებელნი არ არიან გადაწყვეტილების მიღებაზე და ითვლებიან სახელმწიფოს მეთაურის, პრეზიდენტის ოფიციალურ მრჩეველებად. ტერმინი „კაბინეტი“ შეიძლება შეგვხვდეს ფრანგული პოლიტიკური სისტემის კონტექსტშიც, როდესაც რომელიმე მინისტრთან არსებობს პოლიტიკურ მრჩეველთა გარკვეული ჯგუფი. „კაბინეტურ სისტემაზე“ საუბრისას, ჩვეულებრივ გულისხმობენ მმართველობის ინგლისურ მოდელს, რომლისთვისაც განმსაზღვრელია ორი, კოლექტიური პასუხისმგებლობისა და *პარლამენტის* წინაშე ანგარიშგების პრინციპი. საყურადღებოა, რომ კაბინეტის წევრი მინისტრების რაოდენობა ყველა კაბინეტური სისტემის მქონე ქვეყანაში ერთი პრინციპით არ არის განსაზღვრული. მათი რაოდენობა მერყეობს 10-დან 40-მდე. მაგალითად, კანადაში ყველა მინისტრი ავტომატურად კაბინეტის წევრიცაა, მაშინ როდესაც ინგლისში კაბინეტის წევრი ხდება მინისტრების მხოლოდ მეხუთედი. *მ. კ-ის* წევრობა ბევრ შემთხვევაში დიდადაა დამოკიდებული *არჩევნების* შედეგებზე (რამდენი პორტფელი მოიპოვა არჩევნებში გამარჯვებულმა მთავრობამ ან ხომ არ არის მთავრობა კოალიციური) ან ქვეყნის პოლიტიკურ მოწყობაზე (ფედერაციულ ქვეყნებში პრემიერ-მინისტრი ხშირად იძულებულია კაბინეტში წარმოდგენილი ჰყავდეს რომელიმე შტატის ხელისუფლება) და ა. შ. მთლიანობაში ძალზე იშვიათია, რომ *მ. კ.* მთლიანად წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ერთი მმართველი პარტიით. ყველა სხვა შემთხვევა სხვადასხვაგვარად ზღუდავს პრემიერ-მინისტრის შესაძლებლობებს.

მინისტრთა საბჭო სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო ყოფილ სსრკ-ში.

მისია ძალზე ფართო მნიშვნელობით ტერმინი აღნიშნავს ვინმეს (პროვინციის, ხალხის) მოწოდებას, გარკვეულ ვალდებულებას, რომლის აღსასრულებლადაც ეს სუბიექტია მოვლენილი ამქვეყნად. უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი აღნიშნავს რომელიმე ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობას, რომელსაც სათავეში უდგას სპეციალური რწმუნებული ან დესპანი.

ტერმინი ასევე შეიძლება შეგვხვდეს რამდენიმე სხვა მნიშვნელობით. ერთი, როგორც ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ მეორე ქვეყანაში სპეციალური (სამხედრო, ეკონომიკური) დავალებით წარგზავნილ ადამიანთა ჯგუფის აღმნიშვნელი. მეორე, როგორც საერთაშორისო ფორუმებსა და კონფერენციებზე სახელმწიფოს მიერ წარგზავნილი დელეგაცია. დაბოლოს, ტერმინი გამოიყენება იმ რელიგიური ორგანიზაციის აღსანიშნავადაც, რომელიც მივლენილია რომელიმე ქვეყანაში საკუთარი კონფესიის ინტერესების შესაბამისად.

მიტინგი იხ. *კოლექტიური მოქმედება.*

მიტმასნა პოტენციურ აგრესორთან, საფრთხის წყაროსთან კავშირში შესვლა. *მ*-ა გაწონასწორების ალტერნატივაა (იხ. *ალიანსი*). ტრადიციულად მიჩნეულია, რომ სახელმწიფოები საფრთხის წყაროს წინააღმდეგ ალიანსებს ქმნიან, რათა აგრესორისგან მომდინარე საფრთხე „გაანონასწორონ“. უოლცის თვალსაზრისით, ძალთა წონასწორობის სისტემაში *მ.* ისევე ჩვეულებრივი ნაბიჯია, როგორც გაწონასწორება. საფრთხის თავიდან აცილების გარდა *მ-ის* კიდევ ერთი მოტივი შეიძლება გახდეს ძლიერ სახელმწიფოსთან მოკავშირეობით სარგებლის მიღებაც.

მიუმხრობლობა (ნეიტრალიზმი) ამ ტერმინში იგულისხმება იმ სახელმწიფოთა პოლიტიკა, რომლებმაც სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში ძირითად პრინციპად *ნეიტრალიტეტი* გამოაცხადეს. გაცილებით ხშირად (განსაკუთრებით დასავლურ ლიტერატურაში) *ნ.* ანუ *მ.* გაიგივებულია მოძრაობასთან, რომელიც ჩაისახა *ცივი ომის* პერიოდში და აერთიანებდა განვითარებად სამყაროს (აზია, აფრიკა და ლათინური ამერიკა), აგრეთვე ზოგიერთ სხვა ქვეყანას (მაგ., იუგოსლავიას), რომლებმაც უარი განაცხადეს სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებში მონაწილეობაზე და დასავლეთ-აღმოსავლეთის დაპირისპირებაში ჩაურევლობას უჭერენ მხარს. ნეიტრალური სახელმწიფოსაგან განსხვავებით, მიუმხრობელი ქვეყნები ომს, როგორც პოლიტიკურ საშუალებას (კერძოდ, ანტიიმპერიალისტურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომებს), არ უარყოფდნენ და შეიარაღებულ კონფლიქტებში მონაწილეობას დასაშვებად მიიჩნევდნენ. ამ ქვეყნების ძირითად მიზანს შეადგენდა ჩრდილოეთ-სამხრეთის ურთიერთობათა განვითარება და როგორც სსრკ-ისგან, ისე აშშ-ისგან მაქსიმალური დახმარების მიღება. *ცივი ომის* დამთავრების შემდეგ *მ-ის* მოძრაობის მიზანი და საჭიროება საკმაოდ ბუნდოვანია.

მმართველი პარტია პარტია, რომელსაც უმრავლესობა ჰყავს პარლამენტში. საპარლამენტო სახელმწიფოებში *არჩევნებში* წარმატება, მით უფრო იქ, სადაც მმართველობის ორპარტიული სისტემა არსებობს, გამარჯვებულ პარტიას საშუალებას აძლევს დაკომპლექტოს აღმასრულებელი ხელისუფლებაც. იგივე შეიძლება მოხდეს არასაპარლამენტო, *საპრეზიდენტო მმართველობის* მქონე ქვეყანაშიც, თუკი *პრეზიდენტი* საპარლამენტო უმრავლესობის მქონე პარტიას წარმოადგენს. შედეგად პარტია ქმნის მისთვის მისაღებ აღმასრულებელ ხელისუფლებას და იქცევა *მ.პ-დ* ანუ აკონტროლებს როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებას.

მნიშვნელადობა ვებერის მიხედვით, სოციალური წესრიგის თვისება, რომელიც უფრო მეტს აღნიშნავს, ვიდრე ქცევის უბრალო ერთგვაროვნებაა, განპირობებული *ადათით* ან ინტერესთა თანაფარდობით („კონსტელაცი-

ით"). მნიშვნელად წესრიგს ვებერი უწოდებს „ლეგიტიმურს". ასეთი წესრიგის ფარგლებში მოქმედება ორიენტირდება მკვეთრად განსაზღვრულ ნორმებზე („მაქსიმებზე"), რომელთა შესრულება ინდივიდისათვის სავალდებულოა, ანუ ქმნის ნიმუშს, რომელიც მიბაძვის ღირსია. მნიშვნელადი წესრიგის ფარგლებში მოქმედებს, მაგ., ჩინოვნიკი, რომელიც ყოველდღე ცხადდება ბიუროში განსაზღვრულ დროს. როგორც წესი, ეს გამოწვეულია მისთვის სამსახურებრივი რეგლამენტაციის სისტემის *მ-ით*, რომელიც გამოიხატება ჩინოვნიკისათვის სავალდებულო მოთხოვნების წაყენებაში (იხ. აგრ. *ლეგიტიმურობა*).

მნიშვნელობა მოქმედების შესახებ თეორიების და, საერთოდ, გაგებითი სოციოლოგიის ძირითადი ასპექტი, რომელიც გულისხმობს მიდგომადამოკიდებულებებს (ატიტუდებს), განზრახვას, მიზნებს ან მოტივებს, რომლებსაც ინდივიდები უკავშირებენ თავიანთ მოქმედებებს. *მ-ის* ანალოგიური ცნებაა „საზრისი". ვებერი განასხვავებს საზრისის ორ მნიშვნელობას: 1. საზრისი, რომელიც რეალურად სუბიექტურად ნავარაუდევია მოქმედი პირის მიერ მოცემულ სიტუაციაში; 2. საზრისის თეორიულად კონსტრუირებული „წმინდა" ტიპი, რომელიც სუბიექტურად ნავარაუდევია ჰიპოთეზური მოქმედი პირის მიერ მოცემულ სიტუაციაში. ეს უკანასკნელი არ გულისხმობს მოქმედების ობიექტურად „სწორ" ან „ჭეშმარიტ" მნიშვნელობას, არამედ ისეთი იდეალური კონსტრუქციაა, რომელიც აგებულია ემპირიული სინამდვილის მახასიათებლებისაგან და გამოიყენება შემეცნებითი მიზნებისათვის, რათა განისაზღვროს რეალური მოვლენის *დევიაციის* ხარისხი (იხ. *იდეალური ტიპი*). მოქმედება შეიძლება ატარებდეს როგორც რაციონალურ, ისე ემოციურ (არარაციონალურ) საზრისს. მაშასადამე, საზღვარი გასაზრისიანებულ და უსაზრისო მოქმედებებს შორის არ გადის რაციონალურსა და არარაციონალურს შორის. უსაზრისო მოქმედება არა უბრალოდ არარაციონალური, არამედ, პირველ რიგში, ირაციონალურია. ნებისმიერი ირაციონალური მოქმედება არარაციონალურია, მაგრამ არა პირიქით – არარაციონალური მოქმედება შეიძლება საზრისის მქონე იყოს. ასეთია სწორედ ტრადიციული და აფექტური მოქმედებები. თუმცა, არარაციონალური საზრისის მქონე მოქმედება „რისკის" შემცველია – მან შეიძლება დაკარგოს საზრისი და იქცეს ირაციონალურად (ე. ი. უსაზრისოდ). ასე ემართება ტრადიციულ და აფექტურ მოქმედებებს მაშინ, როდესაც ისინი იქცევა „ავტომატურ რეაქციებად" გარე გამღიზიანებელზე. შესაბამისად, ასეთი ქცევები წყვეტს არსებობას როგორც სოციალური ხდომილებები და გადადის ბიოლოგიური ან ფიზიოლოგიური მოვლენების სფეროში (იხ. *რაციონალობა, სოციალური მოქმედების ტიპები*).

მოდა 1. სტატისტიკური: ცენტრალური ტენდენციის ერთ-ერთი საზომი საშუალოსა და *მედიანასთან* ერთად. საკვლევი ცვლადის ყველაზე მეტი სიხშირით წარმოდგენილი მნიშვნელობა. აქვს აღმწერი ფუნქცია. იქ, სადაც ნომინალური დონის საზომი გამოიყენება, უმჯობესია მისი გამოყენება, მაგ., სახელდების სკალაზე (იხ. *სკალები*), სადაც ის ცენტრალური ტენდენციის საუკეთესო საზომია და საუკეთესო წინასწარმეტყველება იმ აზრით, რომ უშეცდომობის ალბათობა ძალზე დიდია. *მ.* სიხშირეთა გრაფიკულად განაწილების პიკია. **2.** სოციალურ რეალობაში: ქცევის აღიარებული მოდელი, მოქმედების დამახასიათებელი წესი, რომელსაც მოსახლეობის უმრავლესობა მისდევს. ასახავს „თანამედროვეო-

ბის“ ორ ასპექტს: ა) *რეკლამით* შექმნილ და *მასმედიით* მხარდაჭერილ მარადიულ ცვალებადობას; ბ) ტანსაცმლის, ავეჯის ან მსგავსი საქონლის სტილსა და არჩევანს, რაც ადამიანს გარემომცველ სოციალურ სინამდვილეზე ზეგავლენის შესაძლებლობასა და საკუთარი „მე“-სა თუ სოციალური კუთვნილების გამოხატვის საშუალებას აძლევს. გულისხმობს შემოქმედებითი თვითგამოხატვისა და მანიპულირების ელემენტებს, რაც ისეთივე შეფასებების საგანი ხდება, როგორც პოპკულტურა.

მოდელირება 1. საქმიანობა მოდელის ან რაიმეს ასლის შესაქმნელად, ჩვეულებრივ, მიმართავენ ანალოგიას. შეიძლება მიმართული იყოს მექანიკურ მოვლენაზე, მათემატიკური საშუალებებით რაიმე მოვლენის ან ისეთი ინტელექტუალური პროცესების ანალოგიის შექმნაზე, რომელმაც შეიძლება პროცესების ამსახველი მინითეორიის ფუნქცია შეასრულოს, კომპიუტერული გზით მოვლენათა რთული ურთიერთკავშირის დამუშავებასა და სოციალური ურთიერთქმედების სქემების გამოყვანაზე და სხვ. ხშირად ახდენენ სოციალური ფენომენებისა და პროცესების *მ-ს*. ასეთ შემთხვევაში *მ-ის* შედეგის ღირებულება და სარგებლიანობა განისაზღვრება წინასწარმეტყველების (პროგნოზირების) უნარით. **2.** იმ იდეალის, სტანდარტის, ნიმუშის *მ.*, რომელიც საზოგადოებაში მიბაძვის ღირსად მიიჩნევა. *მ.* მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური დასწავლის თეორიაში, რამდენადაც მიჩნეულია, რომ სოციალიზაცია, ძირითადად, სწორედ ქცევის როლური მოდელის იმიტაციით ხდება. *მ-ის* ტექნიკას მიმართავენ ქცევით თერაპიაშიც.

მოდერატორი იხ. *ინტერვიუერი.*

მოდერნიზაცია (პოლიტიკური) არსებული პოლიტიკური სტრუქტურებისა და პრაქტიკის მიზანდასახული განახლება და შეცვლა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. *პ. მ.*, როგორც წესი, *სახელმწიფოს* მიერ წარიმართება და რეგულირდება, თუმცა ამ პროცესში ვერავინ გამორიცხავს არაპროგნოზირებად პროცესებს. ასე მაგალითად, გორბაჩოვის მიერ გამოცხადებული „პერესტროიკა“ და შემდგომში განვითარებული მოვლენები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ჯერ საბჭოთა კავშირის და შემდგომ პოსტსაბჭოთა სივრცის *მ.* აღსანიშნავია, რომ *მ.* საჭირო ხდება იმ პოლიტიკურ რეჟიმებში, რომლებიც (სხვადასხვა, მათ შორის, პოლიტიკური „სტაბილურობის“ მიღწევის მიზეზებით) სტაგნაციის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ არ ფლობს ევოლუციური *მ-ის* მექანიზმებს და საჭიროებს „ქირურგიულ ჩარევას“ სახელმწიფოს მხრიდან.

მოდერნიზმი მიმდინარეობა ხელოვნებაში, *კულტურასა* და არქიტექტურაში, რომელიც აღიარებს განმანათლებლობის ეპოქის შეხედულებებს პროგრესის შესახებ და რომელიც განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას ფორმის ფუნქციონალობაზე. *მ.* გარკვეულად ეწინააღმდეგება კულტურის პოსტმოდერნისტულ ფორმებს (იხ. *პოსტმოდერნიზმი, პოსტმოდერნისტული სოციოლოგია*). *მ-ისათვის* დამახასიათებელი თავისებურებებია: აქტიურობა, დინამიზმი, ენთუზიაზმი, მოძრაობის წყურვილი, შეურიგებლობა (ბრძოლა ვინმეს ან რაიმეს წინააღმდეგ), მერყეობისა და დაეჭვების გარეშე ტრადიციული ბარიერების გადალახვა, საყოველთაოდ მიღებული ღირებულებების ათვალწუნება და იგნორირება, ახალგაზრდობისა და სიახლის კულტი, მომავლისადმი სწრაფვა.

მოლაპარაკება საერთაშორისო ურთიერთობების აქტორთა პირდაპირი

კონტაქტი ყველა მხარისათვის მისაღები შეთანხმების მისაღწევად. საერთაშორისო პრაქტიკაში *მ.* მრავალი მიზნით გამოიყენება. მაგ., ყოველი საერთაშორისო ხელშეკრულების დადებას წინ უსწრებს *მ.* მხარეებს შორის. განსაკუთრებით აღსანიშნავია *მ-ის* როლი საერთაშორისო დავათა მშვიდობიანი გადაწყვეტის სისტემაში – აქ *მ.* ერთ-ერთ ასეთ საშუალებადაც კი გვევლინება და იგი მეტწილად წინ უსწრებს საერთაშორისო დავათა მშვიდობიანი გადაწყვეტის სხვა მექანიზმებს. *მ-ის* წარმოება შესაძლებელია როგორც პირდაპირი დიპლომატიური ურთიერთობის გამოყენებით (პირდაპირი *მ.*), ისე განსაზღვრულ საკითხზე შეთანხმების მისაღწევად სპეციალურად მოწვეულ საერთაშორისო კონფერენციაზე (თათბირზე). *მ-ის* მექანიზმით სარგებლობისათვის ძალზე ეფექტური არენაა *საერთაშორისო ორგანიზაციები*, მათი ორგანოები. თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკაში *მ.* შესაძლებელია იყოს როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი.

მონარქია სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება მთლიანად ან ნაწილობრივ (რეალურად ან ფორმალურად) სახელმწიფოს ერთპიროვნულ მმართველს – მონარქს (ხელმწიფეს, მეფეს, იმპერატორს, შაჰს, სულთანს და ა. შ.) ეკუთვნის. *მ-ულ* მმართველობას იგი მემკვიდრეობით იღებს და მემკვიდრეს გადასცემს. განასხვავებენ აბსოლუტურ, შეუზღუდავ და კონსტიტუციურ, პარლამენტარულ *მ-ებს*, როდესაც მონარქის ძალაუფლება შეზღუდულია პარლამენტით ან სხვა სახით. პირველის მაგალითებად შეიძლება ჩაითვალოს მონათმფლობელური და ფეოდალური *მ-ები*. დღეს აბსოლუტური *მ-ები* თითზე ჩამოსათვლელია (საუდის არაბეთი, კატარი, ომანი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები და სხვ.). რაც შეეხება კონსტიტუციურ *მ-ებს*, ისინი მრავლადაა (დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, შვეცია, ნორვეგია, ბელგია, დანია და სხვ.), მათი რაოდენობა ოთხ ათეულს აღწევს. სხვა საკითხია, რომ განვითარებულ ქვეყნებში მონარქების ხელისუფლებას უფრო სიმბოლური, ფორმალური ხასიათი აქვს და ისინი წარმომადგენლობით, ცერემონიალურ ფუნქციას ინარჩუნებენ. ზოგ შემთხვევაში ესაა თეოკრატიული სახელმწიფოები, როდესაც სახელმწიფოს მეთაური ერთდროულად რელიგიური მეთაურიცაა (ომანი, კატარი და სხვ.).

მონაცემთა ბანკი სოციოლოგიურ გამოკვლევათა შედეგად მიღებული მონაცემების შენახვის ერთ-ერთი საშუალება; სპეციალურად ორგანიზებული ცენტრალიზებული საცავი; სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგების, მეთოდური ინსტრუმენტების, ემპირიული და თეორიული ანალიზის შედეგების ერთობლიობა, კრებული. არქივის დიდ მნიშვნელობას მასში არსებული მასალის სხვადასხვა მიზნით გამოყენების ფართო შესაძლებლობა განსაზღვრავს (მაგ., ინფორმაციის უფრო დეტალური შესწავლა-დამუშავება, სასწავლო მიზნები, მიღებული შედეგების შემოწმება და კონტროლი, სხვა გამოკვლევებთან შედარება და ა. შ.). არქივში შეიძლება დაცული იყოს სოციოლოგიური გამოკვლევების როგორც დამუშავებული, ისე დაუმუშავებელი მონაცემები, აგრეთვე ინფორმაციული მასალა დროის გარკვეულ პერიოდში საზოგადოებრივი აზრის ცვლილებების შესახებ. არქივში დაცულ მონაცემებს დიდი სოციალური და ისტორიული ღირებულება აქვს, ამიტომ სოციოლოგიური მონაცემების შენახვის პრობლემა მეტად მნიშვნელოვანია. ის დაკავშირებულია კომპიუტერიზაციასა და პირველადი მონაცემების შენახვის სხვადასხვა ხერ-

ხის შერჩევასთან. მონაცემების შენახვა ხდება ხანგრძლივი მუშაობისა და მრავალგზის გამოყენებისათვის გამოსადეგი ფორმებით (მაგ., ხელნაწერი ტექსტები, დაბეჭდილი მასალები, ფოტო და კინოდოკუმენტები, მაგნიტური ფირები, ვიდეო და აუდიომასალები, კომპიუტერული ჩანაწერები). მათი დაცვის თვალსაზრისით უმჯობესია ორი ან რამდენიმე ფორმის გამოყენება. არქივში სოციოლოგიური მონაცემების, ინფორმაციის შენახვა ხდება ქრონოლოგიური, ტერიტორიული, ინსტიტუციური, საგნობრივი მახასიათებლებისა და ავტორების (მკვლევრების) მიხედვით.

მ. ბ-ის სინონიმად ზოგჯერ იყენებენ ტერმინს „მონაცემთა არქივი".

მონიტორინგი (სოციალურ-პოლიტიკური) მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით ინფორმაციის მუდმივი, სისტემატური შეგროვება, რომლის მიზანია სოციალურ-პოლიტიკური მოვლენის ან პროცესის განვითარებაზე დაკვირვება, კონტროლი და პროგნოზირება.

მონობა მეპატრონის მიერ ადამიანის სიცოცხლის უფლების, მისი თავისუფლების, ნებისმიერი მოღვაწეობის გაკონტროლება. *მ-ის* წინააღმდეგ აჯანყებები ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში ხდებოდა. არისტოტელე *მ-ის* დამცველად გვევლინება. იგი ამბობს, რომ ზოგიერთი ადამიანი ბუნებით არის მონა. ცნობილი ფაქტია, რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ ჩრდილოეთ ამერიკაში მიგვიყვანა დამოუკიდებლობის დეკლარაციამდე, სადაც ნათქვამია, რომ ყველა ადამიანი თანაბარია და ღვთის მიერ მას მინიჭებული აქვს გარკვეული, განუხრელი უფლებები, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება უფლება სიცოცხლეზე, თავისუფლებასა და ბედნიერებისაკენ სწრაფვაზე. თუმცა დეკლარაცია დაწერა თომას ჯეფერსონმა (მაშინ იგი მონათმფლობელი იყო ვირჯინიიდან), მან მაინც არ გაათავისუფლა თავისი მონები. პირველად *მ.* და მონებით ვაჭრობა აიკრძალა ბრიტანეთის იმპერიასა და აშშ-ში, XIX ს-ში, რასაც ხელი შეუწყო პრინციპულმა პოზიციებმა, პოლიტიკურმა გამორჩენამ და კავშირის შენარჩუნების მომხრეთა გამარჯვებამ აშშ-ის სამოქალაქო ომში (1861-65).

მონოგამია ქორწინების ნორმა, რომლის თანახმად, ნებადართულია ერთადერთი საქორწინო პარტნიორის ყოლა. შეიძლება გულისხმობდეს გამეორებითი ქორწინების აკრძალვას, ასეთ პირობებში მიმართავენ ტერმინებს – „სერიული მონოგამია" ან „სერიული პოლიგამია". ტერმინის გამოყენებისას კონოტაცია გულისხმობს წყვილში სექსუალური ერთგულების ორმხრივ შენარჩუნებას. (იხ. აგრ., *პოლიგინია, პოლიგამია, პოლიანდრია*).

მონოპოლია რომელიმე *სახელმწიფოს* ან ჯგუფის გამორჩეული უფლება. *მ-ური* უფლება შეიძლება ვრცელდებოდეს სრულიად სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებაზე, ვთქვათ, საგარეო ვაჭრობაზე, მიწაზე ან რაიმეს წარმოებაზე. *მ-ს* საბაზრო ეკონომიკაში კონკრეტულმა ეკონომიკურმა სუბიექტმა ან სუბიექტების ჯგუფმა შეიძლება მიაღწიოს კაპიტალისა და წარმოების მაღალი კონცენტრაციის შედეგად, რაც, თავის მხრივ, მიიღწევა კომპანიებს შორის დადებული გარიგებით ან შერწყმით.

მორალი სოციალური ინსტიტუტი, ნორმების, სანქციების, შეფასებების, დანაწესების, ქცევის ნიმუშთა სისტემა, რომელიც ასრულებს სოციალური კონტროლისა და სოციალური ურთიერთობების რეგულირების ფუნქციებს ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფში, მთლი-

ანად *საზოგადოებაში. მ-ის* ფუნქციაა ადამიანთა ქცევის ნორმატიზება, ქცევის რეგულირება საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველგვარ სფეროში. მასობრივი მოღვაწეობის სხვა ფორმებისგან განსხვავებით (სამართალი, საწარმოო-ადმინისტრაციული განაწესი, სახელმწიფო დეკრეტები, ხალხური ტრადიციები), *მ-ს* დასაბუთებისა და თავისი მოთხოვნების განხორციელების სხვაგვარი წესი აქვს. მასში აუცილებლობა, სოციალური ერთობის ინტერესები და მოთხოვნილებები გამოიხატება სტიქიურად ფორმირებული და საყოველთაოდ აღიარებული შეფასებებისა და დანაწესების სახით, რაც განმტკიცებულია ნიმუშის, ჩვევის, *ადათის,* საზოგადოებრივი აზრის ძალით. ამის გამო მორალურ მოთხოვნებს უპირობო აუცილებლობის ფორმა აქვს და ერთნაირად ეხება ყველას, თუმცა კი ბრძანება არავისგან მოდის, ამასთან, ეს მოთხოვნები შედარებით მყარი ხასიათისაა. არსებულ წესრიგზე დაფუძნებული წეს-ჩვეულებებისგან განსხვავებით, *მ.* იდეურადაა დაფუძნებული წარმოდგენაზე, როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა; *მ.* სამართლისგან განსხვავდება იმით, რომ ყოველი ადამიანის მიერ ზნეობრივი მოთხოვნების შესრულება კონტროლდება ყველას მიერ, ამასთან, ამა თუ იმ ადამიანის ავტორიტეტი არ უკავშირდება ოფიციალურ უფლებამოსილებას; *მ-ის* მოთხოვნათა შესრულება სანქციონირდება მხოლოდ სულიერი ზემოქმედების ფორმებით (საზოგადოებრივი შეფასება, მოწონება ან გაკიცხვა), ამის გამო, სოციალური კონტროლის სხვა ფორმებთან შედარებით, იგი ცნობიერებისთვის უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს და შეიძლება გამოიხატოს ცნების ფორმითაც (რაციონალურად) და გრძნობითაც. *მ-ს* სხვადასხვაგვარი ფორმა აქვს: ნორმა, მოვალეობა, პასუხისმგებლობა, სინდისი. ცნობიერება ამას ასახავს შესაბამისი წარმოდგენებით (პრინციპები, საზოგადოებრივი და *მ-ური* იდეალები, კეთილი – ბოროტი, სამართლიანობა– უსამართლობა და სხვ.).

მორალური რელატივიზმი *მორალი* ისტორიული წარმონაქმნია. იგი წარმოიშვა საზოგადოების ფორმირების ადრეულ ეტაპზე, ვითარდება იდეოლოგიური, ეკონომიკური და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სხვა ცვლილების შედეგად; გარდა ზოგადი, უნივერსალური ელემენტებისა, მორალს ისტორიულად წარმავალი ნორმები, პრინციპები, იდეალები აქვს. ზოგად ასპექტებში ყველა მორალური სისტემა მსგავსია, მაგრამ ცალკეულ სისტემაში ყოველი ნორმის, შეფასებისა და სხვ. გამოვლინება ივსება კონკრეტული შინაარსით, რომელიც გამოხატავს მის ორიენტაციას სწორედ მოცემული კონკრეტული *საზოგადოების* ინტერესთა მხარდაჭერაზე. ადამიანთა სახეცვლილი ერთობები ქმნიან თავიანთ მორალურ სისტემებს, ჩვეულებრივ, ეს პროცესი იწყება ადრინდელი მორალური სისტემების მკვეთრი უარყოფით, მაგრამ ახალი ჩნდება მხოლოდ ისტორიული წარსულის ბაზაზე, ხდება მისი შინაარსის სახეცვლილება, რომელსაც თან სდევს უკვე არსებული მორალური ფორმების გამოყენება.

მორატორიუმი საგარეო ან საშინაო ვალდებულებების შესრულების შეჩერება. *მ-ის* ვადა განცხადებაში ან მითითებულია, ან არა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში *მ.* უვადოდ ითვლება და ნებისმიერ დროს შეიძლება შეწყდეს. გარდა ამისა, *მ.* შეიძლება ვრცელდებოდეს ვალდებულებათა მთელ ბლოკზე ან შეიძლება შემოიზღუდოს მხოლოდ ერთი რომელიმე პუნქტით. *მ.* ცხადდება როგორც საბანკო-ეკონომიკურ (ვთქვათ, საკრედიტო დაწესებულებების დახურვის სახით), ასევე სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში (ვთ-